

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი  
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN  
NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS



# Scientia

Scholarly Journal

სამეცნიერო  
ჟურნალი

#1

SCIENTIA POTENTIA EST | ცოდნა ძალაა

[www.scientia.ge](http://www.scientia.ge)

თბილისი | TBILISI

2020

## მთავარი რედაქტორი

**მანუჩარ გუნცაძე** | კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

## სარედაქციო საბჭო

**ხათუნა ბაინდურაშვილი** | კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

**მარტინა ბიტუნიაკი** | კოტხდაგის უნივერსიტეტი

**თამაზ გოგოლაძე** | კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

**ზურაბ თარგამაძე** | ჰუმანიტარული კვლევების ცენტრი

**რადოსლავ კანარკოვსკი** | კრაკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

**ვლადიმერ კეკელია** | კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

**ლევან კოჭლამაზაშვილი** | არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**მარია ლიდოვა** | ოქსფორდის უნივერსიტეტი

**იორდან ლუცკიანოვი** | ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემია

**ჰიროტაკე მანდა** | ტოკიოს მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი

**შოთა მათითაშვილი** | ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი

**გორ მარგარიანი** | სოხხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

**დავით ნასყიდაშვილი** | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**თამარ ნინიძე** | აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სტეფანო პელაჯი** | რომის საკინცას უნივერსიტეტი

**ნიკოლოზ ჟღენტი** | კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

**ნესიმი რზაიევი** | ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ედუარდო სანჩესი** | ვალადოლიდის უნივერსიტეტი

**სოფიო ქადაგიშვილი** | ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

**მიხეილ ქართველიშვილი** | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**მატია კირიატი** | ბარსელონის უნივერსიტეტი

**გურამ ჩხატარაშვილი** | ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმი

**ზაზა ცინაძე** | წმ. ანდრეას ქართული უნივერსიტეტი

## **EDITOR-IN-CHIEF**

**MANUCHAR GUNTSADZE** | KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

## **EDITORIAL BOARD**

**KHATUNA BAINDURASHVILI** | KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

**MARTINA BITUNJAC** | UNIVERSITY OF POTSDAM

**TAMAZ GOGOLADZE** | KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

**ZURAB TARGAMADZE** | IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

**RADOSLAW KANARKOWSKI** | KRAKOW INSTITUTE OF ORIENTAL STUDIES

**VLADIMER KEKELIA** | KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

**LEVAN KOCHLAMAZASHVILI** | ARNOLD CHIKOBAVA LINGUISTICS INSTITUTE

**MARIA LIDOVA** | UNIVERSITY OF OXFORD

**YORDAN LUTSKIANOV** | BULGARIAN ACADEMY OF SCIENCES

**HIROTAKE MAEDA** | TOKYO METROPOLITAN UNIVERSITY

**SHOTA MATITASHVILI** | CENTRAL EUROPEAN UNIVERSITY

**GOR MARGARIAN** | ARMENIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

**DAVIT NASKIDASHVILI** | IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

**TAMAR NINIDZE** | AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

**STEFANO PELAGGI** | SAPIENZA UNIVERSITY OF ROME

**NIKOLOZ ZHGENTI** | KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

**NESIMI RZAYEV** | BAKU STATE UNIVERSITY

**EDUARDO SANCHEZ** | UNIVERSITY OF VALLADOLID

**SOPHIO KADAGISHVILI** | IVANE JAVAKHISHVILI INSTITUTE OF HISTORY AND ETHNOLOGY

**MIKHEIL KARTVELISHVILI** | IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

**MATIA CHIRIATTI** | UNIVERSITY OF BARCELONA

**GURAM CHKHATARASHVILI** | BATUMI ARCHAEOLOGICAL MUSEUM

**ZAZA TSINADZE** | ST. ANDRIA GEORGIAN UNIVERSITY

UDC (უბკ) 93/94:902/904:39:8  
(051)  
S-40

ISSN 2667-9590

e-ISSN 2667-9604

© Scholarly Journal Scientia | სამეცნიერო ჟურნალი Scientia



## შინაარსი | CONTENTS

<b>რედაქტორის წინასიტყვაობა</b> .....	7
<b>EDITOR'S PREFACE</b> .....	9
<b>ჯოზეფ პატრიხი</b>   მაქსიმე აღმსარებელი – პალესტინური არქეოლოგიურ-გეოგრაფიული ისტორია .....	11
<b>Joseph Patrigh</b>   Maximus Confessor - The Palestinian archaeological-geographical background.....	23
<b>ირაკლი ფალავა</b>   კვლავ უნესო ჭედვის ქართული და კავკასიური მონეტების ღირებულებაზე და რუსუდანის ფულად რეფორმაზე.....	34
<b>Irakli Paghava</b>   Once again, on the Value of Georgian and Caucasian Coins of Irregular Stamping and Rusudan's Monetary Reform .....	61
<b>ნინო ნაზღაიძე</b>   ქართველთა უძველესი სარწმუნოების რაობა და მისი ასახვა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში .....	83
<b>Nino Nazghaidze</b>   Ancient Georgian Religious Beliefs in Goderdzi Chokheli's Works.....	93
<b>მაკა ხუციშვილი</b>   საქართველოში პოლონური დიასპორის უცნობი ისტორია.....	102
<b>Maka Khutsishvili</b>   An ever unfolding story of the Georgian Polish Diaspora .....	113
<b>ნათია კენჭიაშვილი</b>   რიტორიკის თეორია და პრაქტიკა XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში რიტორიკის პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოების მიხედვით.....	122
<b>Natia Kenchiashvili</b>   Rhetorical Theory and Practice in the 18 <sup>th</sup> -19 <sup>th</sup> Centuries Georgia According to the First Georgian Textbooks of Rhetoric.....	137
<b>მაია ბარამიძე, მამია ფალავა</b>   არსებითი სახელის მთავარი თავისებურებები ტაოურში.....	146
<b>Maia Baramidze, Mamia Paghava</b>   The Main Characteristics of the Noun in Taoan .....	158
<b>ნიკოლოზ ჟღენტი</b>   მთის წმ. გიორგის მონასტრის კიდევ ერთი დაკარგული სიძველე – ქუცნა მხეიძის ეტიტორობით მოჭედილი წმ. გიორგის ხატი .....	174

<b>Nikoloz Zhgenti</b>   Another Lost Antiquity from Mount Saint George Monastery – The Icon of Saint George hammered under the Ktetorship of Kutsna Mkheidze .....	186
<b>ნიკოლოზ სარაჯიშვილი, ნოდარ ჩხაიძე</b>   ჰელენ კრებელი – ვარლამ ჩერქეზიშვილის უცნობი ცოლი? .....	196
<b>Nodar Chkhaidze, Nikoloz sarajishvili</b>   Helen Krebel – Varlam Cherkezishvili’s Anonymous Wife .....	206
<b>თამაზ გოგოლაძე</b>   ჩითახევის ეკლესიის („მწვანე მონასტერი“) უცნობი ხატის 1684 წლის ასომთავრული წარწერა ლევან ბატონიშვილისა და მისი მეუღლის, თინათინის მოხსენიებით .....	214
<b>Tamaz gogoladze</b>   The Asomtavruli Inscription Mentioning Prince Levan and His Wife Tinatin on the Unknown Icon of 1684 in Chitakhevi Church (“Green Monastery”) .....	234
<b>გურამ ლეგაშვილი</b>   ამლივის ღვთაების სახელობის ეკლესია და მისი საფლავის ქვების ისტორიული ცნობები .....	251
<b>Guram Legashvili</b>   Amlivi Deity Church and the Historical Data of its Gravestones.....	276
<b>ლევან კოჭლამაზაშვილი</b>   ფონეტიკური ტრანსფორმაცია – სახელის ფუძის სემანტიკის დიაქრონიული გარდაქმნის ხელშემწყობი პირობა.....	301
<b>Levan Kochlamazashvili</b>   A Phonetic Transformation – Facilitating Conditions for Diachronic Transformation of the Semantics of a Noun Stem.....	306
<b>დimitრი სილაქაძე</b>   აირუმის ბრძოლა- პოლკოვნიკ ვაჩნაძის რაზმის ტყვედ ჩავარდნის ისტორია (სომხეთ-საქართველოს 1918 წლის ომი) .....	311
<b>Dimitri Silakadze</b>   The battle of Ayrum – The Story of Captivation of Colonel Vachnadze’s Squad (Georgian-Armenian War in 1918) .....	327
<b>ლადო მირიანაშვილი</b>   მიტროპოლიტ რომანოზ ერისთავის ცხოვრების ძირითადი მოვლენების დაბუსტებული ქრონოლოგია და დაკრძალვის რეალური ადგილი .....	342
<b>Lado Mirianashvili</b>   Revised Timeline of Main Events in The Life of Metropolitan Romanoz Eristavi, And His Actual Burial Place.....	360

## **მანუჩარ გუნცაძე**

კორნელი კეკელიძის სახელობის  
საქართველოს ხელნაწერთა  
ეროვნული ცენტრი,  
საქართველო  
m.guntsadze@gmail.com



## **რედაქტორის წინასიტყვაობა**

ჟურნალი Scientia გამოდის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გრიფით, ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერითა და ჰუმანიტარული კვლევების ცენტრის თანამონაწილეობით. ცხადია, ეს წელი მრავალ სირთულესთან იყო დაკავშირებული და ჟურნალის პირველი ნომრის საორგანიზაციო მხარესაც დაეტყო, რასაც აუცილებლად გავითვალისწინებთ მომდევნო ნომრისათვის.

ჟურნალში გამოქვეყნებულმა ყველა სტატიამ გაიარა ორმაგი ფარული რეცენზირების პროცესი და რეცენზენტებისგან შეფასდა დადებითად. ზოგიერთ შემთხვევაში ჩავრთეთ მესამე რეცენზენტიც (როდესაც ორი რეცენზენტის აზრი გაიყო), რათა დაგვეცვა ის სტანდარტები, რაც თან უნდა ახლდეს ნაშრომის პუბლიკაციის პროცესს.

ასევე მინდა გითხრათ, რომ ჟურნალი არის როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახის - [www.scientia.ge](http://www.scientia.ge). შესაბამისად, ჟურნალს გააჩნია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ISSN კოდი (ISSN 2667-9590; e-ISSN 2667-9604).

ამასთანავე, ალბათ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ეს იქნება ქართულ სივრცეში ერთ-ერთი პირველი პერიოდული გამოცემა ჰუმანიტარულ დარგში (შეიძლება სხვა დარგებშიც), სადაც ყველა სტატიას მინიჭებული ექნება DOI კოდი. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ აღნიშნული DOI კოდი

მინიჭებული აქვს სტატიებს ორგანიზაცია ქროსრეფის (Crossref) მიერ. ცნობისათვის, ეს არის ერთადერთი ორგანიზაცია, რომლის მინიჭებულ DOI კოდსაც აღიარებს სკოპუსი (Scopus).

დამატებით მინდა გითხრათ ისიც, რომ ჟურნალი არის ორენოვანი და სტატიები სრულად გამოიცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე, რაც, დამეთანხმებით, კვლევების ინტერნაციონალიზაციის კუთხით საკმაოდ მნიშვნელოვანია.

პირველ ყოვლისა, დიდი მადლიერება მინდა გამოვხატო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და მისი დირექტორის - ბატონ ზაზა აბაშიძის მიმართ, რომელიც გვერდით დაუდგა საქართველოში კიდევ ერთი პერიოდული გამოცემის საქმეს.

ასევე მადლობას ვუხდის რეცენზენტებს, რომელთაც დანვრილებით განიხილეს ყველა ნაშრომი. მათ არ დაუშურებიათ ფასეული რჩევა-შენიშვნები ავტორთათვის, რომელთა გათვალისწინებამაც, ზოგ შემთხვევაში, გადამწყვეტი როლი ითამაშა სტატიის დაბეჭდვის საკითხში.

რა თქმა უნდა, მადლობას ვუხდის საერთაშორისო სარედაქციო საბჭოს თითოეულ წევრს, იმისთვის, რომ დაგვთანხმდნენ ამ ახალ ნამოწყებაში მონაწილეობაზე და ჩაერთვნენ სარედაქციო სამუშაოებში. მათ გარეშე ჩვენი სამეცნიერო ინიციატივა ვერ განხორციელდებოდა. ჯერ ახლა დავინწყეთ ჟურნალის გამოცემა, ასე რომ, რედაქტორების დამსახურება მის პუბლიკაციაში მომავალშიც უმნიშვნელოვანესი იქნება.

აგრეთვე, მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ ნინო იაშვილს, რომელმაც არ დაიშურა რჩევები, რათა ჟურნალი უფრო საინტერესო გამხდარიყო მკითხველთა ფართო წრისათვის. ამ რჩევების გათვალისწინებით, ჟურნალის მომდევნო ნომრები ეტაპობრივად შეივსება სხვადასხვა რუბრიკით და იმედი მაქვს, სამეცნიერო-საგანმანათლებლო კუთხით კიდევ უფრო საინტერესო გახდება.

ასევე, მინდა, აღვნიშნო მთარგმნელები - ირინა დემეტრაძე და ეთერ ჭურაძე, რომელთა მხრებზეც გადაიარა ქართულენოვანი სტატიების ინგლისურად, ხოლო უცხოენოვანი სტატიების ქართულად მთარგმნის პროცესმა.

დაბოლოს, მადლობა ყველა იმ ავტორს, ვინც გვენდო და პირველსავე ნომერში წარმოადგინა საკუთარი ნაშრომი, ეს ჩვენთვის, მთელი გუნდისათვის, ძალიან მნიშვნელოვანია.

## **Editor's Preface**

The editorial team of Scientia is proud to present you with its first Issue. Our scientific research journal is issued as a classified publication of the National Centre of Manuscripts, with the support of Tbilisi City Hall, and with the participation of Humanity Research Centre.

The year of 2011 has been full of difficulties. That is why many exceptional circumstances have hindered the publication of the first Issue of the Journal. I hope that the next one will face less problems and the organisational challenges will be addressed successfully.

All submitted manuscripts underwent a double-blind peer review process and received positive evaluations before publication. In some cases, we invited a third referee (when one of the two reviewers rejected the article) to evaluate the research article in order to meet the criteria required for publication.

I would also like to say that Scientia is available in both printed and electronic forms - [www.scientia.ge](http://www.scientia.ge). The Journal has print and digital ISSN codes, ISSN 2667-9590 and e-ISSN 2667-9604, respectively. Moreover, to put it frankly, Scientia will be the first journal in the humanities (perhaps in other areas too) in Georgia in which each article has its own unique DOI. It is very important that a DOI is provided by Crossref, a major DOI registration agency. It is noteworthy that Scopus acknowledges the DOI granted only by Crossref. Furthermore, the Journal is bilingual and all articles are published in the Georgian and English languages boosting research internationalisation.

First, I would like to convey my deepest gratitude to the National Centre of Manuscripts and its Director Mr. Zaza Abashidze for supporting the process of establishing a new periodical publication in Georgia.

In addition, I express my sincere thanks to the referees who have thoroughly evaluated the papers. The referees drew the authors' attention to different aspects and issues. The authors, on their turn, took into consideration the reviewers' valuable notes and comments which in several cases played a crucial role

in the publication of a certain article.

My special thanks go to the members of our intentional editorial board as well, who have participated in this undertaking and got involved in editorial activities. Without the editors, our scientific initiative would not have succeeded. It is only recently we have commenced the Journal, so the editors' merits in its publication will be of the greatest significance also in the future.

I am particularly grateful to Mrs. Nino Iashvili who has made the Journal more attractive for a wider circle of readers with her good advices. Taking into account these advices, our next editions will be supplemented with different sections, and I hope that the Journal will turn into a more interesting periodical from scientific and educational point of views.

Besides, I would like to make a special mention of our translators, Irina Demetradze and Eter Churadze, who have borne the burden of translating the papers from Georgian into English and vice versa.

As I close this Editors' Preface, I thank all authors for their trust in us and for considering their articles in the first edition of the Journal. This is for us, for the whole team, of vital importance.



**ჰოზეფ პატრიხი**

არქეოლოგიის ინსტიტუტი  
იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტი,  
ისრაელი  
patrichj@mail.huji.ac.il



**მაქსიმე აღმსარებელი – პალესტინური  
არქეოლოგიურ-გეოგრაფიული ისტორია**

სტატიის მიზანია, მოკლედ მიმოიხილოს ის ადგილები, რომლებიც უკავ-  
შირდება მაქსიმე აღმსარებლის 580-614 წლებში პალესტინაში ცხოვრებას  
და, აქედან გამომდინარე, არქეოლოგიურ ნაშთებს (არ გვაქვს ზუსტი მო-  
ნაცემები მაქსიმე აღმსარებლის პალესტინაში მეორედ ჩასვლის შესახებ  
- 633-641 წლები - მუსლიმების მიერ პალესტინის უკანასკნელი დაპყრობა).

**საკვანძო სიტყვები:** მაქსიმე აღმსარებელი, პალესტინა

შეთანხმება იმის შესახებ, რომ მაქსიმე აღმსარებელი (ახ. წთ.-  
ით 580-662 წწ.) კონსტანტინოპოლელი იყო, მომდინარეობს  
X საუკუნის ბერძნული „პანეგირიკიდან“, რომელიც შესრულებულია  
სტუდიოსელი ბერის, მიქაელ ექსაბულის, მიერ. თუმცა მას მერე,  
რაც მაქსიმე აღმსარებლის თანამედროვე (თუმცა მოწინააღმდეგე)  
გიორგი (გრიგოლი) რეშაინელის ავტორობით აღმსარებლის ადრე-  
ული სირიული ცხოვრება გამოქვეყნდა<sup>1</sup> და განახლდა კვლევა მაქ-  
სიმე აღმსარებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, უკვე ვი-

1 S. Brock, "An Early Syriac Life of Maximus the Confessor," AB 91 (1973), pp. 299-346.



ციტ, რომ ის პალესტინელი იყო.<sup>1</sup> ბერძნული „ცხოვრების“<sup>2</sup> მიხედვით, აღმსარებელი პატივსაცემ კონსტანტინოპოლურ ოჯახში დაიბადა და ჰერაკლეს მმართველობის დროს იმპერიის არქივის პირველი მდივანი იყო. შემდეგ იძულებული გახდა, საიმპერატორო სასამართლოს მონოთელისტური ერესის გამო, ქრისოპოლისში, ფილიპიკოს მონასტერში გაქცეულიყო. მაგრამ „ცხოვრება“ ჰაგიოგრაფიული ტექსტია და ბიოგრაფიამ მნიშვნელოვნად განიცადა კონსტანტინოპოლიზაცია, ამით კი ძალიან დაემსგავსა თეოდორე სტუდიოსელის არისტოკრატიული წარმოშობის ისტორიას.<sup>3</sup> ამის საპირისპიროდ, სირიული „ცხოვრება“ მდიდარია ფაქტობრივი დეტალებით. სირიელი ბიოგრაფის მიხედვით, მაქსიმე აღმსარებელი დაიბადა სოფელ ჰესფინში (ܡܚܦܘܥ ܩܘܝܝܬܐ), გოლანში, ტიბერიადის (გალილეის) ტბის აღმოსავლეთით. მამამისი იყო სამარიის მკვიდრი აბნა (אבנא), რომელიც სიქარში (שא), სამარიის სოფელში ნეაპოლისთან ახლოს, სელის ქსოვილს ამზადებდა, დედა კი, სახელად შანდა (שאנדי), ტიბერიელი

1 მაქსიმე აღმსარებლის პალესტინური წარმომავლობის შესახებ დამატებითი მტკიცებულებებისათვის იხილეთ: J.M. Garrigues, *La personne composée de Christ d'après saint Maxime le Confesseur*. *Revue Thomiste* 74 (1974), pp. 182-83; I.H. Dalmais, “La vie de saint Maxime le Confesseur reconsidéré. *Studia Patristica* 17 (1982), pp. 26-30; B. Flusin, *Miracle et Histoire dans l'oeuvre de Cyrille de Scythopolis*, Paris 1983, Vol. II, pp. 52-54; Ch. Boudignon, “Maxime le Confesseur était-il Constantinopolitain?” in: B. Janssens, B. Roosen and P. Van Deun (eds.), *Philomathestatos. Studies in Greek and Byzantine Texts Presented to Jacques Noret for his Sixty-Fifth Birthday, Études de patristique grecque et textes byzantins offerts à Jacques Noret à l'occasion de ses soixante-cinq ans*, [Orientalia Lovaniensia Analecta 137], Leuven – Paris – Dudley/MA 2004, pp. 11-43.

2 არსებობს ხუთი ბერძნული ტექსტი: BHG (Bibliotheca Hagiographica Graeca, ბერძნული ჰაგიოგრაფიული მასალების კატალოგი) 1233m და n, BHG 1234, BHG 1235 და BHG 1236. მათგან, BHG 1234 არის ერთადერთი, რომელიც ბეჭდური სახით გამოიცა: PG 90. 68A-109B, გამორჩენილ ნაწილს მოგვიანებით რედაქტირება გაუკეთა და გამოსცა რ. დერვესმა, რომელიც ეფუძნებოდა ამ ტექსტის ორ ადრეულ ვარიანტს [R. Deveresse, “La vie de St. Maxime le Confesseur et ses recensions”, AB46 (1928), 5-49, pp. 18-23]. ბრამ რუზენი ამზადებს ყველა ბერძნულ ტექსტს CCSG-ში (Corpus Christianorum Series Graeca) გამოსაცემად. 1985 წლამდე მდგომარეობის შესახებ იხილეთ: P. Allen, “Blue-print for the Edition of Documenta ad Vitam Maximi Confessoris spectantia,” in: C. Laga, J.A. Munitiz, and L. Van Rompay (eds.), *After Chalcedon. Studies in Theology and Church History offered to Professor Albert Van Roey for his Seventieth Birthday* [OLA 18], Leuven 1985, pp. 11-21. ასევე იხილეთ: *Scripta saeculi vii vitam Maximi Confessoris illustrantia, una cum latina interpretatione Anastasii Bibliothecarii iuxta posita*, ediderunt Pauline Allen et Bronwen Neil, Turnhout - Brepols, Leuven, University Press, 1999 [Corpus Christianorum. Series Graeca 39]; *Maximus the Confessor and his companions: documents from exile*, edited and translated by Pauline Allen and Bronwen Neil, New York, Oxford University Press, 2002; *The Life of Maximus the Confessor recension 3*, edited and translated by Bronwen Neil and Pauline Allen, Strathfield, N.S.W., St Pauls, 2003.

3 W. Lackner, “Zu Quellen und Datierung der Maximusvita,” AB 85 (1967), pp. 285-316; J.M. Garrigue, supra, note 2, p. 181; Boudignon, supra, note 2, p. 12, who points to a somewhat comparable transformation of Steven the Sabaite, and John of Damascus, indicated by M.F. Auzépy, “De la Palestine à Constantinople (VIIIe-IXe siècles): Etienne le Sabaite et Jean Damascène,” TM 12 (1994), pp. 138-218.



ებრაელის ზადოქის (זאדוק), სპარსი მონა იყო. ორივე ფარულად მონათლა ჰესფინელმა სოფლის მღვდელმა – მარტირიუსმა (מרטיריוס) და მათ ახალი, ქრისტიანული სახელები დაარქვა – თეონოსი და მარიამი. მაქსიმეს სახელი დაბადებისას იყო მოსქიონი. ათი წლის ასაკში დაობლდა და მასზე მზრუნველობა სოფლის მღვდელმა აიღო. მღვდელმა მაქსიმე და მისი ძმა იუდეის უდაბნოში, ხარიტონის ძველ ლავრაში წაიყვანა, სადაც მაქსიმე აღიზარდა და ბერად აღიკვეცა. წინამძღვარმა მას მაქსიმე უწოდა. მოგვიანებით მაქსიმემ სოფრონის ყურადღება მიიპყრო, რომელიც შემდგომში იერუსალიმის ეპისკოპოსი (634-638) გახდა. 590-603 წლებში, მაქსიმე აღმსარებელი და იოანე მოსხი ახალ ლავრაში ცხოვრობდნენ, რომელიც ძველ ლავრასთან ახლოს მდებარეობდა. მაქსიმემ განათლება პალესტინის მონასტრების მდიდარ ინტელექტუალურ წრეში მიიღო, სადაც გაჩაღდა VI საუკუნის თეოლოგიური დოქტრინების პოლემიკა. ამ კამათში ძველი ლავრის ბერებს განსაკუთრებული როლი აქვთ. გარიგესა და დალმაისის<sup>1</sup> მიხედვით, ციზიკუსელი ეპისკოპოსი იოანე, რომელთანაც მაქსიმეს მიმოწერა ჰქონდა, განიხილავდა ეკლესიის მამების ნაშრომებში ორიგენიზმის საკითხებს, აგრეთვე, რომელსაც თავისი „ამბიგუა II“ გაუგზავნა, გაიგივებულია იოანე ციზიკუსთან, ზეთისხილის მთაზე არსებული წმინდა აბრაამის მონასტრის წინამძღვართან. სწორედ მას უკავშირდება იოანე მოსხის „ლიმონარის“ 187-ე, ჭკუის დამრიგებლური მოთხრობა. მონასტერი დაარსა აბბა აბრაამ დიდმა, წინამძღვარმა იმ მონასტრისა, რომელიც იუსტინიანეს მიერ აშენებულ წმინდა მარიამის ეკლესიას მიაშენა.<sup>2</sup> იოანესთან მაქსიმეს მიმოწერაში ნახსენები წმინდა გიორგის მონასტერი, ბერებისა და მონაზვნების გაერთიანება, იერუსალიმში უნდა ყოფილიყო და არა ციზიკუსში, მარმარილოს ზღვის სამხრეთ სანაპიროზე.

1 Garrigue, *supra*, note 2, pp. 182-3; Dalmais, *supra*, note 2, p. 28.

2 ეს არის მონასტერი, რომელსაც ჰქონდა აბანო. მონასტერი ზეთისხილის მთის აღმოსავლეთ კალთაზე მდებარეობდა და ცოტა ხნის წინ გათხრების შედეგად აღმოაჩინეს. ბერძნულ წარწერაზე, რომელიც VII საუკუნით თარიღდება, ან VIII საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის, მოხსენიებულია მღვდელი და იღუმენი თეოდორე და ბერი კირიაკუსი. იხილეთ: D. Amit, J. Seligman and I. Zilberbod, "The Monastery of Theodorus and Cyriacus on the Eastern Slope of Mount Scopus, Jerusalem," in: C.L. Bottini, L. Di-Segni and D. Chrupeata (eds.), *One Land Many Cultures. Archaeological Studies in Honour of Stanislao Loffreda*, OFM. Franciscan Printing Press, Jerusalem 2003, pp. 139-148; L. Di Segni, "A Greek Inscription in the Monastery of Theodorus and Cyriacus on Mount Scopus", *ibid.*, pp. 149-51, ამ წიგნში მოხსენიებულია ზეთისხილის მთაზე არსებული სხვა მონასტრებიც, რომლებიც ლიტერატურული წყაროებით დასტურდება. მარმარილოს ფილა, რომლის კიდებუც აღწერილია ნადირობის სცენები, კონსტანტინოპოლთან კავშირზე მიუთითებს (გვ. 147, სურათი 14). ფილებისათვის იხილეთ შემდეგი: J. Dresken-Weiland, *Reliefierte Tischplatten aus Theodosianischer Zeit*, [StudiDi Antichita Cristiana XLIII], Roma 1991, taf. 911.

614 წელს, სპარსელების მიერ პალესტინის დაპყრობის შემდეგ, მაქსიმე აღმსარებელი პალესტინიდან გაიქცა. ბუდინიონი ამტკიცებს, რომ აღმსარებელი ჯერ ალექსანდრიაში წავიდა და იქ სოფრონსა და პატრიარქ იოანე მოწყალეს შეუერთდა. ალექსანდრიაში ის სპარსელების მიერ ეგვიპტის დაპყრობამდე, 617 წლამდე,<sup>1</sup> დარჩა. შემდეგ კვიპროსის გავლით კონსტანტინოპოლში გაიქცა. ტაფტი ამტკიცებს, რომ მაქსიმე აღმსარებელმა კონსტანტინოპოლში 10 წელი დაყო, სადაც შექმნა „მისტაგოგია“.<sup>2</sup> მისი ზუსტი გადაადგილებები ცნობილი არ არის, თუმცა ბოლოს ჩრდილოეთ აფრიკაში ჩავიდა. ბროკი კი გვთავაზობს აფრიკაში მისი ცხოვრების ორ შესაძლო პერიოდს: პირველი - 628/630-იდან 633-ამდე და მეორე - 641-645 წლებში, შუალედში სირიასა და პალესტინაში დაბრუნდა. ასევე მცირე დროით ის კვიპროსსა და კრეტაზე იმყოფებოდა. ჩრდილოეთ აფრიკაში მაქსიმე აღმსარებელი შეხვდა სოფრონს და ევკრატელეების მონასტერს შეუერთდა. მონასტერში სხვა დევნილი ბერებიც იყვნენ, რომლებიც სოფრონმა შეიფარა.

მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების ბოლო ეპიზოდის შესახებ ვიცით, რომ 653 წელს ის კონსტანტინოპოლში ჩავიდა, სადაც დააპატიმრეს და 655 წელს თრაკიაში, ბიზეში, გადაასახლეს, ხოლო 622 წელს კი - ლაზიკაში, სადაც აღესრულა კიდევ.

სტატიის მიზანია, მოკლედ მიმოიხილოს ის ადგილები, რომლებიც უკავშირდება მაქსიმე აღმსარებლის 580-614 წლებში პალესტინაში ცხოვრებას და, აქედან გამომდინარე, არქეოლოგიურ ნაშთებს (არ გვაქვს ზუსტი მონაცემები მაქსიმე აღმსარებლის პალესტინაში მეორედ ჩასვლის შესახებ - 633-641 წლები - მუსლიმების მიერ პალესტინის უკანასკნელი დაპყრობა).

## სიქარი

სიქარი,<sup>3</sup> ეს არის მაქსიმეს მამის დაბადების ადგილი სამარიაში, ნეაპოლისთან ახლოს მდებარე სოფელი. საქარი სოფელ სკითოპოლისის (ბეთ-შეანი) გზაზე მდებარეობს და გერიზიმის მთის ძირზე, სამხრეთ-აღმოსავლეთით არის გაშენებული, რომელიც ნაყოფიერ ველს გადაჰყურებს (ასქარის ველი). აქ არის წყარო - ასქარი. ეს ის ადგილია, სადაც იესო სამარიტელ ქალს შეხვდა და იქ ორი დღე დაყო (იოანე 4:3-43): „მიატოვა იუდეა და კვლავ გალილეას წავიდა. ხოლო გზად სამარიაზე უნდა გაევილო. მივიდა სამარიის ქალაქში, რომელსაც ჰქვია სიქარი, იმ მინდვრის მახლობლად, იაკობმა რომ

<sup>1</sup> Boudignon, supra, note 2, pp. 15-22.

<sup>2</sup> R.F. Taft, 'Is the Liturgy Described in the Mystagogia of Maximus Confessor Byzantine, Palestinian, or Neither?' Bolletino della Badia Greca di Grottaferrata Terza, Serie, 8 (2011), pp. 223-270.

<sup>3</sup> Y. Tsafir, L. Di Segni and J. Green, (eds.), Tabula Imperii Romanii. Iudaea/Palaestina, Jerusalem 1994 (= TIR), p. 238: 'Askar;

უბოდა იოსებს, თავის ძეს. იქ იყო ჭა იაკობისა; გზით დამაშვრალი იესო ჭის პირას ჩამოჭდა. იქნებოდა ასე ექვსი საათი. მოვიდა სამარიელი ქალი წყლის ამოსაღებად, და უთხრა მას იესომ, წყალი დამალევინეო. ვინაიდან მისი მოწაფეები ქალაქს წასულიყვნენ საქმლის საყიდლად. და უთხრა მას სამარიელმა ქალმა: როგორ, შენ, იუდეველი, წყალსა მთხოვ მე, სამარიელ ქალს? ვინაიდან იუდეველებს საერთო არაფერი აქვთ სამარიელებთან. მიუგო იესომ და უთხრა მას: რომ იცოდე ღმრთის ნიჭი, ან ვინ გეუბნება, წყალი დამალევინეო, თვითონვე სთხოვდი და ცოცხალ წყალს მოგცემდა შენ...“ (იოანე 4:3-10).

იაკობის ჭის (175180), რომელიც IV საუკუნის მერე პირველად ბორდოელმა პილიგრიმმა, მოგვიანებით პაულამ და სხვა ქრისტიანმა მომლოცველებმა მოინახულეს<sup>1</sup> და სადაც ბიზანტიურ პერიოდში ჯვრისებრი ფორმის ადრეული ქრისტიანული ტაძარი აღიმართა, ასქარიდან 2 კმ-ის დაშორებით მდებარეობს (177180) – ანტიკური სიქარიდან დასავლეთით.<sup>2</sup> „სამარიულ ქრონიკაში“ ის მოხსენიებულია, როგორც ისქარი. IV საუკუნეში სამარიის მეთაურმა ბაბა რაბამ მტერთან ბრძოლებში ამ ადგილამდეც მოაღწია. როგორც სირიული „ცხოვრებიდან“ ვიგებთ, VI საუკუნეში სიქარი სამარიული სოფელი ყოფილა. მადაბას მობაიკურ რუკაზე ვკითხულობთ, რომ „სიქარი ახლა სიქორაა“<sup>3</sup> ზარმაზა, რომელიც სამარიელებმა (ჯრჰჯ) მუჰამედის შესახვედრად გააგზავნეს, ამ სოფლიდან იყო. ჯვაროსნების მიერ სოფლის დაპყრობამდე, ის კვლავ სამარიელებით ყოფილა დასახლებული.<sup>4</sup> აქ აღმოაჩინეს რომაული მავზოლეუმის ნაშთები<sup>5</sup> ტიპური სამარიული სარკოფაგებით.<sup>6</sup>

<sup>1</sup> TIR, p. 205: Puteus Iacobi; P. Maraval, Lieux saints et pèlerinages d'Orient, Paris 1985, p. 289.

<sup>2</sup> იაკობის ჭის ეკლესიის ჯვრისებრ გეგმას მხოლოდ არკულოგი ადასტურებს (დაახლ. 670 წ.). ეს ადგილი პაულამაც მოინახულა (Hier. Ep. 108.13), თუმცა არქეოლოგიური მტკიცებულების არარსებობის გამო, უცნობია, იმ დროისთვის ეკლესიას შენარჩუნებული ჰქონდა იგივე ფორმა თუ არა. ეკლესიის ნაშთების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ: TIR, op. cit.; A. Ovadia and C.G. de Silva, "Supplementum to the Corpus of the Byzantine Churches in the Holy Land I." *Levant* 13 (1981), pp. 200-261, # 59.

<sup>3</sup> M. Avi Yonah, *The Madaba Mosaic Map*, Jerusalem 1954, nos. 33 and 35; H. Donner, *The Mosaic Map of Madaba*, Kampen 1992, pp. 48-49, nos. 34 and 37; M. Piccirillo and E. Alliata (eds.), *The Madaba Map Centenary 1897-1997*, Jerusalem 1999, pp. 65 and 66, nos. 38 and 41.

<sup>4</sup> იხილეთ აგრეთვე: Ben Zvi, *The Book of the Samaritans*, pp. 66-67; The Tulida (ed. M. Florentin), p. 78 and index locorum; M. Levi-Rubin, "The Samaritans during the Early Muslim Period according to the Continuation to the Chronicle of Abu 'l-Fath," in: E. Stern and H. Eshel (eds.), *The Samaritans*, Jerusalem 2002, p. 570 (Hebrew).

<sup>5</sup> E. Damati, "The Sarcophagi of the Samaritan Mausoleum at 'Ascar ('Ein Suchar), in: R. Zeevy (ed.), *Israel - People and Land 2-3 (20-21) (1985-86)*, pp. 87-106 (Hebrew); idem., "A Roman Mausoleum at 'Askar," *Qadmoniot VI/3-4 23-24 (1973)*, pp. 118-120 (Hebrew).

<sup>6</sup> R. Barkai, "Samaritan Sarcophagi," in: E. Stern and H. Eshel (eds.), *The Samaritans*, Jerusalem 2002, pp. 310-338 (Hebrew).

## ტიბერია

როგორც უკვე აღინიშნა, სირიული „ცხოვრების“ მიხედვით, მაქსიმეს დედა ზადუქის ოჯახში მცხოვრები სპარსი მონა იყო. ზადუქი ტიბერიელი ებრაელი იყო. ებრაელებს უფლება არ ჰქონდათ, ქრისტიანი მონები ჰყოლოდათ; სპარსელი მონების ყოლა კი დასაშვებად ითვლებოდა. ტიბერია, გალილეის ზღვაზე მდებარეობდა და III საუკუნის დასაწყისიდან რაბინ იოჰანანის დროს, ებრაული სანჰედრინის – ებრაული რელიგიური ავტონომიური ორგანოსა და, აგრეთვე, ებრაული აკადემიის (ბეთ ჰამედრამ ჰაგოდოლი) რეზიდენციებს წარმოადგენდა. დაახლოებით 235 წელს ებრაელმა პატრიარქმა, რაბინ იეჰუდა ნესიამ საკუთარი რეზიდენცია სეფორისიდან ტიბერიაში გადაიტანა. პალესტინური თალმუდი დაახლოებით 365 წელს სწორედ აქ შეიქმნა. ებრაელი წინამძღოლები აქ ყოფნას 419 წელს ებრაული საპატრიარქოს გაუქმების შემდეგაც აგრძელებენ. თუმცა ნელ-ნელა ქალაქში ქრისტიანობა გავრცელდა. ეპიფანეს (IV საუკუნის შუა წლები) მიხედვით, ქრისტიანი ეპისკოპოსი ტიბერიაში ჯერ კიდევ კოსტანტინემდე იყო, პატრიარქი ჰილელის დროს. ეპიფანე ამტკიცებს, რომ მან ქრისტიანობა სიკვდილის სარეცელზე მიიღო. ადგილობრივი ებრაელი მრევლის საპატრიარქო სახლის მეგობრის, იოსების, მხრიდან მცდელობა, ტიბერიელი და ქვედა გალილეის (სეფორისი, კაპერნაუმი, ნაზარეთი) ებრაელებში ქრისტიანობა გაეფრცვლებინა, კონსტანტინეს დროს წარუმატებელი აღმოჩნდა. ადრიანელების ნაწილის გაქრისტიანების მცდელობას ებრაელთა პროტესტი მოჰყვა. მალე მან ტიბერია დატოვა და სკითოპოლისში გადავიდა. მოგვიანებით, 415 წელს ქრისტიანი ეპისკოპოსი ქალკედონის საეკლესიო კრებას ესწრება. თემი ორგანიზებული გახდა; კურიონო, ეფიმიოსის, V საუკუნეში პალესტინის სამონასტრო ცხოვრების წინამძღოლის, ერთ-ერთი პირველი მოსწავლე ტიბერიიდან ყოფილა. ჰირონიმუსი საუბრობს ტიბერიელი ბრძენის შესახებ, რომლის დახმარებითაც ლათინურად თარგმნა „ქრონიკები“. იუსტინიანეს დროს ქალაქი კვლავ ძირითადად ებრაულია. ტიბერიას გარს ერტყმოდა გალავანი. მონასტერი ბაზილიკით, რომელიც სავარაუდოდ, წმინდა პავლეს სახელობის უნდა ყოფილიყო, მთის წვერზე აშენდა და ქალაქის დასავლეთ ნაწილს გადაჰყურებდა. ქალაქი ტბის გასწვრივ კიდევ უფრო გაიზარდა, ჩრდილოეთითა და სამხრეთით კოლონადებიანი ქუჩებითა და ტბის მოპირდაპირედ პრომენადით, რომლებსაც საზოგადოებრივი შენობები მიუყვებოდა, როგორებიცაა: ბაზილიკის ფორმის სასახლე, აბანო, ბაზარი, თეატრი და სტადიონი. წყალი ქალაქს აკვედუკიდან მიეწოდებოდა.<sup>1</sup>

<sup>1</sup> Y. Hirschfeld, "Tiberias," in: E. Stern (ed.), *The New Encyclopedia of Archaeological Excavations in the Holy Land*, Vol. 4, Jerusalem 1993, pp. 1464-1470; idem., "The 'Anchor Church' at the Summit of Mount Berenice near Tiberias," *Biblical Archaeologist* 1993, pp. 122-

614 წელს ქალაქის ებრაელი მოსახლეობა, მდიდარი კაცის – ბენიამინის ხელმძღვანელობით, სპარსელებს ეხმარებოდა. 628 წელს, ქალაქს ჰერაკლე ეწვია, ჩამოიტანა ჯვარი, რომელზეც ქრისტე აცვეს და ბენიამინს მოსთხოვა, ევსტათი შექემელის სახლში მონათლულიყო (Theophanes, Chron. A.M. 6120, ed. de Boor, Leipzig 1883, p. 328). 635 წელს ტიბერია მუსლიმურ ძალებს დანებდა და სკითოპოლისი ჩაანაცვლა, როგორც იუნდ ალ-ურდუნის დედაქალაქი, ადმინისტრაციული ერთეული, რომელმაც, თავის მხრივ, II პალესტინა ჩაანაცვლა.

### ჰესფინი

ჰესფინი (ქასპინი, ხისფინი) გოლანის მაღლობებზე მდებარეობდა. სოფელი, რომელიც სკითოპოლისიდან და ტიბერიიდან დამასკოს მიმართულებით მიმავალ გზაზე იყო გაშენებული, II პალესტინის ქალაქ ჰიპოსის ტერიტორიას ეკუთვნოდა. სოფელი ნაყოფიერ, ვულკანური წარმოშობის ნიადაგზეა გაშენებული. ორი ეკლესიის, დასავლეთით სამაფსიდიანი ეკლესიისა და აღმოსავლეთით 604 წელს აღდგენილი ტაძრის, ნანგრევები ქალაქის შემოგარენში აღმოაჩინეს. ორივე ეკლესია დიდი სამონასტრო კომპლექსის ნაწილი უნდა ყოფილიყო. ქალაქის ცენტრში მესამე ეკლესიის არსებობაზე მეტყველებს საკურთხევლის ტიხრები და დგარები, რომლებიც ამ უბანში იყო მიმოფანტული. უამრავი აღმოჩენა, ოქროს სამკაულების, მუშის, ვერცხლისა და ბრინჯაოს ლარნაკები, რომლებიც რომაულ აკლდამებში აღმოაჩინეს, მიანიშნებს ადგილობრივი მოსახლეობის სიმდიდრეზე, აგრეთვე, წარმართობაზე. სამარხი მდებარეობს სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით. აღმოჩენილია გვიანი რომაული ეპიტაფიები და ბერძნული წარწერები ორივე ეკლესიის მოზაიკურ იატაკებსა და სხვა არქიტექტურულ ელემენტებზე. ბაზალტის თლილი ქვებით აშენებული სახლებისა და სასაწყობო შენობების არქიტექტურა, გადახურვის სისტემა, რომელიც ბრჯენებზე მოწყობილი ბაზალტის კოჭებით არის აშენებული და თაღები – ტიპურია რეგიონისათვის, რომელიც ჰაურანის დასავლეთით მდებარეობს. დასავლეთის ეკლესია („გიორგის ეკლესია“; 14.20x20.50; ორი 6-სვეტიანი რიგი, 6.60მ სიგანის ნავი, გვერდითი ეკვდერი - 2.80მ; იონიური სვეტის თავები, ატიკური საძირკვლები) სამაფსიდიანი იყო. გამოჩნდა S გვერდითი ეკვდერის ნაწილები, აფსიდის ჩათვლით (სიგანე - 1.85მ, სიმაღლე - 1.40მ), და ცენტრალური აფსიდის (სიგანე - 4.25მ, სიმაღლე - 2.60მ) შედარებით მცირე ნაწილი. ტიხრები დამზადებულია იმპორტირებული მარმარილოსაგან. კედლები შელესილია ბათქაშით, გაპრიალებული და შეღებილია შიგნიდან წითელი საღებავით. S გვერდით ეკვდერს, საკურთხევლის ამალღებულ ადგილსა

133.

<sup>1</sup> Z. Ma'oz, "Haspin", in: E. Stern (ed.), The New Encyclopedia of Archaeological Excavations in the Holy Land, Vol. 2, Jerusalem-New York 1993, pp. 586-588.



და ნავს აქვს მოზაიკური იატაკები, რომლებიც მორთულია ნათელი, ყვავილოვანი ორნამენტებითა და გეომეტრიული ფიგურებით, რომლებიც ქურსის ორნამენტებს მოგვაგონებს. დაზიანებულია ორი ჩიტი. ბერძნულ წარწერაზე ვკითხულობთ: „გეორგიოს სატეფელას ცხოვნებისათვის“. მოჭიქული და ოქროთი მოვარაყებილი მოზაიკის უჭრედები ადასტურებს, რომ ქორედში ფანჯრების ზედა რიგსა და აფსიდას დახვეწილი მოზაიკა უნდა ჰქონოდა. სახურავი კრამიტის იყო. თარიღდება VI საუკუნის პირველი ნახევრით, ფუნქციონირებდა VII საუკუნემდე.

აღმოსავლეთის ეკლესია („თომას ეკლესია“; სიგანე – 12.75მ, სიმაღლე – 8.7მ-ს აღემატებოდა) აღმოჩენილია მხოლოდ ნაწილობრივ. ეკლესია მდებარეობდა აღმოსავლეთით, დაახლოებით 200 მ-ში. აღმოაჩინეს ერთმანეთზე გადადებული მოზაიკის ორი იატაკის ნაშთები, ერთმანეთისგან 20-სანტიმეტრიანი დაშორებით. მოზაიკის ზედა იატაკზე, რომელიც აღდგენითი სამუშაოების შედეგად დაიგო, არის ბერძნული წარწერის 5 ხაზი. წარწერაში ნახსენებია რამდენიმე სახელი, მათ შორის, მღვდელი და წინამძღვარი თომა და თარიღდება 667 წლით, რაც პომპეუსის კალენდრის (კალენდარი რომაულ პალესტინაში) მიხედვით 604 წელს უდრის. წარწერაში ნათქვამია:

„ოლიმპიუსის ძღვენი, შვილების – ლეონტიუსისა და ევგენიუსის კარგად ყოფნისათვის, მამის – ვარუსის, ძმების – ბასილიუსისა და ევგენიუსის, შვილის – ვარუსის მოსაგონებლად და მშვიდად განსვენებისათვის. მადლიერების ნიშნად აღადგინა მან ეს წმინდა შენობა მღვდლისა და ილუმენის, თომას, ძალისხმევით ივლისის თვეში, VII ედიქტი, 667 წელი“.<sup>1</sup>

### ძველი ლავრა<sup>2</sup>

ძველი ლავრა, იგივე სოუკა, იყო ბოლო იმ სამი სავრიდან, რომელიც ხარითონმა IV საუკუნის დასაწყისში დაარსა, როგორც ამას ჰაგიოგრაფი, VI საუკუნეში მოღვაწე სოუკელი ბერი, მოგვითხრობს. „ხარითონის ცხოვრების“ მიხედვით (რედ. გალანტე), მოგვიანებით კი ნიკიფორე კალისტოს ქსანთოპულოსის (1340) მიხედვით, ქსენოფონტი და მისი ორი ვაჟი, არკადიუსი და იოანე, ძველ ლავრაში V საუკუნეში ცხოვრობდნენ. რუსმა წინამძღვარმა დანიელმა ვაჟების საფლავები 1106-71 წლებში აღმოაჩინა.

<sup>1</sup> ზუსტი თარიღისა და ინგლისური თარგმანისათვის იხილეთ: L. Di Segni, Dated Greek Inscriptions from Palestine from the Roman and Byzantine Periods, Ph.D. dissertation, The Hebrew University of Jerusalem 1997, pp. 278-80.

<sup>2</sup> Y. Hirschfeld, “List of the Byzantine Monasteries in the Judean Desert”, in: G. C. Bottini, Leah Di Segni, and E. Alliata, Christian Archaeology in the Holy Land. New Discoveries. Essays in Honour of Virgilio C. Corbo. Jerusalem 1990, pp. 8-12; idem., “The Monastery of Chariton, Survey and Excavations,” Liber Annuus 50 (2000), pp. 315-362, Pls. 1-26.

VI საუკუნეში მას ძველ ლავრას უწოდებდნენ, ახალი ლავრისაგან რომ განესხვავებინათ, რომელიც საბამ 507 წელს დაარსა. შემდეგ ის საბანმინდელი მონასტრების კავშირს მიეკუთვნებოდა. ორიგენისტული პოლემიკის დროს ლავრის წინამძღვრები და ბერები მხარს დიდ ლავრას უჭერდნენ. 506 წელს, როდესაც 60 დისიდენტი ბერი დიდი ლავრიდან წავიდა, ძველი ლავრის წინამძღვარმა თავის მონასტერში მიღებაზე ბერებს უარი უთხრა („საბას ცხოვრება“, 36, 122). აბბა კასიანე სკითხოპოლელი, დიდი ლავრის მღვდელი, 8 წლის განმავლობაში სოუკას წინამძღვარი იყო (538-546). შემდეგ ის დიდ ლავრას ხელმძღვანელობდა („საბას ცხოვრება“, 88, 196). VI საუკუნის პირველ ნახევარში, გარდაცვალებამდე (557), ლავრის გამორჩეული ბერი იყო კირიაკოსი, კირილე სკითხოპოლელის ჰაგიოგრაფიული თხზულებების ერთ-ერთი გმირი და ინფორმაციის წყარო. მისი ხელმძღვანელობით ლავრა ანტიორიგენისტული ბასტიონი იყო.

სპარსელების შემოსევის დროს დიდი ლავრის 44 საბანმინდელი ბერის გაჟლეტის შემდეგ, ძველმა ლავრამ, როგორც ჩანს, ცოტა ხანი გამორჩეული ფუნქცია შეინარჩუნა. მაქსიმე აღმსარებელი ლავრის ბერების რიგში პირველია.<sup>1</sup>

მეორე საკითხი, რომელიც მინდა, რომ სტატიაში განვიხილო მაქსიმე აღმსარებლის პალესტინასთან კავშირის შესახებ, არის ეკლესიის სტრუქტურა, რომელიც „მისტაგოგიაში“ ასახული.<sup>2</sup> „მისტაგოგია“ არის კომენტარი ლიტურგიის შესახებ, რომელიც ასრულებს სასულიერო სახელმძღვანელოს ფუნქციას როგორც ბერებისთვის, იქნებოდა ეს მის ლავრაში მცხოვრები ბერი თუ არა, ისე ღვთისმოსავი საერო პირებისა და გზააბნეული სამღვდელოებისთვის. ბუდიონის მიხედვით,<sup>3</sup> „მისტაგოგია“ მიეძღვნა თეოქარისტოსს, ჩრდი-

<sup>1</sup> J. Patrich, Sabas - Leader of Palestinian Monasticism. A Comparative Study in Eastern Monasticism, Fourth to Seventh Century, [Dumbarton Oaks Studies XXXII], Washington 1995, pp. 140 and 155, note 45.

<sup>2</sup> Migne, PG 91, 657-718. ბერძნული ტექსტი, ფრანგული და ახალბერძნული თარგმანებითურთ, იხილეთ: C.G. Sotiropoulos, La Mystagogie de saint Maxime le Confesseur. Introduction - texte critique - traduction française et grecque, Athènes 2001. ადრეული ფრანგული თარგმანი გამოიცა ნაწილებად მირა ლოტ-ბოროდინის მიერ წიგნში Irénikon 13 (1936) გვ. 466-72, 595-97, 717-20; 14 (1937) გვ. 66-69, 182-85, 282-84, 444-48; 15 (1938) გვ. 71-74, 185-86, 276-78, 390-91, 488-92. „მისტაგოგიის“ ფრანგული თარგმანი დაიბეჭდა სადოქტორო დისერტაციაში: Marie-Lucie Charpin, Union et différence. Une lecture de la Mystagogie de Maxime le Confesseur, Paris IV - Sorbonne, 2000. „მისტაგოგიის“ ახალი კრიტიკული გამოცემა, რომელიც დაეფუძნა, ქრისტიან ბუდინიონის მიერ 2000 წელს ექს-მარსელის უნივერსიტეტში დაცულ დისერტაციას, დასათაურებელია, როგორც: La Mystagogie ou traité sur les symboles de la liturgie de Maxime le Confesseur (580-662): Edition, traduction, commentaire, იხილეთ: Maximi confessoris Mystagogia: una cum Latina interpretatione Anastasii Bibliothecarii (Corpus Christianorum. Series Graeca no: 69), Brepols: Turnhout, 2011.

<sup>3</sup> Supra, note 2, pp. 38-41. See also I.H. Dalmais, “Théologie de l’église et mystère liturgique

ლოეთ აფრიკაში მოღვაწე როგორც რელიგიურ, ისე პოლიტიკურ სფეროში მნიშვნელოვან ფიგურასა და მღვდელს. თეოქარისტოსი ჩრდილოეთ აფრიკასა და რომში მცხოვრები პალესტინელი ემიგრანტი ბერების წრეს მიეკუთვნებოდა. ამავე წრეს ეკუთვნოდა მაქსიმე აღმსარებელიც.<sup>1</sup> ეს ბერები პალესტინური ლიტურგიის ერთგულები იყვნენ. როგორც ჩანს, ამიტომ, საეპისკოპოსო ლიტურგია, რომელსაც მაქსიმე აღმსარებელი „მისტაგოგიაში“ განიხილავს, იერუსალიმის ლიტურგიაა და არა კონსტანტინოპოლისა.<sup>2</sup>

ევექარისტული რიტუალის კალენდარი, რომელსაც აღმსარებელი აღწერს, მოიცავს: მცირე შესვლას, ქადაგებას, კათაკმეველების ტაძრიდან გასვლას, ჰიმნებს, სახარებას, აღსავლის კარის დახურვას, ეპისკოპოსის ჩამოსვლას საეპისკოპოსო ტახტიდან, წმინდანაწილების (ზიარების პური და ღვინო) შემობრძანებას, ამბორს, მრწამსსა და წმინდა საიდუმლო ზიარების შესრულებას.

ეს წყარო მიუთითებს, რომ VII საუკუნისთვის და, როგორც ჩანს, მანამდეც, პალესტინაში ევექარისტული რიტუალი უკვე მოიცავდა ძღვენის გადატანის პროცესიას – წმინდა ნაწილების (ზიარების პური და ღვინო) შემობრძანებას.<sup>3</sup> როგორც ჩანს, IV საუკუნეში პალე-

---

dans la *Mystagogie* de S. Maxime le Confesseur,” *Studia Patristica* 12-13 (1975), p. 145.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 39-40. ბუდინიონი აგრეთვე მიუთითებს, რომ თეოქარისტოსი შეიძლება გავაიგივოთ ამავე სახელის მექონე ხელმომწერთან შუამდგომლობაზე, რომელიც ოთხმა საბანძინდელმა იღუმენმა ლატერანის საეკლესიო კრებას გაუგზავნა, ესენია: იოანე საბანძინდელი (იერუსალიმთან ახლოს), თეოდორე საბანძინდელი (აფრიკა), გიორგი და თალასიოსი, რომში საბანძინდის მონასტრების წინამძღვრები. ბუდინიონი ამბობს, რომ მაქსიმე აღმსარებელმა თავის „კითხვებში თალასიოსს“ სწორედ ამ თალასიოსს მიმართავს. შესაბამისად, ის ასკვნის (გვ. 40): “Cela invite véritablement à supposer une formation de Maxime en Palestine, dans une laure sabaitique ...”; და გვ. 41: “Maxime n’était donc très probablement pas constantinopolitain, mais bien palestinien.”

<sup>2</sup> თემცა რობერტ ტაფტის (*supra*, note 9), ბიზანტიური ლიტურგიის სპეციალისტის, მიხედვით, „მისტაგოგია“ კონსტანტინოპოლში შეიქმნა და აღწერს კონსტანტინოპოლურ ლიტურგიას. დიდი შესვლის რიტუალს თუ გავითვალისწინებთ, ამ ორს შორის დიდი მსგავსებაა.

<sup>3</sup> შესვლები მოხსენიებულია: „მისტაგოგია“, 8 - PG 91, 688; 16 - PG 91, 693; 23 - PG 91,697 და 24 - PG 91, 704-708. იხილეთ აგრეთვე: T.F. Mathews, *The Early Churches of Constantinople: Architecture and Liturgy*, University Park and London 1971, p. 157; R. Taft, *The Great Entrance. A History of the Transfer of Gifts and other Preanaphoral Rites of the Liturgy of St. John Chrisostome*, Rome 1975 [*Orientalia Christiana Analecta* 200, second edition, Rome 1998], pp. 43-44, 192-93; F. E. Brightman, “The *Historia Mystagogica*, and other Greek Commentaries on the Byzantine Liturgy,” *Journal of Theological Studies* IX (1908), p. 248. იმ დროისთვის გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, მეტიუსიც და ტაფტიც, მაქსიმე აღმსარებელს კონსტანტინოპოლელად მიიჩნევენ. ახლა ჩვენ უკვე ვიცით, რომ ის პალესტინელი იყო. პალესტინური ლიტურგია, რომელიც აღიარებს ადგილობრივი, საეპისკოპოსო ევექარისტული რიტუალის დროს წმინდა ნაწილებით მსვლელობას, მაქსიმე აღმსარებელამდე დაახლოებით ერთი საუკუნით ადრე აღმოჩნდა ფსევდოდონისე არეოპაგელზე დაწერილ „სქოლიოებში“ (*Scholia*), სინამდვილეში იოანე სკითოპოლელის, სკითოპოლისის ეპისკოპოსის, დაწერილია (536-550). „სქოლიოებში“



სტინაში ამგვარი რამ არ ხდებოდა, ვინაიდან არც კირილე იერუსალიმელის ნაშრომებში და არც ეგერიას „მოგზაურობაში“ მსვლელობის შესახებ მინიშნება არ არის.<sup>1</sup>

მაქსიმე აღმსარებელი არაფერს ამბობს პროცესიის მიმართულებაზე. საიდან უნდა დაწყებულიყო მსვლელობა? კონსტანტინოპოლში დიდი შესვლა იწყება გარე საცავიდან (სალაროდან), რომელიც ეკლესიას ესაზღვრება, მაგრამ მისგან განცალკევებულია (ბერძ. Skeuophylakion) და მთავრდებოდა საკურთხეველთან. პალესტინაში, V საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული, ბაზილიკურ ეკლესიაში ძალიან ხშირად ეკვდერი სამხრეთით ან ჩრდილოეთით იყო მინაშენი.<sup>2</sup> ასეთი ეკვდერები (სამლოცველოები) იგივე ფუნქციას ასრულებდა. როგორც კროუფუტმა დიდი ხნის წინ განაცხადა, ამგვარი ეკვდერები სამსხვერპლო ეკვდერებად (prothesis) უნდა მივიჩნიოთ.<sup>3</sup> აქ წინასწარ თავსდებოდა ევქარისტიული შესაწირი. შესაწირი იქიდან მსვლელობისას გამოჰქონდათ და საკურთხეველში შეჰქონდათ. სამხრეთის ნაწილში არსებული ეს ეკვდერი ტექსტში Testamentum Domini Jesus Christi (უფალი იესო ქრისტეს აღთქმა) აღწერილია, როგორც diakonikon (ܐܘܬܐ ܕܡܫܡܫܐ – bit’ dmšmšn’ სირიულ ტექსტში).<sup>4</sup> ამ

---

ნათქვამია, რომ მხოლოდ დიაკვნები მონაწილეობენ ძღვნის შეწირვის პროცესიაში და მხოლოდ დისკოსს (ფეშხუმი) აქვს დაფარნები გადაფარებული. Scholia დაიწერა 538 და 543 წლების შუალედში. იხილეთ: Scholia 3, PG 4, 136, 137, 144; ტაფტი, იქვე, გვ. 43, შენიშვნა 103. იოანე სკითოპოლელის შესახებ იხილეთ B. Flusin, *Miracle et Histoire dans l’oeuvre de Cyrille de Scythopolis*, Paris 1983, pp. 17-29, რომელიც ასკვნის (გვ. 28), რომ Scholia დაიწერა 538-543 წლებში. H.U. von Balthasar, “Das Scholienwerk des Johannes von Skythopolis”, *Scholastik* 15 (1940), pp. 16-38. ნიგნი გვიჩვენებს, რომ ფსევდოდოწონისე არეოპაგელზე დაწერილი Scholia-ს უმეტესობა (PG 4), რომელიც მაქსიმე აღმსარებელს მიეწერებოდა, სინამდვილეში იოანე სკითოპოლელის მიერ არის დაწერილი.

<sup>1</sup> Taft, op. cit., p. 52.

<sup>2</sup> იხილეთ: J. Patrick, “Early Christian Churches in the Holy Land”, in: *Christians and Christianity in the Holy Land: From the Origins to the Latin Kingdoms*, eds. Guy G. Stroumsa and Ora Limor [Cultural Encounters in Late Antiquity and the Middle Ages, 5]. Turnhout: Brepols, 2006, pp. 355-400.

<sup>3</sup> J.W. Crowfoot, ‘The Christian Churches’, in C.H. Kraeling, *Gerasa, City of the Decapolis*, New Haven 1938, pp. 175ff.; idem, *Early Churches of Palestine*, London 1941.

<sup>4</sup> Ed. Rahmani, l.19, pp. 22-27 = ed. Vööbus 1975, Syriac text – pp. 10-11; Eng. tr. – pp. 33-34. Testamentum Domini Jesus Christi არის V საუკუნის შუა პერიოდის ადრეული ქრისტიანული კანონების კრებული, რომელიც კლიმენტი რომაელს, წმინდა პეტრეს მოწაფეს, მიეწერება. სავარაუდოდ, დედანი ბერძნულია, თუმცა მხოლოდ მისმა სირიულმა, VI საუკუნის, თარგმანმა მოაღწია. იხილეთ: J. Quasten, *Patrology* (Westminster, MD 1950), pp. 185-86. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ მითითებებს სრულად თითქმის არცერთი ეკლესია არ შეესაბამება, Testamentum Domini (როგორც ჩანს, რეკომენდებული იდეალი, ვიდრე ნორმატიულ-რეალისტური დირექტივა), ცხადია, რომ კარგად შეესატყვისება წმინდა მიწის თანამედროვე ეკლესიებს. ხოლო ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ სირიის, ილირიკუმის, ეგეოსური სამყაროსა თუ კონსტანტინოპოლის ეკლესიებთან მრავალ საკითხში შეუთანხმებლობაა. სირიის ეკლესიებში მინაშენები (ფლიგელები) შეიძლება არსებობდეს, მაგრამ

ტექსტის მიხედვით, diakonikon-თან მისვლა შესაძლებელი იყო წინა ეზოთი და ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ ფლიგელს ქმნიდა. ეს იყო ოთახი, სადაც ევქარისტიული შესანიერი თავსდებოდა, სავარაუდოდ, მაგიდაზე ან მეორე საკურთხეველზე, რათა გამოჩენილიყო და ყველას დაენახა. სხვა პასაჟში (II, 10, გვ. 130-131) ვკითხულობთ, რომ ლიტურგიის დროს დიაკვანს ძღვენი (ϱουβακ – qwrbn') საკურთხეველში შეჰქონდა, სადაც ეპისკოპოსი უფალს მადლობას შესწირავდა. ვინაიდან ძღვენი პირველად diakonikon-ში დაბრძანდებოდა, ეკლესიის მეორე ბოლოში, საკურთხევლისგან მოშორებით, აუცილებელი იყო მისი გადატანა საკმაოდ დიდ მანძილზე, კათაკმევლების ტაძრიდან გასვლის შემდეგ. ამ ტექსტში მოცემული რეკომენდებული არქიტექტურული მითითებით შეიძლება აღვადგინოთ დიდი შესვლის მსვლელობაც. მაქსიმე აღმსარებლის „მისტაგოგია“ გვიჩვენებს, რომ ამგვარი მსვლელობა VII საუკუნეში პალესტინური რიტუალის ნაწილი იყო.

---

ყოველთვის ესაზღვრება ეკლესიის ძირითად ნაწილს, როგორც რთული მარტირეუმი, საცავი (საქრისტია) ან ბაპტისტერიუმი. იგივე მდგომარეობაა ტრანსიორდანიამიც, არაბეთის პროვინციაშიც (ქვიან არაბეთში). მეორე მხრივ, მოსაზღვრე ოთახები და ეკვდერები, რომლებიც, ჩვეულებრივ, ტაძრის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს, პალესტინის სამივე პროვინციასა და არაბეთის ცენტრალურ და სამხრეთ სექტორებში – გერასაში, მადაბასა და ნებოში – ფართოდ არის გავრცელებული. განსაკუთრებულად საინტერესოა ეკვდერი, რომელიც გაზაში, ჯაბალიეს ტაძრის ჩრდილოეთ ნაწილშია მინაშენი. ეს არის ერთაფსიდიანი ბაზილიკა, რომლის ჩრდილოეთ ნაწილს ბოლოში აფსიდიანი მარტირეუმია, ხოლო სამხრეთ ნაწილს აღმოსავლეთ დაბოლოებაზე – ვერტიკალური მარტირეუმი. ტაძარს აქვს მართკუთხა საკურთხეველი აღმოსავლეთით, ხოლო დასავლეთით – ერთგვარი წინკარი (ვესტიბული), რომელიც ეკვდერისგან გამოყოფილია ტიხრით, აქ დგას ძღვენის მაგიდა, რომელზედაც მართლმორწმუნენი შესანიშნავად დააწყობენ. სამხრეთ კედელში ორი ღიობი გადის ეკვდერსა და ბაზილიკაში, კიდევ ორი ღიობი ჩრდილოეთ კედელში კი ბაპტისტერიუმთან მისასვლელია. ეკვდერს არქეოლოგები diakonikon-ს უწოდებენ. იხილეთ: J. B. Humbert et al., *Gaza Méditerranéenne: Histoire et archéologie en Palestine* (Paris 2000), pp. 121–25; C. Saliou, 'Gaza dans l'Antiquité tardive: Nouveaux documents épigraphiques', *Revue Biblique*, 107 (2000), 390–411.

<sup>1</sup> სიტყვასიტყვით diakonikon არის უბრალოდ დიაკვნების ადგილი. სხვა ლიტერატურულ წყაროებსა და წარწერებში ის აღნიშნავს სხვადასხვა ფუნქციის მქონე ოთახებს, სადაც დიაკვნები მსახურობდნენ (ძირითადად მოსანათლი ოთახი, სამოსლისა და ქურჭლის სალარო ან საცავი). აქედან გამომდინარე, როდესაც ვსაუბრობთ პალატზე, საიდანაც დიდი შესვლის პროცესია იწყება, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აქ ტერმინი prothesis (სამსხვერპლო) გამოიყენება. მოგვიანებით, IX საუკუნიდან მოყოლებული prothesis აღნიშნავდა ოთახს, სადაც კვეთის (proskomide) ცერემონია სრულდებოდა. აქ ყველაფერს დააწყობდნენ და აკურთხებდნენ საკურთხეველში შეტანამდე. მაგრამ ძველ დროში, ბერძნულ მართლმადიდებელ ეკლესიებში ეს ოთახი (prothesis) მდებარეობდა აფსიდის ჩრდილოეთით, კანკელის (იკონოსტასი) მეორე მხარეს, ჩვენს კვლევაში prothesis-ის მნიშვნელობისაგან განსხვავებით.



**JOSEPH PATRICH**

Institute of Archaeology  
The Hebrew University of Jerusalem,  
Israel  
patrichj@mail.huji.ac.il

## **MAXIMUS CONFESSOR - THE PALESTINIAN ARCHAEOLOGICAL-GEOGRAPHICAL BACKGROUND**

My purpose in this paper is to give a short survey on the sites associated with the first formative chapter of Maximus life in Palestine in the years 580-614, and the archaeological remains therein (we have no details about the suggested second stay in Palestine, in the years 633-641 - the year of the final conquest of Palestine by the Muslims).

**KEYWORDS:** Maximus life; Palestine

The convention that Maximus Confessor (580-662 CE) was a Constantinopolitan was derived from his 10<sup>th</sup> c. Greek *enkomion* by the Stoudite monk Michael Exaboulites. But since the publication of the early Syriac life,<sup>1</sup> written by his contemporary (though hostile) George (or Gregory) of Resh'aina, and after refresh examination of his writings for details concerning his life and activity, we know Maximus was a

---

<sup>1</sup> S. Brock, "An Early Syriac Life of Maximus the Confessor," *AB* 91 (1973), pp. 299-346.

Palestinian.<sup>1</sup> According to the Greek *Vitae*<sup>2</sup> he was born to a respectable Constantinopolitan family, was well educated, served as first secretary of the imperial archives under Heraclius. Then he was forced to escape the Monothelite heresy (still to be born) of the imperial court, fleeing to Philippikos Monastery at Chrysopolis, opposite Constantinople. But this part of the Greek *Vitae* is a hagiographic invention; his biography underwent a process of Constantinopolization imitating the noble origin of Theodore Stoudites.<sup>3</sup> The Syriac *Vita*, on the other end, is rich in factual details. According to the Syriac biographer he was born in the village of Hesfin (חצפין קריתא), in the Golan, east of the sea of Tiberias. His father was a Samaritan called Abna (אבנא), a maker of linen from Sychar (שכר), a Samaritan village near Neapolis, and his mother, named Shanda (שנדה), was a Persian slave-girl of a Jew of Tiberias named Zadoq (זדוק). Both were secretly baptized by the village priest of Hesfin - Martyrius (מרטור), getting new Christian names - Theonos and Mariame respectively. The birth name of Maximus was Moschion. At the age of nine he became an orphan, given to the guardianship of the village priest, who brought him

---

საყოველთაო მოვლენად იქცევა (Фомин 1984). საქართველოს რომ დავუბრუნდეთ, უკვე თბილისის ამირა 'ალი ბ. ჯაფარის მონეტები უკიდურესად უნესოა: კვეთის დიაპაზონით 5-30 მმ და წონის დიაპაზონით 0.12-5.23 გ. დავით კაპანაძის სამართლიანი შენიშვნით, XI საუკუნის პირველი მესამედის ეს მონეტები უკვე შეიძლება უნესო ქედვის საფასედ ჩაითვალოს (Капанაძე 1961, 72-73, 75-76); ამგვარი საფასის მიმოქცევა, ევგენი პახომოვის ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, მხოლოდ წონით თუ იქნებოდა შესაძლებელი, მისი „წონითი რაოდენობის ნორმირებულ ღირებულებად“ (Пахомов 1926, 24). უფრო მეტიც, ირინე ჯალალანიას დაკვირვებით, დაჭრილ-ნატეხი ქუფური საფასე საქართველოსა (და, საზოგადოდ, კავკასიის) სამონეტო მიმოქცევაში ჩნდება უკვე IX საუკუნის II მეოთხედში (დღივის განძი), და, შემონახული განძების მიხედვით, რჩება მიმოქცევაში XI საუკუნის დასაწყისამდე (ჯალალანია 1976, 16-17; Джалаганиа 1979, 53-55). ლოგიკურია, დავასკვნათ, რომ, ნაწილობრივ თუ სრულად, ამგვარი დიდ-პატარა ნატეხებისგან თუ ნაჭრებისგან შემდგარი განძების არსებობა მიუთითებს ანგარიშსწორებაზე ამგვარი საფასის წონის მიხედვით. ამგვარად, დაკვირვება რეგიონისა და საქართველოს, კერძოდ კი, თბილისის ნუმისმატიკურ ისტორიაზე ცხადჰყოფს, რომ ანგარიშსწორება სასწორის გამოყენებით, რამდენადაც მოუხერხებელი არ უნდა ყოფილიყო ის, წარმოებდა რეგიონში და, კერძოდ, თბილისში, უკვე საუკუნეების განმავლობაში, ვიდრე დიმიტრი I, დავით აღმაშენებლის ძე, როგორც ეს ახლახანს გაირკვა, უნესო ქედვის ორმაგ მონეტებს მოჭრიდა (ფაღავა, ბლიაძე, ჭუმბურიძე 2020, 25-27).<sup>1</sup> როგორი მოუხერხებელიც არ უნდა ყოფილიყო სასწორით ხელში ანგარიშსწორება – მონეტების მუდმივად აწონვის საფუძველზე – წონით მონეტების მიმოქცევა, საზოგადოდ, შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს საუკუნეების განმავლობაში, საქართველოშიც და სხვაგანაც. რაკი ამას საუკუნეების განმავლობაში აკეთებდნენ, შეეძლოთ XII საუკუნეშიც, დიმიტრი I-ის ზეობაშიც გაეგრძელებინათ, და, სხვათა შორის, რუსუდანის ზეობაშიც. ამრიგად, ვფიქრობთ, ეს არგუმენტიც მოკლებულია სარწმუნოებას.

ზემოთ მოყვანილი ანალიზის საფუძველზე, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ არ არსებობს სარწმუნო არგუმენტი მტკიცებისთვის, რომ უნესო ქედვის ქართული მონეტები ფასობდა არა წონით, არამედ თითოეულ მონეტაზე სიქების წყვილი ანაბეჭდების რაოდენობით. ამის გათვალისწინებით, კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას იძენს ევგენი პახომოვის ჰიპოთეზა (თავად ევგენი პახომოვი ფრთხილობდა და, თავისი კონცეფციის ჩამოყალიბებისას,

<sup>1</sup> ვერ გამოვრიცხავთ, რომ ადრე თუ გვიან გამოჩნდება დავით IV აღმაშენებლის მრავალმაგი ქედვის უნესო სპილენძიც.



მაინც, იყენებდა სიტყვას ვარაუდი “предположение” (Пахомов 1970, 75)), რომლის თანახმადაც, წესიერი ქედვის მონეტებისგან განსხვავებით, უწესო ქედვის, ანუ, ცვალებადი ზომა-ფორმა-წონის მქონე მონეტები ფასობდა წონით, ანუ, რალაც კონკრეტული (დღემდე გაურკვეველი) წონის<sup>1</sup> მქონე ეს მონეტები, მათი რაოდენობის-და მიუხედავად, ღირებულების გარკვეულ ერთეულს წარმოადგენდა (Пахомов 1970, 75, 85) – სხვანაირად რთულია აიხსნას ამგვარი მონეტების მიმოქცევა.

შეგვიძლია შევამაგროთ ევგენი პახომოვის ჰიპოთეზა კიდევ სამი არგუმენტით.

თუ ალექსანდრე აკოპიანი და ევგენი გონჩაროვი, და მათი პატარაძე მართალნი არიან, და უწესო ქედვის სპილენძის მონეტები ფასობდა არა წონით, არამედ, ფაქტიურად, ცალობით, მათზე სიქების წყვილი ანაბეჭდების რაოდენობის მიხედვით, მაშინ, რაღა აზრი ქონდა ცალ-ცალკე წესიერი და უწესო ქედვის მონეტების გამოშვებას? წესიერი ქედვის მონეტებიც ხომ ცალობით ფასობდა (ევგენი პახომოვის მიხედვით, რაშიც ეჭვი არავის შეუტანია). გამოვა, რომ ზარაფხანას ქონდა შედარებით ვიწრო რემედიუმისა და მეტ-ნაკლებად წესიერი ფორმისა (მრგვალი) და მეტ-ნაკლებად სტაბილური წონის მონეტების მოჭრის ტექნიკური საშუალება (რასაც წესიერი ქედვის მონეტების ემისიის ფაქტი ადასტურებს), მაგრამ, მიუხედავად ამისა, (მეტ-ნაკლებად) პარალელურად უშვებდა როგორც წესიერი ქედვის, ასევე, უკიდურესად უწესო ქედვის მონეტებსაც, რომლებიც, პატივცემული კოლეგების აზრით, მაინც ერთნაირი პრინციპით ფასობდა. რა აზრი ქონდა პარალელურად ორი ტიპის საფასის გამოშვებას – ერთი შედარებით სტანდარტული ზომა-წონა-ფორმის, რომელიც, ცალობით ფასობდა, და მეორე – უკიდურესად ვარიაბელური ზომა-წონა-ფორმის, რომელიც, (კოლეგების აზრით), ასევე, ცალობით ფასობდა, ოღონდ, იმის მიხედვით, სიქების თუ რამდენი წყვილი ანაბეჭდი ექნებოდა ზედ? კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ პარალელურად გამოშვებული წესიერი და უწესო ქედვის მონეტების ბუნება აშკარად განსხვავებული უნდა ყოფილიყო, და მათი ღირებულებაც სხვადასხვანაირად უნდა განსაზღვრულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ნაკლები აზრი ექნებოდა განსხვავებული წესით ორი სხვადასხვა კატეგორიის მონეტების გამოშვებას.

ჩვენი მეორე არგუმენტი (ერთგვარად, argumentum ad absurdum) კი შემდეგნაირია: თუ ალექსანდრე აკოპიანი და ევგენი გონჩაროვი, და მათი პატარაძე მართალნი არიან, და უწესო ქედვის მონეტები ნამდვილად ფასობდა მათზე აღბეჭდილი სიქების წყვილი ანაბეჭდების რაოდენობის მიხედვით, და, დავუშვათ, ორმაგი მონეტები ფა-

1 ამ ეპოქის ქართული საფასის წონითი სტანდარტის შესაძლო კავშირი დრამასთან, როგორც წონის ერთეულთან, განხილული გვაქვს ადრეულ ნაშრომში (ფაღავა 2011, 322).

სობდა ზუსტად ორჯერ მეტად, ვიდრე ერთმაგები, მაშინ გამოდის, რომ ყველა ის მონეტა, რომელსაც სიქების წყვილი ანაბეჭდების ერთნაირი რაოდენობა ქონდა, ერთნაირად ფასობდა; ანუ, ყველა სამმაგი ერთი და იგივე ღირებულების იყო, ისევე როგორც ყველა ორმაგი, და ისევე როგორც ყველა ერთმაგი - მათი წონის-და მიუხედავად. მაგრამ, კარგად ვიცით, რომ ერთმაგი მონეტების წონა მერყეობს ძალიან დიდ ფარგლებში: ევგენი პახომოვის მიხედვით, რამდენიმე დოლიადან (0.04 გ) ნახევარ გირვანქამდე (ანუ, 204.77 გრამამდე) (Пухомов 1970, 85). მოვიყვანთ ნიმუშად ორ მონეტას - წონით, შესაბამისად, 1.00 და 40.38 (პირობითად, 40 გრამად ჩავთვალოთ) გრამი (სურ. 4). ორივეზე სიქების თითო წყვილი ანაბეჭდია; შესაბამისად, კოლეგების აზრით, გამოდის, ერთნაირი ღირებულება უნდა ქონოდათ. თავისთავად ძნელი დასაჯერებელია, რომ წონაში 40-მაგი სხვაობის მქონე მონეტებს (ზომაზე რომ აღარაფერი ვთქვათ) ერთი და იგივე ღირებულება ექნებოდა; რომ ხელისუფლება ესეთი არაეკონომიური იქნებოდა, და 40-ჯერ მეტ სამონეტო ლითონს დახარჯავდა, თუნდაც არაძვირფას ლითონს, ვიდრე შეეძლო დაეხარჯა, რომ ზუსტად იგივე ღირებულების მონეტა გამოეშვა. უფრო მეტიც, გავიხსენოთ კოპერნიკ-გრეშემის კანონი: ერთნაირად ფასობის (ერთი და იგივე ნომინალური ღირებულების) შემთხვევაში, მიმოქცევიდან გამოიდევნება (და ტეზავრირებული იქნება) უკეთესი - ანუ, მეტი შინაგანი ღირებულების მქონე. თუ 1- და 40-გრამიანი მონეტები ერთნაირად ფასობს, მიმოქცევიდან აუცილებლად გამოიდევნება, თუნდაც ლითონად გადასადნობად, უფრო ღირებული, ანუ, ჩვენ შემთხვევაში, უფრო მძიმე. ეს არ მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 40-გრამიანი მონეტის გადადნობით მიღებული 40 გრამი სპილენძის ღირებულება 1-გრამიანი უნესო ქედვის მონეტის ღირებულებაზე ნაკლები იქნებოდა (რაც ოპერაციას არამომგებიანს გახდიდა). მაგრამ, თუკი დავუშვებთ, რომ ქართულ უნესო ქედვის მონეტებს ესოდენ გამოხატული საკრედიტო ბუნება ქონდა - სამონეტო ლითონთან შედარებით 40+-ჯერ უფრო მაღალი<sup>1</sup> (რაც თავისთავად პრაქტიკულად დაუჯერებელია), მაშინ მოსახლეობას (მის ცალკეულ ელემენტებს, ბუნებრივია), თუ მეზობელ მონარქებს, უდიდესი ცდუნება ექნებოდათ გადაედნოთ მძიმეწონიანი, დავუშვათ 40-გრამიანი მონეტები, რომ, მიღებული 40 გრამი ლითონისგან დაემზადებინათ 40-მდე ყალბი 1-გრამიანი მონეტა და უზარმაზარი (3900%) მოგება ენახათ - სახელმწიფო ზარაფხანაში უნესო ქედვის მონეტების გამოშვება (მოსახლეობის მიერ მოწოდებული სპილენძისგან) ბლოკირებული იქნებოდა, ან სენიოჩაჟი ძალიან მაღალი იქნებოდა, მით მეტი ალბათობით, რამდენადაც უფრო მოსალოდნელია უნესო ქედ-

1 შემადგენლობაში შემავალი ლითონის ღირებულებაზე უფრო დაბალი ღირებულების მონეტა, ბუნებრივია, ვერ მოიჭრებოდა.

ვის სპილენძის მონეტების საკრედიტო ბუნება და მომგებიანობა ხაზინისთვის. ამრიგად, მიღებული ლითონის მონეტად ქცევა ახასახედმწიფო ბაზაფხანაში თუ მოხერხდებოდა, ფაქტიურად, ყალბი მონეტის დამზადების გზით. მოვიყვანთ, მართალია, ასინქრონულ პარალელს, რომელიც მაინც ძალიან მჭევრმეტყველია – რუსეთის იმპერიის ნუმისმატიკური ისტორიიდან, კერძოდ, XVIII საუკუნეში სპილენძის მონეტების გამოშვების ისტორიიდან. დადგენილია, რომ სამონეტო რეგალიის ფინანსური მომგებიანობის მაქსიმალური ექსპლუატაციის მიზნით რუსეთის იმპერატორები პერიოდულად ცდილობდნენ შეემცირებინათ / გაეზარდათ სამონეტო ჩივი, ანუ, ერთი და იგივე წონის, მაგრამ მონეტად ქცეული სპილენძისთვის უფრო და უფრო მეტი (ნომინალური) ღირებულება მიენიჭებინათ; ასე, მაგალითად, 1 ფუთი სპილენძისგან (მიახლოებითი ღირებულებით 8 რუბლი) სხვადასხვა პერიოდში იჭრებოდა 10, 16, 32, 40 რუბლის ღირებულების სპილენძის საფასე (Уздеников 1994). ნაჩვენებია, რომ, რუსეთის იმპერიის ფარგლებში თუ უცხოეთში ყალბი სპილენძის საფასის გამოშვება განსაკუთრებით ინტენსიური გახდა მას შემდეგ, რაც სამონეტო რიგმა მიაღწია 40 რუბლს 1 (8 რუბლის ღირებულების) ფუთი სპილენძისგან (Уздеников 1994, 20-21, 27-28). ანუ, მას შემდეგ, რაც მონეტიზირებული სპილენძის ღირებულებამ გადააჭარბა მასში შემავალი ლითონის ღირებულებას 5-ჯერ; სპილენძის მონეტების მასობრივად დაწყებულმა ფალსიფიკაციამ აიძულა ხელისუფლება, შეეზღუდა თავისი ფისკალური მადა და მკვეთრად დაენია მონეტიზირებული სპილენძის ნომინალური ღირებულება (Уздеников 1994, 28-36). სხვათა შორის, გამოთქმული გვაქვს მოსაზრება, რომ, ასევე, XVIII საუკუნეში, ერეკლე II-ც იძულებული გახდა უარი ეთქვა რუსეთის იმპერიის მძიმეწონიანი სპილენძის 5-კაპიკიანების მიბაძვით საკუთარი სპილენძის შაურიანების გამოშვებაზე, ვინაიდან ბაზრისთვის ამგვარი საფასე – რომლის ნომინალური ღირებულებაც ბევრად მეტი იყო მასში შემავალი ლითონის ღირებულებაზე – მიუღებელი აღმოჩნდა (ფალავა 2012, 236; Paghava 2017, 250). ვფიქრობთ, ნაკლებ მოსალოდნელია, თუნდაც სხვა ეპოქაში, კერძოდ, ქართული უნესო ქედვის მონეტების შემთხვევაში, რომ მონეტიზირებული და არამონეტიზირებული სპილენძის ღირებულება 40-ჯერ და მეტად განსხვავდებოდეს. უნესო ქედვის სპილენძის მონეტები სავარაუდოდ მართლაც საკრედიტო ფულს წარმოადგენდა; რომელიც, შესაძლოა, როგორც ევგენი პახომოვი თვლიდა, „მნიშვნელოვნად“ („значительно“) აღემატებოდა მასში შემავალი სპილენძის ღირებულებას (Пахомов 1926, 24), მაგრამ, ჩვენი აზრით, ამდენადაც არა.

მესამე არგუმენტი შემდეგში მდგომარეობს: როგორც უკვე აღვნიშნეთ, დადგენილი გვაქვს, რომ ქართველ მეფეთა უნესო ქედვის მონეტები წარმოადგენს წინარე პერიოდის თბილისური მონეტების – რომელიც ასევე წონით მიიღებოდა – უშუალო

მემკვიდრესა და შთამომავალს (Paghava 2012, 242-245; ფალავა 2015, 255-258, 266-267). თუკი წინარე პერიოდის თბილისური მონეტების ღირებულებას მათი წონა განსაზღვრავდა, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ პრინციპულად არაფერი შეიცვლებოდა, და, შემდგომი პერიოდის, ქართველი მონარქების მიერ ემიტირებული უნესო ჭედვის სპილენძის *ერთმაგი* მონეტები ასევე წონით მიიღებოდა. თუკი უნესო ჭედვის *ერთმაგი* მონეტებით წონით მიიღებოდა, დიდია ალბათობა, რომ *ორმაგი*, *სამმაგი* და, ასე ვთქვათ, *მხავადმაგი* მონეტები ასევე წონით მიიღებოდა.

ზემოთ მოყვანილი ანალიზის საფუძველზე უარყოფთ ევგენი პახომოვის ჰიპოთეზის ბოლოდროინდელი რევიზიის მცდელობებს, და ვთვლით, რომ უნესო ჭედვის ქართული (და, უდიდესი ალბათობით, რეგიონის სხვა დინასტიების მიერ გამოშვებული) მონეტები ფასობდა წონით. ეს კონცეფცია ყველაზე უკეთ / ლოგიკურად უდგება სამონეტო მასალასა და მის მეტროლოგიურ სიჭრელს.

თუმცა, საკითხი ღიად რჩება. რატომ ურტყავდნენ ზოგიერთ, დიდი ზომის ნამზადს სიქებს ორჯერ და მეტჯერ?

თეორიულად შეიძლება შევახამოთ ორივე მოსაზრება უნესო ჭედვის სპილენძის მონეტების ღირებულების შესახებ – ევგენი პახომოვისეულიც და ზემოთ განხილულიც: თუ გარკვეული ნორმირებული წონის მქონე ერთმაგი უნესო წედვის მონეტებს რაღაც ფიქსირებული ღირებულება ქონდა, იმავე წონის ორმაგ უნესო ჭედვის მონეტებს ორმაგი ღირებულება ქონდა და ა.შ. თუმცა, ეს ვარიანტი, თავისი სირთულიდან და მოგონილობა-ხელოვნურობიდან გამომდინე, ჩვენი აზრით, ნაკლებ მოსალოდნელია.

პირადად ჩვენ ვიხრებით იმ მოსაზრებისკენ, რომ სამონეტო ნამზადს სიქების წყვილს რამდენჯერმე უბრალოდ იმიტომ ურტყავდნენ, რომ ჩვეულებრივზე დიდი ნამზადის ზედაპირი ტრადიციულად (უკეთ) დაფარულიყო სამონეტო ტიპის შემადგენელი ეპიგრაფიკულ-იკონოგრაფიული ელემენტებით, რაც მნიშვნელოვანი იქნებოდა მძიმეწონიანი (და, ე.ი., ღირებული) საფასის ლეგალური სტატუსის დასადასტურებლად (თუმცა, ცხადია, არის შემთხვევები, როდესაც ერთმაგი მონეტის ზედაპირს სიქების ანაბეჭდები მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს - სურ. 4).

\*

რაკი უნესო მონეტების ბუნებას შევეხეთ, ალბათ, უპრიანია, და-ვუბრუნდეთ რუსუდანის რეფორმას, ანუ, საქართველოში მონეტების უნესოდ ჭედვის დასრულების გარემოებებს; ისევე, როგორც, საზოგადოდ, წესიერი ჭედვის (ქართული) მონეტების ფენომენსაც.

2019 წლის ნაშრომში მაია პატარიძეს გამოთქმული აქვს საი-



ნტერესო და ნოვატორული<sup>1</sup> ვარაუდი, რომლის თანახმადაც უნესო ქედვის მონეტების გამოშვების შეწყვეტა და ექსკლუზიურად წესიერი ქედვის მონეტების (სურ. 5) გამოშვებაზე გადასვლა რუსუდან მეფეს ტახტზე ასვლისთანავე ქონდა გადაწყვეტილი; სწორედ ამიტომ შეიკავა თავი საკუთარი საფასის გამოშვების გზით საკუთარი თავის ლეგიტიმაციისაგან და უბრალოდ წინამორბედების მონეტების დადამღვით შემოიფარგლა – თანაც, ისეთი დამღით, რომლის მიკუთვნებაც რუსუდანისადმი გაძნელებული იყო; მაგრამ, რეფორმა ტახტზე ასვლისთანავე ვერ განახორციელა – „ემზადებოდა რეფორმისთვის, რაც რესურსების საკმაოდ სერიოზულად მობილიზებას საჭიროებდა, ამიტომ დროებით დასჯერდა ბაზარზე მბრუნავ ფულზე დამღის დასმას, რაც სამეფო ტახტზე მისი ასვლის ერთგვარი განაცხადი იყო.“; „საბოლოოდ, ფინანსური რეფორმა – არასწორი ქედვის მონეტების მიმოქცევიდან ამოღება“ რუსუდანმა ჯალალ ად-დინის შემოსევის შემდეგ განახორციელა, „მიმოქცევაში მყოფი ჯალალ ად-დინის მიერ გადაჭედილი მონეტების ასაკრძალად“ (პატარიძე 2019, 57).

ვფიქრობთ, ძალიან საინტერესო ვარაუდია. ნამდვილად, გაუგებარია, რატომ არ დაიწყო რუსუდანმა საკუთარი საფასის გამოშვება ტახტზე ასვლისთანავე, 1223 წელს. შეიძლება გავიხსენოთ, რომ რუსუდანის ძმამ და უშუალო წინამორბედმა, გიორგი IV ლაშამ, საკუთარი საფასე ტახტზე ასვლისთანავე მოჭრა, 1210 წელს (ჩვენ იმ აზრს ვემხრობით, რომ თამარი ტახტზე გიორგი ლაშამ სწორედ ამ წელს შეცვალა); თუმცა, რუსუდანისა და გიორგი IV-ის დედამ, თამარმა კი საკუთარი საფასის გამოშვება 1187 წელს, ტახტზე ასვლიდან

1 იმავე ნაშრომში მოყვანილია უკიდურესად საინტერესო ცნობა ნიჩბისის განძში დავით აღმაშენებლის ექსკლუზიურად არაბულენოვანი მონეტის აღმოჩენის შესახებ (პატარიძე 2019, 55-56). თავის დროზე დავით IV აღმაშენებლისადმი ჩვენს მიერ მიკუთვნებული (Paghava 2012) ამ სამონეტო ტიპის ერთი ეგზემპლარის ნიჩბისის 1961 წლის განძის შემადგენლობაში აღმოჩენა საინტერესოა, ვინაიდან: 1) ადასტურებს დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის ალების შემდგომ მოჭრილი მონოეპიგრაფიკული არაბულენოვანი საფასის ვალიდურობას დავითის შთამომავლებისა და მემკვიდრეების ზეობაშიც; 2) ადასტურებს ირაკლი ფალავას მიერ ქართული მონეტების თაობაზე გამოთქმულ მოსაზრებას წინამორბედი მონარქების საფასის მიმოქცევიდან თანდათანობით გასვლის შესახებ (Paraba 2018, 80) - ამ მხრივ ნიჩბისის 1961 წლის განძი კიდევ უფრო ეტალონური გამოდის, მისი შემადგენლობიდან გამომდინარე: დავით IV აღმაშენებლის მონეტების ხვედრითი წილი 0.07%, დიმიტრი I-ის 0.2%, გიორგი III-ის ადრეული და გვიანდელი ტიპის შესაბამისად 1.3 და 6.1%, თამარის 40.8%, გიორგი IV ლაშასი 38.1%, თამარის ან გიორგი IV-ის 10.5%.

იმავე ნაშრომში მაია პატარიძეს განხილული აქვს XII-XIII საუკუნეების ქართული მონეტების 10 განძის შემადგენლობა (პატარიძე 2019, 54-55); ეს განძები, ჩვენი კლასიფიკაციით, III ჯგუფს მიეკუთვნება (Paraba 2018, 79-81). დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს როგორც კლასიფიკაციას, ასევე, კლასიფიცირების პროცესში განხილულ 35 განძს (ხსენებული 10 განძის ჩათვლით) შესაბამის ნაშრომში (Paraba 2018, 66-87).

3 წლის შემდეგ დაიწყო; მართალია, იქამდე, შესაძლოა, უშვებდა ერთობლივ საფასეს პირველ მეულესთან, გიორგი რუსთან ერთად (ფალავა 2020).

ჩვენ მაინც იმ აზრისკენ ვიხრებით, რომ რუსუდანს არ ქონდა ჩაფიქრებული ტახტზე ასვლისთანავე ამგვარი რეფორმის ჩატარება:

1. რატომ უნდა დაეგეგმა უნესო ქედვის მონეტების ამოღება მაინცდამაინც რუსუდანს, და მაინცდამაინც 1223 წელს? ბუნებრივია, არ არის გამორიცხული, ეს აზრი პირველად სწორედ რუსუდანს მოსვლოდა, მაგრამ, მაინც, თვალში საცემია დროში თანხვედრა – ჯალალ ად-დინის შემოსევასთან და ქვეყნის მიმოქცევაში მის მიერ გადაჭედილი თუ ლითონისგან ახლად დამზადებული ძირითადად უნესო ქედვის მონეტების გაშვებასთან; ეს გარემოება ზრდის იმის ალბათობას, რომ სამონეტო რეფორმის იდეა, იმ ფორმით, რა ფორმითაც ის ჩატარდა, რუსუდანის ადმინისტრაციას მოსვლოდა სწორედ 1226-1227 წლებში, და არა 1223 წელს;

2. საკითხავია, რა მომზადება, რა „რესურსების საკმაოდ სერიოზულად მობილიზებას საჭიროებდა“ წესიერი ქედვის მონეტების მოჭრის დაწყება? რას უნდა შეეშალა ხელი რუსუდანისთვის (რუსუდანის ადმინისტრაციისთვის), რომ წესიერი ქედვის მონეტები მოეჭრა, და თან უნესო ქედვის მონეტების მიმოქცევა აეკრძალა (დაეკანონებინა ექსკლუზიურად წესიერი ქედვის მონეტების მომიქცევა<sup>1</sup>) – უკვე 1223 წელს – თუკი ესეთი ჩანაფიქრი თავიდანვე ქონდა?

პატივცემული კოლეგის აზრით, რუსუდანის წესიერი ქედვის მონეტების წონითი, ასე ვთქვათ, უწესობა, მიუთითებს რუსუდანის ხელისუფლების მოუმზადებლობაზე ამ რეფორმის ჩასატარებლად – „დამპყრობლის მიერ ქართული მონეტების „ოკუპაციამ“ დააჩქარა რუსუდანის სამეფო კარი, განეხორციელებინა ღონისძიება, რისთვისაც ჯერ მზად არ იყო. ეს კარგად გამოჩნდა რუსუდანის წესიერი ქედვის სპილენძის საფასეების წონებზე“ (პატარიძე 2019, 57); მაია პატარიძის აზრით, რუსუდანის მონეტების „წონა ისევეა აცდენილი კანონზომიერებას, როგორც არასწორი ქედვის მონეტების შემთხვევაში“ (პატარიძე 2019, 58); „კერძოდ, თუ ღირებულების საზომი ერთეული წონაზე იყო დამოკიდებული, ლოგიკურად, რუსუდანის მიერ

1 საკითხავია, მხოლოდ საკუთარის, თუ, ასევე, წინამორბედების, მაგალითად, თამარ-დავითის ცნობილი და გავრცელებული წესიერი ქედვის სამონეტო ტიპის? იმის გათვალისწინებით, რომ რუსუდანის დროინდელი განძები (V ჯგუფის, ჩვენი კლასიფიკაციით) ექსკლუზიურად რუსუდანის წესიერი ქედვის მონეტებისგან შედგება, და თამარ-დავითის მონეტები მათში არ შედის, ან, უკიდურეს შემთხვევაში, უმცირეს მინარევს წარმოადგენს (Парава 2018, 82-83) – გამოვთქვათ ფრთხილ ვარაუდს, რომ აიკრძალა წინამორბედების როგორც უნესო, ასევე წესიერი ქედვის მონეტებიც.



მოჭრილი სწორი ქედვის მონეტებს მოწესრიგებული და გარკვეული კანონზომიერებით ერთმანეთთან დაკავშირებული წონა უნდა ჰქონოდა. რუსუდანის სპილენძის მონეტების შესწავლისას მკაფიოდ გამოჩნდა, რომ ეს მონეტები არანაირი მყარი წონითი სტანდარტის მოთხოვნას არ აკმაყოფილებენ“; შემდეგ ავტორს მოჰყავს რუსუდანის მონეტების წონის (ჩანს, კიდურა) მაჩვენებლები კრწანისის 1935 წლის განცხადებით: 2.30 და 12.0 გ. (პატარიძე 2019, 57). რუსუდანის წესიერი ქედვის მონეტების უწესობაზე (წონის ვარიაბელურობაზე) თამარ ლომოურიცა და დავით კაპანაძეც წერდნენ. თამარ ლომოური ახსენებს 12- და 13-გრამიან ეგზემპლარებსაც (ლომოური 1938, 291), დავით კაპანაძე კი წონით რემედიუმად ასახელებს „1-16 გრ“-ს (კაპანაძე 1969, 80). კოლეგის აზრით, რეფორმა „მხოლოდ მონეტების ფორმის შეცვლამდე დავიდა“, და სამონეტო ნამზადზე სიქების მხოლოდ ერთი წყვილის ანაბეჭდის დატანამდე (პატარიძე 2019, 58). ხომ არ გულისხმობს პატივცემული კოლეგა, რომ რუსუდანის წესიერი ქედვის მონეტები უწესო ქედვის მონეტების ტრანსფორმაციის პროდუქტია?

პატივცემული კოლეგისგან განსხვავებული მოსაზრება გვაქვს. აუცილებლად ვთვლით აღინიშნოს რამდენიმე პრინციპული გარემოება.

დავინწყებთ იმით, რომ ფართო *ხემელიუმი ახ გამოჩიციხავს ხაიმე კონკხეგუდი წონითი სტანდარტის, უფხო სწორედ კი, რაიმე კონკრეტული სამონეტო ჩივის არსებობას*. ანუ, რაიმე ტიპის მონეტების წონის მერყეობა, თუნდაც ფართო დიაპაზონში, სულ არ გამოორიცხავს გეგმას, განსაზღვრული წონის სამონეტო ლითონისგან განსაზღვრული რაოდენობის მონეტები მოეჭრათ. რაიმე მიზეზით – ტექნიკური ბაზის შეზღუდულობა, აჩქარება, არაძვირფასი ლითონისგან მონეტის გამოშვების შემთხვევაში სამონეტო ნამზადების სტანდარტულობაზე ზრუნვის ეკონომიკური მიზანშეუწონლობა – რემედიუმი შეიძლება საკმაოდ ფართო ყოფილიყო; მით უმეტეს, *al marco* და არა *al pezzo* წესით მონეტის მოჭრის შემთხვევაში. ეს არ გამოორიცხავს წონითი სტანდარტის არსებობას.

როგორი ფართო რემედიუმიც არ უნდა ახასიათებდეს რუსუდანის წესიერი ქედვის მონეტებს, ვფიქრობთ, მაინც, შეუძლებელია მტკიცება, რომ რუსუდანის წესიერი ქედვის, და წინარე მონარქების უწესო ქედვის მონეტების წონა ერთნაირად არის „აცდენილი კანონზომიერებას“. როგორც უკვე ვაჩვენეთ, უწესო ქედვის სპილენძებში, თუნდაც მხოლოდ ერთმაგები რომ ვიგულისხმოთ, ზოგჯერ გვხვდება როგორც 1- ასევე 40-გრამიანი ეგზემპლარებიც (სურ. 4). ანუ, წონის მაჩვენებლების მერყეობა შეუდარებლად მეტია, ვიდრე რუსუდანის წესიერი ქედვის მონეტების შემთხვევაში.

საზოგადოდ, საკითხავია, იქნებ, რამდენად გამართლებულია (რუსუდანის) წესიერი ქედვის მონეტებზე საუბრისას ოპერირება

ცნებით წონა. წესიერი ქედვის მონეტების ევგენი პახომოვის თავდაპირველ განსაზღვრებაში, საერთოდ არ არის საუბარი წონაზე - ყურადღება გამახვილებულია ფორმა-ზომის სტანდარტულობაზე, და ცალობით ფასობაზე (Пaxoмoв 1970, 85); წონის ცნება წესიერი ქედვის მონეტების განსაზღვრებაში პირველად შეიტანა თამარ ლომოური: სწორი ქედვის „მონეტები, როგორც გარკვეული ფორმისა და წონისა, წარმოადგენდნენ ფულის მყარ ერთეულს, იმ დროს როდესაც შემთხვევითი წონის და კანონზომიერ ფორმას მოკლებული მონეტები ვერ იქნებოდნენ გარკვეული ღირებულების მატარებელნი“ (ლომოური 1938, 288). წონაზე წერდა დავით კაპანაძე (კაპანაძე 1969, 73). ეს მოსაზრება, ჩანს, დამკვიდრდა ქართულ ნუმისმატიკურ მეცნიერებაში, მაგრამ, მაინც, მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ წესიერი ქედვის მონეტების თავდაპირველ, ევგენი პახომოვისეულ განმარტებაში წონაზე საუბარი საერთოდ არ იყო.

რუსუდანის წესიერი ქედვის მონეტების უწესობაზე მსჯელობა მხოლოდ კიდურა წონის მქონე (უკიდურესად მსუბუქი და მძიმე) ეგზემპლარების მონაცემებზე დაყრდნობით მეთოდოლოგიურად, ვფიქრობთ, გაუმართლებელია – ეს კიდურა მონაცემები შეიძლება ექსტრემალურ მაჩვენებლებს (statistic outlier) წარმოადგენდეს. აუცილებლად გასათვალისწინებელია დესკრიპტიული სტატისტიკის სხვა მაჩვენებლები: პირველ რიგში, საშუალო და სტანდარტული გადახრა, ვახიბედუხოვის მაჩვენებლები. ამგვარი კვლევა ჩატარებული გვაქვს გიორგი ლაშას წესიერი ქედვის მონეტებზე (ფაღავა 2011, 319-321), მაგრამ არა რუსუდანის მონეტებზე; თუმცა, რუსუდანის წესიერი ქედვის მონეტებისგან შემდგარი სამონეტო კომპლექსების ემპირიული შეფასებაც კი ეჭვს არ ტოვებს, რომ ეს წესიერი ქედვის საფასე, როგორც ერთობლიობა, არც ისე უწესოა, როგორც შეიძლება მოგვეჩვენოს, თუ მხოლოდ კიდურა ვარიანტებს გავითვალისწინებთ.

რამდენიმე სიტყვით შევხებით იმასაც, თუ რამ განაპირობა რუსუდანის წესიერი ქედვის მონეტების შედახებითი უწესობა, რომელიც, ემპირიულად, თითქოს, მართლაც, აღემატება, როგორც თამარისა და დავით სოსლანის, ასევე გიორგი ლაშას წესიერი ქედვის მონეტების უწესობას.

თამარ ლომოურის აზრით, „ასეთი დიდი განსხვავება ცალების წონისა წესიერი ქედვის მონეტებისათვის არ არის ნორმალური. შესაძლებელია, აქ ჩვენ საქმე გვქონდეს ან სხვადასხვა ღირებულების მონეტებთან, ან, რაც უფრო საფიქრებელია, არაწესიერი ქედვის, ასე ვთქვათ, გარდანამოთან“ (ლომოური 1938, 291). დავით კაპანაძის აზრით კი, „ის გარემოება, რომ რუსუდანის სპილენძის ნიმუშები ზოგჯერ კუთხოვანი, არასწორი მოყვანილობის ფირფიტებიდანაა გამზადებული და წონითი რემედიუმი საგრძნობლად მერყევიანია (1-16 გრ), ალბათ იმით აიხსნება, რომ ამ შემთხვევაში ფულის მოსაჭრელ მასალად ძველ, უწესოდ მოჭრილ და ხმარებიდან გამოსულ მონე-

ტებს იყენებდნენ“ (კაპანაძე 1969, 80). მაია პატარიძის აზრით კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიზეზი მოუმზადებლობაა რეფორმის ჩასატარებლად, მოუმზადებლობა და აჩქარება: „რუსუდანის სამეფო კარის მიერ ჩაფიქრებული რეფორმა დასაწყისში, სამონეტო ქედვის შეცვლასთან ერთად, წონითი სტანდარტის მონესრიგებასაც გულისხმობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ხვარაზმელი დამპყრობლის მიერ გადაჭედილი ქართული მონეტების ამოღება იმდენად გადაუდებელ ღონისძიებად იქცა, რომ რეფორმა საბოლოოდ მხოლოდ მონეტების ფორმის შევლამდე დავიდა“ (პატარიძე 2019, 58).

თამარ ლომოურის იდეა, რომ რუსუდანის წესიერი ქედვის მონეტების შედარებით უწესობა არანესიერი ქედვის „გარდანაშოს“ წარმოადგენდა, არ გვეჩვენება ლოგიკურად. უნესოდ მონეტების ქედვის ხანგრძლივი ტრადიცია სულ არ უშლიდა ხელს არც თამარსა და დავით სოსლანს, და არც გიორგი ლამას, შეუდარებლად უფრო წესიერი წესიერი ქედვის მონეტები გამოეშვათ. ასევე უკიდურესად საეჭვოდ გვეჩვენება თამარ ლომოურის მოსაზრება (თავადაც ნაკლებ სავარაუდოდ მიაჩნდა), რომ რუსუდანის წესიერი ქედვის მონეტებში რამდენიმე ნომინალი განირჩეოდა – რის მიხედვით უნდა გაერჩია მოსახლეობას ეს ნომინალები – ისევ და ისევ, წონის მიხედვით? ფაქტიურად, გამოვიდოდა რომ რუსუდანის წესიერი ქედვის მონეტები სინამდვილეში უნესო ქედვისაა, რაც აშკარად არ შესაბამება სინამდვილეს – მათ მაინც შეუდარებლად უფრო წესიერი (სტანდარტული) ფორმა და ზომა აქვთ.

რუსუდანის წესიერი ქედვის მონეტების აბსოლუტური უმრავლესობა გადაჭედვის კვალს არ ატარებს, ამრიგად, დავით კაპანაძის არგუმენტი ასევე უსაფუძვლოდ გვეჩვენება.

ჩვენი აზრით, რუსუდანის წესიერი ქედვის მონეტების შედარებით უწესობას განაპირობებდა ერთის მხრივ, აჩქარება, ის გარემოება, რომ ჯალალ ად-დინთან ფინანსური ომის პირობებში წესიერი ქედვის მონეტების დიდი რაოდენობით გამოშვება და უნესო ქედვის მონეტების აკრძალვა (სამონეტო ბაზრის ძველის მაგიერ ახალი საფასით გასაჭერებლად) საჩქახოვ და ეხთომომენგიანად უნდა განხორციელებულიყო; მეორეს მხრივ კი, სავარაუდოდ, ქუთაისში (სადაც გაიხიზნა რუსუდანის სამეფო კარი) სათანადო გექნოლოგიური ბაზისა და კადრების შედარებით მოუმზადებლობა (1227 წლის შემდგომ რუსუდანის წესიერი ქედვის მონეტების წესიეხება შეიძლება გაზრდილიყო).

ამრიგად, ვეთანხმებით მაია პატარიძეს იმაში, რომ რუსუდანის წესიერი ქედვის მონეტების შედარებით უწესობა 1227 წელს გადაუდებლად მოქმედების აუცილებლობამ განაპირობა; თუმცა, ვფიქრობთ, რომ რუსუდანის წესიერი ქედვის მონეტების შედარებით უწესობა ასახავს 1227 წლის მდგომარეობას; 1227 წლის წესიერი ქედვის მონეტების შედარებით უწესობის რეტროგრადული პროც-

ცირება 1223 წელზე და ამის საფუძველზე მტკიცება, რომ 1223 წელს რეფორმა ჩაიფიქრეს, მაგრამ განხორციელება ვერ მოახერხეს – დასაბუთებულად არ მიგვაჩნია.

დავასკვნით, რომ, ცალსახად ვერ გამოვრიცხავთ, რუსუდანს ტახტზე ასვლისთანავე გაჩენოდა განზრახვა, სამონეტო რეფორმა ჩაეტარებინა; მაგრამ, ვფიქრობთ, ამის მტკიცებისთვის საკმარისი მონაცემი არ არის; მაინც, უფრო მოსალოდნელია, ქართულ ადმინისტრაციას ეს ჩანაფიქრი, ყოველ შემთხვევაში, უწესო ქედვის მონეტების სრულად აკრძალვის კუთხით, მხოლოდ ჯალალ ად-დინის მიერ თბილისის აღებისა და მიმოქცევაში საკუთარი უწესო ქედვის მონეტების გაშვების შემდეგ მოსვლოდა. რასაკვირველია, რუსუდანს (მის ხელისუფლებას) იქამდეც შეეძლო ეფიქრა, თუნდაც, ექსკლუზიურად, წესიერი ქედვის მონეტების გამოშვებაზე; მაგრამ, უწესო ქედვის მონეტების აკრძალვა (რაც ყველა წინამორბედი მონარქის საფასის მიმოქცევიდან ამოღებას ნიშნავდა) უფრო, საფიქრებელია, ჯალალ ად-დინის ქმედებებმა განაპირობა – უპირანი იქნებოდა აღნიშვნა, რომ საქართველოს სამეფოს მეზობელი შირვანშაჰებში უწესო ქედვის მონეტების ემისიას, როგორც ჩანს, აგრძელებდნენ 1260 წლამდეც კი (Racabli 2015, 134-137). ჯალალ ად-დინის შემოსევა რომ არა, ეგება, ქართველ მონარქებსაც იგივენაირად ემოქმედათ.

\*\*\*

ვცადეთ, განგვეხილა ბოლოდროინდელ ლიტერატურაში გამოთქმული ნოვატორული მოსაზრებები უწესო ქედვის ქართული (და რეგიონული) მონეტების ბუნებისა, და რუსუდან მეფის ფულადი რეფორმის შესახებ.

ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ არ არსებობს საფუძველი, ეჭვი შევიტანოთ ევგენი პახომოვის მიერ ჩამოყალიბებულ კონცეფციაში: უწესო ქედვის სპილენძის მონეტებით ანგარიშსწორება წარმოებდა წონით, წესიერი ქედვის სპილენძის მონეტებით კი – ცალობით.

ნაკლებ მოსალოდნელად გვეჩვენება, რომ რუსუდანს (მის ადმინისტრაციას) სამონეტო რეფორმა (უწესო ქედვის სპილენძის მონეტების აკრძალვა და ექსკლუზიურად წესიერი ქედვის მონეტებზე გადასვლა) უკვე ტახტზე ასვლისთანავე, 1223 წელს ჰქონოდა ჩაფიქრებული. უფრო საფიქრებელია, რომ, ამ რეფორმის ჩატარება იმ სახით, რა სახითაც ჩატარდა, მაინც ჯალალ ად-დინის 1226 წლის შემოსევამ განაპირობა; ჯალალ ად-დინის უწესო ქედვის სპილენძის მონეტების ემისია რომ არა, უწესო ქედვის მონეტების გამოშვება ქართველი მონარქების მიერ შეიძლება კიდევ გაგრძელებულიყო, წინამორბედების უწესო ქედვის მონეტებისთვის ანგარიშსწორების კანონიერი საშუალების სტატუსის დატოვებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.



რუსუდანის წესიერი ჭედვის მონეტების მეტროლოგიური (მათ შორის, წონითი) არასტანდარტულობა კი, სავარაუდოდ, პირდაპირ უკავშირდებოდა ქუთაისში მონეტის ერთმომენტიანად და დროის მოკლე შუალედში მასობრივად გამოშვების აუცილებლობას (ჯალალ ად-დინთან ფინანსური ომის პირობებში).

## დამონებაანი

დუნდუა გიორგი, დუნდუა თედო. 2006. ქართული ნუმისმატიკა, I ნაწილი. თბილისი: არტანუჯი.

კაპანაძე დავითი. 1969. ქართული ნუმისმატიკა. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ლომონური თამარი. 1938. „ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში“. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა (პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით). თბილისი: ტექნიკა და შრომა: 281-316.

პატარიძე მაია. 2019. „ნუმისმატიკა“. ბერიკაშვილი დავითი, პატარიძე მაია. 2019. სამშვილდის განძი. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა: 50-312.

ფალავა ირაკლი. 2020. „რომელი გიორგის სახელითაა მოჭრილი გიორგისა და თამარის მონეტა?“. ქართული წყაროთმცოდნეობა, XXII: 151-164.

ფალავა ირაკლი. 2015. „საქართველოს გაერთიანება და ნუმისმატიკური ევოლუციის ვექტორები (X საუკუნის დასასრული - XII საუკუნის დასაწყისი)“. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, IX: 247-270, 344-345.

ფალავა ირაკლი. 2012. „სპილენძის ღირებულება ქართლ-კახეთის სამეფოში XVIII საუკუნის მიწურულს ისტორიული საბუთების მიხედვით (თანადროული სპილენძის საფასის თვითღირებულების საკითხისთვის)“. საისტორიო კრებული, ტომი 2: 220-241.

ფალავა ირაკლი. 2011. „ჯავახთ უფლის მონეტები - კომპლექსური ანალიზი“. საისტორიო კრებული, ტომი 1: 291-343.

ფალავა ირაკლი, ბლიაძე დავითი, ჭუმბურიძე პავლე. 2020. „დავით IV აღმაშენებლის მემკვიდრეების უნესო ჭედვის მონეტები სიქების ერთზე მეტი წყვილი ანაბეჭდით.“ ქართული ნუმისმატიკური საზოგადოების მოამბე, №1: 24-34.

ფაცია დავითი, ფალავა ირაკლი. 2009. ჯალალ ად-დინ მანქებურნის ქართული მონეტები. თბილისი: ეროვნული მწერლობა. Patsia Daviti, Paghava Irakli. 2009. The Georgian Coins of Jalal ad-Din Mankburni. Tbilisi: Erovnulli Mtserloba.

ჯალალანია ირინა. 1976. საქართველოს სამონეტო განძები. I. თბილისი: მეცნიერება.

Paghava Irakli. 2012. "The First Arabic Coinage of Georgian Monarchs: Rediscovering the Specie of Davit IV the Builder (1089-1125), King of Kings and Sword of Messiah". 3<sup>rd</sup> Assemani Symposium on Islamic Coins, Roma, 23-24 September 2011,

Proceedings. Eds. Bruno Callegher and Arianna D'Ottone. Trieste: 220-261.

Paghava Irakli. 2017. "The Profitability of Minting Civic Copper Coins and the Identification of Emerging Nationalism as Seen Through Coin Imagery. A Case Study of the East-Georgian Kingdom Kartl-Kakheti". Iranian Numismatic Studies. A Volume in Honor of Stephen Album. Editor: Mostafa Fahfoury: 243-255.

Paghava Irakli, Turkia Severiane, Zlobin Gennadiy. 2011. "A New Coin Type of Dimitri I, King of Georgia: Addendum" Journal of Oriental Numismatic Society, #207: 13-14.

Rəcəbli Əli. 2015. Şirvanşahlar dövlətində sikkə zərbi (VIII-XVI yüzillər). Монетная чеканка в Государстве ширваншахов (VIII-XVI веков.). Coinage in the State of Shirvanshahs (8<sup>th</sup>-16<sup>th</sup> Centuries). Bakı: Elm və təhsil.

Turkia Severiane, Paghava Irakli. 2009. "A New Coin Type of Dimitri I, King of Georgia". Journal of Oriental Numismatic Society, #200: 9-12.

Акопян Александр, Гончаров Евгений. 2019. "Две уникальные кавказские монеты XIII века с несколькими оттисками штемпелей." Ориенталистика, 2(2): 288-298.

Базилевич Константин. 1936. Денежная реформа Алексея Михайловича и восстание в Москве в 1662 г. Москва-Ленинград: Издательство Академии наук СССР.

Джалаганиа Ирина. 1979. Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв. Тбилиси: Мецниереба.

Капанадзе Давид. 1961. Клад монет начала XI в. тбилисского эмира 'Али ибн Джа'фара. Эпиграфика Востока, XIV: 71-78.

Капанадзе Давид. 1970. "Комментарии". Пахомов Евгений. Монеты Грузии. Тбилиси: Мецниереба: 277-350.

Мельникова Алла. 1989. Русские монеты от Ивана Грозного до Петра Первого. Москва: Финансы и статистика.

Пагава Иракли. 2018. Нумизматическое прошлое Дагестана и Грузии. Эмиссии Грузинского царства в денежном обращении Кавказа и чеканка монеты в Аварии, чеканка монеты в Кубачи. Тбилиси: Артануджи.

Пахомов Евгений. 1926. Монетные клады Азербайджана и Закавказья. Труды о-ва обследования и изучения Азербайджана вып. 3. Баку: Издание Общества обследования и изучения Азербайджана.

Пахомов Евгений. 1970. Монеты Грузии. Тбилиси: Мецниереба.

Пахомов Евгений. 1969. "О технике чеканки медных монет в Закавказье в конце XII – начале XIII вв." Советская Археология, 3: 259-261.

Уздеников Василий. 1994. "История чеканки и обращения медных пятаков 1723-1730 гг.". Уздеников Василий. Монеты России XVIII – начала XX века. Очерки по нумизматике. Под редакцией доктора исторических наук А. С. Мельниковой). Москва: Мир отечества: 20-48.

Фомин Алексей. 1984. Обращение обломков куфических монет в Восточной Европе в X-начале XI в. Нумизматика и Эпиграфика, том XIV: 133-138.



მონარქი	უნასო ჭადვის მონეტები	ნასიარი ჭადვის მონეტები
დავით IV აღმაშენებელი	+	
დიმიტრი I	+ (5 ტიპის)	
დავით V		
გიორგი III	+	+ (2 ტიპის)
თამარი	+ დავით სოსლანთან ერთად	+ (2 ტიპის, აქედან 1 გიორგისთან ერთად)
გიორგი IV ლაშა	+ ჭავჭავთუფლის ტიტულით	+
რუსუდანი	+	დამლაგდა წინამორბედთა საფასეს

ცხრილი 1. XII-XIII სს. ქართველ მონარქთა უნასო და ნასიარი ჭადვის მონეტები



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3





სურ. 4



სურ. 5



**IRAKLI PAGHAVA**Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies  
Ilia State University,  
Georgia  
mesefi@gmail.com

## **ONCE AGAIN, ON THE VALUE OF THE IRREGULARLY STRUCK GEORGIAN AND CAUCASIAN COINS AND RUSUDAN'S MONETARY REFORM**

The aim of the paper is to put forward new arguments in order to revise the innovative opinions expressed in recent literature regarding the nature of irregularly struck Georgian (and regional) coins and Queen Rusudan's monetary reform. The analysis proves the correctness of Yevgeny Pakhomov's opinion: payment by irregularly struck copper coins was made based on their weight. It is unlikely that right after of her enthronement Rusudan already considered the monetary reform (prohibition of irregularly struck coins and their substitution exclusively by regular ones). In our opinion, the reform was caused by Jalal-Ad-Din's raids and his emission of irregular copper coins. The metrological "irregularity" of Rusudan's regularly struck coins must be connected with the urgent necessity of mass and quick emission of coins in Kutaisi.

**KEYWORDS:** irregular coins, regular coins, Queen Rusudan, Jalal-ad-Din, monetary reform.

**F**rom the period of occupation of Tbilisi by David the Builder through Rusudan's reign, Georgian coins form an integral part of "The Golden Age" in Georgian history. Coins represent the most significant source of information regarding the economic, political and cultural processes in the Kingdom of Georgia.

Georgian coins have been thoroughly studied. Recent discoveries are very significant from the viewpoint of typology: exclusively Arabic, mono-epigraphic money issued by David the Builder after the occupation of Tbilisi (Paghava 2012); and exclusively Arabic, mono-epigraphic money issued by Dimitri I (Turkia, Paghava 2009; Paghava, Turkia, Zlobin 2011). Yet, a complex study of the phenomenon of money of the united Georgian kingdom is impossible based solely on typology; it is also necessary to identify the conceptual features of contemporary Georgian (and regional) coins.

Conceptually, Georgian coins of the given epoch are divided into two categories. The chronological framework extends beyond the reign of any

specific Georgian monarch. The categories are: irregularly and regularly struck coins<sup>1</sup>. The concepts first introduced by an outstanding specialist in Georgian numismatics, Yevgeny Pakhomov, have been defined by the author as follows:

- *Irregularly struck coins* are formless pieces of copper bearing only a fragment of the regular (round) die imprint; these coins vary in size, form, and, especially, shape. It is highly probable that their value was defined by weight i.e. despite their number, they represented a certain value based on the entire weight of a certain multitude of coins (Pakhomov 1970, 75, 85);
- *Regularly struck coins* represented a certain value each. Besides, the form and size of the usually regular (circular) blanks corresponded to the round dies (Pakhomov 1970, 85).<sup>2</sup>

Some Georgian monarchs of the given epoch issued both types of coins, whereas others issued either regular or irregular ones – See Table 1.

Rusudan ceased to issue irregularly struck coins: In 1227 a new type of coins with the name of the Queen was issued. These were regularly struck coins. Since then, irregularly struck coins have not been issued in Georgia (Pakhomov 1970, 104-105); It seems, Queen Rusudan prohibited the irregularly struck coins, issued by her predecessors and considered legal means of payment even after the death of the issuer Georgian King (Paghava 2018, 83-84). Rusudan's reform must have been caused by Jalal ad-Din's invasion, who issued his own irregular coins in large amounts: re-struck the irregular coins of Georgian Kings that he had gained as trophies; probably also issued his coins from metal (Patsia, Paghava 2009, 42-46); they all circulated freely. By introducing regularly struck coins and prohibiting irregularly struck ones (issued by her predecessors as well as Jalal-ad-Din), Rusudan tried to banish Jalal ad-Din's money from the market. Jalal ad-Din had also issued regularly struck coins, but they were extremely rare (Patsia, Paghava 2009, 42-43). In this way, Rusudan desired to cause financial damage to the conqueror (Pakhomov 1970, 104-105; Paghava 2018, 85-86).

This concept, worked out by Yevgeny Pakhomov, is quite convincing.

---

1 We prefer to use the term "Striking" instead of "Cutting", due to the inscription on the coins issued by Tamar and Giorgi IV Lasha, where the term "Striking" is used (Paghava 2018, 56, 59).

2 Yevgeny Pakhomov also wrote that regular coins were distinguished from the irregular ones by design: regular coins "always" have figures and objects on them, while irregular ones have inscriptions distinguished by ornaments or lines (Pakhomov 1970, 85). According to Davit Kapanadze's correct opinion, Lasha Giorgi's so-called „Lord of Javakhs“ regular coin, which is mono-epigraphic, contradicts this assumption (Kapanadze 1970, 298); or, at least, represents a significant exception.

In our opinion, it perfectly corresponds to the preserved factual material (frequent discoveries of irregularly struck coins may point not only to intense emission, but also to the loss of their legal status, due to which the population no longer took care of such coins). Despite this, in recent scholarly literature, there have been attempts to revise Pakhomov's opinion. In this regard, mention should be made, on the one hand, of Alexander Akopyan and Yevgeny Goncharov's article, and, on the other hand, Maia Pataridze's work (Akopyan, Goncharov 2019, 291-292; Pataridze 2019, 57-58).

The above issue is so important for the Georgian numismatic history that we consider it our foremost task to analyze each and every opinion. We should note, however, that the arguments and conclusions of our respected colleagues do not convince us. Thus, the **aim** of the given paper is the so-called counter-revision of recent attempts to revise Yevgeny Pakhomov's concept.

\*

In the paper published in 2019, A. Akopyan and Y. Goncharov tried to prove that irregularly struck coins with several pairs of die imprints (the so-called double, triple, quadruple etc... so to say, multiple), represent a *multiple* denomination of coins with a single pair of die imprints. Their argumentation consists of several postulates (Akopyan, Goncharov 2019, 291-292):

1. Multiple coins (their blanks) are of diverse form, but never round (the authors' characteristic "a");
2. They have equal number of die imprints on both sides (Authors' characteristic "b");
3. „Almost always“ / „apart from certain rare exceptions“, the die imprints are strictly distributed among the front and back sides of the coin: obverse imprints on one side, and reverse imprints on the other side (authors' characteristic "c");
4. The necessity of emission of multiple nominals of copper Dirhams (the authors use this term to denote irregular coins<sup>1</sup>) is proved by a large amount of copper coins accumulated by the population and the absence of "more valuable" silver or gold coins ("отсутствие в обращении более дорогих монет из серебра или золота") [probably, coins of higher value - I.P.].

It seems, Georgian numismatist Maia Pataridze also shares this opinion; at least, she is inclined to agree with the above-mentioned scholars: „Just to raise the issue, I consider it probable that the denomination was

---

<sup>1</sup> We have discussed this issue in another article: whether, the term *Drama / Dirham* was used to denote regular or irregular copper coins (Paghava 2011, 323-328).

defined based on the number of dies [pairs of die imprints - I.P.<sup>1</sup>] namely, one denomination equaled one die [a double imprint of a pair of dies - I.P.]“ (Pataridze 2019, 58).

Our colleague brings the following arguments (Pataridze 2019, 58):

1. Neglect of weight in Rusudan’s regular coins („in regularly struck coins emitted by Rusudan, the weight is, to a certain extent, ignored. This makes us think that the weight did not represent a priority in irregularly struck coins either“);
2. Coincidence between the locations of die imprints on the front and back sides – “This rule is strictly preserved. This makes us think that each die [double die imprint - I.P.] is a denomination corresponding to one coin“ (this argument is similar to the above-mentioned Argument 2, expressed by Akopyan and Goncharov);
3. The simplicity of payment by irregularly struck coins without weighing – “in this way, it would be much easier to trade with this money than to identify the denomination by weighing at every payment.”

According to Maia Pataridze, “this assumption must be followed by further complex (interdisciplinary) research, in order to regard the issue as thoroughly studied“. Prior to such thorough analysis, the author simply expresses her “careful assumption“ (Pataridze 2019, 58).

Below we will discuss my colleagues’ arguments separately.

It is impossible to disagree with the argument of Alexander Akopyan and Yevgeny Goncharov, saying that multiple coins (Figure 1) or their blanks are characterized by diverse forms, but that they are never round (Akopyan, Goncharov 2019, 291-292). We will simply add that single irregular coins are sometimes also diverse in form (Figure 2); However, in certain cases, they are also round (Figure 3), but this is accidental and conditioned by the technology of producing the blanks (Pakhomov 1969). On the average, multiple coins are, naturally, bigger than single ones. The bigger the blank, the less the probability of achieving a round shape. Albeit multiple coins vary in shape and are far from being round, it is unclear why they shall represent a multiple denomination of the single ones? In our opinion, such conclusion is illogical.

We agree with Akopyan and Goncharov that multiple coins have equal number of die imprints on both sides (Akopyan, Goncharov 2019, 291-292); we also agree with Maia Pataridze in that the locations of obverse die imprints exactly coincides with reverse die imprints (Pataridze 2019, 58). This is natural due to the technology of producing multiple

---

1 The author uses the term “Die” to denote the imprint on a coin. The same term is used to denote metallic artefacts used to stamp the design of the coin on the blank. In order to avoid ambiguity, we use the term “die” in the second meaning, and the term “imprint” (*imprint on the front side/imprint on the back side of the coin*) to denote the first meaning.

coins – the blanks were placed on the lower die (technically speaking, the obverse) adjusted to the anvil. Over it was placed the upper (technically speaking, reverse) stamp, which was hit with a hammer. In case of a single coin, the process ended in this; in case of a multiple coin, the blanks was again placed on the lower die (slightly averted from the previous location of the blank<sup>1</sup>) and again struck with the upper die; in case of double coins, the process was repeated twice; in case of triple coins – thrice and so on. Thus, it is quite natural that multiple coins have an equal number of die imprints on both sides, and the location of die imprints is exactly the same on the front and back sides. Yet, even in this case, it is unclear why multiple coins should be considered multiple denominations of single ones. The equal amount of die imprints on both sides and their doubling (correspondence with each other) are facts related to the technical process. The reason for the process is not explained, hence, the question: why did multiple coins have more than one couple of die imprints? Thus, in my opinion, this is not a valid argument either.

Akopyan and Goncharov's another argument is that striking of the blanks was strictly controlled: "with rare exceptions", obverse dies were applied to one side of the coin, and reverse dies – to the other side; obverse die imprints are grouped at one side, whereas reverse die imprints – on the other side (Akopyan, Goncharov 2019, 291-292). This is not a valid argument. Even if it were true, due to the nature of the technological process described above, in case of repeated striking, it would be logical to think that a blank already struck with a die would not be reversed, and the second imprint of the obverse die would be made beside the first one, and vice versa. However, observation of the coins proves that, frequently, both front and back die imprints are found side by side on multiple coins. For instance, in Samshvilde hoard, there were only 9 double coins (1 issued by Giorgi III, 5 issued by Tamar and 3 issued by Giorgi IV) (Pataridze 2019, 70, 133, 136, 145, 175, 197, 240, 254, 284); out of these 9 coins, on 4 ones the front and back die imprints are side by side (Pataridze 2019, 133, 136, 145, 254). It is obvious that there was no strict control during the emission of double or multiple coins as to the location of die imprints. Thus, this argument is not valid either.

A. Akopyan and Y. Goncharov also add (what seems like another argument) that it was necessary to issue multiple denominations due to a large amount of copper coins (irregularly struck) among the population and the inexistence of coins of high value in circulation (Akopyan, Goncharov 2019, 292). In this regard, we must mention that in Georgia of the given epoch, there were coins of high value, if

---

<sup>1</sup> Besides, the distance - degree of averting – was varied: in case of multiple coins, stamps were often placed above each other. This was especially frequent in case of earlier multiple coins issued by Dimitri I and Giorgi III (Paghava, Bliadze, Chumburidze 2020, 27, 29-31).

not silver circulating some coins, at least gold ones (Dundua, Dundua 2006, 211-221). This satisfied the demand of the wealthy population on the coins of high denomination/value. There were also regularly struck copper coins in circulation (Paghava 2018, 78-79, 85). Besides, even if we assume that double, triple and quadruple coins were of double, triple, quadruple value correspondingly, this could not have been that beneficial for the population.<sup>1</sup> Besides, what is most important, existence of demand does not mean that this demand would be satisfied. For instance, in the Kingdom of Moscow, there was high demand on the money of high value, but, from Elena Glinskaya's reform of 1535-1538 until the reign of Peter I, the money of very low value was issued and used – silver Polushka, Denga and Kopeika (Melnikova 1989, 29-30, 199-204). The state failed to emit money of higher value, and the reform of 1654-1663 ended in failure (Bazilevich 1936). Thus, this argument is also invalid and cannot prove that multiple coins constituted a multiple denomination of single ones.

Maia Pataridze also argues (Pataridze 2019, 58): „If the weight of regularly struck coins issued by Queen Rusudan is, to a certain extent, neglected, can we think that weight would be a priority in irregularly struck coins?!“- it seems, the scholar assumes that the number of double die imprints was more important than weight. It is hard to answer why neglect of weight of *regularly struck coins* is a sign of lack of priority of weight *in irregularly struck coins*. We are speaking of two completely different coin categories – regularly struck coins and irregularly struck ones (another issue, concerning the neglect of weight in regularly struck coins issued by Rusudan, will be discussed separately below - vide infra). On the contrary, it is highly probable that the attitude to weight was different in case of these two categories of money.

According to our respected colleague, payment by irregular coins would be much easier if the value of separate coins were defined based on the number of pairs of die imprints (one pair of imprints = one denomination) instead of weight. This would help avoid the time-consuming process of weighing separate coins of a group of coins during payment (Pataridze 2019, 58). We should also take into account the fact that scales were not always available. However, “would be” does not always imply “was”. Let us explain: it has been proved that Georgian irregularly struck coins are a product of degradation of silver, billon or copper Dirhams issued in Tbilisi, occupied

---

1 Taking into account the economic situation in independent Georgia in 2020, we assume that an ordinary resident of the country does not care whether he/she has one GEL coin or two GEL coin, or, hypothetically, coins of three, four GEL value; for the national economy, it is significant to have units of money of higher value – the banknotes (or money made of some other material) of ten, twenty or hundred GEL value.



ამ სოფელში წესად ჰქონიათ, შვილი რომ შეეძინებოდათ, ვინმე გამოჩენილ, ჭკვიან, კეთილ ადამიანს ჩაუდებდნენ ჯიბეში ჩვილის ჭიპლარს და ბავშვიც მას ემსგავსებოდა. მაგრამ აირია ქვეყანა, თუკი ვინმე გონიერი და გულიანი იპოვეს, ან მოკლეს, ან გადაასახლეს. სოფელში კი ბავშვები მაინც იბადებოდნენ. საგონებელში ჩაცვივდნენ ახლადგაჩენილი საპყარისა და ბაყდარის მამები, აღარ იცოდნენ, რა ელონათ, ვისთვის ენდოთ ბიჭების დამსგავსება. ითათბირეს, ითათბირეს და ბოლოს გადაწყვიტეს, მძინარე დევს მიპარვოდნენ და თითო ჯიბეში თითო ჭიპლარი ჩაეცურებინათ.

„საშიში საქმეა ძალიან, დევი ხო კეთილია და ისედაც გაბრაზებულია, ეშმაკებმა რო ჩაიგდეს ხელში ქვეყანა, იშვიათადღა ჩნდება აქა-იქ. ცოტანილა დარჩნენ, მაგათაც რა ქნან, თორე დედას უტირებდნენ ეშმაკებს, თანაც ეშმაკური ხრიკებისა არაფერი გაეგებათ და ერიდებიან მაგათთან შეხვედრას. ეშინიათ, კაცო, თავს ზემოთ აღარც მაგათა აქვთ ძალა. ეშმაკების დროა. კეთილი კია, მაგრამ მაინც საშიშია მასთან შეხვედრა. [...] რა იცის იმან, კაცი ხარ თუ ეშმაკი ხარ? ახლა ხო ეშმაკებმა კაცების სახე მიიღეს და ისე დადიან. რა ქნას ამ საწყალმა დევმა, ველარ გაიგო, ვინ ეშმაკია, ვინ \_ კაცი“ (ჩოხელი 2016, 15).

კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, თუმცა დამოკიდებულების გასარკვევად ესეც კმარა. მწერალს ბოროტი სულებიც კი გაკეთილშობილებული ჰყავს თავის ნაწარმოებებში.

## ქადაგი

თ. ოჩიაურს, წიგნში „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან“, განხილული აქვს ქადაგის ინსტიტუტი. მკვლევრის დაკვირვებით, ქადაგი არც ბარისათვის ყოფილა უცხო, მაგრამ ძალიან განსხვავდებოდა მთის ქადაგისგან. ბარში ადამიანს რომ ღმერთი გაუნყრებოდა და „დაიჭერდა“, ის ეცემოდა ქადაგად (ოჩიაური თ., 1954), ესე იგი, ქადაგად ქცევა აქ სასჯელად, ღვთის რისხვად განიხილებოდა, მთაში კი „ქადაგი ერთგვარი შუამავალი იყო ღმერთსა და ხალხს შორის. ის აუწყებდა სამწყსოს: რა სიამოვნებდა ღმერთს, რა სწყინდა, რას მოითხოვდა მათგან, რით შეიძლებოდა ღმერთის კეთილგანწყობილების დამსახურება“ (ფანჯიკიძე 1986, 53).

„წითელ მგელში“ ლუკა იხსენებს ერთ-ერთ დღესასწაულს თავისი ბავშვობიდან. მოგონებაში აღწერილია ხატობა, სადაც (როგორც ხდება ხოლმე) შეზარხოშებული კაცები ჩხუბს ატეხენ. მათ დასაწყნარებლად ქალი ქადაგად ეცემა და ღვთისშვილის სახელით ემუქრება.

მთაში ქადაგისადმი რწმენა იმდენად დიდი იყო, რომ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებსაც კი, როგორც ომში წასვლა-წაუსვლელობა გახლდათ, ამ გზით წყვეტდნენ. ერთი გადმოცემის მიხედ-



ვით, ერეკლე მეფეს უსარგებლია მთიელთა ამ მიაშიტობით და თავი ღვთისშვილთა ძმობილად გამოუცხადებია. ამის შემდეგ, როცა კი საქვეყნო საქმე წყდებოდა, მეფე თავად შედიოდა სალოცავში, რჩებოდა იქ გარკვეული ხნით და გარეთ გამოსულს „ღვთისშვილებთან ნათათბირევი“ გადაწყვეტილება გამოჰქონდა.

„ერეკლეს აქ ყოფნა ხევსურებს დღესაც ახსოვთ. გადმოცემით, ერეკლე გუდანში მისულა, გზად ღულის ვაკეზე გაუვლია და აქ შეუსვენია ორი მუხის ქვეშ, რომელსაც ახლაც უჩვენებენ. გუდანში ერეკლე ხატში შესულა და უთქვამს: მე გუდანის-ჯვრის მოძმე ვარო. ამიტომ ერეკლე თურმე თავისუფლად შედიოდა ხატის დარბაზში, სადაც სხვას შესვლა ეკრძალებოდა. დარბაზში ერეკლე ხმამაღლა დაიწყებდა ლაპარაკსო, ვითომც გუდანის-ჯვარს ესაუბრებოდაო. შემდეგ მეფე დარბაზიდან გამოდიოდა და ხევსურებს ამცნობდა გუდანის-ჯვრის ბრძანებას ლაშქრობის შესახებო. ხევსებრები მაშინვე აიღებდნენ გუდანის-[ჯვრის] დროშას და სალაშქროდ ქუდბეკაცი გადიოდაო“ (მაკალათია 1984, 37).

ქადაგის ინსტიტუტის ნამდვილობის რწმენა შემდგომაც დიდხანს გამოჰყვა მთიელთა ცნობიერებას.

### დასკვა

ქართველთა უძველესი სარწმუნოების კვალი მთებში დღემდეა შემორჩენილი. შესაბამისად, იგი აისახა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაშიც, რადგან მწერალი გაიზარდა და მსოფლმხედველობრივად ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, გუდამაყარში. სტატიაში შეძლებისდაგვარად განვიხილეთ იმ უძველესი სარწმუნოების რაობა და მისი გამოვლინება ჩოხელის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. შევეხეთ მორიგე ღმერთის, ღვთისშვილების, ადგილის დედის, ავი სულების, ქადაგის ცნებებს და მათთან კავშირში ავხსენით მონაკვეთები რამდენიმე ნაწარმოებიდან: „ღმერთის შვილები“, „დევების ნასოფლარი“, „ხთიშვილი“, „მგელი“, „მღვდლის ცოდვა“ და სხვა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წინამდებარე სტატია მიზნად არ ისახავს მწერლის ქრისტიანობაში ეჭვის შეტანას. გოდერძი ჩოხელი ჩვენამდე მოღწეული ტრადიციებისა და რწმენა-წარმოდგენების შენახვა-გადარჩენის მსურველად გვესახება მხოლოდ.





## დამონელებანი

ბაგრატიონი, ვ. 1842. აღწერა საქართველოსა, სანკტ-პეტერბურგი: რუსეთის საიმპერატორო აკადემიის გამოცემა;

ვაჟა-ფშაველა, 1937. ეთნოგრაფიული წერილები, თბილისი: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა;

იარაჯული, ლ. 2017. სამყაროს მხატვრულ-ესთეტიკური საზრისი გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში, დისერტაცია, თელავი;

მაკალათია, ს. 1984. ხევსურეთი, თბილისი: გამომც. „ნაკადული“;

ოჩიაური, ალ. 1993. ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი, თბილისი: გამომც. „მეცნიერება“;

ოჩიაური, თ. 1954. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა;

ფანჯიკიძე, თ. 1986. რელიგიურ რწმენათა კვალდაკვალ, თბილისი: გამომც. „ნაკადული“;

ქართული მითოლოგია 1992. შეადგინა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო აპოლონ ცანავამ, თბილისი: გამომც. „მერანი“;

ჩოხელი, გ. 2011. თხზულებები, ტ. IV, თბილისი: გამომც. საქართველოს მაცნე;

ჩოხელი, გ. 2012. თხზულებები, ტ. V, თბილისი: გამომც. საქართველოს მაცნე;

ჩოხელი, გ. 2013. ბინდისფერი ხეობიდან ცამდე, თბილისი: გრიგოლ ხანძთელის სახელობის ფონდი;

ჩოხელი, გ. 2016. მოთხრობები, თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“;

ჯავახიშვილი, ივ. 1960. ქართველი ერის ისტორია, ტ. I, წიგნი პირველი, მეხუთე გამოცემა, თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;

ჯალაბაძე, ნ. 1986. ღვთაება „ადგილის დედის“ ბუნებისათვის, კრ. რელიგიისა და ათეიზმის ისტორიიდან საქართველოში (გვ. 62-66), თბილისი: გამომც. „მეცნიერება“;

**NINO NAZGAIDZE**Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Georgia  
nazgaidze1993@yahoo.com

## **ANCIENT GEORGIAN RELIGIOUS BELIEFS IN GODERDZI CHOKHELI'S WORKS**

The paper focuses on the ancient Georgian religious beliefs and their reflection in Goderdzi Chokheli's literary works. The analysis embraces the concepts of the Supreme Creator, Children of God, Mother of the place, evil spirits and preachers. Based on these concepts, the paper analyzes the following literary works: „The Priest's Sin“, „The Red Wolf“, „The Abandoned Village of the Giants“, „Child of God“, „God's Children“ etc. The paper focuses on Goderdzi Chokheli's attitudes to the traditions and customs preserved in the highlands of Eastern Georgia.

**KEYWORDS:** ancient Georgian religious beliefs, the Creator, children of God, evil spirits, Goderdzi Chokheli.

Mythology helps identify religious beliefs, world vision and attitudes of a certain nation. Goderdzi Chokheli's literary works are full of Georgian mythology, namely, old stories and legends widespread in Eastern Georgian highlands. The writer himself was brought up in this environment and was greatly influenced by its world vision. In certain cases, the reader has the impression that the writer not only describes the legends and myths of his region, but takes pride in them. In my opinion, Goderdzi Chokheli merely wants to remind the reader of the religious beliefs and customs of his native region, because this treasure belongs to each Georgian person. All of us should remember, restore and perceive the treasure we possess. The writer notes: "It is my wish to preserve the customs of our ancestors, our shrines, marriage rituals, local knitting styles and, in fact, all that our ancestors have left to us" (Chokheli 2012, 43).

Alongside with Christianity, Georgian highlanders have preserved ancient religious beliefs. Although many things have changed, it is possible to restore and identify these beliefs to a certain extent. The paper analyzes the essence of these ancient beliefs and their reflection in Goderdzi Chokheli's works.

### **THE CREATOR**

According to ancient Georgian belief, the world was created by a supreme deity, who laid down the rules and order. The concept of the creator is found in other Kartvelian languages (Svan „დამბადებელ ხომბა

ღერმეთ“ (God who has given birth), Megrelian „გამრჩეინალი დიდ(ი) ღორონთ“ (Great God who has given birth). This means that the idea of the Creator existed in Kartvelian tribes prior to the separation of the common, proto-Kartvelian language.

There are written sources proving the monotheism of Kartvelian tribes. In the introduction (with the title: “Georgian Rites and Customs”) to a well-known scholarly work “Description of Georgia”, Prince Vakhushti writes:

“They worshipped one Creator [...] The people were trustworthy, showed a common front to the enemy, courageously fought for their freedom and rights, and stood firm. [...] Later, they forgot their Creator and started worshipping the Sun, the Moon, the stars, objects and animals. [...] They forgot God who had created them, neglected the rites and customs, and became more savage than pagans“ (Bagrationi 1842, 6).

The quotation above speaks about the spreading of ancient oriental religious philosophy, which initially consisted in the worship of heavenly bodies and, later, turned into idolatry. In the period prior to the adoption of Christianity, the population of Kartli worshipped Fire. Yet, none of the above-mentioned religions became widespread in the highlands.

## CHILDREN OF GOD

God gave birth to his children and ordered them to protect and take care of the place. According to the highlanders, God’s children are: Great Lomisa – the patron of the Ksani and Aragvi gorges; The Angel of Khada Mountain – protector of Khada; The Angel of Gzovanis Tsveri – protector of Tskhavati; The Deity of Dumatskho – the protector of Gudamakari; Pirmuze – the Protector of the Tsiklauri and Bekauri families and their kin; Bermukha Angel (Lashari Cross) – the Protector of Pshavi; Prince of Tskarostavi – the protector of the back side of Pshavi; Pirkushi (Gloomy)– the protector of Akhadi community; Kopala (Hero, Battle-Whip Holder) – Protector of the Udzilauri community; Iakhsari (Carefree) – the Protector of Kistauri community; Pirtsetskhli (Fire-Mouth) – the Protector of Tchicho community; Berbaadur (Gudani Cross) – Protector of the Samogandzuro community; Nakharela – Protector of the Chincharauli clan; Khmala (Sword-Man) -The Protector of the Likoki community; Mountain Veshagi – the Protector of the Arkhoti community; Naghvarmshvenieri – the Protector of the Kakhmati community; The Angel of Tsiraseb Tsveri – the Protector of Chokhi, and so on.

Each community had its own protector who established divine order and law. The Children of God have different origins. According to popular beliefs, some of them were initially human beings and later turned into God’s children. Others were directly sent from Heaven (and landed on Gergeti mountain). „The Children of God were initially men. They were innocent and full of grace. When they died, God transformed them into Angels and deities“ (Vazha-Pshavela 1937, 131). According to another myth, the Creator sent his children from heaven and they landed on Gergeti mountain. At that time, the country was occupied by Giants who oppressed ordinary people („Georgian Mythology“, 1992). According to A. Ochiauri, people

settled in the mountains only after God's Children had killed the Giants and Idols reigning in the highlands (Ochiauri, 1993). "Currently nobody knows the residence of God's Children. Probably, having killed the Giants, they rose to Heaven again. Maybe they are still on the Earth and reside in the same hall where the savior-baby lies in his Gold Cradle" (Chokheli 2011, 15-16).

With the introduction of Christianity, the majority of God's children were identified with Saint George. This has its reasons: God's children, Georgian deities, were warriors. St. George was also a warrior. Thus, the old faith adopted the Christian saint whom it considered closer.

According to academician Ivane Javakhishvili, the ancient deity of the Moon was also identified with St. George. Comparing the ancient author – Strabo – to a contemporary holiday, Javakhishvili concludes that „Saint George has replaced the main pagan Georgian deity – the Moon“ (Javakhishvili 1960, 50). It should be noted that Strabo describes Alban rituals of moon worshipping, whereas Ivane Javakhishvili found the remnants of this ritual in the holiday of White George still preserved in Kakheti. According to Javakhishvili, for Georgians, the Moon is of male gender. This can be proved by folk poetry:

„The shining Moon said:  
I am much better than the Sun.  
It sat down and wrote books;  
East wind took them away.  
When the Sun learnt this,  
She got very angry:  
"I am a sister, and he is a brother,  
Why must we hate each other?!" (Javakhishvili 1960, 58).

Also compare a Megrelian verse:

"The Sun is my Mother,  
The Moon is my Father,  
And the myriads of stars  
Are my sisters and brothers" (Javakhishvili 1960, 59).

„The Moon was the chief deity of the Assyrians and Sabians. It was called "Sin" and was considered the ruler of the world. It should be underlined that these people also regarded the Moon as a deity of male gender" (Javakhishvili 1960, 60).

According to Georgian religious belief, the Creator has an especially beloved child who has his tent in God's court. This is the ruler of the land - Kviria. Javakhishvili considers that this deity is analogous to the Greek Cronos. According to Pshav-Khevsurian belief, the Creator resides in the seventh sky, whereas Kviria is the protector of fertility. In order to prove this fact, Javakhishvili recalls the Svan tradition of Murkvamoba: „According to Oniani, on Murkvamoba day, eight rituals are performed: the first is „Adrekilai“, the second is „Meliai Tulepiai“, the third is „Kviriai“ [...] (Java-

khishvili 1960, 64). After detailed description and explanation of the tradition, Javakhishvili concludes: “Murkvamoba must be a remnant of the holiday dedicated to the deity “Kviriai” – the protector of sexual love and fertility“ (Javakhishvili 1960, 70).

As it was mentioned above, an ordinary man could become God’s child. Some of God’s children were initially humans and turned into deities later (for instance, there is a legend saying that Kopala was initially a man and later turned into a deity. When he was a child, Giants caught him and his mother. The Giants ate his mother, but let Kopala grow up. When Kopala grew up, he escaped from the castle of the Giants. God heard his prayers and gave him enormous strength to kill the Giants. According to some versions, God gave Kopala a fire-shooting whip. According to other versions, Kopala made this whip himself. Kopala killed most of the Giants. Some of them turned into spirits.

Pirkushi (Gloomy) also was a man, a Khevsurian blacksmith. Women adored him, but he preserved purity and did not love any of the women. God sent him a disease that affected his mouth. Later, he turned into God’s child.

One of Goderdzi Chokheli’s outstanding works is “God’s Child“. The birth of the main character reflects the writer’s autobiography. Zosime is born far from his village, because the village is considered sacred and giving birth is prohibited there. The child has a special gift: if he touches a candle, he flies to the sky. The parents try prevent this fact, but, during a holiday, Zosime gets lost. The boy gets hold of lit candles, gradually rises up to the sky and disappears from sight. The people gather candles and the priest says a prayer:

„Glory to God!  
Glory to the name of God!  
Glory and Gratitude to God

For giving us, sinful people, a deity – God’s child [...]“ (Chokheli 2013, 446-7). In some cases, a human being aspires to become God’s child, but returns to ordinary life after a failure. Chokheli’s “Resurrected Dead“ contains a myth about Gakhua Megrelauri’s relationships with God’s children. Gakhua left his body and went to a battle together with deities. When he returned, he found his body decayed. The soul did not want to return into the body, but the deities forced him to do so. Why did the deities humiliate this extraordinary person? According to L. Iarajuli, the deities decided to return Gakhua back into his body because he wanted to become a deity too soon, without having deserved it (Iarajuli, 2017).

According to highlanders, Khogai’s Mindia also used to leave his body and, having turned into a spirit, accompanied deities in their battles.

## MOTHER OF THE PLACE

In the footnote of the article “On the Nature of the Deity called “Mother of the Place“, N. Jalabadze writes: “We share the opinion that, in Pshavi



and Khevsureti, the shrines of “Mother of the Place”, “Virgin Mother of the Place” and “Holy Virgin” (rarely, shrines with slightly different names) are identical worship places“ (Jalabadze 1986, 62). „Virgin Mother of the Place” is a concept that unites old and new religions. A female deity, protector of a concrete territory, has been replaced by Virgin Mary. Mother of the Place is a second important shrine, where people pray for good crops, family welfare and propagation of cattle. According to Jalabadze, the main function of the deity was to bestow fertility. The scholar proves this assumption by the fact that the Mother of the Place appears in front of preachers and fortune-tellers in the form of a serpent, and in world mythology the serpent is an attribute of deities of fertility.

According to Khevsurians, Mother of the Place is a tall, thin woman, dressed in black, wearing a cross and jewels (A. Ochauri, 1993). Jewels are also attributes of deities of fertility. In “The Priest’s Sin”, Chokheli describes the rule of granting oneself to Mother of the Place. One of the main characters of this novel, Nadira, spends the night in a cave. He addresses Mother of the Place: „- Mother of the Place! May you be carefree and adorned among the angels. I grant myself to your mercy tonight. Protect me and help me, blessed one!” (Chokheli 2011, 481). If a highlander had to spend the night outside, he granted himself to the mercy of Mother of the Place. They believed that each place had its patron who protected guests from danger. Therefore, highlanders never caused any damage to sleeping people, even if they were their enemies. It was considered that causing harm to people who were asleep was unmanly. Besides, such action would enrage Mother of the Place and she would take revenge. According to a well-known story, in Khevsureti there is a shrine worshipped by the people of one clan. The legend says that one of their ancestors had killed a sleeping Chechen in this place, because the Chechen had stolen his cattle. After this murder, the family suffered from great misfortunes. Later, they consulted a fortune-teller who said that the sufferings were caused by the revenge of Mother of the Place, because the Chechen had asked her protection before going to sleep.

## EVIL SPIRITS

According to ancient Georgian beliefs, God’s children “broke down the castles of evil spirits” and “gained victory over Giants and Idols”. This means that they fought with evil spirits and gained victory over them, while human beings accompanied and supported them in these struggles. The main religious and moral requirements were: truth, faithfulness and courage. If a person was fearful, evil spirits would overcome and enslave him. Thus, fear was considered an unforgivable sin, because fear misled human beings and made them commit sinful acts contaminating their soul. These beliefs are vividly described in Vazha-Pshavela’s poem “Bakhtrioni” in which a mother refuses to mourn over a son who has fled from the battlefield and later committed suicide because of this disgrace.

Ancient Georgian religious beliefs make no mention of the devil. Instead, there are numerous evil spirits: Ali, Kaji, Majlajuna, Tchinka, Tkash-

mafi (evil spirit of forest), Tskarishmapi (evil spirit of water), Macaceli, Mazakvali, Dev etc. All these spirits tempt ordinary people, but always fail to tempt God's Children. Sometimes they also fail to tempt ordinary men, if the latter are courageous. Within the framework of one paper, it is impossible to describe each of the evil spirits and discuss related legends. Therefore, I will just focus on those evil spirits which are mentioned in Goderdzi Chokheli's works and try to identify the connections between mythology and the author's vision.

In the novel "The Red Wolf", Goderdzi Chokheli describes the kingdom of evil – the residence of wolves - Doraiskhevi. According to scholars, the writer had implied the Soviet Empire under this abyss. The rules and regulations described in this novel precisely coincide with those of the Soviet Union. According to Georgian religious beliefs, a wolf is a symbol of evil. This must be due to the influence of Christianity. Yet, I will discuss this issue later on. I will just note that, according to old religion, ravines and abysses were considered realms of evil spirits. Therefore, highlanders are still afraid to walk in such places at night.

In the same novel, the author speaks about Ali. In Georgian mythology, Ali is a beautiful woman that tempts young men. Her feet are reversed backwards. In general, this feature is common for all evil spirits. The word „Ukughmarti“ is derived from the same root, as „Ukughma“ means backwards. In the novel, Ali falls in love with a courageous fellow named Jarji and assists him in his troubles. According to the law, the young man must swear that he will not tell anyone what he has seen. However, he reveals the secret and perishes. This is the law of the myths, and the same happens in the novel.

According to old Georgian beliefs, a Dev is a strong, hairy, slightly foolish giant. He usually wrestles with people and even eats them. However, if a man is brave, and if he mentions God's Child, the Dev is defeated. In general, none of the evil spirits wins over a brave man. That is why the old religion demanded people to be courageous.

Dev appears in numerous works by Chokheli. Strangely enough, this unpleasant creature arouses positive emotions in the reader. In "The Abandoned Village of the Devs", the writer describes these creatures and notes: „A Dev is not a devil. A Dev is not as cruel as the devil. A Dev is big and hairy. It can disappear like devil. Therefore, the people of Gudamakari confused Devs with devils. However, some Devs were kind, they got accustomed to certain families and even assisted them in agricultural works. The housewives put food for the Devs in the corner, and the Devs ate the food. Yet, at night, when devils, Ali and Kaji walk around, it is hard to understand why one comes across a Dev“ (Chokheli 2013, 387-8).

In a story called "God's Children", Chokheli again mentions a Dev which arouses positive emotions in the reader. The story starts with a legend: long time ago, God spent the night in a village. When He was leaving, He told the villagers: "My children! My spirit is present in all of you. But the Devil tries to take you away from me. He struggles with me in this way. So, be kind, and don't sell your soul to the Devil" (Chokheli 2016, 13). Since that day, the villagers are referred to as God's Children. The writer adds:

“Maybe this is not just one village. Maybe, in old times, the entire earth was called a village, and God was with the people. All of us are God’s children, aren’t we?” (ibid).

There was a ritual in this village: when a child was born, the parents would put the child’s umbilical cord into the pocket of some clever and generous person, and the child would take after this person. Later, things changed: all the clever and generous people were killed or exiled. Yet, the children were born in the village, and the local residents were in despair. They did not know whom their children would resemble. They counselled for a long time and decided to put the umbilical cords into Devs’ pockets.

„It is dangerous. Devs are kind-hearted, but they are angry because the village is occupied by devils. So, the Devs are scarce and appear very seldom. They are unaware of devil’s tricks and avoid meeting them. They are afraid of devils. Yes, Devs are kind-hearted, but it is dangerous to meet them. [...] They cannot distinguish men from devils, because nowadays devils appear in the form of human beings“ (Chokheli 2016, 15).

Numerous other examples can be brought, but, in my opinion, the above-mentioned is a sufficient proof of Chokheli’s attitude to evil spirits: the writer has made them generous in his stories and novels.

## PREACHER

In the book “The Ancient Religion of Georgians”, T. Ochiauri describes preachers. According to the scholar, the preachers of the lowlands differed from those of the highlands. In the lowlands, preachers were people punished by God (Ochiauri, 1954), i.e. preaching was a punishment sent by God. In the highlands “preachers were intermediaries between God and people. The preachers explained to the parish what God liked and what He disliked, what he demanded from people and how people could win His favour“ (Panjikidze 1986, 53).

The main character of “The Red Wolf“, Luka, recalls a religious celebration where drunken men started to fight. In order to set them apart, one woman started preaching and threatened the men in the name of God’s children.

The highlanders trusted the preachers and asked their advice on military and other issues. According to a legend, King Erekle took advantage of the highlander’s belief and declared himself a friend of God’s children. Since this fact, whenever a matter of State importance was discussed, the King went into a shrine, stayed there for a while and, as he came out, he declared “the decision of God’s children”.

„Khevsurians still remember Erekle’s visit to Gudani. On his way, he passed Ghuli valley and rested under two oak trees. These trees are still a local relic. In Gudani, Erekle went into a shrine and said: I am a friend of Gudani Cross. Therefore, he freely went into the shrine, which was a prohibited place for ordinary people. In the shrine, Erekle started talking loudly, as if speaking to Gudani Cross. Then the King left the shrine and told the Khevsurians what Gudani Cross had advised concerning the battle. The priests immediately got hold of Gudani (cross) banner and gath-

ered all the men for the coming struggle“ (Makalatia 1984, 37).

The belief in the preachers was widespread among the highlanders for a long time.

## CONCLUSION


Traces of ancient Georgian religious beliefs are still present in the highlands. Ancient beliefs were reflected in Chokheli's literary works, because the writer grew up in the highlands of Eastern Georgia, namely, in Gudamakari. The paper focused on the essence of ancient Georgian religion and its reflection in Goderdzi Chokheli's literary heritage. The paper described the concepts of the Creator, God's Children, Mother of the Place, evil spirits and preachers. In this regard, the paper has analyzed fragments from Chokheli's works: "God's Children", "The Abandoned Village of the Devs", "God's Child", "The Red Wolf", "The Priest's Sin" and others. It should be underlined that the given paper does not express any doubts regarding the writer's Christian faith. The writer was a genuine Christian. His aim was to preserve old traditions and religious beliefs of Eastern Georgian highlanders.

## REFERENCES

- Bagrationi V. 1842. Description of Georgia. Saint Petersburg. Russian Royal Academy Publishing House;
- Vazha-Pshavela, 1937. Ethnographic Papers. Tbilisi. Publishing House of the Georgian Branch of the USSR Academy of Sciences;
- Iarajuli L. 2017. The Creative-Aesthetic Essence of the Universe in Goderdzi Chokheli's Works, PhD Thesis. Telavi;
- Makalatia S. 1984. Khevsureti. Tbilisi. "Nakaduli" Publishing House;
- Ochiauri A. 1993. The Calendar of Georgian Folk Holidays, Khevsureti. Tbilisi. "Metsniereba" Publishing House;
- Ochiauri T. 1954. The History of Ancient Georgian Religion. Tbilisi. Publishing House of the Georgian Academy of Sciences;
- Panjikidze T. 1986. On Religious Beliefs. Tbilisi: "Nakaduli" publishing house;
- Georgian Mythology 1992. Compiled and commented by Apolon Tsaava. Tbilisi "Merani" Publishing House;

- Chokheli G. 2011. Works, volume IV, Tbilisi. "Sakartvelos Matsne" publishing house;
- Chokheli G. 2012. Works, volume V, Tbilisi. "Sakartvelos Matsne" publishing house;
- Chokheli G. 2013. From Twilight-Coloured Gorge to the Sky. Tbilisi: Grigol Khandz-teli Foundation;
- Chokheli G. 2016. Stories. Tbilisi. „Palitra L“ Publishing House;
- Javakhishvili I. 1960. The History of the Georgian Nation, v. I, Book One, fifth edition. Tbilisi. Tbilisi State University Publishing House;
- Jalabadze N. 1986. On the Nature of the Deity "Mother of the Place", in the collection of papers: On the History of Religion and Atheism in Georgia (pages 62-66), Tbilisi. "Metsniereba" Publishing House.





**მაკა ხუციშვილი**

ვარშავის უნივერსიტეტი  
პოლონეთი

m.khutsishvili@student.uw.edu.pl

## საქართველოში პოლონური დიასპორის უცნობი ისტორია

მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნეში ცარიზმის წინააღმდეგ აჯანყებების მონაწილე პოლონელი დიდგვაროვნები და ინტელიგენცია საქართველოში გადაასახლეს. ცარიტული რეჟიმის ხელმძღვანელობა კავკასიას დასჯის ადგილად იყენებდა. საქართველოში ემიგრირებული პოლონელი დევნილები კავკასიას „თბილ ციმბირს“ უწოდებდნენ. თუმცა პოლონელები საქართველოში ნებაყოფლობითაც ჩამოდიოდნენ და სახლდებოდნენ.

პოლონურ თემში იყვნენ განათლებული ადამიანები, მათ შორის, მხატვრები კირილე და ილია ზდანევიჩები, ზიგმუნტ ვალიშევსკი, ილია ზანკოვსკი, მიკოლაი სკლიფოსოვსკი, მხატვარი და არქიტექტორი ჰენრიკ ხრინევსკი, არქიტექტორი ალექსანდრ შიმკევიჩი, ნატურალისტები ლუდვიკ მლოკოსევიჩი, ვლადისლავ ბაგრინოვსკი, მწერლები ვოიჩეკ პოტოცკი, კაზიმირ ლაპჩინსკი, ოპერის მომღერალი, სოპრანო, მელანია ვოლ-ლევიცკა და სხვ.

სტატიაში ნაჩვენებია უცნობი ისტორია პოლონელების შესახებ, რომლებიც ორი ასეული წლის განმავლობაში, სხვადასხვა დროსა და გარემოებებში, მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ საქართველოს ცხოვრებაში. ეს ისტორია დღესაც გრძელდება.

**საკვანძო სიტყვები:** პოლონური სათვისტომო; ევროპული კულტურა

კავკასია ყოველთვის იყო სხვადასხვა კულტურისა და ეთნიკური ჯგუფის თანაარსებობისა და შეხვედრის ადგილი. მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნეში ცარიზმის წინააღმდეგ აჯანყებების მონაწილე პოლონელი დიდგვაროვნები და ინტელიგენცია საქართველოში გადაასახლეს. ცარიტული რეჟიმის ხელმძღვანელობა კავკასიას დასჯის ადგილად იყენებდა. საქართველოში ემიგრირებული პოლონელი დევნილები კავკასიას

„თბილ ციმბირს“ უწოდებდნენ. თუმცა პოლონელები საქართველოში ნებაყოფლობითაც ჩამოდიოდნენ და სახლდებოდნენ.

პოლონურ თემში იყვნენ განათლებული ადამიანები, მათ შორის, მხატვრები კირილე და ილია ზდანევიჩები, ზიგმუნტ ვალიშევსკი, ილია ზანკოვსკი, მიკოლაი სკლიფოსოვსკი, მხატვარი და არქიტექტორი ჰენრიკ ხრინევსკი, არქიტექტორი ალექსანდრ შიშკევიჩი, ნატურალისტები ლუდვიკ მლოკოსევიჩი, ვლადისლავ ბაგრინოვსკი, მწერლები ვოიჩეკ პოტოცკი, კაზიმირ ლაპჩინსკი, ოპერის მომღერალი, სოპრანო, მელანია ვოლ-ლევიცკა და სხვ. მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული კულტურის განვითარებაში. რამდენიმე მათგანი სტალინური ტერორის მსხვერპლი გახდა. სამწუხაროდ, მსხვერპლთა სახელები დავიწყებას მიეცა.

სტატიაში გაშუქებულია, ორი საუკუნის განმავლობაში პოლონური თემის წარმომადგენელთა მოღვაწეობა.

პოლონელ მწერალთა ჯგუფი ნაყოფიერად მოღვაწეობა თბილისში, რომელიც მთელი რეგიონის კულტურული ცენტრი იყო. პოლონური საზოგადოება 1863 წელს პირველად გაეცნო ქართულ შედევრს, როდესაც კაზიმირ ლაპჩინსკის (1823-1892)<sup>1</sup> მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ პოლონური პროზაული ვერსია ლიტერატურულ გაზეთში „ვარშავის ბიბლიოთეკა“ გამოქვეყნდა.

საქართველოში მცხოვრებ მწერალთა ნაწილი ცარისტულ ადმინისტრაციულ ორგანოებსა და ელიტურ ქართულ ოჯახებში ბავშვების პედაგოგად მუშაობდა, მათ შორის, ვოიჩეკ პოტოცკი (1801-18??) მიხეილ ვორონცოვის, 1844-1854 წლებში კავკასიაში მეფისნაცვლის, მრჩეველი იყო. გარდა ამისა, პოტოცკი დავით დადიანის, სამეგრელოს მთავრის, შვილების აღმზრდელადაც მუშაობდა. პოტოცკი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში საჯარო ბიბლიოთეკის დაარსებაში. აღსანიშნავია, რომ პირველი წიგნი, რომელიც ბიბლიოთეკაში დარეგისტრირდა, ვოიჩეკ პოტოცკის საჩუქარი იყო. მრავალი წიგნი გადასცა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას,<sup>2</sup> ტადეუშ ლადა-ზაბლოცკიმ (1811-1847).

საქართველოში ცხოვრობდნენ ნატურალისტები - ლუდვიკ მლოკოსევიჩი და ვლადისლავ ბაგრინოვსკი. პოლონელმა ბოტანიკოსმა ლუდვიკ მლოკოსევიჩმა (1831-1909) დააარსა ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი (აღმოსავლეთ საქართველო). დღეს ეს ნაკრძალი საქართველოში უმნიშვნელოვანესი ადგილია როგორც უცხოელი სტუმრებისთვის, ისე ადგილობრივებისთვის. 1840-იან წლებში პოლონელ ფარმაცევტს, ვლადისლავ ბაგრინოვსკის, სოხუმში მოჰყავდა სამედიცინო მცენარეები. სულ მალე, ზუსტად იქ, სადაც

1 ვარშავის ბიბლიოთეკა, *Skóra Tygrysia*, კაზიმირ ლაპჩინსკი, 1863, ტომი 4, გვ. 1-38.

2 ჰენრიკა იუსტინსკა, *Polscy artyści w Gruzji (პოლონელი მხატვრები საქართველოში)*, თბილისი, 2006, გვ. 8.

ბაგრინოვსკი მცენარეების კულტივაციას აწარმოებდა, სოხუმის ბოტანიკური ბაღი გაშენდა, რომლის პირველი დირექტორიც თვითონ გახდა.

ქართულ-პოლონურ ურთიერთობებში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ პოლონელ არქიტექტორებს. საქართველოში პოლონელმა არქიტექტორებმა და ინჟინრებმა დააპროექტეს თეატრები, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, სასამართლოები, თავადებისა და ეგზარქოსების სასახლეები, ააშენეს საგზაო ინფრასტრუქტურა.

მათ შორის, ყველაზე ცნობილი იყო ალექსანდრ შიმკევიჩი (1858-1908). თბილისის ევროპული იერსახის შექმნაში მას დიდი წვლილი მიუძღვის. შიმკევიჩმა დააპროექტა მრავალი შენობა: თბილისის კონსერვატორია, რუსთაველის აკადემიური თეატრი (კორნელ ტატიშჩევთან ერთად), აბრეშუმის მუზეუმი, თბილისის უზენაესი სასამართლო, ქუთაისის სასამართლო და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები.<sup>1</sup>

მეორე პოლონელმა არქიტექტორმა - ალექსანდ სტანისლავ როგოისკიმ (18?? -1912) დააპროექტა თბილისის მართმადიდებლური საღვთისმეტყველო სემინარია, კავკასიის ოფიცერთა ეკონომიკური საზოგადოების შტაბბინა (დღეს თბილისი ბანკის სათავო ოფისი), ბათუმის რომაელ-კათოლიკეთა ეკლესია. როგოისკიმ ასევე დაასრულა პრინც ოლდენბურგის სასახლე (დღეს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი).<sup>2</sup>

თბილისის ცენტრში მომხიბლავი შენობა, რომელიც ცნობილია, როგორც ალექსანდრე მელიქ-აზარიანცის სახლი, ასევე პოლონელი არქიტექტორის, მიკოლაი ობლონსკის, დაპროექტებულია.

სახალხო სახლის შენობის პროექტი, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში აშენდა და დღეს მარჯანიშვილის აკადემიური დრამატული თეატრია, პოლონელ არქიტექტორს სტეფან კრიჩინსკის ეკუთვნის.

სტეფან კრიჩინსკი იყო პოლონური წარმოშობის არქიტექტორი და მხატვარი. დაიბადა ქუთაისში, პოლონელი დიდგვაროვანი ემიგრანტების ოჯახში. განათლება მიიღო ფლორენციასა და კარლსრუეში, გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა საფრანგეთში. კარგად იცოდა ქართული არქიტექტურა და ხელოვნება, რომელიც აისახა როგორც მის პროექტებში, ისე ნახატებში.

ჰენრიკ ხრინევსკიმ, არქიტექტორ ანატოლი კალგინთან ერთად, დააპროექტა საქართველოს ბანკის შენობა და მოხატა მისი კედლები (დღეს ეროვნული ბიბლიოთეკა), აგრეთვე, ნაწილობრივ მოხატა ქაშუეთის ტაძარი თბილისის ცენტრში. ნამუშევრები შთამბეჭ-

1 იანუშ ოპასკა, *Działalność Polskich architektów w Tbilisi w XIX i początkach XX wieku*, გვ.12, <http://journals.pan.pl/dlibra/publication/101433/edition/87482/content/dzialalnosc-polskich-architektow-w-tbilisi-w-xix-i-początkach-xx-wieku-opaska-janusz?language=en>

2 იქვე, გვ. 15-18.

დავია და მნახველს აღაფრთოვანებს. ხრინევსკი იყო თანაავტორი დამოუკიდებელი საქართველოს დროებითი ფულადი ერთეულის, ბონის, პროექტისა. იქამდე, 1914 წელს კი შექმნა ილია ჭავჭავაძის, ნანარმოებების ლამაზი ილუსტრაციები. აქტიურად იყო ჩართული აკადემიურ საქმიანობაში, მონაწილეობდა თბილისის სამხატვრო აკადემიის დაარსებაში, იყო აკადემიის პროფესორი.<sup>1</sup>

„დიდი ტერორის“ დროს, საბჭოთა ხელისუფლებამ 68 წლის პროფესორის - ჰენრიკ ხრინევსკის შვეინროებაც დაიწყო. ენკავედე-ს<sup>2</sup> წარმომადგენლებმა გაანადგურეს მისი სტუდია აკადემიაში. 1938 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს, როგორც დასავლეთის ჯაშუში. დახვრეტის ოქმის მიხედვით, ხრინევსკი 20 წლის განმავლობაში ჩართული იყო უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების სასარგებლოდ შპიონაჟში, თუმცა ოქმი მტკიცებულებას არ ეყრდნობოდა.<sup>3</sup> ადამიანის ცხოვრება, რომელმაც საქართველოს უნიკალური მემკვიდრეობა დაუტოვა, ენკავედემ ქალაქის მხოლოდ ერთ ფურცელზე მოაქცია.

მარია პერინი, ჰენრიკ ხრინევსკის, იტალიელი ცოლი და ცნობილი ბალერინა ქართული საბალეტო სკოლის დამაარსებლად ითვლება. ის თბილისში 1890-იანი წლების დასაწყისში ჩამოვიდა. იმ დროისთვის, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი 40 წლის დაარსებული იყო, თუმცა მარია პერინი იყო პირველი, რომელმაც ქართული აუდიტორიის წინაშე 32 ფუტე შეასრულა. ათი წლის განმავლობაში პერინი თბილისის ოპერისა და ბალეტის პრიმაბალერინა გახლდათ. მოგვიანებით, დაარსა და ხელმძღვანელობდა ბალეტის სტუდიას. პერინის მოწაფეებს შორის არიან ნინო რამიშვილი, ილიკო სუხიშვილი, ვახტანგ ჭაბუკიანი, რომელიც საქართველოში პროფესიული ბალეტის დიდოსტატად და დამაარსებლად ითვლება. საბჭოთა ხელისუფლებამ იძულებული გახადა პერინი, საბჭოთა კავშირი დაეტოვებინა. თავდაპირველად თურინში წავიდა, შემდეგ ნიცაში, სადაც მის დას ოჯახური სასტუმრო ჰქონდა. პერინი ნიცაში 1939 წელს გარდაიცვალა.<sup>4</sup>

შიშის გამო, საბჭოთა კავშირში, შემდეგ პერიოდებშიც კი თბილისის სამხატვრო აკადემიაში პროფესორ ხრინევსკიზე ჩურჩულით საუბრობდნენ. ჰენრიკა იუსტინსკა, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი, თავის წიგნში - „პოლონელი მხატვრები საქართვე-

1 ჰენრიკა იუსტინსკა, *Polscy artyści w Gruzji (პოლონელი მხატვრები საქართველოში)*, თბილისი, 2006, გვ. 30.

2 სსრკ-ს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (НКВД - Народный комиссариат внутренних дел СССР)

3 ეროვნული მუხსიერების პოლონური ინსტიტუტის არჩივები, BU 2907/179 digi – arch, გვ. 2.

4 P. Nagy, P. Rouyer, D. Rubin, “Georgia”, in the *World Encyclopedia of Contemporary Theatre*, 1<sup>st</sup> ed., vol. 1, New York, 2013, pp. 333.

ლოში“ - წერს:

თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლის დროს, უფროსი თაობის წარმომადგენლები ცნობილ პოლონელ მხატვარს, ჰენრიკ ხრინევსკის, რომელიც 1937 წელს დახვრიტეს, ჩურჩულით ახსენებდნენ... საუბრობდნენ ზიგმუნტ ვალიშევსკიზე, ახალგაზრდა, ნიჭიერ და ენერგიულ მხატვარზე, რომელმაც საქართველო დატოვა და პოლონეთში წავიდა. ჩემი პედაგოგები თბილისის სამხატვრო აკადემიაში სკლიფოსოვსკის სახელს გარკვეული პაუზით მოიხსენიებდნენ, რომელიც შემდეგ ასე გრძელდებოდა: „სკლიფოსოვსკიმ ასე თქვა... ის ასე ამბობდა... ხატვა ასე უნდა დაიწყო.. და ა.შ.“

მე-20 საუკუნის დასაწყისში თბილისში ახალი თეატრები, სტუდიები, თეატრალური კაფეები, ლიტერატურული სალონები და სახელოვნებო ასოციაციები გაიხსნა. საქართველოში, თბილისის ავანგარდის ხელოვნება ინტერესი და მრავალფეროვნება განაპირობა მაშინდელმა პოლიტიკურმა სიტუაციამაც და ქვეყნის ხანმოკლე დამოუკიდებლობამ. მხატვრებმა და პოეტებმა შექმნეს ახალი ხელოვნება. ფაქტობრივად, თბილისი კავკასიური ავანგარდის თუ მაინდამაინც ასე უნდა ითქვას, მაშინ კავკასიური ავანგარდი უფრო სწორი იქნება ცენტრი გახდა. ხელოვნების კაფეები მასპინძლობდნენ კულტურულ საღამოებს, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ პოლონელი, გერმანელი, რუსი და სომეხი მხატვრები. იმ დროისთვის, ხელოვნების ყველა სფერო გაერთიანდა და აივსო შემოქმედებითი ენერგიით.

ავანგარდული ხელოვნების მიმდინარეობებიდან თბილისელი მხატვრები მისდევდნენ ფუტურიზმს ფორმალიზმსა და კუბიზმს. ძმებმა ზდანევიჩებმა, რომლებმაც საქართველოში ავანგარდული ხელოვნება შემოიტანეს, არა მხოლოდ მდიდარი მემკვიდრეობა დატოვეს, ქართულ კულტურას ევროპაში პოპულარიზაციაც გაუწიეს.

კირილე ზდანევიჩი (1892-1969) იყო მხატვარი, თეატრის დიზაინერი, ილუსტრატორი და თბილისური ავანგარდული ხელოვნების სულისჩამდგმელი. მუშაობდა კოტე მარჯანიშვილთან და თეატრალური წარმოდგენებისათვის ქმნიდა მოდელებს, ხატავდა ძველი თბილისის თემატიკაზე. ლადო გუდიაშვილთან და სერგეი სუდეიკინთან ერთად მოხატა თბილისის ხელოვნების კაფეების კედლები: „არგონავტების ნავი“, „ფანტასტიკური ტავერნა“, „ქიმერიონი“ (რუსთაველის თეატრის სარდაფი). კირილე ზდანევიჩი თავის მემუარებში წერდა: „ჩემს ბიოგრაფიაში, მენშევიკების პერიოდში, გამოვყოფდი ორ შემოქმედებით მოვლენას: პირველი - კლუბ-რესტორანი „არგონავტების ნავი“, რომელიც შესრულებულია მატისისა და



ვან დოგენის სტილში...“<sup>1</sup>

კირილე ზდანევიჩმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველი მხატვრის, ნიკო ფიროსმანის აღმოჩენაში.

1912 წლის ზაფხულში ილია და კირილე ზდანევიჩებმა ფრანგ მეგობართან, მიშელ ლე დანტოსთან ერთად, თბილისის ერთ-ერთ ღვინის სარდაფში ფიროსმანის ნახატები აღმოაჩინეს. ნახატებმა მათი ყურადღება მიიპყრო. ძმებმა ზდანევიჩებმა მაშინვე დაიწყეს მხატვრის ძიება, აღმოაჩინეს და, ამავე დროს, დაიწყეს გაფანტული ნახატების შეგროვებაც.<sup>2</sup>

ნიკო ფიროსმანის პირველი გამოფენა 1916 წლის 5 მაისს კირილე ზდანევიჩის ატელიეში მოეწყო.<sup>3</sup> ზდანევიჩების ძალისხმევით იმ დღეს ქართულმა საზოგადოებამ პირველად იხილა ფიროსმანის შემოქმედება.

ილია ზდანევიჩმა (1894-1975) საბჭოთა კავშირი 1930-იან წლებში დატოვა და პარიზში გადასახლდა. მაგრამ, ბუნებრივია, რომ მისი შემოქმედება არის და ყოველთვის იქნება ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილი. რაც შეეხება კირილე ზდანევიჩს, ის საქართველოში დარჩა და 1940-იან წლების ბოლოს სტალინის რეპრესიები გამოიწვია.<sup>4</sup> სხვა რეპრესირებულთა მსგავსად, კირილე ზდანევიჩი ჯაშუშობის ბრალდებით გულაგში გადასახლეს მხოლოდ იმიტომ, რომ შოტლანდიელ მეგობართან ერთად ვისკი დალია.<sup>5</sup>

პოლონური წარმოშობის კიდევ ერთი ცნობილი მხატვარი გახლდათ ზიგმუნტ ვალიშევსკი (1897-1936). ბავშვობა ბათუმში გაატარა, სადაც სწავლობდა მიკოლაი სკლიფოსოვსკის სტუდიაში. შემდეგ გადავიდა თბილისში და ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად იყო ჩართული. კირილე ზდანევიჩმა და ზიგმუნტ ვალიშევსკიმ მონაწილეობა მიიღეს პირველ მსოფლიო ომში. ისინი ასევე ნათესავებიც იყვნენ: ვალიშევსკის და იყო კირილე ზდანევიჩის პირველი ცოლი.<sup>6</sup> სხვა მხატვრებთან ერთად ვალიშევსკიმ მოხატა კაფე „ქიმერიონი“ და შექმნა მრავალი შედევრი: სცენარების ესკიზები და პოსტერები, გროტესკული სცენები, წიგნის ილუსტრაციები, კარიკატურები, რომლებიც „ფუტურისტულ სინდიკატს“ წამოადგენდა. ძმები ზდანევიჩების მსგავსად, მოგვიანებით ისიც შეუერთდა მხატვართა ჯგუფს სახელად „41“. 1920 წელს ზიგმუნტ ვალიშევსკიმ შექმნა თბილისის ოპერის ფარდის ესკიზი, რომელზეც გამოსახულია

1 თეა ტაბატაძე, „თეატრ-სტუდია „არგონავტების ნავი“ და კირილე ზდანევიჩის „არგონავტიკა“, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე: <http://www.georgianart.ge/index.php/ka/2019-01-03-08-49-05/228-2019-01-24-16-36-13.html>, ნანახია 4.11.2020

2 ჰენრიკა იუსტინსკა, *Polscy artyści...* გვ. 101.

3 სახალხო ფურცელი, 4 მაისი, 1916, N 566, გვ. 2.

4 Maka Khutsishvili, *A Repressed Polish Painter in Soviet Georgia During Stalin's Terror – Kirill Zdanevich*, “Pro Georgia”, no. 28, Warsaw, 2018, p. 223.

5 იქვე.

6 იქვე.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირი - ცხენზე ამხედრებული ტარიელი. ოპერის ფარდის ამ ვერსიამ დღევანდელ დრემდე ვერ მოაღწია, თუმცა ეს ფარდა თვითმხილველებს კარგად ახსოვთ. 1920-იანი წლების დასაწყისში ვალიშევსკი პოლონეთში გადავიდა და მოღვაწეობა იქ განაგრძო. 1922 წელს მან კრაკოვის სახვითი ხელოვნების აკადემიაში ჩააბარა. ზიგმუნტ ვალიშევსკი მცირე ხნით პარიზშიც სწავლობდა. გარდაიცვალა 1936 წელს კრაკოვში, 39 წლის ასაკში.<sup>1</sup>

1915 წლის ბოლოს ქართულ სცენაზე გამოჩნდა პოლონელი სოპრანო - მელანია ვოლ-ლევიცკა (1885-1937). იმ დროის პოლონური პრესის მიხედვით, ლევიცკა ვარშავის ოპერის სახლის სცენაზე საკმაოდ პოპულარულ სოპრანოდ ითვლებოდა. 1915 წელს ის თბილისის ოპერის იმპრესარიოს მოწვევით ოჯახთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა. თბილისის ოპერის სახლის სცენაზე პოლონელმა სოპრანომ მთლიანად 35-ზე მეტი ოპერის მთავარი არიები შეასრულა: ჯაკომო პუჩინის „მადამ ბატერფლაი“ - ჩიო-ჩიო სანის არია, „ბოჰემა“ - მიმის არია; რიხარდ ვაგნერის „ნიურნბერგელი მაისტერზინგერები“ - ევას არია, „ლოენგრინი“ - ელზას არია, ქართული ოპერა „აბესალომ და ეთერი“ - ეთერის არია და ა.შ.<sup>2</sup> მელანია ვოლ-ლევიცკა აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ შორის, მონაწილეობდა თბილისის ხელოვნების კაფეებში გამართულ საქველმოქმედო ღონისძიებებში.<sup>3</sup> ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ლევიცკამ ქვეყანაში დარჩენა გადაწყვიტა. 1937 წელს დააპატიმრეს და ჯაშუშობის ბრალდებით დახვრიტეს.<sup>4</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ პოლონელი პროფესორი მიკოლაი ლევიცკი ამ პერიოდში (1870-1944) კავკასიაში პირველ უმაღლეს მუსიკალურ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, თბილისის კონსერვატორიაში, ვოკალს ასწავლიდა. ის საქართველოში მეუღლესთან, მელანია ვოლ-ლევიცკასთან, ერთად ჩამოვიდა და 1923 წლამდე ცხოვრობდა, შემდეგ კი კვლავ პოლონეთში დაბრუნდა. მიკოლაი ლევიცკი აღმოსავლეთ გალიციიდან იყო. სოლიდური მუსიკალური განათლება იტალიაში მიიღო, იყო ძალიან წარმატებული რეჟისორი და სცენის მენეჯერი ვარშავის ოპერის სახლში. ვარშავის ოპერის პოსტერებისა და პოლონური პრესის მიხედვით, ის 1889 წლიდან მოღვაწეობდა. როგორც სცენის მენეჯერმა, 1932 წელს ვარშავის ოპერაში წარმოადგინა პუჩინის „ტურანდოტის“ პოლონური პრემი-

1 ჰენრიკა იუსტინსკა, *Polscy artyści...* გვ. 88-89.

2 Maka Khutsishvili, *The Unknown Fate of Melania Wohl-Lewicka, Polish Prima Donna of Tbilisi*, "Pro Georgia", no. 27, Warsaw, 2017, pp. 268-269.

3 მზია ჩიხრაძე, თბილისი 1910-1921 წლებში (კულტურული ცხოვრების ისტორიული მიმოხილვა), ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე: <http://www.georgianart.ge/index.php/ka/2010-12-03-16-25-41/51--1910-1921-.html>

4 Maka Khutsishvili, *The Unknown Fate of Melania Wohl-Lewicka...* "Pro Georgia", pp. 273-274.

ერა. გარდაიცვალა 1944 წელს, ვარშავის აჯანყების პირველ დღეს.<sup>1</sup> ცოტა ხნის წინ, ვარშავაში, სრულიად შემთხვევით შევიტყვე მე-20 საუკუნის შუა წლებში საქართველოში მცხოვრები შვედურ-პოლონური ოჯახის შესახებ. ვიცოდი, რომ ცარიზმის დროს საქართველოში მოღვაწეობდა ორი ცნობილი ფოტოგრაფი: ალექსანდრე როინაშვილი და დიმიტრი ერმაკოვი. არაფერია ცნობილი ედმუნდ ოსტერლოფის შესახებ. ამის მიზეზი უნდა იყოს ის, რომ ოსტერლოფი იღებდა ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილ ადამიანთა პირად და ოჯახურ პორტრეტებს.<sup>2</sup> ბარბარა ოსტერლოფი, ვარშავის თეატრალური აკადემიის პროფესორი, ედმუნდ ოსტერლოფის შთამომავალი, თავის სტატიაში წერს:

დღემდე ვერ მოვიძიე ოსტერლოფის ფოტოების კოლექცია, ერთიც კი, რომელიც წარმოაჩინდა შთამბეჭდავ და მრავალკულტურულ თბილისს, რასაც სხვა ფოტოგრაფები სიამოვნებით აკეთებდნენ... ოსტერლოფი, რომელიც სილამაზით თაყვანისმცემელი იყო, მშვენიერებას საყვარელი ხალხის წრესა და გარემომცველ ბუნებაში ეძებდა, რომელსაც ისე ეპყრობოდა, როგორც შემოქმედის ძალის ხილულ გამოვლინებას<sup>3</sup>.

ედმუნდ ოსტერლოფი ჩართული იყო ცარიტული რეჟიმის წინააღმდეგ საიდუმლო საქმიანობაში. დააპატიმრეს და ერთი წლით ვარშავის ციტადელში გამოკეტეს. მოგვიანებით, 1886 წელს, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ საქართველოში გადაასახლეს.<sup>4</sup> საქართველოში ოსტერლოფი 1921 წლამდე ცხოვრობდა, ითვლებოდა კავკასიაში გერმანული ენის საკმაოდ დაფასებულ მასწავლებლად, გერმანულს ასწავლიდა თბილისის რუსულ გიმნაზიაში. საქართველოს ანექსიის შემდეგ პოლონეთში გაიქცა. მისი ოჯახის რამდენიმე წევრი საქართველოში დარჩა, მათ შორის, ქალიშვილი ზოფია, რომელიც საქართველოში გათხოვდა და საბჭოთა საქართველოში განაგრძო ცხოვრება.<sup>5</sup>

საბჭოთა რეჟიმი რეპრესიის სხვადასხვა ხერხს იყენებდა: დაპატიმრება, დახვრეტა ან დეპორტაცია, მაგალითად, საქართველოში მცხოვრები პოლონელების შემთხვევაში, ზოგი დააპატიმრეს, დახვრიტეს, აგრეთვე გადაასახლეს. გერმანელების შემთხვევაში, მთელი

1 მიკოლაი ლევიცკი, <https://archiwum.teatr Wielki.pl/baza/-/o/mikolaj-lewicki/229253/20181>, ნანახია 2.11.2020.

2 საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა: <http://www.dspace.nplg.gov.ge/simple-search?query=%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%93+%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A4>

3 Barbara Osterloff, *Edmund Osterloff – Gruziński Trop*, “Aspiracje”, Warszawa 2013, s.12.

4 Barbara Osterloff, *Serdecznie i całą duszą: Edmund Osterloff i jego fotografie*, “Aspiracje”, Warszawa 2012, s.8.

5 იქვე.

ეთნიკური ჯგუფი სამხრეთ კავკასიიდან შუა აზიაში გადასახლეს.

ოსტერლოფის ოჯახი საბჭოთა რეპრესიებმა ძალიან დააზარალა. ედმუნდ ოსტერლოფის ვაჟი 1941 წელს შუა აზიაში გადასახლეს. პროფესორმა ბარბარა ოსტერლოფმა გადმომცა ზოფია ოსტერლოფ-ლაზუტინას ოჯახის არქივიდან ძმების შესახებ დანერილი მემუარები. მემუარებში ზოფია წერს თავის სამ ძმაზე - არნეზე, ვილრიხსა და რალფზე. მინდა, სტალინური რეპრესიების კონტექსტში ყურადღება შევაჩერო არნე ოსტერლოფის ცხოვრებაზე. არნე ოსტერლოფი, როგორც გერმანელი, ყაზახეთში გადასახლეს. ის ნატურალისტი იყო, დაამთავრა მებალეობის სკოლა დერბენტში და როგორც საუკეთესო სტუდენტი, ასკანია-ნოვაში, ფალც-ფაინის ცნობილ მამულში აგრონომად გაუშვეს.<sup>1</sup> საქართველოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა თბილისის ბოტანიკურ ბაღში, განახორციელა ლაბორატორიული კვლევა სოფლის მეურნეობის ინსტიტუტში, პროფესორ იუზბაშიანის ხელმძღვანელობით, მონაწილეობდა სამეცნიერო ექსპედიციებში ქუთაისის მღვიმეების შესასწავლად. ზოფიას მემუარებიდან ვიგებთ, რომ არნე საბჭოთა ხელისუფლების მიმართ საკმაოდ ლოიალურად იყო განწყობილი და არავის აძლევდა უფლებას, რეჟიმის წინააღმდეგ ხმა ამოეღო. არნე ოსტერლოფი ფრთხილი ადამიანი იყო.

მასთან ენკავედედან (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი) მოვიდნენ, მოსთხოვეს სადგურში დაუყოვნებლივ მისულიყო და 24 საათში გამგზავრებულიყო. ამის სათქმელად არნესთან ინსტიტუტში წავედი. ოთახიდან გამოვიდა თუ არა, მაშინვე სადგურზე წავიდა. მატარებელმა სადგურში შვიდი დღე დაყო. მისთვის საკვები ყოველდღე მიმქონდა. ყველაფერს მამაცურად გაუძლო.<sup>2</sup>

როგორც ვნახეთ, წყნორის წმ. გიორგის ხატის წარწერით, ქუცნა მხეიძე ხატის ქტიტორია, რომელიც სახელების გარეშე იხსენიებს ასევე მის ცოლშვილს. ეს უნდა მიაწინებდეს, რომ წყნორის წმ. გიორგის ხატი მოჭედილი უნდა იყოს სოხასტრისა და გურნის ხატებზე გვიან, სადაც, ქუცნა, როგორც ხატების ქტიტორების შვილი, ერთგან საერთოდ უსახელოდ იხსენიება, ხოლო მეორეგან უმცროს (?) ძმასთან ერთად. შესაბამისად, წყნორის წმ. გიორგის ხატი, რომლის ქტიტორიც ქუცნა მხეიძეა, XVI ს-ის შუა პერიოდს ან II ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს.

გავარკვიეთ რა წყნორის წმ. გიორგის ხატის ქტიტორის ვინაობა და ხატის შექმნის მიახლოებითი თარიღი, უნდა შევხვით ხატის მჭედლის საკითხსაც.

სამწუხაროდ, უცნობი რჩება ოსტატის ვინაობა. როგორც ვნახეთ, წარწერაში მისი სახელი დაქარაგმებულია როგორც **ԿՇԻ-ԻՇ** (კა-მია). გ. ბოჭორიძემ ვერ აღადგინა მისი სახელი. მე ვეცადე სხვა წერილობითი წყაროებში მომეძებნა ამ დაქარაგმებული სახელის მსგავსი ანალოგი, თუმცა, უშედეგოდ.<sup>2</sup>

1 საერთოდაც, წარწერის ეს ადგილი დაზიანებულია და წაკითხვაც სადავოა. მიუხედავად იმისა, რომ გრაფემა ძ-ს შემდეგ თითქოს იკვეთება გრაფემები ე-ს და თ-ს მოხაზულობა, თუმცა, შემდეგ მას მოჰყვება სიტყვა „ჩ(უ)ენ(ი)სა“, რაც გრამატიკულად უფრო შეესაბამება სიტყვა „ძისას“. ამგვარად, არსებობს ნაკლებად, თუმცა, მაინც დასაშვები შესაძლებლობა, რომ წარწერის ეს ადგილი აღდგეს არა როგორც „ძ[ეთ](ა) ჩ(უ)ენსა“, არამედ „ძ[ის](ა) ჩ(უ)ენ(ი)სა“. წარწერის კონკრეტული მონაკვეთის ასეთი სახით აღდგენის შემთხვევაში, ლოგიკურად მივიღებდით მოცემულობას, რომ სოხასტრის ღმრთისმშობლის ხატი მოიჭედა მაშინ, როდესაც ფირან მხეიძესა და ელენე აბაშიძეს ჰყავდათ მხოლოდ ერთი ძე – ქუცნა, ნამდვილად უფრო ადრე, ვიდრე გურნის წმ. გიორგის ხატი, სადაც ქუცნასთან ერთად იხსენიება მისი ძმა გიორგი.

2 ამ მხრივ ყურადღება მივაქციე კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A კოლექციის 141-ე ხელნაწერი. ხელნაწერის აღწერილობის მიხედვით, ესაა XI ს-ის კრებული, რომლის 89v-90r გვერდებზე, XVIII ს-ის ნუსხურით შესრულებულია შემდეგი მინაწერი: „სულსა კამნია გრ-ლსა, მოძღუაჲსა დიონისსა შნ-ს ღ-ნ, და მისთა დედა-მამათა და მიცვალებულთა შნ-ს ღ-ნ.“ (ბრეგაძე და სხვები 1976, 174-175). ამგვარად, სახელი „კამნია“ კარგად მიესადაგებოდა წყნორის ხატის მომჭედელი ოსტატის დაქარაგმებულ სახელ კა-მიას. მითუმეტეს ხელნაწერთა აღწერილობის პირთა საძიებელში „კამნია



დასკვნის სახით, წყნორის წმ. გიორგის ხატის შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი:

XVI ს-ში, მხეიძე/მხეციძე/მწეციძეთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ ზემო იმერეთის, კერძოდ კი გელათის სოხასტრის ტაძრისა და ოკრიბის სალოცავების მიმართ და ძვირფას ხატებს სწირავენ მათ (Чубинашвили 1959, 630; ნიკოლეიშვილი 2001, 29-31).

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში მხეიძეებიც და აბაშიძეებიც იმერეთის საეკლესიო და პოლიტიკურ წრეებში დიდად დაწინაურებული ზემო იმერული საგვარეულოებია. მხეიძეები საუკუნის დასაწყისში მოლარეთუხუცესის თანამდებობას და დიდ მამულებს ფლობენ. თუმცა XVI ს-ის შუა პერიოდიდან ისინი გარკვეულ მამულებს კარგავენ, ხოლო საუკუნის ბოლოს მოლარეთუხუცესობასაც (სოსელია 1973, 16-20). აბაშიძეები კი საუკუნის დასაწყისიდან ძალზე დაწინაურებულები არიან. ამ ფეოდალურის სახლის წარმომადგენლები გვხვდებიან გელათის

---

გრ-ლსა“ გატანილია როგორც „კამნია გორელი“ (ბრეგაძე და სხვები, 1976, 370). თუმცა, სინამდვილეში, A 141 ხელნაწერის ეს მინაწერი შემდეგი სახით იკითხება: „ს(უ)ლსა კამნიაგ-რლისა მოძღუარისა დიონიოსსა, შ(ეუნდ)ნ(ე) ს ღ(მერთმ)ან“ (A 141, 89v-90r). ამგვარად, აქ საქმე გვაქვს არა პიროვნების სახელ კამნიასთან, არამედ გეოგრაფიული წარმოშობის ადგილთან, საიდანაც იყო ან სადაც მსახურობდა მოძღვარი დიონიოსი.

სულ სხვა საკითხია აღნიშნული ტოპონიმის კვლევა და აქ მხოლოდ მცირე დაკვირვებას წარმოგიდგენთ, რაც წყნორის ხატის მჭედელ კა-მიას იდენტიფიკაციის მცდელობისას გამოვლინდა.

კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის S კოლექციის 4927-ე ხელნაწერის, იგივე პარხლის II სახარების 14r-ზე შესრულებული ერთი გვიანდელ ნუსხური მინაწერში ვკითხულობთ: „მე ყოველთა ცოდვილთ |<sup>2</sup> უცოდვილესმან ფრ(ი)ად |<sup>3</sup> კოდვილმ(ან) კამნაგარე |<sup>4</sup> ღმ(ან) ზანდარ, ესე ქრის |<sup>5</sup> ტეს სახარებ(ა)დ მწუედ მ |<sup>6</sup> ძიმედ მოჭედილი იყო დ |<sup>7</sup> ა ურჯულოთ აგა |<sup>8</sup> რიანთა დაელენა და |<sup>9</sup> დაეჭრა ესე სრულა. |<sup>10</sup> მე უნდო-უღირსმან ავი |<sup>11</sup> ლე ჴელათ და შევ |<sup>12</sup> კაზმე, მრავალი სარჯ |<sup>13</sup> ელი გარდამჯდა, [ღ(მერთმ)ან უ |<sup>14</sup> წყის, ბატონიც ჩ(ე)მი კარგ |<sup>15</sup> ად მომეჯმარა, ღ(მერთმ)ან გ |<sup>16</sup> (ა)უმაჩკოს, ვინც ამაზე |<sup>17</sup> დ მომეჯ(მა)რა, შ(ეუნდ) ნეს ღ(მერთმ)ან ედ |<sup>18</sup> ა-მ(ა)მ(ა)თა ჩ(ემ)თა შ(ეუნდ)ნ(ე)ს ღ(მერთმ)ან. ჩ(ემ)ს |<sup>19</sup> გ(ამზრ)დელს თუალმელნი |<sup>20</sup> სას შ(ეუნდ)ნ(ე)ს ღ(მერთმ)ან, ჩ(უენ)თა შ(ეუნდ)ნ(ე)ს ღ(მერთმ)ან“ (S 4927, 14r; ბრეგაძე და სხვები 1969, 175). ჩემი აზრით, კრებული A 141-ის მინაწერში სიტყვა „კამნიაგ-რლისა“ უნდა აღდგეს როგორც კამნიაგარელისა, ისევე, როგორც ეს დაფიქსირებულია პარხლის II ოთხთავის მოყვანილ მინაწერში. კრებული A 141, ისევე როგორც პარხლის II ოთხთავი, ტაოკლარჯული, კერძოდ კი ტაოური წარმოშობისაა. დიდი ალბათობით, ორივე ხელნაწერი ერთ დროს კავკასიძეთა ფეოდალური სახლის წევრების კუთვნილება იყო (კუდავა და სხვები 2017, 417-8, 424; სურგულაძე და სხვები 2018, 106, 289). მოგვიანებით, ოსმალთა მიერ ტაოს დაპყრობის შემდეგ, ორივე ხელნაწერი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გახიზნეს. ამგვარად, მომავალში გამოსარკვევია იმ გეოგრაფიული ადგილისა თუ ეკლესიის მდებარეობა, რომელსაც ერქვა კამნაგარა/ი ან კამნიაგარა/ი.



წინამძღვრის, აფხაზეთის კათალიკოსის, ამირეჯიბის, სამეფო მდივან-მწიგნობრისა და სხვა მოწინავე თანამდებობებზე. მხეიძეებისგან განსხვავებით ისინი იმერეთის სამეფოს არსებობის დარჩენილი პერიოდი ინარჩუნებენ სიძლიერეს (სოსელია 1973, 153-209). ფირანისგან განსხვავებით, სამწუხაროდ ვერ დგინდება ელენე აბაშიძის მამის სახელი. გურნის და წყნორის წმ. გიორგის ხატების ქტიტორული წარწერები კი დამატებით ცნობებს გვანჯდიან ამ ორი უმიშვნელოვანესი საგვარეულოს ისტორიის შესახებ.

XVI ს-ის II ნახევარში, ფირან მხეიძისა და ელენე აბაშიძის უფროსმა ძემ – ქუცნა მხეიძემ, ვინმე ოქრომჭედელ კამიას (?), სპეციალურად მთის წმ. გიორგის მონასტრისთვის შეუკვეთავს წმ. გიორგის ხატი, მისი და მისი ცოლ-შვილის სულის საოხად. ეს ბუნებრივიცაა, რადგან, როგორც ზემოთაც ვახსენე, მთის წმ. გიორგის მონასტერი რაჭის ქედზე, წმ. გიორგის მთაზე მდებარეობს და ზემოდან დაჰყურებს ოკრიბას და მიწათმფლობელობის უმეტესი ნაწილი სწორედ ოკრიბაში ჰქონდა,<sup>1</sup> ხოლო ქუცნა მხეიძე, როგორც ოკრიბელი ფეოდალი (შესაძლოა ოკრიბის მოურავიც კი), წმ. გიორგის ამ ძვირფასი ხატის შეწირვით განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ამ მონასტერზე.

ხატი მთის წმ. გიორგის მონასტერში ინახებოდა, სავარაუდოდ, XX ს-ის დასაწყისამდე. ამის შემდეგ, მონასტრის სხვა სინმინდეების მსგავსად, ეს ხატიც მონასტრის კუთვნილ ოკრიბის ერთ-ერთი სოფლის – წყნორის წმ. გიორგის ეკლესიაში ჩამოუტანიათ. უცნობია თუ როდის დაზიანდა ეს ხატი, თუმცა, გ. ბოჭორიძეს 1925-1926 წწ-ში ის უკვე ძალზედ დაზიანებული დახვდა.

როგორც ჩანს, ხატს შეწირულობის სახით ბევრ ფულს სწირავდნენ, რადგან გ. ბოჭორიძეს სიტყვით „ხატთანავე არის მრავალი ფარა“.

დღეისათვის ხატი დაკარგულად ითვლება. მისგან მხოლოდ 6 დიდი მძივილა შემორჩა (23-დან), რომლებიც თავის დროზე გ. ბოჭორიძეს დასაცავად ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში გადაუტანია.

1 უფრო ვრცლად მთის წმ. გიორგის მონასტრის მიწათმფლობელობის ისტორიულ-გეოგრაფიულ გადაწინააღმდეგობაზე ქვემო რაჭაში, ზემო იმერეთსა და ლიხის ქედზე ვისაუბრე დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილ VII საერთაშორისო კონფერენციაზე (გორის უნივერსიტეტი, 2020 წლის 21 თებერვალი). უახლოეს მომავალში იგეგმება კონფერენციის მასალების გამოქვეყნება გორის უნივერსიტეტის შრომების მე-19 ნომერში, სადაც დაიბეჭდება ჩემი სტატია „დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის ერთი დაკარგული საისტორიო აქტის შესახებ (1106-1125 წწ-ის შეწირულობის საბუთი მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი)“.

## დამონელებანი

ბოჭორიძე 1995: გ. ბოჭორიძე, იმერეთის ისტორიული ძეგლები, გამომცემლობა „მეცნიერება“. თბ. 1995.

ბრეგაძე და სხვები 1969: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტ. IV, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ლ. ქაჯიამ, ლ. ქუთათელაძემ, მ. შანიძემ და ც. ჩანკიევმა. ელ. მეტრეველის რედაქციით. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბ. 1969.

ბრეგაძე და სხვები 1976: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექცია, ტ. I, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, თ. მგალობლიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ და ც. ჭლამაიამ. ელ. მეტრეველის რედაქციით. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბ. 1976.

გურგენიძე 1986: ვ. გურგენიძე, ისტორიკოსი გიორგი ბოჭორიძე (დოკუმენტები მოგვითხრობენ), მაცნე — ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 4. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბ. 1986.

დვალი 1968: მ. დვალი, ლეკნარის წმ. გიორგის ეკლესია. ჟურნ.: „მაცნე“, №4. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბ. 1968

კაკაბაძე 1921: ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. I. ტფ. 1921.

კუდავა და სხვები 2017: ტაო-კლარჯეთი. ისტორიისა და კულტურის ძეგლები. კატალოგი. ავტორ-შემდგენლები: ნ. ბაგაური, ზ. ბატიაშვილი, ი. ბერიძე, ბ. კუდავა, ნ. ჟღენტი, გ. საითიძე, ნ. ხიზანიშვილი. გამომცემლობა „არტანუჯი“. თბ. 2017.

ნიკოლეიშვილი 2001: მ. ნიკოლეიშვილი, ქუთაისის მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლები, ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, კრებ. XIII. ქუთ. 2001.

ჟღენტი 2011: ნ. ჟღენტი, კიდევ ერთხელ მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი გაცემულ 1465-1467 წლების საბუთში მოხსენიებული სამოხელეო წოდების „მებართლომე“-ს შესახებ, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, №X-XI, გამომცემლობა „მერიდიანი“. თბ. 2010-2011.

ჟღენტი 2019: ნ. ჟღენტი, „მთის წმ. გიორგის მონასტრის სინწინდეების ისტორიიდან – აგარის წმ. გიორგის ხატი და მისი წარმომავლობა“. სპეკალი. 13 <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/13/202>

ჟღენტი 2020ა: ნ. ჟღენტი, მთის წმ. გიორგის მონასტრის საეკლესიო სიძველეები (ზოგადი მიმოხილვა). ახალგაზრდა მეცნიერთა III საერთაშორისო სიმპოზიუმი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში,

სიმპოზიუმის მოხსენებათა კრებული. თბ. 2020.

ჟღენტი 2020ბ: ნ. ჟღენტი, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სენიორიების ისტორიიდან — გელათი და მთის წმ. გიორგის მონასტერი (ისტორიული კავშირები). „წმიდა გრიგოლ ფერაძე 120“, წმიდა გრიგოლ ფერაძის I საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია“ (მასალები). თბ. 2020.

სოსელია 1973: ო. სოსელია. ნარკვევები საქართველოს ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), I, გამომცემლობა „მეცნიერება“. თბ. 1973.

სურგულაძე და სხვები 2007: პირთა ანოტირებული ლექსიკონი XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, IV, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს გიორგი ოთხმეზურმა, გულიკო მჭედლიძემ, მზია სურგულაძემ, დავით ჟღენტმა, ანა ბაქრაძემ, თინა ენუქიძემ და დარეჯან კლდიაშვილმა. ტომი შეადგინეს მზია სურგულაძემ და დარეჯან კლდიაშვილმა. გამომცემლობა „არტანუჯი“. თბ. 2007.

სურგულაძე და სხვები 2018: ტაო-კლარჯეთის მწიგნობრული მემკვიდრეობა (გამოკვლევა, ტექსტები). ავტორები: მ. სურგულაძე, ნ. ჩხიკვაძე, ლ. შათირიშვილი, მ. კარანაძე, ნ. ჟღენტი, ე. ედიშერაშვილი. გამომცემლობა „პოლიგრაფი“. თბ. 2018.


Кондаков და Бакрадзе 1890: Описание памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, составленная профессором С.-Петербургского университета Н. Кондаковым - Грузинские надписи прочтены и истолкованы Димитрием Бакрадзе - СПб. 1890

Чубинашвили 1959: Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство - исследование по истории грузинского средневекового искусства : [в 2 т.] - Академия наук грузинской ССР. Институт истории грузинского искусства. - Тбилиси : Сабчота Сакартвело - 1959



**სურ. 1.** მთის წმ. გიორგის მონასტერი (მ. დვალის ფოტო, 1954 წ. ინახება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს დოკუმენტთა საცავში)

**Figure 1.** Mount Saint George Monastery (Photo by M. Dvali, 1954, kept in the Depository of Materials of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia)



რუკა  
Map

**NIKOLOZ ZHGENTI**

Korneli Kekelidze Georgian National  
Center of Manuscripts,  
Georgia  
nikozhgenti@gmail.com

## **ANOTHER LOST ANTIQUITY FROM MOUNT SAINT GEORGE MONASTERY – THE ICON OF SAINT GEORGE HAMMERED UNDER THE KTETORSHIP OF KUTSNA MKHEIDZE**

This paper scrutinizes to one of the lost antiquities belonging to Mount Saint George Monastery – the icon of Saint George seen in 1925/6 in the village of Tsknori and described by G. Bochoridze. The inscription mentioned some Kutsna Mkheidze. It does not bear a date and its ktetor has not been identified yet.

By comparison with other icons created under the ktetorship of the Mkheidzes during the first half of the 16<sup>th</sup> century - the icons of Saint Mary from Gelati Sokhastery and of Saint George from the village of Gurna - Kutsna was a son of upper Imereti seigniors - Piran Mkheidze and Elene Abashidze. In the mid-16th century, or in the second half, Kutsna Mkheidze had a new icon embossed expressly for Mount Saint George Monastery

**KEYWORDS:** Kutsna, Piran, Elene, Mkheidze, icon.

**M**ount Saint George Monastery also known as Leknari and Mtasakdari in the scientific literature is located in lower Racha on the uttermost northern slope of the Racha Range and is erected on a high rock. It dates approximately from the second half of the 9th century to the first half of the 10th century. The northern annex to the main nave is attributed either to the end of the 10th century or to the first thirds of the 11th century, but the western annex was built later (Dvali 1968, 155-165; Bochoridze 1995, 85-90). The coordinates of the monastery are the following: 42°26'10.45"; 42°58'32.15 (see figure 1 and a map).

During the research of the history of Mount Saint George Monastery, very interesting ritual antiquities belonging to the church have been uncovered. Their quantity is up to 14. Currently, most of the antiquities are lost. The information about the antiquities can be found in the historical deeds of Mount Saint George Monastery and in G. Bochoridze's works. Bochoridze visited and described the relics during his journey in the



1923-1926s through Racha-Lechkhumi and Imereti (Gurgenidze 1986, 162). The antiquities appear to be important monuments for not only the history of the monastery itself but also for art, political and church history of the Middle Ages of Georgia.<sup>1</sup>

In this paper, I discuss the icon that belongs to Mount Saint George Monastery and which is now considered lost.

Bochoridze saw the icon in Saint George Church in the village of Tsknori in Okriba approximately between 1925-1926. Tsknori is located about 10km (see the map) southeast of Mount Saint George Monastery. Since the time of David IV the Builder, if not even earlier, this village has been offered to Mount Saint George. In addition, the residence of “mebartlome” - estate supervisor (mouravi) of landownership of Mount Saint George Monastery was situated in the village (Zhgenti 2011, 244-260; Zhgenti 2020b, 91). The locals confirmed that the relics preserved in the village had been brought exactly from that Monastery (Bochoridze 1995, 88-89).

The description of the icon given by G. Bochoridze kept in the Depository of Materials of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia was published as far back as in a 1995-year book “Imereti Historical Monuments and Relics”. For more clarity, I fully quote the description below:

“The icon of Saint George hammered on silver, 36¼X28 cm, stretched over a slat, its back side is upholstered with leather; it is adorned by 5 gems, the sixth one is hung on it; 4 gems are missing. The Icon is severely damaged: only the face of Saint George is visible, other parts are only fragmentary; there are also many other cloths sewn on it.

The icon has an Asomtavruli inscription on the upper part of Saint George and on the left:

---

1 I have already published two papers from the cycle on the antiquities (Zhgenti 2019 <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/13/202>; Zhgenti 2020a, 299-309), the second part is being prepared for print, they are the following: “From the History of Landownership and Relics of Mount Saint George Monastery - Shaori Village and the Icon of the Archmartyr,” (International Conference: *Archeology, Source Studies - Trends and Challenges, Collected Papers*); “Front Altar Lost ‘Cross of John the Baptist’ of Mount Saint George Monastery (id. Dzmuisi “Golden Cross”) with Ktetor/Memorial Inscriptions for Arsen the Pauper, Bagrat Kurapatat and Chief Lords - Kakhaber and Michael,” (*A Historical Digest*, №8); Tao-Klarjeti Antiquity of Mount Saint George Monastery - An Unknown 11th Century Ishkhani Fragment of the Front Altar Cross?” (*Collected Papers dedicated to the Anniversary of E. Gabidzashvili*).







the 16th century, while the icon belongs to the 16th century (Nikoleishvili 2001, 29-30). As for Soselia, the researcher deems this person to be Piran II and does not identify this individual with Piran I with respect to his own numeration (Soselia 1973, 23). At this stage of my study, I share Nikoleishvili's opinion and consider that among other individuals having the name Piran Mkheidze who lived later, according to paleographic signs of the inscription, Piran - son of chief royal treasurer Sargis Mkheidze is much closer to Piran Mkheidze noted in the inscription of the Sokhastery icon. As for the date of the Sokhastery icon, I suppose the icon must be attributed to the first half of 16th century, respectively.<sup>1</sup>

The date of the Sokhastery enables us to date the above-mentioned Gurna Saint George icon by the same time period because the ktetors of the Gurna icon, as of the Sokhastery, were Piran Mkhetsidze and his wife Elene Abashidze. The difference between them is that the ktetors of the Sokhastery icon inscription mention their sons anonymously (see above), whereas the Gurna icon inscription names Kutsna and Giorgi (see above). Accordingly, I assume that the Sokhastery icon was made within the time span of the first part of the 16th century when Kutsna Mkheidze's and Elene Abashidze's sons Kutsna and Giorgi were infants. That is why the inscription mention them anonymously.<sup>2</sup> The Gurna icon was made within the time span of the first part of the 16th century when the sons of the ktetors were relatively adults. If my observation is valid, it means that the Sokhastery icon was made ahead of the Gurna icon.

---

1 I have endeavoured to find others sources about the peasants (Bezhan Beridze, Bezhan Sakhechidze, Gogichai Bubashvili) who, according to the Sokhastery inscription, were offered to the icon by Piran Mkheidze and Elene Abashidze. This could have helped us to date the icon. Unfortunately, I have found nothing about these individuals in other sources. I only remark that Queen Tamar Diasamidze offered to Gelati Saint George Church some Anvara Sakhechidze living in Chkhari in 1586 (Surguladze et al 2007, 155). Saint George Church as well as Sokhastery Church is part of the Gelati Monastic Complex. At this stage of my research, it is impossible to conclude anything concerning the ties of relationship between Bezhan Sakhechidze noted on the Sokhastery icon inscription which dates the first half 16th century, and Anvara Sakhechidze offered to Gelati Saint George Church in 1586 mentioned in the donation deeds. With respect to name, seigniorial and ecclesiastical affiliation, historical and geographic areas, and chronological similarities, we cannot exclude the possibility that Bezhan might be Anvara's ancestor. This could have unfolded the history of the Sokhastery icon. However, the assumption remains only as a theoretical possibility.

2 Generally, this part of the inscription is damaged and is dubious to read. In spite of the fact that the grapheme *d* is followed presumably by the contours of *᠗* and *᠔*, and followed by the word „*ჩ(᠗)᠒᠗(᠒)სა*“, grammatically it corresponds more to the word „*ძისა*“. Thus, it is less realistic but the possibility still exists that this part of the inscription restores as „*ძ(᠒᠔)(ა) ჩ(᠗)᠒᠗სა*“ rather than „*ძ[ის](ა) ჩ(᠗)᠒᠗(᠒)სა*“. In this case, we logically come up with a set task that the Sokhastery Saint Mary icon was forged when Piran Mkheidze and Elene Abashidze had only one son named Kutsna certainly earlier than the Gurna Saint George icon in which Kutsna and his brother Giorgi are mentioned together.



Above we have already put forward an opinion about the sameness of Kutsna Mkheidze mentioned in the inscription of the Gurna Saint George icon as Piran Mkheidze's elder (?) son and Kutsna Mkheidze, the ktetor of the Tsknori Saint George icon.

As we have already observed, according to Tsknori Saint George icon, Kutsna Mkheidze is a ktetor of the icon which also names his family anonymously. This fact must indicate that the Tsknori Saint George icon is embossed later rather than the icons from Sokhastery and Gurna where in one case Kutsna, as the ktetors' son is anonymous and in another case is mentioned with his younger (?) brother. Correspondingly, the Tsknori Saint George icon the ktetor of which is Kutsna Mkheidze must be attributed either to the mid-16th century or to the second half.

As we already know the ktetor's identity and the approximate date of the Tsknori Saint George icon, we must refer to an identity issue of the icon's blacksmith.

Unfortunately, the identity of the master is still unknown. As we have seen above his name is encrypted in the inscription as ka~mia (კა~მია). Bochoridze was not able to restore the blacksmith's name. I have tried to find a similar name to this encrypted word in other written sources, but my endeavour was not successful.<sup>1</sup>

1 For this part, I took account of the 141st manuscript in A collection of the Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts. According to the description of the manuscript, this is an 11th century collection. On its pages 89v-90r, there is a postscript written in Nuskhuri in the 18th century: „სულსა კამნია გრ~ლსა, მოძღუარისა დიონისსა შნ~ს ღ~ნ, და მისთა დედა-მამათა და მიცვალებულთა შნ~ს ღ~ნ.“ (Bregadze et al 1976, 174-175). Thus, the name „კამნია“ (kamnia) well conformed to the encrypted name კა~მია (ka~ mia), the master hammering the Tsknori icon. Moreover, in the index of persons of manuscript descriptions „კამნია გრ~ლსა“ is transformed as „კამნია გორელი“ (Bregadze et al 1976, 370). However, in reality this postscript of A 141 manuscript can be read as the following: „ს(უ)ლსა კამნიაგ~რლისა მოძღუარისა დიონისსა, შ(ე)უნდ(ვ)ნ(ე)ს ღ(მ)ერთმა)ნ“ (A 141, 89v-90r). Thus, here we do not deal with any person's name კამნია (Kamnia) but we have to do with a place of a specific geographical origin where Father Dionysius came from or served.

The examination of the mentioned toponym is another issue. I am conveying just a certain observation here which was revealed during the endeavour of identifying the blacksmith კა~მია of the Tsknori icon.

We can read a later postscript written in Nuskhuri on the page 14r of the 4927th manuscript (id. Parkhali II Gospel), in S collection of the Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts: „მე ყოველთა ცოდვილთ |<sup>2</sup> უცოდვილესმან ფრ(ი)ად ც|<sup>3</sup>ოდვილმ(ა)ნ კამნაგარე|<sup>4</sup>ლმ(ა)ნ ზანდარ, ესე ქრის|<sup>5</sup>ტეს სახარებ(ა)დ მნუედ მი<sup>6</sup>ძიმედ მოჭედელი იყო დ|<sup>7</sup>ა ურჯულთ აგა|<sup>8</sup>რიანთა დაელენა და |<sup>9</sup> დაეჭრა ესე სრულა. |<sup>10</sup> მე უნდო-ულირსმან ავი|<sup>11</sup>ლე ჳელათ და შევი|<sup>12</sup>კაზმე, მრავალი სარჯ|<sup>13</sup>ული გარდამწდა, [ღ] (მერთმა)ნ უ|<sup>14</sup>წყის, ბატონიც ჩ(ე)მი კარგი|<sup>15</sup>ად მომეწმარა, ღ(მერთმა)ნ გ|<sup>16</sup>(ა) უმაჩკოს, ვინც ამაზე|<sup>17</sup>დ მომეწ(მა)რა, შ(ე)უნდ(ნ)ეს ღ(მერთმა)ნ დედ|<sup>18</sup>ა-მ(ა)მ(ა)თა ჩ(ემ)თა შ(ე)უნდ(ნ)ეს ღ(მერთმა)ნ. ჩ(ემ)ს |<sup>19</sup> გ(ამზ)ხედეს თუალმელნი|<sup>20</sup>სას შ(ე)უნდ(ნ)ეს ღ(მერთმა)ნ, ჩ(უ)ენთა შ(ე)უნდ(ნ)ეს ღ(მერთმა)ნ“ (S 4927, 14r; Bregadze et al 1969, 175). I suppose that in the postscript of the A 141 collection the word „კამნიაგ~რლისა“ must

In conclusion, we can say about the Tsknori Saint George icon the following:

In the 16th century, the members of the Mkheidze/Mkhetsidze/Mqet-sidze seigniorial family paid much attention to upper Imereti, especially to the Gelati Sokhastery Church and to Okriba shrines offering precious icons to them (Chubinashvili 1959, 630; Nikoleishvili 2001, 29-31).

Within the time of our interest, the Mkheidzes and the Abashidzes are illustrious upper Imeretian noble families in the Imereti church and political circles. The Mkheidzes had the title of chief royal treasurer and owned large estates. However, from the mid-16th century they were losing some of the estates and by the end of the century they lost the title of royal treasurer (Soselia 1973, 16-20). The Abashidze family is very promoted by the turn of the century. Members of this feudal family hold the positions of abbot of Gelati Monastery, Catholicos of Abkhazeti, amirejibi, royal secretary-chancellor, etc. In contrast with the Mkheidze family, they remain powerful over the existence of the Kingdom of Imereti (Soselia 1973, 153-209). Unfortunately, in contrast with Piran, it is impossible to ascertain Elene Abashidze's patronymic name. The ktetorial inscriptions on the Gurna and the Tsknori icons of Saint George provide additional information about the two important aristocratic families.

In the second half of the 16th century, Piran Mkheidze's and Elene Abashidze's elder son – Kutsna Mkheidze ordered some blacksmith Kamia (?) to forge a Saint George icon specially for Mount Saint George Monastery for the deliverance of himself and his wife and children. It is understandable because, as we have already indicated above, Mount Saint George Monastery on the Racha Range is located on Mount Saint George and overlooks Okriba, as most of the landownership of the family was in Okriba.<sup>1</sup> Kutsna Mkheidze, an Okriban lord (possibly even mouravi of Okriba), pays particular attention to the Monastery by offering a precious icon.

---

be restores as „კამნიაგარელისა“ (kamniagarelisa), as it is given in the postscript of the Parkhali II Gospel. The A 141 collection as well as the Parkhali II Gospel is of Tao-Klarjeti origin, namely Taoan. Most likely, both manuscripts once belonged to the members of the Kavkasidze seigniorial family (Kudava et al 2017, 417-8, 424; Surguladze et al 2018, 106, 289). Later on, after the Ottoman conquest of Tao, both manuscripts were sent for safety to different parts of Georgia. Accordingly, the geographical or church location named კამნაგარა/ი (Kamnagara/i) or კამნიაგარა/ი (Kamniagara/i) has to be investigated in the future.

<sup>1</sup> I spoke thoroughly on historical and territorial distribution of landownership of Mount Saint George Monastery in lower Racha, upper Imereti and on the Likhi Range at the David the Builder VII International Conference (Gori University, February 21, 2010). In the nearest future, the materials of the conference are to be published in the issue 19 of the *Gori University Proceedings*. The issue includes my paper titled “On One of the Lost Historical Acts of David the Builder and Demetre I (an 1106-1125 deed of offerings to Mount Saint George Monastery).”

The icon was preserved in Mount Saint George Monastery presumably until the early 20th century. Since then, like other relics of the Monastery, this icon has been brought down to one of the village of Okriba - the Tsknori Saint George Church. It is unknown when the icon was damaged. Bochoridze saw it already significantly damaged in 1925-1926.

Apparently, people offered money as sacrifices to the icon because Bochoridze states, "there is a lot of money with the icon".

Currently, the icon is considered lost. Up until now, only six beads have been survived (out of 23). Bochoridze brought them to the Kutaisi Historical and Ethnographic Museum.

## REFERENCES

Bochoridze 1995: G. Bochoridze, *Imereti Historical Monuments*, Tbilisi: Metsniereba, 1995.

Bregadze et al 1969: *The Description of Georgian Manuscripts, The Collection of former Society for Spreading Literacy among Georgians (S) Volume IV*, compiled and prepared for print by T. Bregadze, L. Kajaia, L. Kutateladze, M. Shanidze and K. Chankiev. Edited by E. Metreveli. Tbilisi: Metsniereba, 1969.

Bregadze et al 1976: *The Description of Georgian Manuscripts, The Collection of former Museum of Church (A), Volume I<sub>2</sub>*, compiled and prepared for print by T. Bregadze, Ts. Kakhabrishvili, T. Mgaloblishvili, M. Kavtaria, L. Kutateladze and Ts. Jghamaia. Edited by E. Metreveli. Tbilisi: Metsniereba, 1976.

Gurgenidze 1986: V. Gurgenidze, "Historian Giorgi Bochoridze (the documents are narrating)", *Matsne (Bulletin) – Historical, Archeological, Ethnographical and Art History Series*, 4. Tbilisi: Metsniereba, 1986.

Dvali 1968: M. Dvali, "Lenkari Saint George Church of Lenkari", *Journal Matsne (Bulletin)*, №4. Tbilisi: Metsniereba, 1968.

Kakabadze 1921: S. Kakabadze, *Historical Documents of Western Georgia*, I. Tbilisi, 1921.

Kudava et al 2017: *Tao-Klarjeti. Historical and Cultural Documents. Catalogue*. Authors and Compilers: N. Bagauri, Z. Batiashvili, I. Beridze, B. Kudava, N. Zhgenti, G. Saitidze, N. Khizanishvili. Tbilisi: Artanuji, 2017.

Nikoleishvili 2001: M. Nikoleishvili, "Epigraphic Monuments of Kutaisi Museum", *The Proceedings of Kutaisi State Museum, Digest*, XIII. Kutaisi, 2001.

Zhgenti 2011: N. Zhgenti, "Once Again about the Title "Mebartlome" Mentioned in 1465-1467 Deed Granted to Mount Saint George Monastery", *The Proceedings of the Institute of History and Ethnology*, №X-XI. Tbilisi: Meridiani, 2010-2011.

Zhgenti 2011: N. Zhgenti, "From the History of Mount Saint George Monastery", *Spekali*, 13 <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/13/202>

Zhgenti 2020a: N. Zhgenti, Church Antiquities of Mount Saint George Monastery, 3<sup>rd</sup> International Symposium of Young Scholars in the Humanities, The Proceedings of Papers. Tbilisi, 2020.

Zhgenti 2020b: N. Zhgenti, "From the History of Church Seigniories in Western Georgia - Gelati and Mount Saint George Monastery (Historical Unions)", Saint Grigol Peradze 120, Saint Grigol Peradze I International Scientific Conference - "Georgia in the Context of Christian Civilization" (Materials). Tbilisi, 2020.

Soselia 1873: O. Soselia, The Sketches on Feudalism from the Sociopolitical History of Western Georgia (Seigniories), I. Tbilisi: Metsniereba, 1973.

Surguladze et al 2007: The Annotated Dictionary of Persons XI-XVII (according to the Georgian historical deeds), IV. The materials were collected and issued by Giorgi Otkhmezuri, Guliko Mchedlidze, Mzia Surguladze, Davit Zhgenti, Ana Bakradze, Tina Ehlukidze and Darejan Kldiashvili. The volume was compiled by Mzia Surguladze and Darejan Kldiashvili. Tbilisi: Artanuji, 2007.

Surguladze et al 2018: Literary Heritage of Tao-Klarjeti (Study, Texts). Authors: M. Surguladze, L. Shatirishvili, M. Karanadze, N. Zhgenti, E. Edisherashvili. Tbilisi: Polygraphy, 2018.

Kondakov and Bakradze 1890: The Description of Old Monuments in Some of the Churches and Monasteries of Georgia. Prepared by Professor N. Kondakov, University of Saint Petersburg, The Georgian Inscriptions are read and explained by Dimitri Bakradze. Saint Petersburg, 1890.

Chubinashvili 1959: G. Chubinashvili, Georgian Forged Art - The Historical Investigation of Medieval Art, in 2 volumes, Georgian SSR Academy of Sciences, The Institute of Georgian Art History. Tbilisi: Sabchota Sakartvelo, 1959.

### ნოდარ ჩხაიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო  
nodar.chkaidze1992@gmail.com



### ნიკოლოზ სარაჯიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო  
nikasarajishvili99@gmail.com

## ჰელენ კრებელი – ვარლამ ჩერქეზიშვილის უცნობი ცოლი?

1906 წელს ლონდონში ვინმე მერი დერვალმა სასტუმროში თავი მოიკლა. მალევე გაჩნდა ცნობები, რომ ეს ქალი ანარქისტების შურისძიების მსხვერპლი გახდა. მას დაბრალდა ანარქისტების პოლიციაში დასმენა, ჯაშუშობა რუსეთის იმპერიის დავალებით. საქმე ბრიტანული თუ ამერიკული გაზეთების ინტერესების ცენტრში მოექცა და რამდენიმე ხნის განმავლობაში სენსაციად იყო ქცეული. ამ საქმემ ჩვენი ყურადღება მიიქცია, ვინაიდან არის ცნობები, რომ მერი დერვალთან ცოლქმრული ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ ქართველ ანარქისტ ვარლამ ჩერქეზიშვილს და რომ ეს უკანასკნელი ერთ-ერთი მოქმედი პირი იყო ამ ქალის სიკვდილამდე მიყვანაში. თავის მხრივ, თუ ჩვენ მიერ პრესაში ნანახი მასალები რეალობასთან ახლოს მყოფ ისტორიას ყვებიან, ჩერქეზიშვილის პირადი ცხოვრების სრულიად ახალ ფურცელთან გვაქვს საქმე.

**საკვანძო სიტყვები:** ვარლამ ჩერქეზიშვილი, მერი დერვალი, ჰელენ კრებელი, გიორგი გაპონი, ანარქიზმი, ნიჰილისტები, ფრიდა რეპერტუსი, რუდოლფ კრებელი, ფიოდორ კრებელი, ჰერბერტ ფიჩი.



ქართველი ანარქისტის ვარლამ ჩერქეზიშვილის ოჯახური ცხოვრების შესახებ ჯერჯერობით საკმაოდ მწირი ცნობები გვაქვს. დიმიტრი შველიძე მონოგრაფიაში – „აი ვინ იყო, ქართველნო, ვარლამ ჩერქეზიშვილი!“ – მიუთითებს, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილს ჰყავდა მეუღლე სახელად ფრიდა, რომელიც აქტიურად ეხმარებოდა მას სხვადასხვა საქმეში (შველიძე 2001, 230-231). ბოლო პერიოდამდე ფრიდას დაბადების თარიღი უცნობი იყო. ასევე, არ ვიცოდით მისი ნამდვილი გვარი. თუმცა, ინტერნეტ არქივების წყალობით შევძელით დაგვედგინა, რომ იგი დაიბადა 1877 წელს, (რუპერტუსი ფრიდა), ხოლო მისი ნამდვილი გვარი რუპერტუსი იყო. აგრეთვე გავარკვიეთ, რომ ფრიდამ და ვარლამმა ქორწინება 1906 წლის მარტში გააფორმეს.<sup>1</sup>

მართალია, ჯერჯერობით, ფრიდას სრული ბიოგრაფია მაინც არ გვაქვს, არ ვიცით არც მისი გარდაცვალების თარიღი და ადგილი, თუმცა ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით ის, დაახლოებით 1950 წელს, შესაძლოა ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილიყო. (Wedman, 1993: 190).

რამდენიმე ხნის წინ, წავაწყდით მკვლევარ ალან სარჯენტის სტატიას, რომელიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლონდონურ შეკრებებზე წერდა. (Studies in British Bolshevism 2018, 11). სარჯენტს თავის ნაშრომში დამოწმებული აქვს ბრიტანეთის სპეციალური განყოფილების თანამშრომლის, ჰერბერტ ფიჩის მემუარები. (Studies in British Bolshevism 2018, 4). ეს უკანასკნელი, მეოცე საუკუნის დასაწყისში თვალყურს ადევნებდა რუსეთის იმპერიიდან ლონდონში ჩასულ ემიგრანტებს. ამ მემუარებში გვხვდება ცნობა, რომელიც ვარლამ ჩერქეზიშვილის დღემდე უცნობი ცოლის შესახებ მოგვითხრობს. ვინაიდან ალან სარჯენტი ამ ნაშრომს სხვა მიზანდასახულობით წერდა, ის არ გაჰყოლია ამ ქალის ვინაობის გარკვევას. ჩვენ ვეცადეთ, თავი მოგვეყარა მსოფლიო პრესაში გაფანტული ცნობებისთვის, საარქივო მასალებისთვის და დაგვედგინა ჭეშმარიტება. სამწუხაროდ, ბევრი რამ ბუნდოვანია, ამიტომ ამ ეტაპზე ჩვენს კვლევაში საკითხის დასმითა და ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმით შემოვიფარგლეთ.

გადავინაცვლოთ 1900-იანი წლების დასაწყისის ლონდონში. 1906 წლის 14 მარტს, ლონდონში, პიმლიკოს გარეუბანში მდებარე სასტუმროს ახალგაზრდა, ფრანგულ ენაზე კარგად მოსაუბრე ქალი ესტუმრა. მან ოთახი იქირავა და მერი დერვალის სახელით ჩაენერა. მომდევნო დღეს, სასტუმროს თანამშრომლებმა ეს პიროვნება გარდაცვლილი იპოვეს. ბრიტანელი ოფიცერი ფიჩი, რომელიც ჩვენ ზემოთ ვახსენეთ, 1933 წელს გამოსულ მემუარებში იხსენებს, რომ იგი შემთხვევის ადგილზე მივიდა და ნახა, რომ „ოთახში ახალგაზ-

1 ქორწინების შესახებ ცნობა იხილეთ [https://www.freebmd.org.uk/cgi/search.pl?start=1906&end=1906&sq=1&eq=1&type=Marriages&vol=1a&pgno=529&db=bmd\\_1603137739&jsexec=1&mono=0&v=MTYwNTAzODkyODphMDFkNzYxOWE4MzRmYzYxNTRmZDAXYmMyNTJjM2QxYmM5MGJiZGVl&searchdef=db%3Dbmd\\_1603137739%26type%3DMarriages%26sq%3D1%26eq%3D4%26surname%3Dtcherkesoff&action=Find&fbclid=IwAR2gAGCz6r3hKoD6-92TW8gxWOHSK6z7caLyTDzmjWf7ve5fSMFTdx451U](https://www.freebmd.org.uk/cgi/search.pl?start=1906&end=1906&sq=1&eq=1&type=Marriages&vol=1a&pgno=529&db=bmd_1603137739&jsexec=1&mono=0&v=MTYwNTAzODkyODphMDFkNzYxOWE4MzRmYzYxNTRmZDAXYmMyNTJjM2QxYmM5MGJiZGVl&searchdef=db%3Dbmd_1603137739%26type%3DMarriages%26sq%3D1%26eq%3D4%26surname%3Dtcherkesoff&action=Find&fbclid=IwAR2gAGCz6r3hKoD6-92TW8gxWOHSK6z7caLyTDzmjWf7ve5fSMFTdx451U), ბოლოს დამოწმებულია 09.11.2020.

რდა ქალი იატაკზე მოკუნტული იწვა, ხელში რევოლვერი ეჭირა და თავში ტყვია ჰქონდა მოხვედრილი.“ (Fitch 1933, 30). პრესაში გავრცელებული ცნობის მიხედვით კი, ქალის ოთახში აღმოჩენილი იყო სანამლავის ქილა, რომელშიც ქლორიდი უნდა ყოფილიყო (Inquest 1906, 14). რომელი ვერსიაა უფრო სწორი, ჯერჯერობით რთული სათქმელია. თუმცა, გაზეთები ერთხმად იმეორებენ სანამლავის ვერსიას. პრესის ცნობით ქალს წერილი ჰქონდა დატოვებული შემდეგი შინაარსით: „სახელი, რომლითაც მე დავრეგისტრირდი მე არ მეკუთვნის, მე ამერიკელი ვარ. არ მყავს ნათესავები და მეგობრები, რადგანაც არავინ მაღიარებს, გთხოვთ, ჩემი გვამი დაწვით და ფერფლი სადმე გაფანტოთ.“ (Inquest 1906, 14).

ცხადია, საქმე აღიძრა და გვამის გაკვეთაც ჩატარდა. ექიმ რობერტ სალისბარ ტრევორმა, სენტ ჯორჯის ჰოსპიტალის პათოლოგ-ანატომმა თქვა, რომ “ეს კარგად მოვლილი ქალის სხეული იყო. ის დაახლოებით 40 წლისა იყო, სიმაღლეში ხუთი ფუტი და ხუთი ინჩი. საკმაოდ გრძელი, ყავისფერი თმა ჰქონდა. კარგი, მაგრამ უსწორმასწორო კბილები. ღია ყავისფერი თვალები. წელი 25 ინჩი.<sup>1</sup> იგი ირწმუნებოდა, რომ სიკვდილის მიზეზი, ვერცხლისწყლის ქლორიდით მოწამვლა იყო” (Inquest 1906, 14).

მერი დერვალის ამბავი მალევე გახმაურდა მთელ ბრიტანეთში და თვეების განმავლობაში არაერთი გაზეთი გამოეხმაურა ამ ისტორიას. საკითხისადმი ინტერესი დიდი ბრიტანეთის ფარგლებსაც გასცდა. იმ პერიოდის ლონდონში მკვლელობა და თვითმკვლელობა ერთეული შემთხვევა არ იყო, თუმცა, იმ მიზეზის გამო, რომელზეც ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი, კვირების განმავლობაში ბრიტანული და არამართო ბრიტანული პრესისთვის, ეს საქმე სენსაციის წყაროდ იქცა.

პოლიციამ პირველ განსახორციელებელ ღონისძიებად ქალის ვინაობის დადგენა დაისახა. პრესაში ცნობის გამოქვეყნებისთანავე, ლონდონის პოლიციაში უამრავი ადამიანის წერილი მივიდა. ისინი თავიანთ დაკარგულ ოჯახის წევრებს ეძებდნენ და ამონებდნენ გარდაცვლილისა და მათი ნათესავის მონაცემების მსგავსებას. მალე გაზეთებში გაჩნდა ცნობები, რომ გარდაცვლილის შესახებ სიმართლე გაირკვა.

ამერიკაში მცხოვრები ქალი, გვარად ვუდი ამტკიცებდა, რომ გარდაცვლილი შესაძლოა მისი და – მილიონერ კუშინგის ცოლი ყოფილიყო, თუმცა ეს ვარაუდი მალევე უარყვეს, ვინაიდან ვუდის და ცოცხალი აღმოჩნდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, საფრანგეთის პოლიციიდან მოვიდა ცნობა, რომ გარდაცვლილი, რუსი ქალი გვარად კრებელი იყო (Identified woman 1906, 7). გაზეთებიც ირწმუნებოდნენ, რომ ის სწორედ რუსი დიდგვაროვნის შვილი ჰქვამდა კრებელი იყო. ეს ამბავი პრესის მთავარი „ნიუსიკ“ მას შემდეგ გახდა, რაც დადგინდა, რომ ის „ნიჰილისტებს“ ემსხვერპლა.

ვიდრე, ჰქვამდა კრებელის შესახებ გავავრძელებდეთ საუბარს, საჭიროდ მიგვაჩნია მცირე თეორიული ექსკურსი საკითხში, რათა

1 5 ფუტი და 5 ინჩი – 1,67 მეტრი. 25 ინჩი – 63,5 სანტიმეტრი.

ნათლად გამოვკვეთოთ, თუ რამ გამოიწვია ამ საკითხისადმი განსაკუთრებული ინტერესი იმ პერიოდში.

მკვლევარი ანა ვანინსკაია მოგვითხრობს, რომ ინგლისურ ლიტერატურასა და პრესაში ჯამუშური ჟანრი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა. იგი წერს, რომ გვიან ვიქტორიანულ ხანაში ამას მკვეთრად გამოხატული რუსული აქცენტი ჰქონდა და დაკავშირებული იყო სამ მოვლენასთან: 1. ვერა ზასულიჩის მიერ პეტერბურგის გუბერნატორის დაჭრასთან, 2. ტერორისტული ორგანიზაციის „ხალხის ნება“ ჩამოყალიბებასთან, 3. 1881 წელს ალექსანდრე II-ის მკვლელობასთან.

„რუსეთის პოლიციამ ტერორისტულ ორგანიზაციებში ჯამუშები შეგზავნა, რომელთა წყალობითაც უამრავი ლიდერის შეპყრობა მოხერხდა, ეს ამბები კი ბრიტანელი მწერლებისათვის შთაგონების წყაროდ იქცა. გაზეთები მათი ისტორიებით აივსო. XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული „ნიჰილისტების“ თავგადასავლები ტერორისტული ფიქციის ყველაზე პოპულარულ მიმართულებად იქცა. „ნიჰილისტები“ არასოდეს ჩნდებოდნენ თავიანთი ნემეზისის – მეფის საიდუმლო აგენტის გარეშე.“ (Vaninskaya 2016).

ეს პასაჟი კი სწორედ იმიტომ მოგვყავს, რომ ამბავი, რომლითაც ჰელენ კრებელის ისტორია აღიწერა ბრიტანულ პრესაში, სრულიად ჯდება ამ სქემაში.

Sunday Call-ის 1906 წლის 10 ივნისის ნომერში ვკითხულობთ: „ტრიბუნის“ პარიზის კორესპონდენტის თქმით ქალი, რომელმაც თავი მოიკლა არის გენუაში რუსეთის კონსულის უმცროსი ქალიშვილი. მისი (კონსულის – ნ.ჩ., ნ.ს.) უფროსი შვილი დაქორწინებულია კროპოტკინზე.“<sup>1</sup> (End of the Romance... 1906, 13).

რაც შეეხება ოჯახის სხვა წევრებს, ისინი გამოჩენილ პირები იყვნენ და ზოგადად, XIX საუკუნის რუსეთში კრებელი წარჩინებული გვარი ჩანს. ჰელენის ბაბუა, რუდოლფ კრებელი რუსი მეცნიერი, მედიცინის დოქტორი და საზღვაო ექიმი იყო (Кребель Р.: ).

ჰელენის მამა ფიოდორი 1841 წლის 18 აპრილს დაიბადა ქალაქ სანქტ-პეტერბურგში. მოღვაწეობდა, როგორც სახელმწიფო მრჩეველი, კამერჰერი. იყო რუსეთის კონსული გენუაში. (თეთრი მოძრაობის წევრები, იხ. შესაბამისი ბმული).

რუსეთის რევოლუციისას ფიოდორი აქტიურად უჭერდა მხარს თეთრგვარდიელებს, ხოლო მას შემდეგ, რაც რუსეთში საბჭოთა ხელისუფლება დამტკიცდა, მან იტალიაში დარჩენა ამჯობინა და 1926 წლის 29 მაისს გარდაიცვალა კიდეც.

ამერიკული გაზეთის ცნობით, ჰელენ კრებელი თავისი გარეგნობით, წარმომავლობითა და გონებამახვილობით ადრიდანვე გახდა იარაღი რუსული დიპლომატიის ხელში. უცხოეთის საელჩოებიდან შემომავალი ინფორმაციები, ჰელენ კრებელის ხელში იყრიდა თავს.

1 საუბარია თავად სერგეი კროპოტკინზე.

ის ანარქისტებთან საიდუმლო აგენტის სახით იყო შეგზავნილი და მათი ნდობის მოპოვებაც მოახერხა. მისი საქმიანობა საზღვარგარეთ, ძირითადად საფრანგეთში მიმდინარეობდა. როგორც ამერიკული გაზეთი წერს, კრებელი ანარქისტებს ეუბნებოდა, რომ მას შეეძლო მათი თანხები საზღვარგარეთ გადაეტანა ისე, რომ ზედმეტი ეჭვი არ აღძრულიყო. (Why the Czars Cleverest... 1906, 17).

გაზეთ Truth-ში ვკითხულობთ ლონდონ სტარის კორესპონდენტის მიერ მიწოდებულ ცნობებს. იგი წერს: „ოთხი წლის წინ, მე იგი (ჰელენ კრებელი – ნ.ჩ, ნ.ს) მოსკოვში ვნახე, ის შესანიშნავი მთხრობელი და ბრწყინვალე მწერალი იყო. მისი პამფლეტები ბრწყინვალე სტილით იყო დაწერილი. როდესაც მოსკოვის ჯგუფში ხმა ვრცელდებოდა, რომ ჰელენ კრებელი მოდიოდა სასაუბროდ, დარბაზი ყოველთვის გადაჭედებული იყო.“ (A Female Anarchist 1906, 7). კორესპონდენტი წერს, რომ მონათხრობის მიხედვით, იგი დაქორწინდა მოსკოვის ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერზე, ანარქისტ ჩერქეზოვზე. ჩერქეზიშვილი რუსეთის იმპერიიდან 1876 წელს გაიქცა და 1905 წლის ცნობილ ამნისტიამდე ძებნილი იყო. ვიცით, რომ ამ პერიოდში ის საქართველოში ოთხჯერ იმყოფებოდა ფარულად. (Startt 1987, 145). რაც შეეხება რუსეთში მის ყოფნას, „ჩიკაგო დეილი ნიუსისთვის“ დაწერილი მისივე წერილიდან ირკვევა, რომ იგი 1902 წელს პეტერბურგში ნამდვილად იყო, (Despotism in Russia 1902, 3), თუმცა ამ ვიზიტის დეტალები ჯერჯერობით არ ვიცით. არც ის ვიცით, როგორ მოახერხა დევნილმა ჩერქეზიშვილმა პეტერბურგიდან ლეგალურად საგაზეთო წერილის დაწერა, თუნდაც უცხოური გაზეთისთვის. ერთი სიტყვით, რუსეთში მათი შეხვედრა სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია. ოფიცერ ფიჩის თქმით, ეს იყო ანარქისტული ქორწინება.

ოჯახურ ურთიერთობებთან დაკავშირებით ანარქისტებს სჯერათ, რომ სამოქალაქო ქორწინება ავტონომიური ქორწინებით უნდა ჩანაცვლდეს, რაც ნიშნავს, რომ მხარეები თანხმდებიან იცხოვრონ ერთად მანამდე, სანამ მოსწონთ ერთად ყოფნა. როდესაც ერთ-ერთი მხარე ურთიერთობის განწყვეტის სურვილს გამოთქვამს, პარტნიორობა სრულდება (Osgood 1889, 20). როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ურთიერთობის განწყვეტა ქართველმა ანარქისტმა მოინდომა. უილიამ ფიჩის თქმით, „გაბრაზებულმა კრებელმა დოკუმენტები, რომელიც ანარქისტების დანაშაულებს ამხელდა, პოლიციაში წაიღო. ჩერქეზოვის მეგობრები სანქტ-პეტერბურგში ჩამოახრჩვეს,<sup>1</sup> ხოლო ჩერქეზოვმა მოახერხა ამერიკაში გაქცევა.“ (Fitch 1933: 31). რაც შეეხება ჩერქეზიშვილსა და ამერიკას. მას ამერიკის შეერთებული შტატებისადმი ინტერესი ახალგაზრდობიდანვე ჰქონდა. იგი თავის მცირე ავტობიოგრაფიაში ყვება, რომ ამერიკაში წასვლა და მომხრობის მომხრეების წინააღმდეგ ბრძოლა უნდოდა (Startt 1987, 145). ამას გარდა, ცნობილმა ანარქისტმა პეტრე კროპოტკინმა ამერიკელ ჟურნალისტ პრაის ბელისთან მოყვა, რომ ის და ჩერქეზიშვილი აღმერთებდნენ აბრაამ ლინკოლნს (Chicago daily news 1929,

1 ჯერჯერობით, ცნობას, რომ იმ პერიოდში პოლიციას ანარქისტების დიდი ჯგუფი დაეპატიმრებინოს და სიკვდილით დაესაჯოს, რუსულ პრესაში ვერ მივაკვლიეთ.



16). ვიცით, რომ ჩერქეზიშვილი და მისი მეუღლე ფრიდა წლების განმავლობაში თანამშრომლობდნენ ამერიკულ პრესასთან, განსაკუთრებით კი ჩიკაგო დეილი ნიუსთან. თუმცა, ჩვენთვის დღემდე უცნობია იმყოფებოდა თუ არა ჩერქეზიშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში ოდესმე .

ბელფასტის გაზეთის მიხედვით, კრებელის ჯაშუშობის ამბავი დაუყოვნებლივ არ გახმაურებულა და იგი რამდენიმე ხნის განმავლობაში აგრძელებდა ჟანდარმერიაში ინფორმაციის მიტანას. როდესაც რევოლუციონერებმა ეჭვი აიღეს, მისი ერთგულების შემოწმება გადაწყვიტეს, რის გამოც მას ერთ-ერთი ოფიციალური პირის მოკვლა დაავალეს (არ სახელდება ვისი). ამის შემდეგ ჰელენ კრებელი რუსეთიდან გაიქცა (The Fate of a Spy 1906, 9).

ისტორიის გაგრძელებას უკვე კვლავ ფიჩისაგან ვიგებთ. კრებელი ანარქისტების შურისძიებისგან დასხლტომას ამერიკაში, საფრანგეთსა და ინგლისში მოგზაურობით ცდილობდა. ფიჩის თქმით, პარიზში კრებელმა თვითონვე გადაწყვიტა ჩერქეზოვის მკვლელობა, თუმცა ტყვია ააცილა. შინ დაბრუნებულმა კი, როცა გაიგო, რომ სახლში სამი უცნობი მამაკაცი ესტუმრა, რომლებმაც დაიბარეს რომ კვლავ დაბრუნდებოდნენ, ლონდონში გაიქცა. ფიჩი ამბობს, რომ გარდაცვლილ კრებელთან ერთად, მან აგრეთვე უკანასკნელი სასიყვარულო წერილი ნახა, რომელიც მას ჩერქეზოვისთვის ჰქონდა მიძღვნილი (Fitch 1933, 31).

კრებელის პარიზში ყოფნასთან დაკავშირებით განსხვავებული ვერსიაც არსებობს: პარიზში ჩასული ჰელენი ქალაქის გარეუბანში, ნეუილში, გაჩერდა, სადაც მხოლოდ ერთ გლეხის ქალთან – ჟანეტ გროსჟანთან ჰქონდა კონტაქტი. ამ ქალის ინტერვიუ გაზეთ The Boston American-ში დაიბეჭდა.

ერთ საღამოს, როდესაც კრებელი ჩვეულებრივი სეირნობიდან დაბრუნდა და დასაძინებლად წავიდა, სახლის კარებთან კარგი გარეგნობის მამაკაცი გამოჩნა, რომელიც ფრანგულად, ოდნავ რუსული ან გერმანული აქცენტით საუბრობდა. მან გროსჟანს წერილი გადასცა და უთხრა, რომ ეს მისი ქალბატონისათვის იყო განკუთვნილი. მან დიასახლისს ვერცხლის ხუთ ფრანკიანი ჩაუდო ხელეებში და გაუჩინარდა. კრებელმა კაცის წასვლისთანავე დააყარა დიასახლისს კითხვები:

- ვის შესახებ გკითხათ იმ კაცმა, ჟანეტ?
- არავის შესახებ, მან უბრალოდ წერილი მომცა და მითხრა ეს წერილი ჩემი ქალბატონისთვის მიმეცა, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო.
- როგორი იყო ეს კაცი?
- ტანწვრილი და მუქი, იგი კარგად ჩაცმული იყო და ფრანგულად კარგად საუბრობდა.
- და არაფერი უკითხავს?
- არა, მადამ.
- წერილის გარდა მოგცა კიდევ რამე?
- დიახ, ხუთ ფრანკიანი.“ (Why the Czars Cleverest... 1906, 17).



კრებელი უფრო და უფრო ფითრდებოდა. შემდეგ მან უთხრა დიასახლისს, რომ შეეძლო წასულიყო. ამის შემდეგ მან წერილი გახსნა. წერილმა მასზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. ემოციური შოკის, შიშის შეტევისა და განცდების შემდეგ, მან პარიზის დატოვება და ლონდონში წასვლა გადაწყვიტა, რის შესახებაც დიასახლისსაც აცნობა.

„ჟანეტ, მე საშინელი წერილი მივიღე, რის გამოც საფრანგეთი ამ საღამოს აუცილებლად უნდა დავტოვო. შენი დახმარება აღარ მესაჭიროება. აქ არის ერთი თვის ხელფასი. თუ პარიზში დავბრუნდი, იმედია შენი სამსახურით ისევ ვისარგებლებ. თუ ვინმემ გკითხა რამე ჩემს შესახებ, გთხოვ, არაფერი უამბო.“ (Why the Czars Cleverest... 1906, 17).

ამის შემდეგ იგი პარიზიდან ლონდონში გაემგზავრა, სადაც თავი მოიკლა.

დეილი ქრონიკლის პარიზის კორესპონდენტის ვერსიაში უცნობი მამაკაცის სტუმრობა ჩანს, თუმცა გარკვეული განსხვავებებით. „ერთ დღეს, უცნობი მივიდა კრებელის სახლში და კონსიერჟს ჰკითხა, ვინმე რუსი ქალი თუ ცხოვრობდა. კონსიერჟმა არ იცოდა კრებელის წარმოშობის შესახებ და უთხრა, რომ რუსი არავინ იყო იქ. მამაკაცი დაახლოებით 35 წლისა იყო, შავგვრემანი და ოდნავ აქცენტისანი ფრანგულით საუბრობდა. იგი პასუხმა გააბრაზა და მოტყუების შემთხვევაში კონსიერჟს სიკვდილით დაემუქრა. შემდეგ ამ კაცმა ჰელენ კრებელი სახელით და გვარით იკითხა და ყველაფერი გამოაშკარავდა. ამ კაცის უკანასკნელი ვიზიტი კრებელის ლონდონში გაქცევამდე ერთი კვირით ადრე იყო. როგორც ჩანს კრებელსა და ამ კაცს შორის ხმამაღალი კონფლიქტი მოხდა, რის გამოც კრებელი მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრობდა. სიტუაციამ პიკს მიაღწია მაშინ, როდესაც სიკვდილის მუქარის შემცველი წერილი მიიღო. ამის შემდეგ კრებელმა თავის დას წერილი მიწერა, სადაც იგი ამბობდა, რომ ეს არ იყო გამონვეული მისი შიშით თუ შეშლილობით, გადაწყვეტილებას აბსოლუტურად ცივი გონებით იღებდა. “მე უცხო ქვეყანაში მივდივარ, სადაც არავინ მიცნობს და სადაც ისინი ვერ შეძლებენ აღმოაჩინონ თუ ვინ ვარ მე.“ (Norfolk News 1906).

„განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა რუსეთის საელჩოსგან ინფორმაციის მიღება იმის შესახებ, იყო თუ არა გარდაცვლილი ქალი ჰელენ კრებელი.“ პარიზიდან გადმოგზავნეს გასაღებები, რომლებიც ზუსტად ერგებოდა ლონდონის სასტუმროს საწყობში არსებულ კრებელის ჩემოდნებს. რუსეთის ხელისუფლებამ ამ ყველაფრის სასწრაფოდ დალუქვა მოითხოვა. სანამ მათ დალუქავდნენ, ერთ-ერთ ჩემოდანში აღმოჩნდა წერილი, რომელმაც, როგორც ჩანს, ქალზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. იმ დროის პრესაში გავრცელდა მღვდელ გაპონის სიკვდილით დასჯის ამბავი, ჟურნალში დაბეჭდილი იყო სურათი, რომელზეც აღბეჭდილი იყო მოკლული სასულიერო პირი.

სავარაუდოდ ამ პუბლიკაციებმა აიძულეს, ეპოვა საკუთარ თავში ძალა და გამბედაობა (რათა თავი მოეკლა – ნ.ჩ. ნ.ს) (Why the

Czars Cleverest... 1906, 17).<sup>1</sup>

საბოლოოდ კი ჩნდება მთავარი კითხვა, რამდენად შესაძლებელია, ვარლამ ჩერქეზიშვილი ყოფილიყო უშუალოდ ის პირი, რომელმაც რამდენჯერმე მიაკითხა ჰელენ კრებელს? ჩვენ ეს გამორიცხულად მიგვაჩნია. 1906 წლის იანვრიდან ჩერქეზიშვილი რუსეთის იმპერიაში იმყოფებოდა და ევროპაში 1907 წლამდე აღარ დაბრუნებულა.. არის ალბათობა, რომ ჩერქეზიშვილისა და მისი თანამოაზრეების მიერ ჩამოყალიბებული ანტიპოლიციური ლიგა, რომელიც ერთგვარ ანარქისტულ „კონტრდაზვერვას“ წარმოადგენდა, მართლაც დევნიდა კრებელს.<sup>2</sup>

ოფიცერ ფიჩის მონათხრობისა და ამბების თანადროული პრესის საშუალებით შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მერი დერვალი ნამდვილად ჰელენ კრებელი იყო. საფიქრებელია, რომ ოფიცერი ფიჩი რეალობას ყვება, როდესაც ხაზს უსვამს კრებელისა და ჩერქეზიშვილის ურთიერთობას. ამბის განსაკუთრებული პოპულარობა იმით აიხსნება, რომ მოცემული ისტორია კარგად ჩაჯდა იმ დროის დიდი ბრიტანეთის პრესის პოპულარული „ტერორისტული ფიქციის“ სქემაში. ვერსიების განსხვავებულობისა და სიმრავლის გამო, ჯერჯერობით ჭირს ზუსტი გარემოებების დადგენა. საქმეს ხელს ისიც უშლის, რომ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება ბრიტანული საარქივო მასალები და ამ ეტაპზე ამ ქალის ბიოგრაფიის შესახებ რუსულენოვან პრესაშიც ვერაფერი ვიპოვეთ. ეს შემდგომი კვლევა-ძიების თემა უნდა გახდეს.

1 სტატიაში საუბარია მღვდელ გიორგი გაპონზე (1870 –1906). ის სათავეში ედგა ე. წ. «ზუბატოვშჩინებს». სწორედ გაპონის მოქმედებებმა მისცა მუხტი რუსეთის პირველი რევოლუციის დაწყებას. 1905 წლის 9 იანვარს, მუშათა დიდ ტალღასს გაპონი მიუძღვოდა. მანიფესტაცია მეფის ჯარმა სასტიკად დაარბია, რის შემდეგაც გაპონი ინგლისში გაიქცა. მასზე ეჭვი გაჩნდა რომ იგი პროვოკატორი და ჯაშუში იყო. საბოლოოდ, 1906 წლის მარტში თავისივე ორგანიზაციის ერთ-ერთმა წევრმა მოკლა. არაერთ სტატიაში ვხვდებით გიორგი გაპონისა და ჰელენ კრებელის შედარებას.

2 ანარქისტების ანტიპოლიციური ლიგის საქმიანობაში ვარლამ ჩერქეზიშვილის როლს პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში ხაზი მკვლევარმა დიმიტრი შველიძემ გაუსვა. იხ. მონოგრაფია: აი ვინ იყო, ქართველნო, ვარლამ ჩერქეზიშვილი!, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი 2001. გვ. 134-135.



## დამონებანი

შველიძე 2001: შველიძე, დიმიტრი, აი ვინ იყო, ქართველნო, ვარლამ ჩერქეზიშვილი!, გამომცემლობა „ინტელქეტი“, თბილისი 2001.

Startt, 1987: James Startt. The Evolution of an Anarchist: An Autobiographical Statement by Varlaam Tcherkesoff, 1846—1925. University of Hawai'i Press. Vol. 10, No. 2.. 1987.

Fitch, 1933: Herbert T. Fitch, Traitors Within, London, Hurst & Blackett, LTD. 1933

Wedman 1993: Homme Wedman, De Collectie Cornelissen/Chichery, Amsterdam, International Instituut voor Sociale Geschiedenis, Groningen. Instituut voor Geschiedenis RUG, 1993.

Inquest, 1906: Inquest, The Times, 21 April, 1906.

Identified woman, 1906: Identified woman, The Meriden Morning Record, 18 May, 1906.

End of the Romance..., 1906: End of the Romance of a Russian Spy, The Sunday Call, 1906, June 10.

Why the Czars Cleverest , 1906: Why the Czars Cleverest Woman Spy Killed Herself, The Boston American, 1906, June 24.

A Female Anarchist, 1906: Truth (Perth, WA : 1903 - 1931), 30 June, 1906.

Despotism in Russia, 1902: Despotism in Russia, The Daily News, 1902, January 23.

Osgood 1889 : Herbert L. Osgood, Scientific Anarchism, Political Science Quarterly, Vol. 4, No. 1, Mar., 1889.

Chicago daily news. 1929: Chicago daily news. 6 November, 1929.

The Fate of a Spy 1906: The Fate of a Spy, Why “Marie Derval” Committed Suicidei, The Belfast News-Letter, 1906, May 21.

Norfolk News 1906: Norflok News, 26 May, 1906.

ვარლამ ჩერქეზიშვილისა და ფრიდა რუპერტუსის ქორწილის შესახებ ცნობა იხილეთ:

[https://www.freebmd.org.uk/cgi/search.pl?start=1906&end=1906&sq=1&eq=1&type=Marriages&vol=1a&pgno=529&db=bmd\\_1603137739&jsexec=1&mono=0&v=MTYwNTAzODkyODphMDFkNzYxOWE4MzRmYzYxNTRmZDAXymMyNTJjM2QxYmM5MGJiZGVl&searchdef=db%3Dbmd\\_1603137739%26type%3DMarriages%26sq%3D1%26eq%3D4%26surname%3Dtcherkesoff&action=Find-](https://www.freebmd.org.uk/cgi/search.pl?start=1906&end=1906&sq=1&eq=1&type=Marriages&vol=1a&pgno=529&db=bmd_1603137739&jsexec=1&mono=0&v=MTYwNTAzODkyODphMDFkNzYxOWE4MzRmYzYxNTRmZDAXymMyNTJjM2QxYmM5MGJiZGVl&searchdef=db%3Dbmd_1603137739%26type%3DMarriages%26sq%3D1%26eq%3D4%26surname%3Dtcherkesoff&action=Find-)

&fbclid=IwAR2gAGCz6r3hKoD6-92TW8gxWOHSK6z7caLyTDzmjWf7ve5fSMFTX-dx451U ბოლოს დამონმეებულია 09.11.2020.

თეთრი მოძრაობის წევრები: [https://xn--90adhkb6ag0f.xn--p1ai/arhiv/uchastniki-grazhdanskoj-vojn/uchastniki-belogo-dvizheniya-v-rossii/uchastniki-belogo-dvizheniya-v-rossii-kp-kr.html?fbclid=IwAR33v29JZ7k\\_5MYrF8iDgzKQZYkzh6h-Poea\\_wS2H-JDNG80uTZOUWpRy59k](https://xn--90adhkb6ag0f.xn--p1ai/arhiv/uchastniki-grazhdanskoj-vojn/uchastniki-belogo-dvizheniya-v-rossii/uchastniki-belogo-dvizheniya-v-rossii-kp-kr.html?fbclid=IwAR33v29JZ7k_5MYrF8iDgzKQZYkzh6h-Poea_wS2H-JDNG80uTZOUWpRy59k) ბოლოს დამონმეებულია 09.11.2020

რუპერტუსი ფრიდა: [myheritage.com/research/collection-10446/перепись-населения-англии-и-уэльса-1911-года?s=708159321&lang=Ru&itemId=1181991-&groupId=888f9ba0532c87482eda2c2810e2b2d5&action=showRecord&recordTitle=Frederike+Tcherkesoff](http://myheritage.com/research/collection-10446/перепись-населения-англии-и-уэльса-1911-года?s=708159321&lang=Ru&itemId=1181991-&groupId=888f9ba0532c87482eda2c2810e2b2d5&action=showRecord&recordTitle=Frederike+Tcherkesoff), ბოლოს დამონმეებულია 09.11.2020.

Studies in British Bolshevism, 2018:

იხილეთ: [https://www.academia.edu/38732002/Lenins\\_Host\\_In\\_London\\_Philip\\_Whitwell\\_Wilson?fbclid=IwAR02DMkkaV9RfxBMh5cWi9uQAUdYBZIsUNno4C-GrOq7-mnz9hzV6GaabBck](https://www.academia.edu/38732002/Lenins_Host_In_London_Philip_Whitwell_Wilson?fbclid=IwAR02DMkkaV9RfxBMh5cWi9uQAUdYBZIsUNno4C-GrOq7-mnz9hzV6GaabBck)

ბოლოს დამონმეებულია 09.11.2020.

Vaninskaya, 2016: Russian Nihilists and the Prehistory of Spy Fiction, Journal Branch. იხილეთ:

[https://www.research.ed.ac.uk/portal/en/publications/russian-nihilists-and-the-prehistory-of-spy-fiction\(9e87f598-cc16-4c19-b74f-378d447d8a15\).html](https://www.research.ed.ac.uk/portal/en/publications/russian-nihilists-and-the-prehistory-of-spy-fiction(9e87f598-cc16-4c19-b74f-378d447d8a15).html). ბოლოს დამონმეებულია 9.11.2020.

Кребель P.: <https://dic.academic.ru/dic.nsf/ruwiki/987290>. ბოლოს დამონმეებულია 9.11.2020.



## **NODAR CHKHAIDZE**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Georgia  
nodar.chkaidze1992@gmail.com

## **NIKOLOZ SARAJISHVILI**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Georgia  
nikasarajishvili99@gmail.com

# **HELEN KREBEL – VARLAM CHERKEZISHVILI'S ANONYMOUS WIFE**

In 1906, Marie Derval committed suicide at a hotel in London. Reports soon revealed that the woman was a victim of anarchists' revenge. She was charged with reporting the anarchists to the police, spying on by order of the Russian Empire. The case was placed in the centre of interest of British and American newspapers and was a sensation for some time. This case has attracted our attention, as there are some reports saying that the famous Georgian anarchist Varlam Cherkezishvili had a marital relationship with Marie Derval and that the latter played a leading role in leading the woman to death. In its turn, if the materials we have seen in the press tell a story close to reality, we are dealing with a completely new page in Cherkezishvili's personal life.

**KEYWORDS:** Varlam Cherkezishvili, Marie Derval, Helen Krebel, George Gapon, Anarchism, Nihilists, Frieda Rupertus, Rudolf Krebel, Fyodor Krebel, Herbert Fitch.

**W**e still have a very little information about the family life of one of the Georgian anarchists Varlam Cherkezishvili. Dimitri Shvelidze in his monograph - "Georgians! That is who Varlam Cherkezishvili was!" - indicates that Varlam Cherkezishvili had a wife named Frieda who actively helped him in various activities (Shvelidze 2001, 230-231). Frieda's date of birth was unknown. In addition, we did not know her real last name. However, owing to online archives we were able to learn that she was born in 1877 (Rupertus Freida), and her surname was Rupertus. We also found out that Frieda and Varlam got married in March 1906.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> See the Marriage certificate following the link: [https://www.freebmd.org.uk/cgi/search.pl?start=1906&end=1906&sq=1&eq=1&type=Marriages&vol=1a&pgno=529&db=bmd\\_1603137739&jsexec=1&mono=0&v=MTYwNTAzODkyODphMDFkNzYxOWE4MzRmYzYxNTRmZDAxYmMyNTJjM2QxYmM5MGJiZGVl&searchdef=db%3Dbmd\\_1603137739%26type%3DMarriages%26sq%3D1%26eq%3D4%26surname%3Dtcherkesoff&action=Find&fbclid=IwAR2gAGCz6r3206](https://www.freebmd.org.uk/cgi/search.pl?start=1906&end=1906&sq=1&eq=1&type=Marriages&vol=1a&pgno=529&db=bmd_1603137739&jsexec=1&mono=0&v=MTYwNTAzODkyODphMDFkNzYxOWE4MzRmYzYxNTRmZDAxYmMyNTJjM2QxYmM5MGJiZGVl&searchdef=db%3Dbmd_1603137739%26type%3DMarriages%26sq%3D1%26eq%3D4%26surname%3Dtcherkesoff&action=Find&fbclid=IwAR2gAGCz6r3206)



It is true that so far we neither have had a complete biography of Frieda nor have known the date and place of her death, although according to the data at our disposal she might be still alive by 1950 (Wedman 1993, 190). Recently, we have come across with an article written by Alan Sargent, a researcher, writing about the meetings of the Social-Democratic Party in London (Studies in British Bolshevism 2018, 11). In his work, Sargent refers to the memoirs of Herbert Fitch, a British Special Forces officer (Studies in British Bolshevism 2018, 4). The latter tracked immigrants from the Russian Empire to London at the beginning of the twentieth century. In these memoirs, we find a reference to Varlam Cherkezishvili's yet unknown wife. Since Alan Sargent wrote this paper for different purposes, he did not pursue the identity of the woman. We tried to gather the information disseminated in the world press and the archival materials to find out the truth. Unfortunately, many things are unclear, so at this point we have limited ourselves to raising the topic and making some assumptions in our study.

Let us move to London of the early 1900s. On the 14th of March 1906, a young woman, fluent in French, visited a hotel in the suburb of Pimlico, London. She rented a hotel room and checked in with the name of Marie Derval. The following day, hotel staff found this person dead. The British officer Fitch, mentioned above, recalls in his memoir published in 1933 that he went to the scene and saw that "a young woman lay crumpled on the floor, a bullet through her head and a revolver clutched in her hand" (Fitch 1933, 30). According to news reports, a vessel of poison possibly containing chloride was found in the woman's room (Inquest 1906, 14). It is still difficult to say which version is more precise. However, the newspapers unanimously replicate the version of the poison. According to the press, the woman had left a letter with the following contents: "No one claim me, as I am without relations, family or friends.... I want to be cremated and my ashes goattered anywhere. Let me disappear as quietly as can be... The name I registered is not my name. I am an American" (Inquest 1906, 14).

Obviously, the criminal case was initiated and the corpse dissected. According to Dr. Robert Salisbar Trevor, a pathanatomist of the Saint George Hospital, "the body was that of a well-nourished woman. She was about 40 years of age, 5ft. 5in. in length, and had fairly long, brown hair, fairly good but irregular teeth, hazel eyes, and 25in. waist. He was satisfied that death was due to poisoning by corrosive sublimate"<sup>1</sup> (Inquest 1906, 14).

The story of Marie Derval soon was talked about throughout the UK and for months a number of newspapers touched upon the story. The story was spread far beyond the UK as well. Murders and suicides were not just single cases in London at the time, however, for the reason we will discuss below, this case used to be a source of sensation for the British and non-British press for weeks.

The police said that the identification of the woman was the first step to make. As soon as the press release was published, letters from vari-

---

hKoD6-92TW8gxWOHSK6z7caLyTDzmjWf7ve5fSMFTXdx451U, last seen on 09.11.2020.

<sup>1</sup> 1,67 metres.

ous people reached the London police office. They were looking for their missing family members and checking the similarities between the data of the woman and their relatives. Newspapers soon reported that the truth about the dead woman was revealed.

A woman living in the United States, whose surname was Wood, claimed that the dead woman might have been her sister - millionaire Cushing's wife, but this assumption was soon rejected, as Wood turned out to be alive.

Shortly afterwards, a reference came from the French police that the deceased was a Russian woman with the surname - Krebel (Evening Star 1906, 17). The newspapers also claimed that she was Helen Krebel - the daughter of a Russian nobleman. As it was determined that the woman was a victim of the "nihilists", soon the story turned into the main "news" of the press (Identified woman 1906, 7).

Before we continue any discussion about Helen Krebel, it would be necessary to make a small theoretical digression in the topic in order to clarify the reason that caused special attention to the issue at that time.

Researcher Anna Vaninskaya tells us that the spy genre was especially popular in English literature and the press. She writes:

"But spy fiction had another late Victorian parent, and it too spoke with an unmistakable Russian accent. Three dates are of particular relevance in this neglected history. In 1878, the revolutionary Vera Zasulich shot at and wounded the Governor of map icon St. Petersburg, initiating a wave of political violence. The following year, the terrorist organization People's Will, which was dedicated to the assassination of key government figures, was formed. In 1881, it successfully carried out its primary goal of killing Tsar Alexander II. Russian secret police activity went into overdrive as police spies infiltrated revolutionary groups, and leading figures were arrested and executed. The political developments in Russia were widely covered by the British press and provided an inexhaustible source of sensational material for interested British writers. By the early 1880s, love and adventure among the Russian Nihilists emerged as one of the most popular stands of "terrorist". The Russian Nihilist motive was instrumental in developing the institutional dimension of literally portrayals of spying, for the revolutionary Nihilist almost never appeared without his nemesis, the spy of the Tsarist secret police" (Vaninskaya 2016).

This passage is quoted just for the reason to show that the story on Helen Krebel described in the British press fits well in this scheme.

In the 10th of June 1906 issue of the Sunday Call, we read:

"The Paris correspondent of the Tribune states that a woman who committed suicide in a London hotel, and who had given the name of Marie Derval, was a daughter of the Russian Consul at Genoa, M. de Krebel. This gentleman had two daughters, of whom the elder

married a Russian named Krapotkine"<sup>1</sup> (End of the Romance... 1906, 13).

As for the other members of the family, they were prominent. In general, Krebel appears to be a noble name in the nineteenth-century in Russia. Helen's grandfather, Rudolf Krebel, was a Russian scientist, doctor of medicine, and naval physician (Krebel R.).

Helen's father, Fyodor, was born on the 18th of April 1841, in the city of St. Petersburg. He served as a state counsellor, Kammerherr. He was a Consul of Russia at Genoa (The White Movement members, see the link below).

During the Russian Revolution, Fyodor actively supported the White Guards, and as the Soviet rule came into power in Russia, he chose to stay in Italy and died there on the 29th of May 1926.

According to an American newspaper, Helen Krebel, with her appearance, origin and wit, became a weapon in the hands of Russian diplomacy from the very beginning. Information coming from foreign embassies fell into the hands of Helen Krebel. She was sent to the anarchists as a secret agent and even managed to gain their trust. Her activities took place abroad, mainly in France. As the American newspaper puts it, Krebel was telling the anarchists that she could transfer their funds abroad so as not to arouse undue suspicion (Why the Czar's Cleverest... 1906, 17).

In the newspaper Truth we read the information provided by a London Star correspondent. He states: "It is four years ago since I saw her [Helen Krebel] in Moscow. She was a splendid lecturer and a brilliant writer. Her pamphlets were written in splendid style. While her addresses electrified the audiences. Whenever it was known in the Moscow group that Helene was going to speak, the meeting was sure to be crowded" (A Female Anarchist 1906, 7). The correspondent notes that, according to the story, she married the anarchist Cherkesov, one of the leaders of the Moscow group. Cherkeshvili fled from the Russian Empire in 1876 and he was a fugitive from justice until the famous amnesty of 1905. We know that he went secretly to Georgia four times during that time (Startt 1987, 145). As for his stay in Russia, his letter to the Chicago Daily News shows that he indeed was in St. Petersburg in 1902 (Despotism in Russia 1902, 3), but we do not know the details of that visit yet. Nor do we know how the fugitive Cherkeshvili managed to legally write a newspaper letter from St. Petersburg, even to a foreign newspaper. In short, we consider their meeting in Russia to be quite acceptable. According to Officer Fitch, it was an anarchistic marriage.

With regard to family relationships, anarchists believe that civil marriage should be replaced by autonomous marriage, which means that the parties agree to live together as long as they like to be together. When one of the parties expresses a desire to end up the relationship, the partnership ends (Osgood 1889, 20). It seems that in this case, it was the Georgian anarchist who wanted to break up relations. According to William Fitch,

---

<sup>1</sup> We are talking about Sergey Kropotkin.

angry Krebel took the documents exposing the crimes of the anarchists to the police. Cherkezov's friends were hanged in St. Petersburg.<sup>1</sup> Cherkezov managed to escape to America (Fitch 1933, 31). As for Cherkezishvili and America, he had had an interest in the United States since his youth. He writes in his small autobiography that he wanted to go to America and fight against the proponents of slavery (Startt 1987, 145). In addition, the famous anarchist Peter Kropotkin told Price Bell, an American journalist, that he and Cherkezishvili adored Abraham Lincoln (Chicago Daily News 1929, 16). We know that Cherkezishvili and his wife Frida cooperated with the American press for years, especially with the Chicago Daily News. However, it is still unknown whether Cherkezishvili had ever been in the United States or not.

According to the Belfast News-Letter, Krebel's espionage was not immediately revealed, and for some time she continued to transmit information to the gendarmerie. When the revolutionaries suspected her, they decided to test her for loyalty, so she was instructed to kill one of the officials (name not specified). After that, Helen Krebel fled from Russia (The Fate of a Spy 1906, 9).

Fitch provides the continuation of the story. Krebel tried to escape revenge from the anarchists by fleeing to America, France, and England. According to Fitch, Krebel decided to assassinate Cherkezov by her own efforts in Paris although she overshot the target. As she home and heard that three strangers had visited the house and left the message that they would come back, she fled to London. Fitch says that along with Krebel's body, he also saw the last love letter dedicated to Cherkezov (Fitch 1933, 31).

There is also a different version of Krebel's stay in Paris: Helen, who arrived in Paris, stopped in the suburb of Neville, where she had contact with only one peasant woman - Janet Grosjean. The interview of this woman was published in the Boston American:

One evening, when Krebel returned home from a regular walk and went to bed, a good-looking man appeared at the door, speaking French with a slight Russian or German accent. He handed a letter to Grosjean and told her that it was intended for his lady. He put five silver francs in the hostess's hands and disappeared. As soon as the man left, Krebel asked the hostess some questions:

- “- Whom did this man ask for, Jeanette?
- For no one, madame. He simply asked me to give my mistress this letter, because it was important.
- What was this man like?
- He was slender and dark, madame. He was well dressed. He spoke French very well.
- And he asked no questions?
- No, madame.

---

1 So far, we have not found any information in the Russian press that a large group of anarchists were arrested by the police and executed during that period.

- Did he give you anything else besides the letter?  
 -Yes, madame – this five-franc piece” (Why the Czar’s Cleverest... 1906, 17).

Krebel was getting paler. Then she said to the hostess to leave her. Then she opened the letter. The letter had a great impact on her. After an emotional shock, an attack of fear and feelings, she decided to leave Paris and go to London, informing also the hostess of her decision.

“Jeannette, I have received bad news. I am leaving France this evening. I require your services no longer. Here is a month’s wages. If I return to Paris, I shall hope to employ you again. In the meantime I must charge you to say nothing about me to any one to answer no questions” (Why the Czar’s Cleverest... 1906, 17).

After that, Helen left for London where she committed suicide.

In a Paris correspondent’s version from the Daily Chronicle, the visit of an unknown man is confirmed, although with some differences:

“One day a stranger appeared and asked the concierge if the Russian lady was in. The concierge, ignorant then that Mme de Krebel was Russian, said there were no Russians in the house. The man, who was about thirty-five years of age, dark-complexioned, and spoke French with a slight accent, became angry, and accused the concierge of trying to deceive him. He then asked for Mme de Krebel by name, and was shown up”.

The last visit of that man was a week before Krebel’s escape to London. It seems that a flamboyant conflict arose between Krebel and the man, leaving Krebel in constant fear. The situation reached its peak when she received a death-threatening letter. Krebel then wrote a letter to her sister in which she was saying that her decision was caused neither by fear nor by madness. She was making the decision based on a reasonable thought. She was going to a foreign country where no one would know her (Norfolk News, 1906).

It was especially difficult to get information from the Russian Embassies in Paris and London whether the dead woman - Marie Derval was Helen de Krebel. The keys were sent from Paris. They matched exactly Krebel’s suitcases in the London hotel warehouse. The Russian authorities demanded to immediately seal everything. Before everything was sealed, a letter appeared out of one of the suitcases that impressed the woman. The news about the execution of the priest Gapon was spread in the press of that time; the magazine contained the executed clergyman’s picture.

Apparently, these publications forced her to find the strength and courage (to commit suicide) (Why the Czar’s Cleverest... 1906, 17).<sup>1</sup>

<sup>1</sup> The article deals with the priest Georgy Gapon (1870-1906). He was the leader of so-called “Zubatovshchines.” Gapon’s activities sparked the start of the First Russian Revolu-



Finally, the main question arises, how relevant is the fact that it was Varlam Cherkezishvili who visited Helen Krebel several times? We exclude this. Cherkezishvili had been in the Russian Empire since January 1906 and had never returned to Europe until 1907. It is possible that the anti-police league formed by Cherkezishvili and his associates, which was a kind of anarchist “counterintelligence”, was really persecuting Krebel.

However, according to Officer Fitch’s narrative and the news from the contemporary press, we can conclude that Marie Derval was indeed Helen Krebel. It is conceivable that Officer Fitch is telling the truth when he emphasizes the relationship between Krebel and Cherkezishvili. The particular popularity of the story is explained by the fact that it fits well into the popular “terrorist fiction” scheme of the British press at the time. Due to the diversity and abundance of versions, it is still difficult to determine the exact circumstances of the case. It is also hindered by the shortage of resources and that we have not obtained British archival materials yet. In addition, at this stage, we have not found anything about the biography of the woman written in the Russian press. This should become the subject for further research.

## REFERENCES

Shvelidze 2001: Shvelidze Dimitri, Georgians! That is who Varlam Cherkezishvili was! Tbilisi: Intellect Publishing House, 2001.

Startt, 1987: James Startt. The Evolution of an Anarchist: An Autobiographical Statement by Varlaam Tcherkesoff, 1846-1925. University of Hawai’i Press. Vol. 10, No. 2, 1987.

Fitch, 1933: Herbert T. Fitch, Traitors Within. London: Hurst & Blackett, LTD. 1933

Wedman 1993: Homme Wedman, De Collectie Cornelissen/Chichery, Amsterdam, International Instituut voor Sociale Geschiedenis, Groningen: Instituut voor Geschiedenis RUG, 1993.

Inquest, 1906: Inquest, The Times, 21 April, 1906.

Evening Star, 1906: Evening Star, May 18, 1906.

Identified woman, 1906: Identified woman, The Meriden Morning Record, 18 May, 1906.

End of the Romance..., 1906: End of the Romance of a Russian Spy, The Sunday Call, 10 June, 1906.

---

lution. On the 9th of January 1905, Gapon led a large wave of workers. The demonstration was violently dispersed by the monarch’s army, after which Gapon fled to England. He was suspected of being a provocateur and a spy. Finally, in March 1906, he was killed by one of the members of his own organization. We can find comparisons between Georgy Gapon and Helen Krebel in a number of articles.

Why the Czar's Cleverest , 1906: Why the Czar's Cleverest Woman Spy Killed Herself, American-Journal Examiner, 1906.

A Female Anarchist, 1906: Truth (Perth, WA: 1903 - 1931), 30 June, 1906.

Despotism in Russia, 1902: Despotism in Russia, The Daily News, 23 January, 1902,.

Osgood 1889: Herbert L. Osgood, Scientific Anarchism, Political Science Quarterly, Vol. 4, No. 1, Mar., 1889.

Chicago Daily News, 1929: Chicago Daily News, 6 November, 1929.

The Fate of a Spy 1906: The Fate of a Spy, Why "Marie Derval" Committed Suicide!, The Belfast News-Letter, 21 May, 1906.

Norfolk News 1906: Norflok News, 26 May, 1906.

See the information about Varlam Cherkeshvili's and Frieda Rupertus's wedding: [https://www.freebmd.org.uk/cgi/search.pl?start=1906&end=1906&sq=1&eq=1&type=Marriages&vol=1a&pgno=529&db=bmd\\_1603137739&jsexec=1&mono=0&v=MTYwNTAzODkyODphMDFkNzYxOWE4MzRmYzYxNTRmZDAxYmMyNTJjM2QxYmM5MGJiZGVl&searchdef=db%3Dbmd\\_1603137739%26type%3DMarriages%26sq%3D1%26eq%3D4%26surname%3Dtcherkesoff&action=Find&fbclid=IwAR2gAGCz6r3hKoD6-92TW8gxWOHSK6z7caLyTDzmjWf7ve5fSMFTXdx451U](https://www.freebmd.org.uk/cgi/search.pl?start=1906&end=1906&sq=1&eq=1&type=Marriages&vol=1a&pgno=529&db=bmd_1603137739&jsexec=1&mono=0&v=MTYwNTAzODkyODphMDFkNzYxOWE4MzRmYzYxNTRmZDAxYmMyNTJjM2QxYmM5MGJiZGVl&searchdef=db%3Dbmd_1603137739%26type%3DMarriages%26sq%3D1%26eq%3D4%26surname%3Dtcherkesoff&action=Find&fbclid=IwAR2gAGCz6r3hKoD6-92TW8gxWOHSK6z7caLyTDzmjWf7ve5fSMFTXdx451U)

Last seen on 09.11.2020.

The White Movement members: [https://xn--90adhkb6ag0f.xn--p1ai/arhiv/uchastniki-grazhdanskoj-vojny/uchastniki-belogo-dvizheniya-v-rossii/uchastniki-belogo-dvizheniya-v-rossii-kp-kr.html?fbclid=IwAR33v29JZ7k\\_5MYrF8iDgzKQZYkzh6hPoea\\_wS2H-JDNG80uTZOUWpRy59k](https://xn--90adhkb6ag0f.xn--p1ai/arhiv/uchastniki-grazhdanskoj-vojny/uchastniki-belogo-dvizheniya-v-rossii/uchastniki-belogo-dvizheniya-v-rossii-kp-kr.html?fbclid=IwAR33v29JZ7k_5MYrF8iDgzKQZYkzh6hPoea_wS2H-JDNG80uTZOUWpRy59k)

Last seen on 09.11.2020.

Rupertus Frieda: [myheritage.com/research/collection-10446/перепись-населения-англии-и-уэльса-1911-года?s=708159321&lang=Ru&itemId=1181991-&groupid=888f9ba0532c87482eda2c2810e2b2d5&action=showRecord&recordTitle=Frederike+Tcherkesoff](http://myheritage.com/research/collection-10446/перепись-населения-англии-и-уэльса-1911-года?s=708159321&lang=Ru&itemId=1181991-&groupid=888f9ba0532c87482eda2c2810e2b2d5&action=showRecord&recordTitle=Frederike+Tcherkesoff)

Last seen on 09.11.2020.

Studies in British Bolshevism, 2018:

[https://www.academia.edu/38732002/Lenins\\_Host\\_In\\_London\\_Philip\\_Whitwell\\_Wilson?fbclid=IwAR02DMkkaV9RfxBMh5cWi9uQAUDYBZIsUNno4CGrOq7-mnz9hzV6GaabBck](https://www.academia.edu/38732002/Lenins_Host_In_London_Philip_Whitwell_Wilson?fbclid=IwAR02DMkkaV9RfxBMh5cWi9uQAUDYBZIsUNno4CGrOq7-mnz9hzV6GaabBck)

Last seen on 09.11.2020.


Vaninskaya, 2016: Russian Nihilists and the Prehistory of Spy Fiction, Journal Branch. See:

[https://www.research.ed.ac.uk/portal/en/publications/russian-nihilists-and-the-prehistory-of-spy-fiction\(9e87f598-cc16-4c19-b74f-378d447d8a15\).html](https://www.research.ed.ac.uk/portal/en/publications/russian-nihilists-and-the-prehistory-of-spy-fiction(9e87f598-cc16-4c19-b74f-378d447d8a15).html)

Last seen on 9.11.2020.

Krebel R.: <https://dic.academic.ru/dic.nsf/ruwiki/987290>

Last seen on 9.11.2020.



**თაზაგ ზოგოლაძე**

კორნელი კეკელიძის სახელობის  
საქართველოს ხელნაწერთა  
ეროვნული ცენტრი,  
საქართველო  
tazogogoladze@yahoo.com



## **ჩითახევის ეკლესიის („მწვანე მონასტერი“) უცნობი ხატის 1684 წლის ასომთავრული წარწერა ლევან ბატონიშვილისა და მისი მეუღლის, თინათინის მოხსენიებით**

წინამდებარე მოხსენება შეეხება შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დავანებულ ხატს, რომელიც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ბრეთის მაცხოვრის ხატის სახელით არის ცნობილი. ხატს ახლავს 1684 წლის ასომთავრული წარწერა ლევან ბატონიშვილისა და მისი მეუღლის, თინათინის მოხსენიებით, რომლის ტექსტი არაერთხელ გამოიცა (მარი ბროსე, თედო ჟორდანიას). ჩვენამდე წინამდებარე ხატი ბრეთის მაცხოვრის ხატის სახელით იყო ცნობილი ქართული სამეცნიერო ლიტერატურაში.

როგორც ცნობილია, XVI საუკუნის ბოლოს ბორჯომის ხეობის ფეოდალები ავალიშვილები ოსმალთა მოძალებისა და შემოსევების გამო ტოვებენ თავიანთ სამფლობელოს და მეზობელ რეგიონში – შიდა ქართლში, კერძოდ, კი ბრეთსა და სალოლაშენის მიდამოებში მკვიდრდებიან. გარდა ამისა, ქართველი მემკვიდრეები ქართლში ე. წ. ორიანობის დროს ანუ გიორგი XI-სა და ერეკლე I ნაზარალიხანის დაპირისპირების დროს ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ლევან ბატონიშვილის ოჯახი - თინათინ ავალიშვილი და მათი შვილები ბორჯომის ხეობაში, კერძოდ, სადგერში აფარებდნენ თავს. საკვებით ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ამ მხარის ფეოდალები საკუთარი ფეოდალური სენიორიის დატოვებასთან ერთად იმ ძველ სიწმინდეებსაც თან წაიღებდნენ და სწორედ ამის გამო მოხვდა შიდა ქართლში ბორჯომის

1 წინამდებარე ნაშრომი მოხსენების სახით წაკითხული ქნაწმიდა გრიგოლ ფერაძის დაბადების 120 წლისათვისადმი მიღწილ | საერთაშორისო კონფერენციაზე „საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია“ სახელწოდებით, „ჩითახევის ეკლესიის („მწვანე მონასტერი“) უცნობი ხატის 1684 წლის ასომთავრული წარწერა ლევან ბატონიშვილისა და მისი მეუღლის, თინათინის მოხსენიებით“.

ხეობის სიძველეები, ხოლო ბრეთიდან შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში და სწორედ ამის გამო წინამდებარე ხატი ბრეთის ხატად არის მიჩნეული.

აღნიშნულ ხატზე ჩატარებულმა წინასწარ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ხატი თავის დროზე გახლდათ ჩითახევის წმიდა გიორგის ეკლესიის საკუთრება. ეს გახლავთ უძვირფასესი ცნობა ჩითახევის ეკლესიის ისტორიისათვის, რადგან ჩვენ დღემდე პრაქტიკულად არანაირი ინფორმაცია არ გაგვჩნდა აღნიშნული მონასტრის შესახებ თუ არ ჩავთვლით ზეპირ გადმოცემებს. გარდა ამისა, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებისა და ქართული ისტორიული საბუთების ცნობების ურთიერთშეჯერების საფუძველზე დავადგინეთ ლევან ბატონიშვილის სამეფო სახლის დღემდე უცნობი დეტალები.

**საკვანძო სიტყვები:** ჩითახევი, მწვანე მონასტერი, ეპიგრაფიკა

ჩითახევის ეკლესია ბორჯომის ხეობაში, ქალაქ ბორჯომიდან 10 კმ-ის დაშორებით, მდებარეობს. ტაძარი თავისი არქიტექტურული მონაცემებისა და ეპიგრაფიკული მასალის საფუძველზე IX საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს. ტაძრის სიძველეებიდან ჩვენამდე მხოლოდ და მხოლოდ ერთმა ეპიგრაფიკულმა ძეგლმა - IX საუკუნის ანტეფიქსის ქვის წარწერამ მოაღწია, რომელზედაც გამოქანდაკებულია ასომთავრული წარწერა „წ(მიდა)დ გ(იორგ)ი“, რაც კიდევ ერთხელ დოკუმენტურად ადასტურებს ეკლესიის მფარველი წმინდანის სახელს. ეს არის და ეს. დღემდე ამით შემოიფარგლებოდა ჩვენი ცოდნა აღნიშნული ტაძრის სიძველეების შესახებ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ექვთიმე თაყაიშვილის (1863-1953) პირად არქივში დაცულ ცნობას ბორჯომში რომანოვების მმართველობის დროს ჩითახევის ეკლესიის წარწერების განადგურების შესახებ და ზეპირ გადმოცემებს (გოგოლაძე, 2014: 161-184; 185-192).

2018 წელს, ბორჯომის ხეობის წარწერების კორპუსზე მოშაობისას (გოგოლაძე, 2019), ჩვენი ყურადღება მიიპყრო ფრანგი ქართველოლოგის - მარი ბროსეს (1802-1880) ერთ-ერთმა პუბლიკაციამ, რომელშიც მეცნიერს მოჰყავს ქარელის რაიონში მდებარე ბრეთის ერთ-ერთი მონასტრის სიძველეები და, მათ შორის, 1684 წლის ვერცხლის ხატის ასომთავრული წარწერა. ისტორიკოსს ნაშრომში წარმოდგენილი აქვს წარწერის გადმონაწერი დედნის შრიფტის დაცვით, წარწერის წაკითხვა ფრანგულ ენაზე და წარწერის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი.

გთავაზობთ უცვლელად წინამდებარე ხატის მარი ბროსეს მიერ შესრულებულ გადმონაწერსა და მისეულ ფრანგულ წაკითხვას:

















წლებში იხსენიება. მას ორი ცოლი ჰყავდა: თუთა, ქაიხოსრო გურიელის ასული, რომელთანაც ლევანს სამი ვაჟი: ქაიხოსრო, ვახტანგ, დომენტი და ერთი ქალიშვილი, ხვარამზე ჰყავდა. ქართული წყაროების ცნობით, 1678 წელს თუთა გურიელი გარდაიცვალა. 1680 წელს კი ლევან ბატონიშვილმა მეორე ცოლად გიორგი ავალიშვილის ასული თინათინი შეირთო, რომელთანაც ჰყავდა სამი ვაჟი: იესე, სვიმონ და თეიმურაზ. თუმცა ქართლის მეფის, ვახტანგ VI-ის 1724 წლის ამალიის ნუსხიდან ირკვევა, რომ ლევან ბატონიშვილს, ზემოთჩამოთვლილი შვილების გარდა, კიდევ ჰყავდა ორი ვაჟი: კონსტანტინე და ადარნასე და ქალი სახელად ხორეშანი. ასევე მას ჰყავდა ხარჭისაგან ნაშობი ვაჟი როსტომი, რომელსაც ირანის სამეფო კარზე ეკავა ყულარასადასის, ისფაჰანის ტარულისა და სხვა მნიშვნელოვანი თანამდებობები და რომელიც 1722 წელს მოუკლავთ (ქავთარია, 1975: 203-204).

რაც შეეხება ლევან ბატონიშვილის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას, 1676 წელს ლევანი ბატონიშვილი ქართლის დროებით გამგებლად მისმა ძმამ, გიორგიმ (შემდგომში ქართლის მეფე გიორგი XI (1676-1688; 1703-1709) დაადგინა. ლევან ბატონიშვილი ქართლის სამეფო კარზე მდივანბეგის საპატიო სახელოს ფლობდა. 1676-1688 წლებში იგი ქართულ ფეოდალებს წყალობის სახით სხვადასხვა მამულს აძლევს. 1678 წელს ლევანი ირანში გაიწვიეს, შაჰ ყული-ხანი უწოდეს და ქირმანის ნაიბად დანიშნეს, რომლის დროსაც აქტიურად იბრძოდა ირანელთა მხარდამხარ ბელუჯების წინააღმდეგ. 1703 წლის მეორე ნახევრიდან 1704 წლის სექტემბრის ბოლომდე ის გახლდათ ქართლის ჯანიშინი (ქავთარია, 1960: 509-512).

ლევანი პოლიტიკური და სამხედრო საქმიანობის გარდა აქტიურად იყო ჩართული ქართლის სამეფოს კულტურულ ცხოვრებაში. იგი გახლდათ მისი მამიდაშვილის, ცნობილი ქართველი ლექსიკოგრაფის - სულხან-საბა ორბელიანის მიერ შედგენილი ქართული ლექსიკონის ერთ-ერთ ხელშემწყობი. სწორედ ლევან ბატონიშვილს შეუდგენია „ვედრება“ იოვანე ნათლისმცემლისა, წმიდა პეტრეს, წმიდა პავლესა და სხვა წმიდანებისადმი. ლევანის კულტურული საქმიანობის ერთ-ერთი დადასტურებაა მაცხოვრის ხატის ასომთავრული წარწერა.

როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ხატის წარწერის წინა გამომცემლები (მარი ბროსეს, თედო ჟორდანიას) მაცხოვრის ხატს ბრეთის წმიდა გიორგის ეკლესიის საეკლესიო ნივთად მიიჩნევენ და ეს გარემოება გასაგებიცაა, რადგან მის პირველ გამომცემელს - მარი ბროსეს XIX საუკუნის I ნახევარში ხატი ბრეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში უნახავს. როგორც ჩანს, სწორედ ბრეთიდან მოხვდა ჩვენთვის საინტერესო ხატი საქართველოს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში და დღემდე ქართული ქედურობის ერთ-ერთ შესანიშნავ ნიმუშს (1338 ნომერი) წარმოადგენს. საინვენტარო და-



ვთრის მიხედვით, დღეისათვის მაცხოვრის ხატი ბრეთის ეკლესიის კუთვნილებად არის მიჩნეული.

თუ გავითვალისწინებთ ქართული ნარატიული წყაროების (ვახუშტი ბატონიშვილი, სეხნია ჩხეიძე) მონაცემებს, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ხატის წარწერაში დასახელებული ლევან ბატონიშვილის თანამეცხედრე, თინათინი გიორგი ავალისშვილის ასული გახლდათ.

როგორც ცნობილია, XV-XIX საუკუნეებში ავალისშვილთა ფეოდალური სახლი ფლობდა თორის ხეობის ნაწილს (დღევანდელ ბორჯომის ხეობას), რომლის ცენტრს სოფელი სადგერი წარმოადგენდა. როგორც ცნობილია, XVI საუკუნის 70-80-იან წლებში ოსმალებმა სამცხე-საათაბაგო დაიკავეს და, მათ შორის ბორჯომის ხეობაც, რის გამოც ადგილობრივი მფლობელები იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ თავიანთი კუთვნილი მამულები და საქართველოს სხვა კუთხეებში (შიდა ქართლი, კახეთი, იმერეთი) გადასულიყვნენ. აღსაღნიშნავია, რომ ავალიშვილთა ფეოდალური საგვარეულოს ერთი ნაწილი ადგილზე დარჩა, გამაჰმადიანდა და ბეგების სახელით მართავდნენ ხეობას (ქიქოძე, 1975: 114).

ავალიშვილთა ერთი ნაწილი სამცხის სხვა ფეოდალებთან (ფავლენიშვილები, შალიკაშვილები და სხვ) ერთად გადავიდა და დასახლდა შიდა ქართლში, იმ იმედით, რომ პოლიტიკური სიტუაცია შეიცვლებოდა და ისინი თავიანთ კუთვნილ ადგილ-მამულებს დაიბრუნებდნენ.

როგორც ცნობილია, ირანსა და ოსმალეთს შორის 1555 წელს დაიდო ამასიის ზავი, რომლის თანახმადაც ოსმალეთის შემადგენლობაში დარჩა იმერეთის სამეფო, გურიისა და სამეგრელოს სამთავრო და სამცხე-საათაბაგო, ხოლო ირანს ქართლისა და კახეთის სამეფოებზე მიუწვდებოდა ხელი. თუმცა შაჰ-აბას I-ის (1587-1629) მეთაურობით გაძლიერებული სეფიანთა სახელმწიფო ვერ ურიგდებოდა ოსმალთა წარმატებას და ყველანაირად ცდილობდა თავისი გავლენა გაეგრძელებინა სამცხის აღმოსავლეთ ნაწილზე მაინც, რომელიც ამასიის ზავის პირობებით ჰქონდა მიღებული. ქართველი პოლიტიკოსები სარგებლობდნენ დიდ იმპერიებს შორის ატეხილი დავით და ცდილობდნენ სამცხე ქართული პოლიტიკური სივრცისათვის შეენარჩუნებინათ (ქართველიშვილი, 2020).

ქართულ ისტორიოგრაფიაში (ჟიჟიაშვილი, 2017, 35-41; ქართველიშვილი, 2020) ქართული ისტორიული დოკუმენტების საფუძველზე გარკვეულია, რომ 1618 და 1636 წლებში ქართლის მეფეების სიმონ II-სა (1619-1631) და როსტომის ზეობის დროს (1633-1658) სეფიანთა ირანის დაკვეთით ეწყობა სამხედრო კამპანიები სამცხის აღმოსავლეთ ნაწილის შემოერთების მიზნით. აღნიშნულ სამხედრო ექსპედიციებში, სიმონ II-სა და როსტომის ერთგული ფეოდალების გარდა, მონაწილეობენ სამცხიდან წამოსული ფეოდალები თავიანთი კუთ-

ვნილი მამულების დაბრუნებისათვის.

ქართული ნარატიული წყაროებისა და ქართული ისტორიული საბუთების ცნობები ნათლად აჩვენებს, რომ XVII საუკუნის II ნახევარში ავალიშვილთა ფეოდალური სახლს სამცხის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე მათ კუთვნილ სოფლებზე (კორტანეთი, ქიმერეთი, სადგერი და სხვ.) ხელი მიუწვდებათ და მათ მფლობელობაშია. უფრო კონკრეტულად, 1688 წელს ქართლის მეფე გიორგი XI ხატის წარწერაში მოხსენიებულ თინათინის მამას, გიორგი ავალიშვილს წყალობის სახით სხვა მამულებთან ერთად ახალდაბის მოურავობასაც აძლევს. XVIII საუკუნის ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე აღწერს რა ქართლელ ფეოდალების სურვილს გიორგი მეფისათვის ერთგულების გამოცხადების შესახებ და მათ მიერ გიორგი მეფის ქართლში მოპატიჟებას, ამის შემდგომ მემატიანე დასძენს: „ომორას, აპყარა დედოფალი ხორაშან და რძალი თვისი, ბატონის შვილის ლევანის მეუღლე, ასული ავალიშვილის გიორგისა თინათინ, ძენი ლეონისანი ქაიხოსრო, ვახტანგ, დომენტი, იესე, სვიმონ და თეიმურაზ, მოიყუანა და დააყენა სადგერს, თვითან ჩამობრძანდა ქართლში“ (ჩხეიძე, 1913, 6). აღნიშნული ცნობა კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენებს, რომ ქართლის მეფემ, გიორგიმ, სანამ ქართლის ტახტს დაიკავებდა, მისი და მისი ძმის ოჯახის წევრები საიმედო ადგილას, ავალიშვილთა ფეოდალური საგვარეულოს ცენტრში - სადგერში დატოვა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მისი ძმის ლევანის მეუღლე, თინათინი სწორედ ამ ხეობის მეპატრონის, გიორგი ავალიშვილის ასული გახლდათ. XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში გარკვეული პერიოდების ინტერვალით (1692 წ.; 1703-1704 წწ.) გიორგი ავალიშვილის მფლობელობას სადგერზე ნათლად ადასტურებს 1703-1711 წლების ვახტანგ VI-ის დავის განჩინების სიგელი ავალიშვილების ყმა-მამულებზე (დოლიძე, 1972: 239-240). როგორც ჩანს, ქართლის მეფეების ინტერესები სამცხის აღმოსავლეთ ნაწილის შემოერთების სურვილით XVII საუკუნის II ნახევარშიც უცვლელია და სწორედ ამ პოლიტიკის ერთ-ერთ გამოხატულებაა ლევან ბატონიშვილის მიერ 1680 წელს გიორგი ავალიშვილის ასულ თინათინზე დაქორწინებაც.

დავუბრუნდეთ წარწერის ტექსტს, 1684 წელს ლევან ბატონიშვილსა და მის თანამეცხედრეს, თინათინს მათი და მათი შვილების (ვაჟების) სადღეგრძელოდ შიშთახევის მაცხოვრის მეორედ დამწვარი ხატი მოუჭედავთ. ძალზედ საინტერესოა ტოპონიმი „შიშთახევი“. მისი მსგავსი ტოპონიმი გახლავთ ბორჯომის ხეობაში მდებარე სოფელი ჩითახევი, საქართველო სხვა ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებში აღნიშნული ტოპონიმი სრულიად უცნობია. თუმცა აქ არის ერთი მთავარი წინააღმდეგობა:

როგორც ცნობილია, ოსმალებმა სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ 1595 წელს აღწერეს ამ ისტორიული კუთხის სოფლები, რომელთა შორის დასახლებულია სოფელი ჩითახევი. დავთარში

სოფელ ჩითახევი გადმოცემულია ჯირთახევის ფორმით. სოფელი დაცარილებულია და შეწერილია აქვს 15000 ახჩა (ოსმალური ვერცხლის ფული - თ. გ) (ჯიქია, 1954, 480). ტოპონიმის დამახინჯება ჩვეულებრივი ამბავია, თუ გავითვალისწინებთ იმ მნიშვნელოვან გარემოებას, რომ დავთარი ოსმალების მიერაა შედგენილი. დიდი ალბათობით, სოფლების აღწერისას დავთრის შემდგენელს როგორც მოხვდა ყურში სოფლის სახელწოდება, ისე ჩაინერა და ასე მოაღწია მან ჩვენამდე. როგორც ვხედავთ, XVI საუკუნის ბოლოს სოფელს მართალაც ერქვა სახელი ჩითახევი. მაშინ როგორ უნდა ავხსნათ წარწერაში მოხსენიებული ტიპონიმის შიშთახევის გაიგივება ჩითახევთან?

კვლევის პირველ ეტაპზე ვფიქრობდით, რომ თავდაპირველად სოფლის ძველი სახელწოდება იყო შიშთახევი, რომელმაც დროთა განმავლობაში ტრანსფორმაცია განიცადა და ჩვენამდე მოაღწია ჩითახევის სახით. თუმცა როგორც გურჯისტანის ვილაიეთის დავთარში ვნახეთ, საკმაოდ გარკვევით წერია ჯირთახევი, რაც უფრო ახლოს დგას ჩითახევთან ვიდრე შიშთახევთან. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ ძველ ოსმალურში შინი გრაფემას სულ სხვა მოყვანილობა აქვს ჩინი ასო-ნიშანთან შედარებით. ტოპონიმ ჩითახევთან დაკავშირებით საინტერესოა ვახუშტი ბატონიშვილის ერთი ცნობა, სადაც მემატიაზე აღწერს რა 1509 წელს იმერეთის მეფის ალექსანდრე II-ის (1478-1510) მიერ გორის ციხის აღების ამბავს, ასევე იმერეთის მეფის მიერ ლაშქრობის შეწყვეტას, რადაგან, მისივე თქმით, ალექსანდრე II-ს აცნობეს „მორბევა იმერეთისა ჩიხთაგან“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973, 392). ასევე 1489 წელს სომხური სახარების ანდერძში მოხსენიებულია ტერმინი „ჩითახი“. დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეულია, რომ XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში ქართულ და სომხურ სინამდვილეში დამკვიდრებული ტერმინი „ჩითახ“ ნამდვილად ოსმალების აღმნიშვნელი ტერმინია, რაც დღესაც შემორჩენილი ქართულში არამზადას, თავზეხელაღებული მნიშვნელობით (აბდალაძე, 1977: 75).

ვარაუდის სახით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ხეობის დღევანდელი სახელწოდება ჩითახევი შეიძლება მოდიოდეს ოსმალთა ქართულ და სომხურ სინამდვილეში დამკვიდრებულ ტერმინ „ჩითახიდან“. XVI საუკუნეში ოსმალთა მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის მიზნით განხორციელებული სამხედრო ლაშქრობების დროს არაერთხელ გახდებოდა დამპრობელთაგან ჩითახევის ეკლესია ნგრევის ობიექტი და შეიძლება აქედან მომდინარეობდეს სახელი ჩითახევი. ეს კარგად ეხმაურება ადგილობრივებში დღემდე შემორჩენილ ზეპირ გადმოცემას ოსმალების მიერ ჩითახევის ეკლესიაში მოღვაწე ბერების დახოცვის ფაქტს. ალბათ საკამათო არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ოსმალთა მიერ არაერთხელ იქნებოდა

ჩითახევის წმიდა გიორგის ეკლესია აოხრებული. 1684 წელს ხატის წარწერაში პირდაპირ არის მითითებული ტოპონიმი შიშთახევი. სავარაუდოა, რომ აღნიშნულ ხეობაში დიდძალი შემოსევის შედეგად ამ პუნქტმა თითქმის ერთი საუკუნის შემდგომ განიცადა სახეცვლილება და დაერქვა შიშთახევი, რაც არ არის გამორიცხული პირდაპირ სიტყვა შიშთან იყოს დაკავშირებული. მეორე ვარიანტი ესეთია: თავდაპირველად სოფელს ერქვა შიშთახევი, დროთა განმავლობაში განიცადა ტრანსფორმაცია (ვგულისმობთ შინიდან ჩინზე გადასავლას) და ჩვენამდე მოაღწია ჩითახევის სახელწოდებით. ერთი კი ფაქტია, რომ სოფლის სახელწოდება XVII საუკუნის II ნახევრისათვის, კერძოდ, 1684 წლისათვის იყო შიშთახევი. ტოპონიმთან გამოთქმული ჩვენი ვარაუდები უფრო ჰიპოთეზურია და რამდენად შესაბამება რეალობას, ამის თქმა გავიჭირდება. თუმცა, თუ მხედველობაში მივიღებთ ქართული ისტორიული საბუთებისა და ნარატიული წყაროების მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც ნათლად ჩანს, რომ XVII საუკუნეში ეს მხარე ქართლის სამეფოს შემადგენლობაში და ისევ ავალიშვილთა მფლობელობა დასტურდება აღნიშნულ ხეობაში, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენ წინაშე არის ბორჯომის ხეობის ერთ-ერთ შესანიშნავი ხუროთმოძღვრული ძეგლის ჩითახევის ეკლესიის („მწვანე მონასტრის“) ხატი, რომელიც 1684 წელს ორჯერ დამწვარი ლევან ბატონიშვილსა და მის თანამეცხედრეს, თინათინ ავალიშვილს ისევ შეუკეთებიათ. ეს გახლავთ უძვირფასესი ცნობა ჩითახევის ეკლესიის სიძველეებისათვის, რადგან ჩვენამდე ტაძრის შესახებ ჩვენ პრაქტიკულად არანაირი ცნობა არ გავაჩნდა.

1684 წლის ხატის წარწერა მეტად საყურადღებო ცნობას გვანვდის ხატისა და შესაბამისად, ტაძრის ისტორიის შესახებ, რადგან წარწერაში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ ორჯერ დამწვარი ხატი ხელახლა შეუკეთებიათ. ცნობების სიმწირით ძალზედ ძნელია იმის თქმა, თუ კონკრეტულად როდის დაინვა ჩითახევის ეკლესიის ხატი. თუმცა ერთი კი დანამდვილებით შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ხატი ორჯერვე ჩითახევის ეკლესიის დარბევის დროს დაინვა. ჩითახევის ეკლესია საგანგებოდ შესწავლილი და გამოკვლეულია ქართველი ხელოვნებათმცოდნეების (რუსუდან მეფისაშვილი, 1977: 6-7; დავით ხოშტარია, 1983: 141-156) მიერ, რომელთა კვლევებითაც ნათელია, რომ აღნიშნული ეკლესია თავის დროზე დიდი სამონასტრო კომპლექსი უნდა ყოფილიყო. ქართული და უცხოური წყაროები XIV საუკუნიდან მოყოლებული XVII საუკუნის ჩათვლით არაერთ შემოსევაზე მოგვითხრობენ სამცხეში და, უფრო კონკრეტულად, ბორჯომის ხეობაში. აქედან გამომდინარე, ძნელია იმის მტკიცება, თუ კონკრეტულად როდის დაარბიეს ორჯერ ჩითახევის ეკლესია და შესაბამისად, როდის დაწვეს ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი სინამდვილე, მაცხოვრის ხატი. რაც შეეხება ჩითახევის ეკლესიის ხატის ხელოვნების



მუზეუმში მოხვედრის ისტორიას, ასე წარმოგვიდგენია: ამ მხარის ფეოდალებმა - ავალიშვილებმა საკუთარი ფეოდალური სენიორიის დატოვებასთან ერთად ბორჯომის ხეობის ძველი სინმინდეები თან წაიღეს და სწორედ ამის გამო მოხვდა შიდა ქართლში, კერძოდ, ბრეთში ჩითახევის ეკლესიის ხატი, ხოლო ბრეთიდან შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში და სწორედ ამის გამო ჩვენამდე ხატი ბრეთის ეკლესიის სინმინდედ იყო მიჩნეული. ჩვენ მიერ გამოთქმულ ვარაუდს კიდევ უფრო ამტკიცებს, 1633, 1634 და 1636 წლების როსტომის გაცემული წყალობის სიგელები ქაიხოსრო ავალიშვილისადმი, რომელიც, თავის მხრივ, ხატის წარწერაში მოხსენიებული თინათინის პაპა და, შესაბამისად, გიორგი ავალისშვილის მამა იყო. ამ საბუთებიდან კარგად ჩანს, რომ 1633 წელს ქართლის მეფემ როსტომმა ქაიხოსროს წყალობის სახით დავითაშვილების ნაქონი სოფელი ბრეთი მისცა, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ კვლავ ავალიშვილებს უნდა გადასცემოდა. მომდევნო, 1634 წელს როსტომმა სოფელი ბრეთი კონსტანტინე დავითაშვილს გადასცა იმ პირობით, თუ ქაიხოსრო ავალიშვილი არ შეურიგდებოდა, აღნიშნული სოფელი დავითაშვილებს დარჩებოდათ. უფრო მოგვიანებით, 1636 წელს, როსტომმა ქაიხოსრო ავალიშვილ სოფელ ბრეთის წყალობა განუახლა. აღნიშნული საბუთებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართლის მეფისაგან გიორგი ავალისშვილის ოჯახს სოფელ ბრეთი 1630-იანი წლებიდან ჰქონდა წყალობის სახით მიღებული (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1991: 77). აქედან არ არის უკვე გასაკვირი, თუ რატომ მოხვდა ჩითახევის მონასტრის კუთვნილი ხატი ბრეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში.

ამგვარად, ჩითახევის ხატის 1684 წლის ასომთავრული წარწერის, ქართული და უცხოური წყაროებისა და ქართული ისტორიული საბუთების ცნობების ურთერთშეჯერების შედეგად შეგვიძლია, ვთქვათ, რომ 1684 წლამდე ჩითახევის ეკლესია და მისი კანკელის მარცხენა მხარეს ჩასვენებული მაცხოვრის ხატი ორჯერ დაუნვაავთ, დამწვარი ხატი კი 1684 წელს ქართლის მეფის ვახტანგ V-ის ვაჟს, ლევან ბატონიშვილსა და მის მეუღლეს, გიორგი ავალიშვილს ასულს, თინათინს ხელახლა განუახლებიათ.

## **ლევან ბატონიშვილის სამეფო სახლის გენეალოგიის უცნობი დეტალები**

 მას, მე, ფრია-  
 დ, ცოდვილი  
 გოსტაშაბის-  
 შვილი, პაპუნა მ-  
 (ო)ნასტრისა, ამის(ა)  
 აღმშენებელი, ა-  
 დვ(ე)სრულე ფებ(ე)რ-  
 ვლ(ი)ს(ა) ოცდამე(ი)დსა დ-  
 ღესა შაბათსა, მეფ-  
 ობასა, გიორგის-  
 ასა, გამგებელისა, ვახ-  
 ტ[ან]გისა. ეს ვინცა ნახოთ შ-  
 (ე)ნდობ(ა) ბრმ(ა)ნეთ ქ(ორ)ო(ნი)კ(ო)ნ(სა) ტჟუ.  
 ქ. მოვიხსენე უფალო მ(ა)ნგლელი ნიკოლოზ.

პირობითი ნიშნები: ( ) - გახსნილი ქარაგმები; [ ] - დამწერის მიერ  
 უნებლიედ გამოტოვებული და ჩვენს მიერ, აღდგენილი  
 ადგილები.

posts, although he was favoured by the Governor (Takaishvili 1899, 442-443).

Papuna's and his wife Khvaramze's children: Papuna's elder son, Gostashab, is first mentioned in historical documents in the charter of mercy dated by 28 April, 1659 (Takaishvili 1899, 413). He is last mentioned in his lifetime in the charter of freedom dated by 1 April, 1693 (Takaishvili 1899, 431-432). In the charter dated by 1696, as well as later documents issued after Papuna's death, instead of Gostashab, his elder son Amilghambar is mentioned, because, after his grandfather's death, he became the Head of the Gostashabishvili clan, although, according to Georgian laws, his uncles were to head to family (Takaishvili 1899, 432-433). Thus, Gostashab must have died in the period between April 1, 1693, and the year 1696. Probably he died in the struggles between the supporters of King Giorgi and the Persians who supported King Erekle. To make the date more precise, Gostashab must have died prior to 1695, when King Giorgi left Kartli. Nikoloz, referred to as the Bishop of Manglisi (National Center of Manuscripts: Hd – 2250), must have become a clerical person in the period between June 21, 1688 and the year 1689. In the book of promise and law dated by 1688, Nikoloz is mentioned together with Papuna's two sons (Takaishvili 1899, 77). However, in the document regarding the renewal of the land granted by King Erekle in 1689, Nikoloz is no longer mentioned with other sons of Papuna (Takaishvili 1899, 78). An important document regarding Nikoloz is provided by Vakhushti Bagrationi: when Shah Suleyman I died (1666-1694, July 29), his heir Shah Hussein (July 29,



1694 - 1722) sent military support to Erekle Nazarali-Khan. Before reaching Tbilisi, these forces were attacked and completely annihilated by Kartlians under the leadership of King Giorgi. One brave Persian fellow struggled desperately and threw five Georgian horsemen from their horses. However, Nikoloz Gostashabishvili caught and disarmed this fellow. Charmed by his courage, Nikoloz set him free later (Bagrationi, 471). In our opinion, at this time Nikoloz was already a clerical person, but he and his family supported King Giorgi. It is also possible that his elder brother Gostashab was killed in this very battle. Since 1695, Nikoloz is again mentioned in the charters, first as a priest-monk and, later, since 1699, as the Bishop of Manglisi (Takaishvili 1899, 80). The last line, added later to the inscription on Papuna's gravestone, says: "May God have mercy on Nikoloz of Manglisi." This means that the epitaph on his father's grave was written by Nikoloz Gostashabishvili. Yet, Nikoloz's clerical name must have been Ioseb, because, in 1693, Nikoloz Dolenjishvili is mentioned as Nikoloz of Manglisi (Zhordania 1903, 229). In 1713, the Archbishop of Manglisi was Arsen Do-



lenjishvili, Nikoloz's nephew (Zhordania 1903, 228). In the period between these two clerical figures, the uncle and the nephew, only one person – Ioseb Baratashvili – is referred to as the Bishop of Manglisi. We argue that this very person is Nikoloz Gostashabishvili, Papuna's son (Zhordania 1903, 216). As Nikoloz Gostashabishvili made the epitaph on his father's grave in 1709, while in 1713 Arsen Dolenjishvili was the Bishop of Manglisi, Ioseb of Manglisi must have died in the period between 1709 and 1713, because there are no church documents proving that he had changed an eparchy.

- Qaparbeg is first mentioned in historical documents together with his brother Gostashab on April 28, 1659 (Takaishvili 1899, 413). He is last mentioned in the charter of division issued on December 1, 1713 (Takaishvili 1899, 136-137).
- Tamaz is first mentioned in the charter of mercy issued in 1671, together with his father and elder brothers (Takaishvili 1899, 425). He is last mentioned in the charter of division issued on December 1, 1713 (Takaishvili 1899, 136-137).
- Papuna's daughter Mariam was the wife of Durmishkhan Palavankhosroshvili-Baratashvili. Durmishkhan, who had no children, died





before 22 April, 1688 (Takaishvili 1899, 77). Therefore, on May 4, 1688, the King granted Durmishkhan's lands to the family of widow Mariam i.e. Papuna Gostashabishvili (Takaishvili 1899, 415).

- Papuna must have had other daughters, because in the inscription of Amlivi church he mentioned his sons and daughters in the plural form.<sup>1</sup>

In the 18<sup>th</sup> century, the Gostashabishvili clan, strengthened as a result of Papuna's deeds, possessed about three hundred peasants and 10 aristocratic families (Berdznishvili, Areshishvili, Mamistvalishvili, Sadunishvili, Saginashvili, Janiashvili, Dolenjishvili, Pavliashvili, Begiashvili and Kipiani). The heads of their families were considered princes of the second rank, whereas their brothers were considered princes of the third rank. However, in 1713 and 1721-22, they were separated and their manors fell apart (Takaishvili 1899, 354-368). Due to the attacks of Lezghins at the end of the XVIII century, they lost many of their lands and servants, and, in the XIX century, they turned into minor landowners (Lortkipanidze 1938, 335-337).

<sup>1</sup> "...my sons and daughters, who have built this church..."(Takaishvili 1905, 7; Beridze1994, 83).



**REFERENCES**

- Bagrationi, Vakhushti. 1973. *Description of the Kingdom of Georgia. Life of Georgia*. The text has been identified based on all major manuscripts by S. Kaukhchishvili. volume IV. Tbilisi. "Sabchota Saqartvelo" publishing-house.
- Beridze, Vakhtang. 1994. *Georgian Church Architecture of the XVI-XVIII Centuries*. Tbilisi.
- Gvritishvili, Davit. 1955. *From the History of Social Relations of Feudal Georgia*. Tbilisi.
- Takaishvili, Ekvtime. 1899. *Georgian Historical Monuments*. v. I. Tbilisi.
- Topchishvili, Roland. 2011. *The History of Georgian Aristocratic Family Names*. Tbilisi. "Universal" publishing-house.
- Kakabadze, Sargis. 1926. *The Story of Parsadan Gorgijanidze*. Tbilisi.
- Lortkipanidze, Iason. 1938. *Lower Kartli in the First Quarter of the XVIII Century. The Statistics of the Population and Ownership*. parts 3-4. Tbilisi.
- The Annotated Dictionary of Persons. 1991. *Based on Georgian Historical Documents of the XI-XVII Centuries*. volume I. Compiled by D. Kldiashvili, M. Surguladze, E. Tsagareishvili, G. Jandieri. Tbilisi: "Metsniereba" publishing-house.
- The Annotated Dictionary of Persons. 2015. *Based on Georgian Historical Documents of the XI-XVII Centuries*. volume V. Compiled by D. Kldiashvili, N. Mshvidobadze, G. Mchedlidze, M. Surguladze. Tbilisi.
- Zhordania, Tedo. 1903. *Historical Documents Regarding the Monasteries and Churches of Kartli and Kakheti*. Poti.
- Georgian Central Historical Archive, National Archive. Department of Old Documents. Fund number: 1450-2/143
- Chronicles and Other Materials on Georgian History and Literature. 1967. Compiled and commented by T. Zhordania. Book 3 (from 1700 to the 60s of the XIX century). Prepared for publication by G. Zhordania and Sh. Khantadze. Tbilisi.
- Tsitsishvili, Irakli. 1955. *The History of Georgian Architecture*. Tbilisi.
- Tchaia, Zaza. 2013. *The History of Princedoms of Lower Kartli*. Tbilisi: "Prani" publishing-house.
- Korneli Kekelidze National Center of Manuscripts. Codes: Ad – 1299; Qd – 2432; Hd – 2250.
- Jamburia, Givi. 1955. *On the History of Georgian Feudal Relations. Princedoms of Somkhiti -Sabaratiano*. Tbilisi.
- Janashia, Simon. 1952. *Genealogy of the Baratashvili*. Research Papers. Volume II. Tbilisi: Publishing House of the Georgian Academy of Sciences.
- Takaishvili, Ekvtime. 1905. *Archeological Excursions. Investigation and Notes*. Second Edition. Tbilisi (in Russian).



**ლევან კოჭლამაზაშვილი**

არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი,  
საქართველო

levan.kochlamazashvili285@hum.tsu.edu.ge



**ფონეტიკური ტრანსფორმაცია – სახელის  
ფუძის სემანტიკის დიაქრონიული გარდაქმნის  
ხელშემწყობი პირობა**

სტატიაში მიმოხილულია ფუძის ენობრივი შესაძლებლობი, რომელიც მას სხვადასხვა იერარქიულ დონეზე გამოეკვეთება და ისტორიის განმავლობაში როგორ შეინარჩუნებს ლინგვისტურ ხასიათს.

მსჯელობა წარიმართება დმ- ქართული ძირის კვალდაკვალ, რომელსაც არაერთი გეოგრაფიული სახელის ფუძე ემყარება. გაშუქებულია მისი ფონეტიკური გარდასახვის ისტორია, რაც ასახულია სხვადასხვა ტოპონიმში.

გამოვავლინეთ ძირის შესატყვისები სვანურსა და კოლხურში, რომელთა ფონეტიკურ სახეცვლილებას სემასიოლოგიური გადახრაც ერთვის თან.

მონაცემთა ისტორიულ-შედარებითი წრილით განხილვის საფუძველზე წარმოდგენილია ხედვა პირველსახის აღდგენისა საერთო-ქართველური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე.

**საკვანძო სიტყვები:** დიაქრონიული ფონეტიკა, სემასიოლოგია, ქართველური ენები

სიტყვის აგებულებაში ფუძე სემანტიზებულ ერთეულად გამოიყოფა, რომელსაც შესწევს ფორმატწარმოების უნარი. იგი, თავის მხრივ, მარტივ ენობრივ ერთეულად არ მოიაზრება, რამეთუ ორი მორფემის – ძირისა და დერივაციული აფიქსის – ნაერთია. მას შეუძლია ნიშან-თვისებათა საილუსტრაციოდ ენას იდენტობის ასპარეზად ექცეს და ინდივიდუალური ხასიათით გამოარჩევდეს მას სხვა სისტემა-სტრუქტურათაგან. მისი უპირატესობა თუნდაც იმითაც გამოიხატება, რომ მორფოლოგიური ხასიათის გამოხატვის საშუალების უქონლობის შემთხვევაში (ბრუნება, უღლება) ითავსებს აფიქსაციის ფუნქციას და ფლექსიით უნაზღაურებს ენას ბრუნვის ნიშნის არარსებობას და ამ გზით უწყობს ხელს ბრუნების მორფოლოგიური პროცესის განხორციელებას. ცნობილია, რომ ეს

ხერხი სემიტურ ენებს ახასიათებთ<sup>1</sup>.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ყურადღებას ვამახვილებთ სახელის ფუძის, როგორც აზრობრივი ელემენტის, ენობრივ შესაძლებლობებზე, რომელნიც მას მეტ-ნაკლები სიმტკიცით უნარჩუნდება ისტორიის მანძილზე. გარე ფაქტორებით განპირობებულ მიზეზებს სიტყვის დესემანტიზება ფონეტიკური იერის ცვალებადობის პირობებში შეუძლია. ისეთი ძირიც კი, რომელიც პირველადი ლექსიკური ფონდის შემადგენელი ერთეულიც შესაძლოა ყოფილიყო, ამ ენობრივ პროცესს ემორჩილება და ერღვევა ან შინაარსობრივი, ან გამოხატულებითი მხარე, ან – ორივე ერთად.

განსახილავად შევარჩიეთ დმ- ძირით მიღებული ფუძეები ქართულში, რომელთა პირვანდელი შინაარსი და ეტიმოლოგიური წარმომავლობა უცნობია. ამას თან ერთვის ფონეტიკური პროცესების მოქმედება, რამაც დიაქრონიულ ცვლილებებს კიდევ მეტი გასაქანი მისცა, ღირებულებითი (შედეგობრივი) თვალსაზრისით. მოპოვებული მონაცემებით, სამეტყველო ლექსიკურ ფონდში არ გვხვდება, თუმცა თავს იჩენს გეოგრაფიულ სახელებში. ქვემოთ წარმოდგენილია მსჯელობა იმ კოგნიტიურ მიზეზ-გარემოებაზე, რამაც ამ ძირის რეალიზაციის საჭიროება შექმნა.

გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად დმ- ძირი დერივაციულ აფიქსებს იყენებს: /-ან/, /-ალ/, /სა-ელ/.

/-ან/ დეტერმინანტით ნაწარმოებია ტოპონიმ დმანისის<sup>2</sup> ფუძე, რომელიც დაიშლება ასე: დმ-ან-ის-ი.

დმან- ფუძესვე ფონეტიკური სახეცვლილებითაც ვხვდებით შიდა ქართლის სხვა ტოპონიმშივე (დმენისი)<sup>3</sup>: დმენისი < დმანისი, სადაც ე-ა გარდაქმნა დისტანციური, რეგრესული, ნაწილობრივი ასიმილაციით აიხსნება.

იგივე ფუძეს შევნიშნავთ დვან-შიც, რომელიც მ-ვ (ჟ) გადაბგერების შედეგად უნდა მიღებულიყო: \*დმანი > დვანი.

დმ- ძირი დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიულ სახელებშიც ვხვდება. ფორმათწარმოება აქაც სხვადასხვაგვარია. მაგალითად, რაჭის სოფელ სადმელის<sup>4</sup> სახელწოდებაში, მართალია, ძირი ფონეტიკურად უცვლელია, თუმცა ფუძე /სა-ელ/ ირგვლივსართით იწარმოება: სა-დმ-ელ-ი.

დასავლეთ საქართველოს სხვა ტოპონიმებში დმ- ძირი ერთგვარი ფონეტიკური პროცესით ხასიათდება: CS აგებულების თანხმომვანტოკომპლექსი გათიშულია ანაპტიქსური ხმოვნით: დმ > დVმ. ასეთია, მაგალითად, დიმი-ი<sup>5</sup>. ამ შემთხვევაში ფუძე და ძირი ერთმანეთს ემთხვევა.

1 ჩიქობავა 2008, 190-91.

2 ქალაქი ქვემო ქართლში, ამავე მხარეში გვხვდება სოფლები დიდი და პატარა დმანისის სახელებით.

3 პატარა ლიახვის ხეობის სოფელი დმენისი, ქსუისის თემი (გორის მნცპ.); ამჟამად ოკუპირებულია რუსეთის მიერ.

4 მდებარეობს რიონის ხეობაში (ამბროლაურის მნცპ.),

5 სოფელი იმერეთში, ხანის ხეობაში (ბაღდათის მნცპ.). მასვე ემუხებება სოფელი ზედა დიმის სახელწოდებით.

ზოგჯერ ანაპტიქსი უ ხმოვნით მიმდინარეობს, რაც შესაძლოა, მ სონორის გავლენას მიეწერებოდეს: დმ>დV<sub>მ</sub>. ამგვარად გარდაქმნილი ჩანს დუმალა<sup>1</sup> ჰიდრონიმის ძირი, რომლის ფუძეც /-ალ/ დეტერმინანტითაა ნაწარმოები: დუმ-ალ-ა.

ყურადღებას იქცევს ზემო იმერეთის ტოპონიმი დუნთა<sup>2</sup>. ფუძეში გამოიყოფა /-თა/<sup>3</sup> ბოლოსართი: დუნ-თა. ძირი, თავის მხრივ, ფონეტიკურად სახეცვლილი ჩანს: დუნთა < \*დუმთა, სადაც ნ<მ გარდაქმნა თ-ს მიერ გამოწვეული კონტაქტური, რეგრესული, ნაწილობრივი ასიმილაციით აიხსნება.

იმავე დუმ- ძირ-ფუძეს ვხვდებით ტომპოზიტის ტიპის დუმაცხო ტოპონიმში<sup>4</sup>. იგივე ტოპონიმი შიდა ქართლშიც მეორდება<sup>5</sup>, თუმცა სახელობითი ბრუნვის /-ი/ ნიშნის დართვამ ინტერვოკალურ პოზიციაში ვ (ჟ) ხმოვანთგამყარი ბგერის განვითარება გამოიწვია: დუმა-ცხოი > დუმაცხოვი.

დუმ-ფორმიანი ძირითაა ნაწარმოები ტოპონიმი დუმანისი<sup>6</sup>, რომელიც დმანისის მსგავსი აგებულებისაა.

დმ- ძირის ისტორიის თვალსაზრისით, მეტად საინტერესო აღმოჩნდა აღმოსავლეთ საქართველოს კიდეც ერთი გეოგრაფიული სახელი – დონა<sup>7</sup>. ეს ფორმა, ჩემი ვარაუდით, ფონეტიკური პროცესის შედეგად იქნა მიღებული: დონა < \*დჟანა < \*დმანა. დასაშვებია, რომ ჯერ მ>ჟ გარდაქმნა განხორციელებულიყო და ფუძეში აღმოჩენელი ჟა ბგერათკომპლექსი შერწყმულიყო.

როგორც ჩანს, ქართულ ტოპონიმიაში დმ- ძირი და მისგან მიღებული ფუძეები საკმაოდ ხშირად რეალიზდება; გასარკვევია ძირის სემანტიკა და მისი მიზეზ-შედეგობრივი მიმართება გეოგრაფიული სივრცის სახელდებასთან.

საბას ლექსიკონში გვხვდება დ უ ბ ე სიტყვა, რომელიც განმარტებულია „დაბალ ადგილად“<sup>8</sup>. გარდა ამისა, ეს ფორმა დაცულია იმერულში და, პ. გაჩეჩილაძის განმარტებით, ნიშნავს „ვაკე ადგილს, რომელსაც ირგვლივ გორაკები ავლია“<sup>9</sup>. შ. ფუტკარაძის ცნობით, იგი აჭარულშიც (მუჰაჯირთა მეტყველება) იმავე მნიშვნელობის მატარებელია<sup>10</sup>. სავარაუდოდ, ეს ფორმა მერმინდელი უნდა იყოს და შესაძლოა დმ- ძირიდან წარმოქმნილიყო ფონეტიკური პროცესის ამგვარი განხორციელებით: დმ > დუმ > დუბ.

ძირის ყველა შესაძლო ფონეტიკური გარდაქმნისა და ბგერათმე-

1 მდინარე იმერეთში, სოფელ ბორითთან (ხარაგაულის მნცპ.) ერთვის ძირულას.

2 მდებარეობს ყვირილის ხეობაში, მთა ჩიხასთან (საჩხერის მნცპ.).

3 ეგვე სუფიქსი იმერეთისა და დასავლეთ საქართველოს სხვა გეოგრაფიულ სახელებშიც გვხვდება: სხალ-თა, კალო-თა, კობალ-თა, აგო-თა და სხვ.

4 სოფელია გუდამაყარში (დუშეთის მცნპ.).

5 იგულისხმება სოფელი დუმაცხოვი (ხაშურის მნცპ.).

6 საერთოდაც დუმანისი ქვემო ქართლში (თეთრიწყაროს მნცპ.) მდებარეობს; სოფელს 2015 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ ჯვარა დაარქვა (იხ. დადგ. N515).

7 სოფელია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში.

8 ორბელიანი 1949, 172.

9 გაჩეჩილაძე 1976, 67.

10 ფუტკარაძე 1989, ქდვ: www.corpora.co/#/dictionaries.



სატყვისობის წესთა გათვალისწინებით, ძიება ქართველურ ენათა ლექსიკაშიც განვაგრძეთ. ამ მხრივ საინტერესო აღმოჩნდა კოლხურისა და სვანურის მონაცემები.

კოლხურს ჭანურ კილოში აღმოაჩნდა სიტყვა დ უ მ ბ უ რ ი, რომელიც, ა. თანდილაძის განმარტებით, „ძნელად საბარ, უხეშ მიწას“ ნიშნავს<sup>1</sup>. სიტყვა ასე დანაწევრდება: დუმბ-ურ-ი, სადაც ფუძის მანარმოებელია /-ურ/ სუფიქსი. თავის მხრივ, დუმბ- ძირიც სახეცვლილი ჩანს; დასაშვებია, რომ \*დუმ- ფორმისაგან მიღებულიყო: ჭანურში მ-ს შემდგომ ბ-ს განვითარება უცხო მოვლენა არაა<sup>2</sup>.

მეგრულში დასტურდება სიტყვა დ უ ბ ე, რომელსაც ა. ქობალია განმარტავს: „მთის ხეობა; დაბალი, ჩავარდნილი ადგილი; ძახველი“<sup>3</sup>; იგი, სავარაუდოდ, ქართულიდან უნდა შესულიყო<sup>4</sup>.

სვანურს მოეპოვება ტუბიბ- „ხეობის“ აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული<sup>5</sup>. სიტყვა პირვანდელი სახით რომ არ გამოიყურება, ამას მეტყველებს ქართულ-კოლხურის ჩვენებაც. ანლაუტში, როგორც ჩანს, \*დ>ტ სახის დისიმილაციური გარდაქმნა განხორციელდა, ინლაუტში კი \*უ>ტი დიფთინგიზაციის პროცესთან გვაქვს საქმე<sup>6</sup>, ეს მოვლენები კი სვანურს არ ეუცხოება.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩოლურულში ამ ძირისაგან ახალი ფუძე ტუბიბრა „ღელე“ იწარმოება<sup>7</sup>. ეგვევ ძირი მონაწილეობს აგრეთვე სვანურ გეოგრაფიულ სახელთა წარმოებაში: ტვიბ<sup>8</sup>, ტვიბერ<sup>9</sup>...

როგორც განხილული მონაცემებიდან ჩანს, ძირი აღმოაჩნდა სამივე ქართველურ ენას. მიუხედავად იმისა, რომ იგი ფონეტიკური ნაირგვარობით ხასიათდება, შესაძლებელია მისი პირველსახის აღდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ქართ. დუმ- // დუბ- // დმ- // დტ- „მთა-გორაკთა შორის მოქცეული დაბლობი“

კოლხ. დუმბ- „ძნელად საბარი, უხეში მიწა“

სვან. ტუბიბ- „ხეობა, ღელე“

ა) აღნაუტის პოზიციაში პირვანდელი ვითარება შემორჩენილი უნდა ჰქონდეს ქართულსა და კოლხურს, სვანური ფორმა სახეცვლილია.

ბ) ქართულში გამოვლენილ ფორმათა შორის ამოსავალ ვითარებას CVS აგებულების ძირის ფორმები, ვოკალური ელემენტის გაქრობა მეორეულია.

გ) პირვანდელი ძირის ვოკალური ელემენტი, სავარაუდოდ, არ დაცულა არც ერთ შემთხვევაში, გარდა ერთადერთი გეოგრაფი-

1 თანდილაძე 2013, 228.

2 შდრ. ქუთელია 2005, 118-20.

3 ქობალია 2010 (ელექტრონული წყარო: [www.ice.ge/liv/liv/megr.php](http://www.ice.ge/liv/liv/megr.php)).

4 ვარაუდს ის გარემოებაც მიმყარებს, რომ დუბ სიტყვა ქართული ენის დასავლურ კილოებშია შემორჩენილი.

5 თოფურია-ქაღდანი 2000 (ელექტრონული წყარო: [www.ice.ge/liv/liv/svanur1.php](http://www.ice.ge/liv/liv/svanur1.php)).

6 შდრ. ჟღენტი 1949, 109-11.

7 ლიპარტელიანი 1994, 265.

8 სოფელი ქვემო სვანეთში, ჩოლურის თემში (ლენტეხის მნცპ.).

9 მყინვარი სვანეთის კავკასიონის ქედზე, აგრეთვე სოფელია ზემო სვანეთში, ცხუმარის თემში (მესტიის მნცპ.).

ული სახელის ძირ-ფუძისა (დომ-ი). იგი, სავარაუდოდ, ანაპტიქსური ხმოვანი უნდა ყოფილიყო, რის გამოც სუსტი პოზიცია ექნებოდა სიტყვაში და ბგერათშერწყმით ამიტომ ასიმილირდებოდა მ სონორის მიერ.

დ) დიფთონგიზაცია, უთუოდ, მეორეულია, აშკარად საკუთრივ სვანური მოვლენაა, რამეთუ უ>ტი გადაბგერების სხვა მრავალი შემთხვევა გვაქვს (მაგ., გუშგუედ > გუიშგუედ...). მის განხორციელებას საფუძველი ფუძე-ენიდან უნდა ჰქონოდა და შესაძლოა /ტი/ დიფთონგი სწორედ გარდაქმნის შუალედურ საფეხურს ასახავდეს: \*დი-მ>დტიმ>დუმ.

ე) სემასიოლოგიური ჩარჩოები – „ხეობა“, „ღელე“, „მთათა შორის მდებარე ვაკე“, „უხეში მინა“ ერთმანეთთან მჭიდრო სიახლოვისა და მიზეზ-შედეგობრიობის მაჩვენებელია.

ვ) დმ- ძირისაგან წარმოებულ ქართულ ტოპონიმებს (დვანი, დმანისი, დმენისი, დუმანისი, დუმაცხო, დუმაცხოვი, დუნთა, სადმელი) ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისითაც მიესადაგება მთისწინეთის, გორაკთა შორის მოქცეული დაბლობის, ღელის (დუმალა ჰიდრონიმის შემთხვევაში) აღქმითი სახელდება.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მართებულად მიმაჩნია საერთო-ქართველურ ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე \*დომ- „დაბლობი მთათა შორის“ აგებულების ძირის აღდგენა.

## დამონებაანი

გაჩეჩილაძე, პოლიევქტ. 1976. იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა. თბილისი: მეცნიერება

თანდილავა, ალი. 2013. ლაზური ლექსიკონი, თბილისი: საარი

თოფურია ვარლამ, ქალდანი მაქსიმე. 2000. სვანური ლექსიკონი, თბილისი; ელექტრონული [www.ice.ge/liv/liv/svanur1.php](http://www.ice.ge/liv/liv/svanur1.php)

ლიპარტელიანი, ასლან. 1994. სვანურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი

ორბელიანი, სულხან-საბა. 1949. სიტყვის კონა (რედ. ს.ყუბანიეშვილი). თბილისი: სახელგამი

ჟლენტი, სერგი. 1949. სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები. თბილისი: საქ. მეცნ. აკად. გამ-ბა

ფუტკარაძე, შუშანა. 1989. ჩვენებურების ქართული. ქვე: [www.corpora.co/#/dictionaries](http://www.corpora.co/#/dictionaries)

ქობალია, ალიო. 2010. მეგრული ლექსიკონი, ელექტრონული: [www.ice.ge/liv/liv/megr.php](http://www.ice.ge/liv/liv/megr.php)

ქუთელია, ნათელა. 2005. ლაზურის ფონემატური სტრუქტურა. თბილისი: თსუ გამ-ბა

ჩიქობავა, არნოლდ. 2008. ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი: თსუ გამ-ბა

**LEVAN KOCHLAMAZASHVILI**Arnold Chikobava Institute of Linguistics,  
Georgia  
levan.kochlamazashvili285@hum.tsu.edu.ge

## **A PHONETIC TRANSFORMATION – FACILITATING CONDITIONS FOR DIACHRONIC TRANSFORMATION OF THE SEMANTICS OF A NOUN STEM**

The paper discusses linguistic potentials of a noun stem expressed at different hierarchic levels. It also examines how the stem maintains a linguistic nature throughout its history.

The paper deals with a Georgian root - ოძ upon which a number of stems of geographical nouns are based. The discussion touches upon the history of its phonetic transformation reflected in various toponyms. In addition, I emphasize the equivalents of the root in Svan and Colchian and their phonetic alterations accompanied by semasiological deviations.

The data are analyzed within the historical-comparative framework. A view of the reconstruction of a prototype on the chronological level of the common Proto-Kartvelian language is put forward.

**KEYWORDS:** diachronic phonetics, semasiology, Kartvelian Languages.

In a word structure, the stem is separated as a semanticized unit which has an ability of inflection. In its turn, the stem is not a simple linguistic unit because it is a compound of two morphemes – a root and an affix. The characteristics of the stem can serve as an identity of any language. These individual features may distinguish the language from the systems and structures of other languages. The priority of the stem lies in the fact that it takes on the function of affixation when there are no means of morphological expression (declension, conjugation). In addition, it compensates the absence of case markers with flexion and in this way contributes to the morphological process of declension. As is known, this feature is typical for the Semitic languages.<sup>1</sup>

In this present paper, I pay attention to those linguistic capacities of the noun stem being a meaningful element that are more or less pre-

---

<sup>1</sup> Chikobava 2008, 190-91.

served throughout the whole history. The extralinguistic reasons can de-semanticize the word under variability conditions of the phonetic form. The root that was part of the primary lexicon is subject to this linguistic process either by changing its content or expressive part, or by changing both of them.

I examine the stems that are derived from the root **dm-** in Georgian. The primary meanings and etymological origins of the stems are unknown. It is evident that there are some effects of phonetic processes that give rise to diachronic changes from the perspective of effectiveness (consecutiveness). According to the collected data, we do not meet these words in the spoken language. However, they are used as geographical proper names. Below I focus on the cognitive reasons and conditions creating the need for the realization of the root **dm-**.

When forming the geographical nouns, the root **dm-** utilizes the derivative affixes: /-an/, /-al/, /sa-el/.

The determinant /-an/ forms the stem of the toponym **Dmanisi**<sup>1</sup> that can be broken down as the following: **dm-an-is-i..**

We encounter the stem *dman* with a phonetic variation in another toponym (Dmenisi)<sup>2</sup> in Shida Kartli: *dmenisi* < *dmanisi* where the transformation **e<a** can be explained by means of distant, regressive and partial assimilation.

The same stem is in **Dvani** which must have been received as a results of sound alternation **m>v** (w):\**dmani* > *dvani* (*dwani*).

The root **dm-** is found in the geographical names of western Georgia. The inflection is diverse, for example, in the name of the village *Sadmeli*<sup>3</sup> in Racha the root is phonetically not changed but the stem is affixed by /sa-el/: **sa-dm-el-i**.

The root **dm-** in other toponyms in western Georgia is characterized by a kind of phonetic process: the consonant complex of a CS-structure is split up by an anaptyctic vowel: **dm** > **dVm** for instance, **dim-i**<sup>4</sup>. In this case, the root and the stem coincide.

Sometimes the anaptyxis is occurs by the vowel  $\eta$  (u) possibly owing to the influence of the sonant /m/: **dm**>**dV<sub>u</sub>m**. Apparently, the root of the hydronym *dumala*<sup>5</sup> is transformed in this way. The stem of the hydronym is formed by the determinant /-al/: **dum-al-a**.

1 Dmanisi is a town in Kvemo Kartli. Didi Dmanisi and Patara Dmanisi are villages in Kvemo Kartli.

2 Dmenisi is a village in the Patara Liakhvi gorge, Ksuisi community (Gori municipality), occupied by Russia.

3 *Sadmeli* is a village in the Rioni gorge (Ambrolauri municipality).

4 *Dimi* is a village in Imeteri, the Khani gorge (Bagdati municipality); its adjacent village is called Zeda Dimi.

5 *Dumala* is a river in Imereti, it meerges with the river Dzirula near the Village of Boriti (Kharagauli municipality).



The toponym **dunta**<sup>1</sup> in upper Imereti seems to be very interesting. The suffix /-ta/<sup>2</sup> is singled out in the stem: **dun**-ta. The root, in its turn, is phonetically modified: *dunta* < \**dumta* where the transformation **n**<**m** can be explained by means of contact, regressive and partial assimilation provoked by /t/. The same root-stem **dum**- is in the composite toponym *dumacxo*<sup>3</sup>. In addition, the toponym can be found in Shida Kartli.<sup>4</sup> However, the nominative case marker /-i/ added in intervocalic position induces the development of the sound **v** (**w**) separating the vowels: *dumacxoi* < *dumacxovi*.

The toponym **Dumanisi**<sup>5</sup> is formed by the root **dum**- the structure of which is similar to that of Dmanisi.

With respect to the history of the root **dm**-, in eastern Georgian another geographical name **Dona**<sup>6</sup> turned out to be very interesting. I suppose that this form has been received as a result of the following phonetic process: *dona* < \**dwana* < \**dmana*. The transformation **m**>**w** was presumably performed first and then the sound complex **wa** found in the stem, fused together.

It seems that in the Georgian toponymy the root **dm**- and the stems derived from it are very often realized; it is necessary to investigate the semantics of the root and its cause-and-effect linkage with the naming of geographical space.

We encounter the word *dube* in Saba's dictionary. The word is explained as "a low place".<sup>7</sup> Besides, this form is preserved in Imeretian and, according to Gachechiladze, it denotes "lowlands surrounded by hills".<sup>8</sup> Putkaradze notes that the word carries the same meaning in Acharian (Muhajirs speech).<sup>9</sup> This form was presumably derived later on going through the following phonetic process from the root **dm**-: **dm** > **dum** > **dub**.

I proceed with further investigation of the lexicon of the Kartvelian languages, taking into account each possible phonetic transformation of the root and the rules of sound correspondence. In this respect, the data from Colchis and Svan are of interest.

Colchis, in the Laz dialect, has the word *dumburi* which, according to

1 Dunta is a village in the Kvirila gorge, near Mount Chikha (Sachkhere municipality).

2 The same suffix is in the Imeretian and western Georgian geographic nouns: *sxal*-ta, *kalo*-ta, *kobal*-ta, *ago*-ta etc.

3 Dumatskho (phonetic: *dumacxo*) is a village in Gudamakari (Dusheti municipality).

4 Here I mean village Dumatskhovi (Khashuri municipality).

5 Dumanisi is located in Kvemo Kartli (Tetritskaro municipality); the village was named Jvara on the 6th of October (see decree N515).

6 Dona is a village in Lagodekhi municipality.

7 Orbeliani 1949, 172.

8 Gachechiladze 1976, 67.

9 Putkaradze 1989, Georgian Dialect Corpus: [www.corpora.co/#/dictionaries](http://www.corpora.co/#/dictionaries).

Tandilava, denotes “a coarse soil hard to dig”.<sup>1</sup> The word will be split up as the following: **dumb-ur-i**, where the stem marker is the suffix **/-ur/**. In its turn, the root **dumb-** seems to be modified and presumably it was developed from the form **\*dum:** in Laz the development of **b** after **m** is not an abnormal phenomenon.<sup>2</sup>

The word *dube* can be traced in Megrelian which, according to Kobalia’s explanation, denotes “a mountain gorge; a low and a sunken place; a guilder rose”;<sup>3</sup> we can assume that it came from Georgian<sup>4</sup>.

Svan has the lexical unit **ṭwib** denoting “a valley”<sup>5</sup>. The appearance of word is not original proved by Georgian-Colchian evidence. In anlaut the dissimilative transformation **\*d>ṭ** occurred, whereas in inlaut the diphthongization **\*u>wi** took place.<sup>6</sup> These phenomena are not uncommon in Svan.

It is noteworthy that in Cholurian a new stem *ṭwibra* (“a stream”) is formed.<sup>7</sup> The same root participates in the formation of the Svan geographical names: **ṭwib**<sup>8</sup>, **ṭwiber**<sup>9</sup>...

As it is obvious from the discussed data above, the root has been found in the three Kartvelian languages. In spite of the fact that the root can be characterized by the phonetic diversity, it is possible to reconstruct the primary form taking into consideration the following conditions:

Geo: **dum-** // **dub-** // **dm-** // **dw-** “lowlands surrounded by mountains and hills”

Col: **dumb-** “a coarse soil hard to dig”

Sv.: **ṭwib-** “a valley, a stream”

a) In case of anlaut, Georgian and Colchian maintain primary forms, whereas the Svan form is modified.

b) Among the forms revealed in Georgian, the root forms of a CVS-structure are primary and the disappearance of vocal elements is secondary.

c) The vocal element of the primary root is not supposedly kept in any example except in the root-stem *Dimi* of only one geographical noun. The vocal element might be an anaphtictic vowel having a weak position in the word and triggering the fusion of the sounds. The assimilation of the vowel occurred owing to the sonant **/m/**.

1 Tandilava 2013, 228.

2 Compare Kutelia 2005, 118-20.

3 Kobalia 2010 ([www.ice.ge/liv/liv/megr.php](http://www.ice.ge/liv/liv/megr.php)).

4 The assumption is strengthened by the circumstances that the word *dube* remains in the western Georgian subdialects.

5 Topuria & Kaldani 2000 ([www.ice.ge/liv/liv/svanur1.php](http://www.ice.ge/liv/liv/svanur1.php)).

6 Compare Zhgenti 1949, 109-11.

7 Liparteliani 1994, 265.

8 Tvibi is a village in Kvemo Svaneti, Choluri community (Lentekhi municipality)

9 Tviberi is a glacier on the Caucasus Mountain Range in Svaneti, also it is a village in Zemo Svaneti, Tskhumari (Mestia municipality).

d) The diphthongization is definitely secondary, namely it is a Svan phenomenon, as we have a lot of cases of sound alternation **u>wi** (for example, gušgwey > gwešgwey...) in Svan. The basis of its implementation comes from the proto-language and the diphthong /**wi**/ presumably reflects an interim phase of the transformation: \*dim>dwim>dum.

e) The semasiological frames – “a valley”, “a stream”, “lowlands amidst mountains”, “a coarse soil” are an indicator of causality and proximity.

f) The Georgian toponyms (Dvani, Dmanisi, Dmenisi, Dumanisi, dumacxo, dumacxovi, Dunta, Sadmeli) derived from the root **dm-** correspond to the perceptual naming of a piedmont, lowlands amid hills, and a stream (in case of the hydronym Dumala) from a physical-geographic perspective.

Taking into account the above-mentioned, I consider it relevant to reconstruct the structure of the root \***dim-** “lowlands amidst mountains” on the chronological level of the common Proto-Kartvelian language.


## REFERENCES

- Gachechiladze, Polievkt. *Lexical Material of the Imeretian Dialect*, Tbilisi: Metsniereba, 1976.
- Tandilava, Ali. *Laz Dictionary*. Tbilisi: Saari, 2013.
- Topuria, Varlam and Maxime Kaldani. *Svan Dictionary*, Tbilisi, 2000; online dictionary at: [www.ice.ge/liv/liv/svanur1.php](http://www.ice.ge/liv/liv/svanur1.php)
- Liparteliani, Aslan. *Svan-Georgian Dictionary*, Tbilisi, 1994.
- Orbeliani, Sulkhan-Saba. *Sitkvis Kona*, S. Kubaneishvili (ed.), Tbilisi: Sakhelgami, 1949.
- Zhgenti, Sergi. *Main Aspects of Phonetics of the Svan Language*, Tbilisi: Georgian National Academy of Science Press, 1949.
- Putkaradze, Shushana, *Georgian of the Chveneburis*, 1989; Georgian Dialect Corpus at: [www.corpora.co/#/dictionaries](http://www.corpora.co/#/dictionaries)
- Kobalia, Alio. *Megrelian Dictionary*, 2010; online dictionary at: [www.ice.ge/liv/liv/megr.php](http://www.ice.ge/liv/liv/megr.php)
- Kutelia, Natela. *The Phonemic Structure of Laz*, Tbilisi: Tbilisi State University Press, 2005.
- Chikobava, Arnold. *Introduction to Linguistics*, Tbilisi: Tbilisi State University Press, 2008.



**დიმიტრი სილაყაძე**

საქართველოს ეროვნული არქივი,  
საქართველო  
dimitrisilaqadze@gmail.com



## **აირუმის ბრძოლა- პოლკოვნიკ ვაჩნაძის რაზმის ტყვედ ჩავარდნის ისტორია (სომხეთ-საქართველოს 1918 წლის ომი)<sup>1</sup>**

1918 წლის მიწურულს ორ ახლად ჩამოყალიბებულ პატარა კავკასიურ რესპუბლიკას, საქართველოსა და სომხეთს შორის წამოჭრილი დავა ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრის კუთვნილების გამო ომში გადაიზარდა. დღევანდელ დღეს ისტორიოგრაფიის ინტერესს წარმოადგენს, ამ ომის პოლიტიკური, დიპლომატიური თუნუნინდა სამხედრო ხასიათის ასპექტები. ჩვენი კვლევა კი ეხება, 1918 წლის 15 დეკემბერს აირუმის რკინიგზის სადგურზე მომხდარ ბრძოლას, როდესაც პოლკოვნიკ ვაჩნაძის რაზმი სომხური ჯარის ჩასაფრებაში მოყვა. ინფორმაცია ამ ბრძოლის შესახებ აქამდეც არსებობდა, თუმცა საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო პროკურორის კანცელარიის ფონდში ნაპოვნმა საარქივო საქმემ, რომელიც ამ ბრძოლის გამოძიებას ეხება საშუალება მოგვცა დეტალურად აღგვედგინა მომხდარი.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, სომხეთის რესპუბლიკა, სომხეთ-საქართველოს ომი, სამხედრო ისტორია, კავკასიის ისტორია

**1** 1918 წლის 15 დეკემბერს, სომხეთ-საქართველოს ომის მიმდინარეობისას, პოლკოვნიკ დავით ვაჩნაძის მეთაურობით ბამბაკის ხეობაში მიმავალი ქართული რაზმი რომელიც 300-მდე ჯარისკაცისგან შედგებოდა სადგურ აირუმთან მოწინააღმდეგის ჩასაფრებაში მოყვა. 4,5 საათიანი ბრძოლის შედეგად რაზმის 56 მებრძოლი დაიღუპა და 78 დაიჭრა (ფონდი 2018ა). ტყვია-წამლის ამონურვის შე-

<sup>1</sup> სტატიის პირველადი, არასამეცნიერო, პოპულარული ხასიათის ვერსია გამოქვეყნდა 2019 წლის 16 იანვარს საქართველოს პირველი რესპუბლიკის ბლოგზე <http://pirvelirespublika.blogspot.com/2019/01/blog-post.html>



მდეგ მოწინააღმდეგემ ტყვედ აიყვანა 240 ჯარისკაცი და ოფიცერი (ფონდი 2018ბ). საინტერესოა თუ რა გახდა ამ სამხედრო წარუმატებლობის მიზეზი. ამის გასარკვევად ომის დასრულებისთანავე, 1919 წლის თებერვალში, სამხედრო პროკურატურამ გამოძიება დაიწყო. შეიქმნა საგამოძიებო კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გენერალ-მაიორი გიორგი არჯევანიძე (ფონდი 2018გ). გამოძიების პროცესში დაიკითხნენ რაზმის ოფიცრები და სხვა პირები ვისაც საქმესთან შეხება ჰქონდათ. კომისიამ რაზმის მეთაური და ოფიცრები მომხდარში დამნაშავედ არ სცნო, რის საფუძველზეც 1919 წლის 27 დეკემბერს პროკურატურამ საქმის ძიება შეწყვიტა (ფონდი 2018ა).

1920 წელს საქმის ხელახლა გამოსაძიებლად შექმნა სამთავრობო საგანგებო-საგამოძიებო კომისია, რომელმაც 1920 წლის 2 დეკემბერს დაადგინა, რომ დატყვევებულ ჯარისკაცთა დაკითხვა შეუძლებელი იყო, ხოლო ოფიცერთა ჩვენებებში რაზმის მეთაურის დანაშაული არ იკვეთებოდა. ძიების გაგრძელება მიზანშეწონილად ჩაითვა და საქმე საკმაო საბუთების უქონლობის გამო დასახურად გადაეცა სამხედრო სასამართლოს (ფონდი 2018დ).

აირუმში ქართველი ჯარისკაცების ტყვედ ჩავარდნის ამბავს ორიოდე წინადადებით საკუთარ მემუარებში ახსენებენ გენერლები გიორგი მაზნიაშვილი და გიორგი კვინიტაძე. ისინი სწორად გადმოსცემენ ტყვედ ჩავარდნის ადგილს და ამბავს, რაზმის მეთაურის სახელს, ორივეს ეშლებათ თარიღი, მაზნიაშვილს კი რაზმის შემადგენლობაში შემავალი ქვედანაყოფები (მაზნიაშვილი 1927, 119; Квинитадзе 1985, 58). რაც შეეხება ისტორიოგრაფიას, არჩილ ჩაჩხიანი სომხეთ-საქართველოს ომის შესახებ მის მიერ დაწერილ წიგნში, აირუმის ბრძოლას დაახლოებით ერთ გვერდს უთმობს და მასზე მსჯელობს: მაზნიაშვილის და კვინიტაძის მოგონების, ასევე აირუმთან დალუპული ოფიცრის ვლადიმერ ბარნაბიშვილის მოკლე ბიოგრაფიული ცნობის და მეხუთე პოლკის რაზმის გაგზავნის შესახებ ამონაწერით - მეხუთე პოლკის საბრძოლო მოქმედებათა ჟურნალიდან (ჩაჩხიანი 2007, 334-335). ბრძოლის შედეგს მოკლედ გადმოგვცემს სომხეთის რესპუბლიკის (1918-1920წწ) ბოლო პრემიერი სიმონ ვრაციანი 1928 წელს პარიზში მიეს მიერ გამოცემულ ნაშრომში სომხეთის რესპუბლიკა (Virabyan 2016, 338). რიჩარდ ჰოვანესიანი კი ორი წინადადებით აღწერს სომხური ჯარის მარჯვენა ფლანგის მიერ მოულოდნელი დარტყმით აირუმის აღებას და მიღწეულ წარმატებას (Hovannisian 1971, 113).

რადგანაც ამ ბრძოლის შესახებ დაწყებული გამოძიების მასალები აქამდე უცნობი იყო, ამიტომ, ისტორიოგრაფიაში მომხდარი დეტალურად არასდროს ყოფილა გამოკვლეული. ჩვენ ხელთა არსებული საქმის ძიების დოკუმენტები, პროკურატურის, სამხედრო კომისიის დასკვნები, თუ ოფიცერთა მოხსენებები სხვა წყაროებთან ერთად ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს აირუმის ბრძოლის შესახებ და საშუალებას გვაძლევს დეტალურად აღვადგინოთ ბრძოლის სურათი.

## საბრძოლო მოქმედებების დასაწყისი – 9-13 დეკემბერი

1918 წლის დეკემბერში ორ პატარა კავკასიურ რესპუბლიკას საქართველოსა და სომხეთს შორის დავა ბორჩალოსა და ახალქალაქის მახრების კუთვნილების გამო სისხლისმღვრელ ომში გადაიზარდა. ომს წინ უძლოდა საკითხის მოლაპარაკებების მაგიდასთან გადაწყვეტის მცდელობა. ასევე 1918 წლის ოქტომბერში სომხურმა მხარემ ბორჩალოს მახრის სამხრეთ ნაწილში საბრძოლო მოქმედებების დაწყება სცადა, რაც წარმატებით აღკვეთა ქართულმა მხარემ და ინციდენტი საბოლოოდ გაუგებრობად მოინათლა (ჩაჩხიანი 2007, 229-253). ნოემბერსა და დეკემბერში ტერიტორიული პრობლემის გადასაწყვეტად მოლაპარაკებები გრძელდებოდა, ორივე მხარეს თავისი არგუმენტები გააჩნდა, საერთაშორისო ვითარება კი საქართველოსთვის არცთუ სასარგებლოდ იცვლებოდა. საქართველოს მფარველი გერმანია პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა და გერმანულმა ჯარმა საქართველოს დატოვებაც დაიწყო. მათ ნაცვლად ამიერკავკასიაში შემოდიდოდნენ მსოფლიო ომში გამარჯვებული ბრიტანელები, სომხეთი კი თავს ბრიტანელთა მოკავშირედ მიიჩნდევდა და თვლიდა, რომ ბრიტანელები კავკასიაში მათ მხარეს დაიჭერდნენ. სომხური მხარე ბორჩალოს მახრის სამხრეთ ნაწილში მდგომ ქართულ ჯარს ადგილობრივი სომხური მოსახლეობის შევიწროებაში ადანაშაულებდა. სოფელ უზუნლარში ადგილობრივი სომეხი მოსახლეობასა და ქართველ სამხედროებს შორის მომხდარი დაპირისპირების დროს სცემეს სოფლის კომისარი და დაიღუპა ერთი ადგილობრივი მცხოვრები (Hovannisian 1971, 103). 5-7 დეკემბერს სოფელ უზუნლარში რამდენიმე ინციდენტი მოხდა, შეიარაღებული ჯგუფები რამდენჯერმე დაესხნენ ქართველ სამხედროებს, 1 ჯარისკაცი დაიღუპა, რამდენიმე დაიჭრა და ნაწილი კი ტყვედ ჩავარდა. ბორჩალოს მახრის გენერალ-გუბერნატორმა გენერალმა გიორგი წულუკიძემ სოფლის მოსახლეობის განიარაღება გადაწყვიტა და ამისათვის 80 ჯარისკაცი გამოყო. თუმცა მოწინააღმდეგემ რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისა და სომხური რეგულარული არმიის მე-4 პოლკის ჯარისკაცებისგან შედგებოდა მძლავრი იერიში მიიტანა უზუნლარ-სანაინის მონაკვეთზე მდგარ წულუკიძის მცირერიცხოვან ძალებზე (Из Историй Армяно-Грузинскийх Отношений 1919, 88-90; ჩაჩხიანი 2007, 287-292). იმ დროისათვის გენერლის განკარგულებაში იყო: თბილისის საგუბერნიო ბატალიონის არასრული ასეული, 1 ჯავშანმატარებელი და მესაზღვრეთა მცირე ჯგუფი - სულ 200-მდე მებრძოლი (ჩაჩხიანი 2007, 291). მოწინააღმდეგემ 9 დეკემბერს დაიკავა უზუნლარი და სანაინს შეუტია. გენერალმა წულუკიძემ თბილისიდან დამატებითი ძალები მოითხოვა. 9 და 10 დეკემბერს მის დასახმარებლად მეხუთე პოლკის ორი რაზმი გაიგზავნა, მთლიანობაში - 325 მებრძოლი 4 ტყვიამფრქვევით (ფონდი 1878ა). ამასობაში სანაინში მყოფი ქართული ძალები ალყაში მოექცნენ და გენერლის ბრძანებით მეხუთე პოლკის ორმა რაზმმა სანაინისკენ გზა აღარ გააგრძელა და მის ჩრდილოეთით ალავერდთან გამაგრდა. ამ რაზმებისგან შეიქმნა დროებითი ბატალიონი რომელსაც პოლკოვნიკი მიქაბერიძე ჩაუდგა სათავეში. 11 დეკემბერს

საღამოს 8 საათზე გენერალი ნულუკიძე თავისი შტაბითურთ სანაინის ალყიდან გამოვიდა, თუმცა იქ რჩებოდა ქართული ჯავშანმატარებელი თავისი ეკიპაჟით, საგუბერნიო ბატალიონის არასრული ასეულისა და მესაზღვრეთა მცირე ჯგუფის ნარჩენები. სანაინთან ჯავშანმატარებლის მოქმედებას ხელს უშლიდა გეოგრაფიული გარემო და მონინალმდეგის მიერ რკინიგზის ხაზის დაზიანება. 13 დეკემბერს გენერალმა ნულუკიძემ სცადა სანაინისკენ გაქრა, მაგრამ ეს მცირე ძალებით და რკინიგზის ლიანდაგის აყრის გამო შეუძლებელი გამოდგა. ამიტომ გენერალმა სანაინში ჩარჩენილ ძალებს ალყის გამორღვევა და ალავერდისკენ უკანდახევა უბრძანა (ჩაჩხიანი 2007, 292-298). მთელი ამ დროის განმავლობაში დიპლომატიური მოლაპარაკებები თუ ნოტების გაცვლა-გამოცვლა ორ რესპუბლიკას შორის არ წყდებოდა, თუმცა ზოგი მათგანი საომარი მოქმედებებისას დაზიანებული ტელეგრაფის ხაზის გამო გვიან აღწევდა დანიშნულების ადგილზე. ამის პარალელურად კი სომხური მხარე საკუთარ ძალებს აძლიერებდა და დიდი შეტევისათვის ემზადებოდა. ქართულ სამხედრო-პოლიტიკურ ელიტას კი ბოლომდე არ უნდოდა გააზრება, რომ სრულმასშტაბიან ომთან ჰქონდა საქმე და ომს დაწყებულად არ მიიჩნევდნენ. ქართული მხარე თვლიდა, რომ მათ წინააღმდეგ სომხეთის რესპუბლიკის ხელშეწყობით ადგილობრივი სომხური ბანდები მოქმედებდნენ და ბრძოლაში ჩართული იყო სომხეთის რეგულარული ჯარისკ, თუმცა არ კარგავდნენ იმედს, რომ ყველაფერი მოლაპარაკებების გზით გადაწყდებოდა. სომხური მხარე კი მორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილიდან ქართული ჯარის გაყვანას ითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალის გამოყენებით იმუქრებოდა, არადა საბრძოლო მოქმედებები უკვე დაწყებული იყო. 13-14 დეკემბრიდან კი სრულმასშტაბიან ომში გადაიზარდა (ფონდი 1864; სახალხო საქმე N409 1918: 2; სახალხო საქმე N410 1918: 2)

სომხური წყაროების მიხედვით 13-14 დეკემბრისათვის ქართველების წინააღმდეგ მათ თავი მოუყარეს 28 ქვეით ასეულს და 4 ცხენოსან ესკადრონს (ასეული), ისინი შეიარაღებულნი იყვნენ 26 ტყვიამფრქვევითა და 7 ქვემეხით (Hovannisian 1971, 111). ამას ემატებოდა, ადგილობრივი სომეხი მოსახლეობის ერთი ნაწილისაგან შემდგარი მილიციური რაზმები. სომხური ცნობებით, მათი დაჯგუფება შეტევის წინ დაახლოებით 6000 მებრძოლისგან შედგებოდა (Virabyan 2016, 331). დაჯგუფებას სათავეში ედგა გენერალი დრასტჰამათ კანაიანი (დრო). ამ დაჯგუფების უმეტესი ნაწილი მიმართული იყო გენერალ ნულუკიძის ძალების წინააღმდეგ. ხოლო 11 ქვეითი ასეული, 20 ცხენოსანი 4 ქვემეხითა და 14 ტყვიამფრქვევით ვორონ-ცოვკა-პრიველნოეს მიმართულებაზე მდგარ გენერალ ციციშვილის ორასიოდე მებრძოლის წინააღმდეგ (ჩაჩხიანი 2007, 321-323).<sup>1</sup>

გენერალ ნულუკიძის მიმართულებაზე მოქმედი მონინალმდეგის მიზანს, პირველ ეტაპზე ალავერდიდან-სადახლომდე ბამბაკის

1 გენერალ ციციშვილის რაზმის პირადი შემადგენლობის მონაცემი პირდაპირ არ არის დასახელებული, მაგრამ ციციშვილის პატაკიდან სჩანს, რომ მას ბრძოლის შემდეგ დარჩა 80-იოდე მებრძოლი, ხოლო 103 დაიღუპა ან დაჭრილი მონინალმდეგეს ჩაუვარდა ტყვედ.

ხეობის სრულად განმენდას წარმოადგენდა. როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, მათ იერიში მიიტანეს ალავერდზე და მის ზურგში განლაგებულ რკინიგზის სადგურებზე, ასევე შორეული ფლანგურ მანევრით გავიდნენ აირუმში. 14 დეკემბრისთვის ალავერდში ნულუკიდის განკარგულებაში იყო მეხუთე პოლკის დროებითი ბატალიონი, მეექვსე პოლკის ერთი ასეული და ორი არასრული საარტილერიო ბატარეა. სულ 500-550-მდე მებრძოლი (ჩაჩხიანი 2007, 298-299). სადახლო-აირუმ-ახტალა-ახპატ-ალავერდის რკინიგზის 40 კილომეტრიან მონაკვეთზე, ბამბაკის ვიწრო ხეობაში, მდინარე დებედას გაყოლებაზე რომელსაც ირგვლივ გორაკ-ბორცვები და უმეტესად კი საშუალო სიმაღლის მთები დაჰყურებდა, ორი ქართული ჯავშანმატარებელი პატრულირებდა. სადგურებზე კი ოცეულის ზომის ქვედანაყოფები იდგა. გენერალ ნულუკიდეს სასწრაფოდ სჭირდებოდა დამატებითი ძალების მიშველება.

### **ღამხარე რაზმის შედგენა თბილისში**

14 დეკემბერს ქართული არმიის მეორე ქვეითი დივიზიის სარდალმა გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა გენერალ ნულუკიდის მისამშველებლად რამდენიმე საათში შეადგინა სამხედრო რაზმი, რომელიც დაკომპლექტდა მეხუთე ქვეითი პოლკის ორი ასეულის, ამავე პოლკის სასწავლო და ტყვიისმფრქვეველთა გუნდების და მეოთხე პოლკის ერთი ასეულისაგან. რაზმის მეთაურად დაინიშნა პოლკოვნიკი დავით ვაჩნაძე (ფონდი 2018გ). რაზმის პირადი შემადგენლობა მეხუთე ქვეითი პოლკის საბრძოლო მოქმედებათა ჟურნალის მიხედვით 13 ოფიცრისა და 240 ჯარისკაცისგან შედგებოდა (ფონდი 1878ა), თუმცა საფიქრებელია რომ ამ რიცხვში არ არის ნაგულისხმევი მეოთხე პოლკის 1 ასეული. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს ის ფაქტი, რომ მეხუთე პოლკის ერთ ქვეით ასეულში იყო 83 (ფონდი 2018გ), სასწავლო გუნდში 35 (ფონდი 2018ბ), ხოლო ტყვიისმფრქვეველთა გუნდში კი 27 ჯარისკაცი (ფონდი 2018თ), სულ 145 ჯარისკაცი. არ ვიცით რამდენი ჯარისკაცი იყო მეხუთე პოლკის მეორე ასეულში და მეოთხე პოლკის ასეულში, თუმცა ლოგიკა გვკარნახობს, რომ ამ ორ ასეულში ერთად 95 ჯარისკაცზე მეტი იქნებოდა (240-145=95). ტყვიისმფრქვეველთა გუნდის ოფიცრის ყარამან ქუთათელაძის ინფორმაციით რაზმი დაახლოებით 300-350 კაცისგან შედგებოდა (ფონდი 2018ი). ჩემი აზრით, რაზმის პირადი შემადგენლობის რაოდენობა 300-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი იქნებოდა. ამას გვაფიქრებინებს გარდაცვლილთა და ტყვედ ჩავარდნილთა რიცხვი, რომლის ჯამი 296 კაცს უდრის. ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ აირუმის სადგურზე იდგა მესაზღვრეთა ოცეული, რომელმაც ბრძოლაშიც მიიღო მონაწილეობა. შესაძლოა მებრძოლთა მცირე ნაწილი, ბრძოლის მსვლელობისას ან მის შემდეგ ინდივიდუალურად ისე გავიდა ჩასაფრებიდან რომ ტყვედ არ ჩავარდნილან.

თბილისში შედგენილი რაზმის პირადი შემადგენლობის უდიდეს ნაწილს სამხედრო სამსახურში სულ რამდენიმე დღის წინ განვე-



ული ჯარისკაცები შეადგენდნენ, რომელთაც შაშხანების გამოყენებაც კი არ იცოდნენ (ფონდი 2018კ). როდესაც პოლკოვნიკმა ვაჩნაძემ გენერალ მაზნიაშვილს ჰკითხა, თუ როგორ შეიძლებოდა სრულიად გაუნრთველი და არაორგანიზებული ჯარისკაცთა მასის გაგზავნა ხეობაში, და ამასთანავე არწმუნებდა რომ ეს ჯარისკაცები მას მხოლოდ ხელს შეუშლიდნენ, გენერალმა უპასუხა - რომ ეს არაფერს არ ნიშნავდა, რადგანაც ისინი ომში არ მიდიოდნენ და ჯარისკაცები ადგილზე ისწავლიდნენ ყველაფერს (ფონდი 2018ე). გენერალი და ზოგადად სარდლობა მიიჩნევდა, რომ რაც ბორჩალოს მაზრაში ხდებოდა, ჯერ კიდევ არ იყო ომი. რაზმის პრობლემებს აგვირგვინებდა ტყვია-წამლის ნაკლებობა. მეხუთე პოლკის ასეულების თითოეულ ჯარისკაცს თან მხოლოდ 120-მდე ვაზნა (ფონდი 2018ლ), ხოლო მეოთხე პოლკის ჯარისკაცებს კი საერთოდ 30-40 ვაზნა ჰქონდათ (ფონდი 2018ზ). მათ საერთოდ არ გააჩნდათ ტყვიამფრქვევები. პოლკოვნიკ ვაჩნაძეს განუცხადეს, რომ 13 დეკემბერს 100 000 ვაზნა და ტყვიამფრქვევები ალავერდის სადგურზე გააგზავნეს და როდესაც ისინი მივიდოდნენ გენერალ წულუკიძესთან, იქ მიიღებდნენ დამატებით ვაზნებს და ტყვიამფრქვევებს (ფონდი 2018ხ).

## **რაზმის ამოცანა და გადაადგილება თბილისიდან-აირუშაძე**

რაზმი რკინიგზით უნდა გადაადგილებულიყო სადახლო-აირუში-ახტალის-ახპატ-ალავერდის მიმართულებით და შეერთებოდა გენერალ წულუკიძის რაზმს. გენერალმა მაზნიაშვილმა პოლკოვნიკ ვაჩნაძეს ეშელონის გასვლამდე უთხრა, რომ რაზმს სადგურ სადახლომდე შეეძლო დაეძინა და შემდეგ განსაკუთრებით კი სადგურ ახპატთან ფრთხილად უნდა ყოფილიყვნენ, რადგანაც 14 დეკემბრის 12 საათზე მათი ინფორმაციით ახპატის მიმართულებით სომხურ ბანდებს ცეცხლი გაეხსნათ (ფონდი 2018მ). მართლაც 14 დეკემბერს გენერალმა წულუკიძემ სამხედრო მინისტრის გამოუგზავნა ტელეგრამა, რომელშიც იუწყებოდა რომ სადგური ახპატი გარშემორტყმული იყო შეიარაღებული სომხებით და ძლიერი ბრძოლა მიმდინარებოდა (Из Историй Армяно-Грузинскийх Отношений 1919, 124). მაზნიაშვილისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, პოლკოვნიკმა ვაჩნაძემ რაზმის ოფიცრებთან ერთად გადაადგილების დეტალური გეგმა შეიმუშავა. სადგურ ახტალაში ჯარისკაცები უნდა გადმომსხდარიყვნენ მატარებლიდან, სასწავლო გუნდს კაპიტან ფურცელაძის მეთაურობით უნდა დაეზვერა გზა ახპატისკენ და მხოლოდ ამის შემდეგ მთელ რაზმს მწყობრად უნდა გაეგრძელებინა მსვლელობა ახპატი-ალავერდის მიმართულებით (ფონდი 2018წ). გეგმის შემუშავების შემდეგ ეშელონი თბილისის რკინიგზის სადგურიდან დაიძრა და 15 დეკემბრის გამთენიას სადახლოში ჩააღწია. სადახლოში სადგურის მორიგემ, ზოგიერთი ცნობით კი სადგურის უფროსმა პოლკოვნიკ ვაჩნაძეს უთხრა, რომ გენერალ წულუკიძისაგან არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდათ და გზა მხოლოდ ახტალამდე იყო თავისუფალი. სატელეგრაფო და სატელეფონო

კავშირი 14 დეკემბერს განყდა სადგურ ახპატთან. მათ არაფერი არ იცოდნენ გენერალ წულუკიძის და მისი რაზმის ადგილმდებარეობის შესახებ (ფონდი 2018ო). ამ დროს სადგურზე მივიდა ჯავშანმატარებელთა რაზმის მეთაურის ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძის ადიუტანტი გრიგოლ კვინიკაძე. მისი ინფორმაციით გენერალი წულუკიძე დიდი ალბათობით სადგურ ალავერდთან იმყოფებოდა. გზა სუფთა იყო მხოლოდ სადგურ ახტალამდე, საიდანაც ის დაბრუნდა 14 დეკემბრის საღამოს. მისი ინფორმაციით სადგურ ახპატთან სარკინიგზო და სატელეგრაფო კავშირი სომხებს გადაეჭრათ, ხოლო აირუმის სადგურზე კი იდგა ქართველი მესაზღვრეების ოცეული (ფონდი 2018პ). გრიგოლ კვინიკაძე 14 დეკემბერს ვალოდია გოგუაძის ბრძანებით დაბრუნდა სადგურ ახტალიდან დაჯავშნული ორთქმავლით და მასზე მობმული სამოქალაქო ვაგონებით, რათა ამ ვაგონებს გოგუაძის ჯავშნოსნებისთვის ხელი არ შეეშალათ მანევრირებაში. მას შემდეგ რაც თბილისიდან სადახლოში ჩავიდოდა საბრძოლო მასალებით დატვირთული ვაგონი კვინიკაძეს ევალებოდა ვაზნებისა და ქურვების წაღება ახტალისკენ (ფონდი 2018ჟ).

ამ ინფორმაციის მოსმენის შემდეგ პოლკოვნიკმა ვაჩნაძემ გასცა ბრძანება, რომ გაეგრძელებინათ გზა ახტალისაკენ, ამასთანავე მატარებლის ობერ-კონდუქტორ ჩიხლაძეს უბრძანა, რომ გადაეცა მემანქანისათვის თუნდაც ერთი გასროლის შემთხვევაში უმაღლესი ეჩურებინა მატარებელი ან კიდევ უკუსვლით დაებრუნებინა უკან. როგორც შემდეგ გაირკვა ობერ-კონდუქტორ ჩიხლაძეს ჩაუთვლია, რომ არანაირი ხიფათი მათ არ ელოდათ, ამიტომ მემანქანისთვის ვაჩნაძის ბრძანება არ გადაუცია (ფონდი 2018რ).

მოგვიანებით როგორც პოლკოვნიკ ვაჩნაძის მოხსენებიდან სჩანს აირუმში მდგარი სასაზღვრო ოცეულის ოფიცერი, პორუჩიკი (ლეიტენანტი) სავანელი, თავის მოხსენებაში ამტკიცებდა, რომ აირუმზე მოწინააღმდეგის შესაძლო თავდასხმის შესახებ მან 14 დეკემბრის საღამოს 8 საათზე ტელეფონით გააფრთხილა სადახლოში მყოფი შულავერის სასაზღვრო რაზმის მეთაური იმნაძე, რომელმაც სავანელს უბრძანა ეს ინფორმაცია ტელეგრაფით გადაეცა ახტალაში მყოფ ჯავშანმატარებელთა რაზმის მეთაურის ვალოდია გოგუაძისადმი, რათა თავის მხრივ მას ეს ინფორმაცია შეეტყობინებინა გენერალ წულუკიძისათვის. სავანელმა ბრძანება სამი მოწმის თანდასწრებით შეასრულა. სავანელისვე მტკიცებით 15 დეკემბერს დილით სადგური აირუმის მიმართულებით მცირე ცეცხლი გაიხსნა და მან ეს ინფორმაციაც გადასცა სადახლოს (ფონდი 2018ს).

## **მოწინააღმდეგის მანევრი და წულუკიძის რაზმის ბედი 14-15 დეკემბერს**

14 დეკემბერს მოწინააღმდეგემ ერთის მხრივ მასიური შეტევა დაიწყო ალავერდში განლაგებული ქართული ძალების წინააღმდეგ, ხოლო მეორეს მხრივ ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შემოუარა ქართულ ძალებს და შუადღისათვის სომხურმა სადაზვერვო ჯგუფებმა მთებიდან დაიწყო ჩამოსვლა ალავერდის ზურგში, სადა-

ხლოსკენ მიმავალი რკინიგზის გაყოლებაზე. მათ სადგურ ახპატის მიდამოებში (ალავერდიდან ჩრდილოეთით 6 კილომეტრზე) გადაჭრეს სატელეფონო და სატელეგრაფო ხაზები (ფონდი 2018ო). მენინავე ნაწილების პარალელურად, სალამოდან უკვე ძირითადი ძალებიც იწყებდნენ ხეობაში ჩასვლას და 15 დეკემბრის დილისათვის ისინი, ახპატის-ახტალის და აირუმის რკინიგზის სადგურების მიდამოებში არსებულ სტრატეგიულ სიმაღლეებზე განლაგდნენ. 14 დეკემბერს გენერალ წულუკიძის მცირერიცხოვანი ძალები ალავერდთან მთელი დღის განმავლობაში იგერიებდნენ მოწინააღმდეგის შეტევებს. 14 დეკემბრის სალამოს მათთან გამოაღწია სანაინთან ალყაში მოქცეულ მებრძოლთა ნარჩენებმა. სალამოს 18:30 წუთიდან, როდესაც მოწინააღმდეგის ცეცხლი კიდევ უფრო გაძლიერდა და ამასთანავე განყდა კავშირი სადახლოსთან, გენერალი წულუკიძე მიხვდა, რომ ალყაში ექცეოდა და ალყის გარღვევისა და სადახლოსკენ ევაკუაციის გადაწყვეტილება მიიღო (ჩაჩხიანი 2007, 298, 301-302, 327, 331). უკანდახევა ორ კოლონად უნდა განხორციელებულიყო. მებრძოლთა ძირითად ნაწილს, მათ შორის მეხუთე პოლკის ბატალიონს, რკინიგზით უნდა ეცადა სადახლომდე გასვლა, ხოლო გენერალი წულუკიძე თავისი შტაბით და სხვა მცირე ძალებით ალავერდის ჩრდილოეთითა და რკინიგზის ხაზის დასავლეთით სოფელ შამლუღის გავლით, მთებით, მალულად უნდა გადასულიყო სადახლოში (ფონდი 1878ბ.).

უკანდახევა 14 დეკემბრის ღამის 11 საათზე დაიწყო. რკინიგზით მიმავალ ეშელონს სადგურ ახპატამდე უკანდახევა მცირე ბრძოლით მოუწია, ხოლო ახპატიდან - ახტალისკენ მიმავალთ გზაზე კი, ეშელონს ღამის სიბნელეში ქართული ჯავშანმატარებელი დაეჯახა, რომელიც მათ დასახმარებლად მიდიოდა. ჯავშანოსანიც და ეშელონის ვაგონებიც ლიანდაგიდან გადავიდნენ. მებრძოლებს მოუხდათ მატარებლის დატოვება და ქვეითი მწყობრით გზის გაგრძელება სადგურ ახტალისაკენ. რამდენიმე საათიანი მარშის შემდეგ, 15 დეკემბრის გამთენიას მეხუთე პოლკის ბატალიონი სადგურ ახტალაში შევიდა და მოწინააღმდეგესთან იმ დროს ჩაება ბრძოლაში (ჩაჩხიანი 2007, 329-330; ფონდი 1878გ), როდესაც მათგან ჩრდილოეთით 15 კილომეტრის დაშორებით, ამავე პოლკის კიდევ ერთი რაზმი პოლკოვნიკ ვაჩნაძის მეთაურობით სადგურ აირუმს უახლოვდებოდა.

## ჩასაფრება და ბრძოლა აირუმთან

15 დეკემბრის დილის 7 საათისთვის, სადახლოდან ახტალისაკენ მიმავალი ვაჩნაძის რაზმი სადგურ აირუმს მიუახლოვდა. სადგურამდე დაახლოებით 1 ვერსი (1.06კმ) იყო დარჩენილი, როდესაც ეშელონს რკინიგზის ორივე მხრიდან შაშხანებიდან ცეცხლი გაუხსნეს, მემანქანემ რომლისთვისაც ობერ-კონდუქტორ ჩიხლაძეს პოლკოვნიკ ვაჩნაძის ბრძანება არ ჰქონდა გადაცემული, არათუ არ გააჩერა მატარებელი არამედ სიჩქარეს მოუმატა. მასიური ყვირილისა და სასტვენების შემდეგ, მემანქანეს როგორც იქნა გააგებინეს, რომ

მატარებელი უნდა გაეჩერებინა, მაგრამ ამ დროისთვის ეშელონი სადგურის შენობას სამასიოდე ნაბიჯის მანძილით გასცილდა და ძალიან მოუხერხებელ ადგილზე გაჩერდა. მოწინააღმდეგეს გზის ყველა მხრიდან, გაბატონებული სიმაღლეებიდან შაშხანებით და 2 ტვიამფრქვევით მასიური ცეცხლი ჰქონდა გახსნილი (ფონდი 2018ჰ). როგორც ბრძოლის შემდეგ ტყვედ ჩავარდნილი ქართველი ოფიცრების მიერ გამოირკვა, აირუმთან პოლკოვნიკ კოროლკოვის მეთაურობით მოქმედებდა სომხური რეგულარული არმიის მეექვსე პოლკის ერთი ბატალიონი, ერთი ცხენოსანი ესკადრონი, მილიციელთა ორი ასეული, მთლიანობაში - 700-მდე ჯარისკაცი. ამას ემატებოდა ადგილობრივი სოფლის სომეხი ეროვნების მოსახლეობის შეიარაღებული ჯგუფი (ფონდი 2018ტ). სომხური ისტორიოგრაფიის ცნობით კი კოროლკოვი პოლკოვნიკი კი არა პოდპოლკოვნიკი იყო და მის რაზმში შედიოდა: მე-6 პოლკის ერთი ქვეითი ოცეული, 3 ცხენოსანი ასეული და მილიციის 4 ოცეული, მათ შეიარაღებაში კი 2 ტყვიამფრქვევი იყო (Virabyan 2016, 331).

ჩასაფრებაში, ალყაში მოქცეული შეშინებული ახალბედა ჯარისკაცები ვაგონების იატაკს გაეკრნენ და მათი გადმოყვანა მატარებლიდან ოფიცრებმა და გამოცდილმა ჯარისკაცებმა დიდი გაჭირვებით მოახერხეს. ზოგიერთი მათგანი ისეთი შეშინებული იყო, რომ ვაგონებიდან გადმოსვლის შემდეგ სრულიად ღია ადგილზე ჩაჯდნენ და შიშისაგან კანკალებდნენ, თითქოს საკუთარ ტყვიას მორჩილად ელოდნენ. გამოცდილი ჯარისკაცები და ოფიცრების ასეთებს ძალით მიათრევდნენ რათა ლოდებისთვის, ან სხვა ადგილისათვის შეეფარებინათ თავი. ვინცო ხეობაში მასობრივი ცეცხლის ხმის ექო, გამოუცდელი ჯარისკაცების პანიკას კიდევ უფრო აძლიერებდა. ისინი პანიკურად ისროდნენ შაშხანებიდან, არ უყურებდნენ სამიზნეს, მიმართულებას, ზოგიერთი ჰაერშიც კი ისროდა, ზოგმა კი საერთოდ გადააგდო შაშხანა და მიწაზე მკვდრებივით განერთხნენ. მეორეს მხრივ ოფიცრები და გამოცდილო ჯარისკაცები მოწინააღმდეგეს დიდი თავგანწირვით ებრძოდნენ, მათ მოახერხეს ჯარისკაცთა ნაწილის გაფანტულ საბრძოლო წყობაში ჩაყენება. მებრძოლთა ნაწილმა რკინიგზის შენობაში შესვლა მოახერხა, რომელიც ასევე აქტიურად იცხრილებოდა (ფონდი 2018ჰ). პოლკოვნიკმა ვაჩნაძემ რკინიგზის სადგურიდან დივიზიის მეთაურს გიორგი მაზნიაშვილს გაუგზავნა ტელეგრამა, ასევე სადახლოს სადგურზე დაუკავშირდა პოლკოვნიკ იმნაძეს და მოითხოვა ჯავშანმატარებლისა და ვაზნების მოშველება. სადახლოდან თავდაპირველად აირუმს აცნობეს, რომ ვაზნები არ ჰქონდათ, მოგვიანებით კი სასიხარულო ინფორმაცია გადასცეს - ჯავშნოსანსაც, საბრძოლო მასალებსაც და დამატებით ორი ასეულსაც მიიღებდნენ. ექიმმა ზედგენიძემ აირუმის სადგურზე მოაწყო სამედიცინო პუნქტი და პირველად დახმარებას უწევდა დაჭრილებს. ბრძოლა გრძელდებოდა, მებრძოლთა შორის გავრცელდა ხმა, რომ მათ ჯავშნოსანი მოეშველებოდათ, რამაც მათი ერთი ნაწილის მორალური მდგომარეობა გააუმჯობესა, თუმცა ახალბედა ჯარისკაცებს რომლებიც რაზმის უდიდეს ნაწილს შეადგენდნენ ამ ინფორმაციამ განსაკუთრებული შვება ვერ მოჰგვარა (ფონდი 2018უ).



პოლკოვნიკმა ვაჩნაძემ სასწავლო გუნდს, რომელიც გამოცდილი ჯარისკაცებით იყო დაკომპლექტებული და კაპიტანი ფურცელაძე მეთაურობდა უბრძანა დაეკავებინათ სადგურის მარჯვნივ, ჩრდილო-დასავლეთით განლაგებული სიმაღლე საიდანაც ტყვიამფრქვევებით განსაკუთრებით ძლიერი ცეცხლი მოდიოდა ქართული ნაწილებისაკენ. ჯარისკაცებს მოწინააღმდეგი ცეცხლის ქვეშ 300-400 ნაბიჯის გადარბენა უნევდათ, რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, მოწინააღმდეგის ძლიერმა ცეცხლის გამო სიმაღლის დაკავება ვერ მოხერხდა. ამ იერიშის დროს სასწავლო გუნდისა და გამოცდილ ჯარისკაცთა და ოფიცერთა 60 კაციანი შეამდგენლობიდან დაიღუპა ან დაიჭრა 40 მეტრძოლი, მათ შორის დაიღუპა ახალგაზრდა ოფიცერი, ლეიტენანტი ვლადიმერ ბარნაბიშვილიც (ფონდი 2018ფ).

აირუმსა და სადახლოს შორის სატელეფონო კავშირი გაწყდა. იმ დროისათვის სადახლოში N4 ჯავშანმატარებელი თბილისიდან ჯერ არ იყო მისული (ფონდი 2018ჟ). ორი ჯავშანმატარებელი ახტალის მიდამოებში იბრძოდა, ხოლო კიდევ ერთი კი სანაინთან ჩარჩა (გოგუაძე 1919ა, 3; გოგუაძე 1919ბ; 3-4; ქარცივაძე 1918, 2). დრო არ იცდიდა, ამიტომ სადახლოში მყოფმა ჯავშანმატარებელთა რაზმის მეთაურის ადიუტანტმა გრიგოლ კვინიკაძემ, შეჯავშნულ ორთქმავალს მიაბა თბილისიდან ჩატანილი ტყვია-წამლით დატვირთული ვაგონი, შულავერის სასაზღვრო რაზმის მეთაურს პოლკოვნიკ იმნაძეს დამატებით 17 000 ვაზნა გამოართვა და აირუმისკენ გაემართა. აირუმის სადგურამდე მცირე მანძილი იყო დარჩენილი, როდესაც ორთქმავლის სადამკვირვებლო პოსტიდან შეამჩნია, რომ მათ წინ რკინიგზა და პატარა ხიდი არღვეული იყო. ამ დროს მათ ყველა მხრიდან ცეცხლი გაუხსნეს, ამიტომ ორთქმავალი თავის ტყვია-წამლით დატვირთულ ვაგონთან ერთად უკან სადახლოსკენ გაბრუნდა (ფონდი 2018ჟ).

აირუმის სადგურთან ოთხსაათნახევრიანი ბრძოლის შემდეგ, მოწინააღმდეგის ცეცხლი ძლიერდებოდა, ხოლო ვაჩნაძის რაზმს კი ვაზნები უმთავრდებოდა, სადახლოდანაც არა და არ მოდიოდა დახმარება. რაზმის დაახლოებით 40 პროცენტი უკვე დაღუპული ან დაჭრილი იყო. ასეთ მძიმე სიტუაციაში მეოთხე პოლკის ასეულის ჯარისკაცებს საერთოდ გაუთავდათ ტყვია-წამალი და იარაღის დაყრა და თეთრი აღმის ფრიალი დაიწყეს. ვაჩნაძის რაზმში მყოფმა ეთნიკურად სომეხმა ჯარისკაცებმა ყვირილი მორთეს, რომ ისინი სომეხები იყვნენ და საბრძოლველად ძალით წამოიყვანეს, მათ აყვნენ სხვა ახალბედა ჯარისკაცებიც რომელთაც ტყვია-წამალი გამოეღლიათ და სიცოცხლის შენარჩუნებას ითხოვდნენ. სომეხმა ჯარისკაცებმა ნელ-ნელა სიმაღლიდან ჩამოსვლა დაიწყეს. ოფიცრებმა თავიდან თქვეს, რომ შაშხანებისთვის ხიშტები გაეკეთებინათ და ხელჩართულ ბრძოლაზე გადასულიყვნენ, მაგრამ უმაღლესი გენერალი იყვნენ, რომ ეს მხოლოდ ზედმეტ მსხვერპლს მოიტანდა და საერთოდ არაფერს არ შეცვლიდა, რადგანაც გამოცდილი ჯარისკაცები თითქმის სრულად გამოსულიყვნენ მწყობრიდან, ახალბედები კი უკვე მტერს ბარდებოდნენ ტყვედ. მოწინააღმდეგე რიცხოვნობიდან დაღლიან დიდ უპირატესობას ფლობდა, ტყვია-წამალი ამოწურულიყო

და სადახლოდან კი მაშველი ჯავშნოსანი არ ჩანდა. ყოველივე ამის ფონზე ოფიცრებმა და მებრძოლმა ჯარისკაცებმა უკანასკნელი ვაზნებიც დახარჯეს და შემდეგ მონინაალმდეგეს ტყვედ ჩაბარდნენ (ფონდი 2018ქ).

ბრძოლის შედეგი ასეთი იყო - ვაჩნაძის რაზმიდან დაიღუპა 1 ოფიცერი და 55 ჯარისკაცი, დაიჭრა 3 ოფიცერი და 75 ჯარისკაცი. მონინაალმდეგეს დაეღუპა 4 და დაეჭრა 20 მებრძოლი (ფონდი 2018ლ). სომხური ისტორიოგრაფიის მონაცემებით მათი მსხვერპლი 2 დაღუპული და 7 დაჭრილი იყო (Virabyan 2016; 338). სომხურმა მხარემ, როგორც ტყვეების სახელობითი სიიდან სჩანს ტყვედ ჩაიგდო 240 ოფიცერი და ჯარისკაცი (ფონდი 2018ბ). ისინი სოფელ ყულფისკენ წაიყვანეს (ფონდი 2018ყ),<sup>1</sup> აირუმის აღმოსავლეთით 7 კილომეტში.

იმ დროს როდესაც ვაჩნაძის რაზმი ტყვედ ჩავარდა, თბილისიდან სადახლოს სადგურზე მივიდა ჯავშანმატარებელი N4 ალფეს გოგუაძისა და ჯარისკაცთა ორი ასეული პოლკოვნიკ ხიმშიაშვილის მეთაურობით. მცირე თათბირის შემდეგ - ჯავშანმატარებელი, დაჯავშნული ორთქმავალი ტყვია-წამლით დატვირთული ვაგონით და ხიმშიაშვილის ეშელონი აირუმისკენ გაემართნენ. წინ მიდიოდა ჯავშანმატარებელი, გარკვეული მანძილის მოშორებით უკან მიყვებოდა შეჯავშნული ორთქმავალი მასზე გამობმული ტყვია-წამლით დატვირთული ვაგონით, ხოლო ბოლოს ერთი კილომეტრის დაშორებით ხიმშიაშვილის რაზმი. როდესაც ჯავშანმატარებელი აირუმის სადგურის სიახლოვეს აყრილ რელსებს და ხიდს მიუახლოვდა, მონინაალმდეგემ მას ძლიერი ცეცხლი გაუხსნა, მაგრამ ჯავშანმატარებლის ქვემეხებმა და ტყვიამფრქვევებმა მონინაალმდეგე ჩააჩუმეს. ცეცხლის ფარდით ისარგება ჯავშნოსნის ეკიპაჟის ერთმა ნაწილმა და დაზიანებული რელსები და ხიდი შეაკეთა. ჯავშანმატარებელი აირუმის სადგურზე შევიდა, ვაჩნაძის რაზმი კი ამ დროს უკვე დაახლოებით ერთი საათის დატყვევებული იყო. ქართველი ტყვეები ყულფის გზას ადგნენ და შორეული სიმაღლეებიდან ხედავდნენ აირუმის სადგურთან მიმდინარე მოვლენებს. ჯავშანმატარებლის უკან მომავალი ტყვია-წამლის ვაგონიანი ორთქმავალი სადგურის სიახლოვეს შეჩერდა, რა დროსაც მის უკან მომავალ ეშელონს სომხებმა ცეცხლი გაუხსნეს, მემანქანე იატაკზე განვა და მატარებლის დამუხრუჭება როტმისტრმა დადიანმა სცადა, მართალია მოახერხა კიდეც, მაგრამ იარაღით დატვირთულ ვაგონს მცირედით მაინც დაეჭახა. ვაგონი რკინიგზის რელსებიდან გადავიდა. დადიანმა ეშელონი, მაშინვე უკან დაძრა სადახლოსკენ. სომხური ჯარი ცეცხლს არ წყვეტდა, ამიტომ შეჯავშნული ორთქმავლის მეთაურმა გრიგოლ კვინიკაძემ ჩახსნა ორთქმავალი ვაგონისგან, შევიდა აირუმის სადგურზე და ჯავშანმატარებლის ეკიპაჟს სთხოვა დახმარება. ჯავშანმატარებელი უკან დაბრუნდა, ძლიერი ცეცხლი გაუხსნა სიმაღლეზე განლაგებულ სომხურ ჯარს, რა დროსაც ეკიპაჟის ერთმა ნაწილმა, ტყვია-წამალი ჯავშანმატარებელში გადატვირთა, ვაგონი სრულად გადააგდო რელსებიდან და სადახლოსკენ დაიხია (ფონდი 2018შ).

<sup>1</sup> დღევანდელი კობბი



ვლადიმერ ბარნაბიშვილი - აირუმის ბრძოლაში დაღუპული ახალგაზრდა ოფიცერი. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის ფოტო  
Vladimer Barnabishvili - a young officer killed in the battle of Ayrum. Photo of the Central Historical Archive of Georgia

## წულუკიძის რაზმის ბედი

საინტერესოა რა ბედი ეწია გენერალ წულუკიძის ორ ნაწილად გაყოფილ რაზმს, რომელიც სადახლოსკენ იხევდა უკან და რომელთა შესახებაც 14 დეკემბრის საღამოს შემდეგ არანაირი ინფორმაცია აღარ არსებობდა. რაზმის ერთმა ნაწილმა, რომელშიც გენერლის შტაბი და სხვა რამდენიმე ათეული ჯარისკაცი შედიოდა, რკინიგზის ხაზის დასავლეთიდან სოფელ შამლულის გავლით, მთის ბილიკებით უვნებლად დაიხია უკან და 15 დეკემბრის საღამოს 8 საათზე მივიდა სადახლოში (ფონდი 1878დ).

რაზმის მეორე ნაწილს, როგორც ზემოთ ვნახეთ სადგურ ახტალამდე მცირე ბრძოლით მოუწია მისვლა, 15 დეკემბრის დილიდან კი სადგურის ირგვლივ მდინარე დებედას ორივე ნაპირზე არსებულ სიმაღლეებზე განლაგებულმა მონინალმდეგემ მათ ცეცხლი გაუხსნა (ფონდი 1878ე). რაზმი დაახლოებით იგივე სიტუაციაში აღმოჩნდა რა სიტუაციაშიც ჩავარდა ვაჩნაძის ეშელონი ჩავარდა აირუმთან, მაგრამ ამ ორ რაზმს შორის რამდენიმე პრინციპული სხვაობა იყო. ალავერდიდან უკანდახეული რაზმი გამოცდილი ჯარისკაცებით იყო

დაკომპლექტებული, ასევე რაზმის განკარგულებაში იყო ტყვიამფრქვევები და არტილერია, ამავდროულად მათ ორი ჯავშანმატარებელი უწევდა საცეცხლე მხარდაჭერას. ახპატს და ახტალას შორის ეშელონს შეჯახებული ჯავშანმატარებელი 15 დეკემბრის შუადღეს ამოიყვანეს რელსებზე (ქარცივაძე 1918, 2). 15 დეკემბრის დილითვე კაპიტან კავკასიძის ასეულმა მდინარის მარჯვენა სანაპიროზე არსებული სიმაღლე დაიკავა. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიძემ სიმაღლის დაკავების დროს კლდიდან ჩამოვარდნის გამო ფეხები და ნეკნები დაიშავა მაინც არ გამოვიდა მწყობრიდან და არ მისცა მოწინააღმდეგეს სიმაღლის უკან დაბრუნების საშუალება. 16 დეკემბრის დილით კაპიტანი ამაშუკელის ასეულმა აიღო სიმაღლე მდინარის მარცხენა სანაპიროზე და არ მისცა მოწინააღმდეგეს სადგურის დაკავების საშუალება (ჩაჩხიანი 2007, 330; ფონდი 1878ე). 16 დეკემბრის საღამოს რაზმმა მიიღო გადაწყვეტილება ალყა გაერღვიათ და ბრძოლით გაეგრძელებინა გზა სადახლოსკენ. ჯავშანმატარებლების წაყვანა ვერ ხერხდებოდა, რადგანაც ახტალიდან აირუმისკენ რკინიგზა მრავალ ადგილას დაეზიანებინა სომხურ ჯარს (გოგუაძე 1919ბ; 3-4). რაზმს რკინიგზის გაყოლებით ფეხით უნდა გაევიდოდა 25 კილომეტრიანი გზა სადახლოსკენ. 16 დეკემბრის საღამოს 11 საათზე რაზმი ახტალიდან გავიდა. აირუმისკენ გზაზე მოწინააღმდეგეს რამდენიმე მცდელობა ჰქონდა რაზმის ალყაში მოქცევისა, თუმცა რაზმმა მათი მოგერიება მოახერხა და ბრძოლით გაიკაფა გზა (ქარცივაძე 1918,2; ფონდი 1878ე). აირუმის სადგურთან რაზმს ჯავშანმატარებელი N4 შემოხვდა, რომელიც 15 დეკემბრიდან პატრულირებდა სადახლო-აირუმის მონაკვეთზე და იქ მყოფ სომხურ ჯარს მოსვენებას არ აძლევდა (გოგუაძე 1919ბ, 4). რაზმმა სადახლოში 17 დეკემბრის დილის 8 საათისათვის ჩააღწია (ფონდი 1878ე). ახტალისათვის ბრძოლაში 10-მდე ჯარისკაცი და გვარდიელი დაიღუპა, ხოლო 25-30-მდე კი დაიჭრა (ქარცივაძე 1918, 2).

მთლიანობაში კი ომის პირველ ეტაპზე 9-17 დეკემბრამდე ქართულმა მხარემ 500-ზე მეტი მებრძოლი დაკარგა დაღუპულების, დაჭრილებისა და ტყვედ ჩავარდნილების სახით. მოწინააღმდეგეს ხელში ჩაუვარდა სამი ჯავშანმატარებელი, ქვემეხები, ტყვიამფრქვევები და საბრძოლო მასალები. სრულმასშტაბიანი ომი უკვე სახეზე იყო, საქართველოში საომარი მდგომარეობა და მობილიზაცია გამოცხადდა და რამდენიმე დღეში საბრძოლო მოქმედებებში ინიციატივა ქართული მხარის ხელში გადავიდა, თუმცა ეს უკვე სხვა ისტორიაა...

## **სამხედრო კომისიისა და პროკურატურის დასკვნა ვაჩნაძის რაზმის მოქმედებასთან დაკავშირებით**

გენერალ გიორგი არჯევანიძის ხელმძღვანელობით მოქმედმა საგამომძიებო კომისიამ, რომელში შედიოდნენ გენერალი გიორგი ფურცელაძე, პოლკოვნიკი ცხაკაია და სამხედრო გამომძიებელი პორუჩიკი (ლეიტენანტი) ჭეიშვილი, საქმის შესწავლის შემდეგ გამოყო ტყვედ ჩავარდნის გარემოებები და 1919 წლის 31 ივლისს დაადგინა, რომ ტყვედ ჩავარდნა არ იყო ბატალიონის და მისი მეთაუ-



რობის მიერ ბოროტი განზრახვით ჩადენილი ქმედება და მხოლოდ გამოუვალი სიტუაციით აიხსნებოდა. მათი აზრით ბატალიონი და კანონის წინაშე ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან თავისუფალი უნდა ყოფილიყო (ფონდი 2018ჩ). იმავე წლის 27 დეკემბერს კი სამხედრო პროკურატურა დაეთანხმა სამხედრო კომისიას დადგენილებას და დაასკვნა, რომ რაზმის ქმედება დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავდა და შეწყვიტა საქმე. პროკურატურამ გამოყო არგუმენტები რის გამოც რაზმი დამნაშავედ არ სცნეს: ომი ოფიციალურად არ იყო დაწყებული და რაზმი იგზავნებოდა გენერალ ნულუკიძის განკარგულებაში, ამიტომ მას არ ჰქონდა საბრძოლო დანიშნულება; რაზმს ჰქონდა ინფორმაცია, რომ გზა სადგურ ახტალამდე თავისუფალი იყო და ამიტომ მშვიდად გადაადგილდებოდა; პოლკოვნიკმა ვაჩნაძემ მაინც მიიღო ზომები და მემანქანე გააფრთხილა რომ ცეცხლის გახსნის შემთხვევაში ეშელონი გაეჩერებინა და უკან დაებრუნებინა, მან კი პირიქით სიჩქარეს მოუმატა და როცა გააჩერა მოხვდა მონინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ, მიუხედავად მოულოდნელი თავდასხმისა და მტრის ძლიერი ცეცხლისა დიდი გაჭირვებით მოხერხდა შეშინებული ჯარისკაცების გარკვეულ მწყობრში ჩაყენება; ადგილმდებარეობა არ იძლეოდა საფარის მოწყობის საშუალებას - ეს იყო ღია სივრცე, რომელსაც ირგვლივ დაჰყურებდა სიმაღლეები და ეს სიმაღლეები სომხებს ეჭირათ; ჯარისკაცთა უმეტესობა გამგზავრების წინ გაიწვიეს ჯარში და მათ იარაღის გამოყენებაც არ იცოდნენ; რაზმში იყვნენ ეროვნებით სომეხი ჯარისკაცებიც რომელთაც დაყარეს შაშხანები და სავალალო როლი ითამაშეს მომხდარში; მონინააღმდეგე რიცხობრივად აღემატებოდა ვაჩნაძის რაზმს, ჰქონდა ტყვიამფრქვევები და ეკავა მომგებიანი პოზიცია; ამ საშინელი მდგომარეობის მიუხედავად სამეთაურო შემადგენლობა მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა, არ დაიბნა და გმირული თავგანწირვით იდგა საკუთარ პოსტზე, ამხნევებდნენ ჯარისკაცებს, რისი წყალობითაც რაზმი დანებდა მხოლოდ მაშინ როდესაც გაუთავდათ ვაზნები, როდესაც მწყობრიდან გამოვიდნენ საუკეთესო ჯარისკაცები და რაზმს დიდი დანაკარგი ჰქონდა. რაზმი 4,5 საათი იბრძოდა არათანაბარ პირობებში მონინააღმდეგის ჭარბ ძალებთან (ფონდი 2018ა).

დამატებით შეიძლება ვთქვათ, რომ აირუმის ტრაგედია გამოიწვია შეცდომების და სურვილების მთელმა ჯაჭვმა. პოლიტიკოსების იდეალიზმმა, რომელთაც სურდათ, რომ პრობლემა ომის გარეშე, მშვიდობიანად გადაეჭრათ და ამ იმედს ბოლომდე ებღაუჭებოდნენ. წმინდა სამხედრო ხასიათის შეცდომებმა სამხედრო მეთაურების მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ დაწყებულ შეტაკებებს ოფიციალურად ომი არ ერქვა, მძიმე შეცდომა იყო გაუნრთვნიელი და ცუდად შეიარაღებული ახალგაზრდული ჯარისკაცების გაგზავნა კონფლიქტის ზონაში სადაც საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა. ამ ყველაფერს დაემატა დაზვერვის სისუსტე და კოორდინაციის ნაკლებობა. მთლიანობაში კი ყველა ფაქტორი ერთმანეთზე იყო გადაჯაჭვული და ერთმანეთისგან გამომდინარეობდა.

**დამონებანი:**

გოგუაძე, ვლადიმერ . 1919 ა. საქართველო-სომხეთის ომში ჯავშნოსნების როლი. გაზეთი ერთობა. N27.

გოგუაძე, ვლადიმერ . 1919 ბ. საქართველო-სომხეთის ომში ჯავშნოსნების როლი. გაზეთი ერთობა. N28.

მაზნიაშვილი, გიორგი. 1927. მოგონებანი. თბილისი: სახელგამი.

ქარცივაძე, დავით. 1918. ბორჩალოს ფრონტი . გაზეთი ერთობა .N278

ჩაჩხიანი, არჩილი. 2007. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბილისი. არადანი

Hovannisian, Richard G. 1971. The republic of Armenia. Vol 1. The first year 1918-1919. . Berkeley, Los Angeles , London. University of California press.

Virabyan, Vanik. 2016 . The Armenian-Georgian Military-Political Relations (1918-1921). Yerevan. Yerevan State University press. (სომხურ ენაზე)

Из Историй Армяно-Грузинскийх Отношений . (пограничные конфликты; переговоры; война; соглашение) 1918 годъ. 1919. Тифлисъ. Государственная Типография.

Генерал Квиниатадзе, Г. И. 1985. Воспоминания 1917-1921. Париж . YMCA Press.

სახალხო საქმე 1918. გაზეთი სახალხო საქმე. N409, N410

ფონდი 1864. .ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწერა 1, საქმე №50; 35-41

ფონდი 1878ა. .ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1878, აღწერა 1, საქმე №1; 68

ფონდი 1878ბ. .ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1878, აღწერა 1, საქმე №1; 58,60

ფონდი 1878გ. .ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1878, აღწერა 1, საქმე №1; 58, 63

ფონდი 1878დ. .ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1878, აღწერა 1, საქმე №1; 60

ფონდი 1878ე. .ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1878, აღწერა 1, საქმე №1; 58

ფონდი 2018ა. ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2018, აღწერა 1, საქმე №84: დაუნომრავი ფურცელი.

ფონდი 2018ბ.ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2018, აღწერა 1, საქმე №84: 6-10ა

ფონდი 2018გ. .ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2018, აღწერა 1, საქმე №84; 7-8ბ, 22ბ.

ფონდი 2018დ. .ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2018, აღწერა 1, საქმე №84; 1-3ა, 11ა

ფონდი 2018ე. .ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2018, აღწერა 1, საქმე №84; 3ბ, დაუნომრავი ფურცელი

ფონდი 2018ვ. .ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2018, აღწერა 1, საქმე №84; 38ბ



**DIMITRI SILAKADZE**National Archives of Georgia,  
Georgia

dimitrisilakadze@gmail.com

## **THE BATTLE OF AYRUM – THE STORY OF CAPTIVATION OF COLONEL VACHNADZE’S SQUAD (GEORGIAN-ARMENIAN WAR IN 1918)**

At the end of 1918, the argument between two newly-formed Caucasian states, Georgia and Armenia, regarding the ownership of Borchalo and Akhalkalaki districts, turned into a war. Currently, historiographers are interested in the political, diplomatic and purely military aspects of this war. The given research focuses on the battle which took place at Ayrum railway station on December 15, 1918. During this battle, Colonel Vachnadze’s squad was ambushed by the Armenian army. Until now, there was certain information regarding this battle, but the archive case found in the Chancellery Fund of the Military Prosecutor of Georgian Democratic Republic, the Central Historical Archive of Georgia, regarding the investigation of the above-mentioned battle, has made it possible to restore the events in detail.

**KEYWORDS:** Georgian Democratic Republic, The Republic of Armenia, Armenian-Georgian war, military history, Caucasian history.

On December 15, 1918, during Armenian-Georgian war, a Georgian squad, led by Colonel Davit Vachnadze and consisting of about 300 soldiers, was crossing Bambaki gorge, when it was ambushed by the enemy near Ayrum railway station. During the battle, which lasted for 4.5 hours, 56 Georgian soldiers were killed and 78 were wounded (Fund 2018a). After the squad was run out of bullets, the enemy captivated 240 soldiers and officers (Fund 2018b). It is interesting to find out the causes of the military failure of the Georgian squad. Immediately after the war, in February 1919, the Military Prosecutor’s Office started investigating the case. An Investigation Committee was formed, under the leadership of General-Major Giorgi Arjevanidze (Fund 2018g). In the process of investigation, officers of the squad and other involved people were interrogated. The Committee did not accuse the Commander of the Squad or the officers. Based on this conclusion, on December 27, 1919, the Prosecutor’s Office ceased the inves-

---

1 The initial, non-scientific, popular version of the article was published on January 16, 2019, on the blog of the First Republic of Georgia -<http://pirvelirespublika.blogspot.com/2019/01/blog-post.html>



tigation (Fund 2018a).

In 1920, with the aim of investigating the case, a special Governmental Committee was formed, and, on December 2, 1920, this Committee concluded that it was impossible to interrogate the captivated soldiers, whereas the evidence given by the officers did not provide any reasons for accusing the Commander of the Squad. Further investigation was considered unreasonable, and, due to the lack of sufficient documents, the case was closed by the Military Court (Fund 2018d).

Generals – Giorgi Mazniashvili and Giorgi Kvinitadze have mentioned the captivation of Georgian soldiers in Ayrum in the memories. They correctly point to the place of the captivation as well as the name of the Commander. However, they both provide an incorrect date, and Mazniashvili also mixes up the sub-units of the squad (Mazniashvili 1927, 119; Kvinitadze 1985, 58). As for historiography, Archil Chachkhiani describes the battle of Ayrum in his book about the Armenian-Georgian war. He makes mention of the memories written by Mazniashvili and Kvinitadze, as well as a brief biography of Vladimer Barnabishvili – an officer who died during the battle at Ayrum. Chachkhiani also provides information from the military journal of the fifth regiment, regarding the detachment of a squad of the fifth regiment (Chachkhiani 2007, 334-335). The results of the battle are briefly described by the last Prime-Minister of the Republic of Armenia (1918-1920) Simon Vratsyan in his work published in Paris in 1928 (Virabyan 2016, 338). Richard Hovannisian gives brief information about the success of the right wing of the Armenian Army in Ayrum (Hovannisian 1971, 113).

The materials of the investigation of this battle have been unknown until now, the events were never investigated in detail. Therefore, the investigation documents, conclusions of the Prosecution and the Military Committee, reports written by officers and other sources provide important information on Ayrum battle and enable us describe the events in detail.

## **THE BEGINNING OF MILITARY ACTIONS, 9-13 DECEMBER**

In December 1918, the argument between two newly-formed Caucasian states, Georgia and Armenia, regarding the ownership of Borchalo and Akhalkalaki districts, turned into a war. The war was preceded by the attempts to negotiate the issue. In October 1918, the Armenian side attempted to start military actions in the Southern part of Borchalo district, but the Georgian side successfully prevented this attempt, and the incident was qualified as a misunderstanding (Chachkhiani 2007, 229-253). Negotiations aimed at

the settlement of the territorial issue continued in November and December. Both sides put forward their arguments. The international situation was quite unfavorable for Georgia. Germany, which used to patronize Georgia, lost in the World War I, hence, the German army left Georgia. Instead, the British, who had won the war, appeared in South Caucasus. Armenia considered itself as an ally of the British; hence, the Armenians considered that the British would support them in the Caucasian conflicts. The Armenian side accused the Georgian army of oppressing the Armenian population in the South of Borchalo district. During the confrontation between the Georgian soldiers and the local population of the village Uzunlar, the Commissary of the village was beaten, and one local resident died (Hovannisian 1971, 103). On December 5-7, several incidents happened in Uzunlar: armed bands attacked Georgian soldiers several times, one soldier died, several were wounded, others were taken prisoner. General-Governor of Borchalo district, Giorgi Tsulukidze, decided to disarm the village population and allocated 80 soldiers for this purpose. However, the enemy, consisting of the local population and the 4<sup>th</sup> regiment of the regular army of Armenia, attacked Tsulukidze's small army located at Uzunlar-Sanahin (From the History of Armenian-Georgian Relations 1919, 88-90; Chachkhiani 2007, 287-292). At that time, the general commanded over an incomplete military company of Tbilisi Province Battalion, 1 Armoured train and a minor group of borderline forces – in all, approximately 200 warriors (Chachkhiani 2007, 291). On December 9, the enemy occupied Uzunlar and started to attack Sanahin. General Tsulukidze demanded additional forces from Tbilisi. On December 9 and 10, two squads of the fifth regiment were sent to assist the general. In all, there were 325 soldiers and 4 machine-guns (Fund 1878a). Meanwhile, the Georgian forces in Sanahin were sieged. Based on the General's order, two squads of the fifth regiment did not go to Sanahin and remained at its North, near Alaverdi. Out of these squads, a temporary battalion was composed, led by Coronel Mikaberidze. At 8 pm, on December 11, General Tsulukidze and his headquarters freed themselves from Sanahin siege. Yet, the Georgian Armoured train and its crew, incomplete company of the Battalion and minor borderline forces remained in Sanahin. The Armoured train at Sanahin was hampered by the geographical environment and the damage of the railway by the enemy. On December 13, general Tsulukidze attempted to attack Sanahin, but, due to the damaged railway and the shortage of military forces, he failed. Therefore, the General ordered the forces in Sanahin to break through the siege and retrace to Alaverdi (Chachkhiani 2007, 292-298). During this period, there were constant negotiations and exchanges of notes between the two republics, but, due

to military actions and damaged telegraph, some notes reached the destination too late. In parallel, the Armenian side enhanced its forces and prepared for a major attack. Georgian political and military authorities did not realize that they were facing a large-scale war. The Georgian side considered that they were confronted by local Armenian bands, supported by the Armenian republic and the regular Armenian army. The Georgian side hoped to settle the problem by way of negotiation. The Armenian side demanded withdrawal of the Georgian army from the Southern part of Borchalo district. Otherwise, they said they would start military actions. The case is that military actions had already been started, and beginning from December 13-14, a full-scale war was launched (Fund 1864; Public case N409 1918: 2; Public case N410 1918: 2).

According to Armenian sources, by December 13-14, they had gathered 28 infantry company and 4 cavalry squadrons. Their ammunition consisted of 26 machine-guns and 7 canons (Hovannisian 1971, 111). The Armenian forces were supported by militia squads consisting of the local population. According to the Armenian data, before the attack their army consisted of about 6000 soldiers (Virabyan 2016, 331), led by General Drasthamat Kanayan. The majority of these armed forces fought against General Tsulukidze's army, whereas 11 infantry company, 20 cavalry, equipped with 4 canons and 14 machine-guns fought against two hundred soldiers commanded by General Tsitsishvili in Vorontsovka-Privalnoe (Chachkhiani 2007, 321-323).<sup>1</sup>

The initial aim of the Armenian forces acting against General Tsulukidze was to clean the Bambaki gorge from Alaverdi to Sadakhlo. As it turned out later, they attacked Alaverdi and the railway stations at its back. With distant wing maneuver, they reached Ayrum. By December 14, in Alaverdi, Tsulukidze commanded the temporary battalion of the fifth regiment, one military company of the sixth regiment and two incomplete artillery batteries, in all, about 500-550 soldiers (Chachkhiani 2007, 298-299). Two Georgian Armoured trains patrolled the 40 km railway area of Sadakhlo-Ayrum-Akhtala-Haghpate-Alaverdi, in a narrow gorge of Bambaki, along the river Debeda, surrounded by hills and medium-height mountains. Sub-units of platoon size were located at the stations. General Tsulukidze urgently needed additional support.

---

<sup>1</sup> There are no exact data regarding the staff of General Tsitsishvili's squad. Yet, from his report, we can see that after the battle he had about 80 remaining soldiers, while 103 either died or, being wounded, were captivated by the enemy.

## FORMATION OF THE ASSISTING SQUAD IN TBILISI

On December 14, in the period of a few hours, Commander of the Second Infantry Division of the Georgian Army, General Giorgi Mazniashvili formed a military unit to assist General Tsulukidze. The assisting forces consisted of two companies of the fifth infantry regiment, training teams and machine-gun units of the same regiment and one company of the fourth regiment. The commander of the military unit was Colonel Davit Vachnadze (Fund 2018e). According to the military journal of the fifth infantry regiment, the military unit consisted of 13 officers and 240 soldiers (Fund 1878a). It is highly probable that this information does not embrace 1 company of the fourth regiment. This conclusion is made based on the fact that one infantry company of the fifth regiment consisted of 83 soldiers (Fund 2018v), the training team embraced 35 soldiers (Fund 2018z), and the machine-gun unit embraced 27 soldiers (Fund 2018t), 145 soldiers in all. There is no information as to the number of soldiers in the second company of the fifth regiment or the company of the fourth regiment, although it is quite logical to think that in these two companies there would be more than 95 soldiers ( $240-145=95$ ). According to machine-gun unit officer Qaraman Kutateladze, the military squad consisted of about 300-350 people (Fund 2018i). In my opinion, the squad must have consisted of about 300 private soldiers and officers. This assumption is based on the number of killed and captivated soldiers - 296 in all. We should also take into account that a military unit of twenty borderline-officers was located at Ayrum station and took part in the battle. It is also possible that a minor portion of soldiers escaped from the siege and were not captivated during the battle.

The majority of the staff of the forces composed in Tbilisi were inexperienced soldiers summoned to military service a few days before. They did not even know how to use the rifles (Fund 2018k). When Colonel Vachnadze told General Mazniashvili that they could not send totally inexperienced and disorganized soldiers to the gorge, and such soldiers would simply hamper him in the battle, Mazniashvili answered that it was all right, because they were not going to war, and they would learn everything on the spot (Fund 2018e). The General and the entire commandment thought that the events in Borchalo district would not lead to war. The problems of the military unit were aggravated by the shortage of ammunition. Each soldier of the companies of the fifth regiment had only about 120 cartridges (Fund 2018l), those of the fourth regiment had 30-40 cartridges (Fund 2018z). They did not have any machine-guns. Colonel Vachnadze was told that on December 13 they had sent 100 000 cartridges and machine-guns to Alaverdi



station. Thus, when they reached General Tsulukidze, they would obtain additional cartridges and machine-guns (Fund 2018z).

## **THE TASK OF THE SQUAD AND TRANSPORTATION FROM TBILISI TO AYRUM**

The squad was to travel by train in the direction of Sadakhlo-Ayrum-Akhtala-Haghpat-Alaverdi and join General Tsulukidze's squad. Before the train left, General Mazniashvili told Colonel Vachnadze that the soldiers could sleep until they reached Sadakhlo station, but they had to be careful afterwards, especially when reaching Haghpat station, because, to his knowledge, at 12 o'clock on December 14, Armenian bands had started shooting in Haghpat (Fund 2018m). Indeed, on December 14, General Tsulukidze sent a telegram to the Defense Minister, saying that Haghpat station was surrounded by armed Armenians and a severe fight had started (From the History of Armenian-Georgian Relations 1919, 124). Based on Mazniashvili's information, Colonel Vachnadze worked out a detailed plan of movement. In Akhtala, the soldiers would get off the train; the training team, led by Captain Purtseladze, would explore the road to Haghpat and, after this, the entire squad would move towards Haghpat-Alaverdi (Fund 2018n). After the elaboration of the plan, the train started from Tbilisi station and at dawn, on December 15, arrived in Sadakhlo. The clerk on duty, or, according to some sources, the station master told Colonel Vachnadze that they had not received any information from General Tsulukidze, and that the road was free only until Akhtala. On December 14, the telephone and telegraph connections with Haghpat station were cut off. They knew nothing about General Tsulukidze and his squad (Fund 2018o). At this moment, Grigol Kvinikadze, aide-de-camp of the armoured trains squad commander Vladimir (Valodia) Goguadze, came to the station. According to Kvinikadze's information, it was highly probable that General Tsulukidze was at Alaverdi station. The road was free only until Akhtala station, from where he had come in the evening on December 14. The railway and telegraph connections with Haghpat were cut by the Armenians, but a squad of Georgian borderline forces was stationed at Ayrum (Fund 2018p). On December 14, based on Valodia Goguadze's command, Grigol Kvinikadze returned from Akhtala by an armoured locomotive with attached civil carriages. The aim was to avoid these carriages preventing the maneuvers of Goguadze's armoured trains squad. After the carriage loaded with ammunition arrived from Tbilisi in Sadakhlo, Kvinikadze was to take the ammunition to Akhtala (Fund 2018j).

On hearing this information, Colonel Vachnadze commanded the squad

to continue their way to Akhtala. He also commanded the supervising conductor of the train to tell the machinist to stop the train or retrace even if a single shot was heard. As it turned out later, the supervising conductor of the train had considered that there would be no danger, therefore, he had not told the machinist what Vachnadze had commanded (Fund 2018r).

As we can see from Colonel Vachnadze's report, later, an officer of the borderline forces stationed at Ayrum, Lieutenant Savaneli stated that at 8 pm on December 14, he warned Imnadze, the commander of borderline squad of Shulaveri, about the possible attack. Imnadze commanded Savaneli to telegraph this information to Valodia Gogvadze, commander of the armoured trains squad who was in Akhtala. In his turn, Gogvadze was to report this information to General Tsulukidze. Savaneli carried out the order in the presence of three witnesses. According to Savaneli, in the morning of December 15, fire was opened in the direction of Ayrum station. Savaneli notified Sadakhlo about this fact too (Fund 2018s).

### **THE ENEMY'S MANEUVER AND THE FATE OF TSULUKIDZE'S SQUAD ON DECEMBER 14-15**

On December 14, the enemy started a massive attack against the Georgian forces stationed in Alaverdi. On the other hand, the enemy approached the Georgian forces from the North-East, and, in the afternoon, their reconnaissance detachments started moving down from the mountains to the back side of Alaverdi, along the railway leading to Sadakhlo. In the adjacency of Haghpat station (at 6 kilometers to the North of Alaverdi), they cut off telephone and telegraph lines (Fund 2018o). Simultaneously with the vanguard forces, in the evening, the main forces arrived in the gorge. By the morning of December 15, they occupied the strategic heights in the adjacency of Haghpat-Akhtala. On December 14, General Tsulukidze's small detachment fought against the enemy near Alaverdi. In the evening of December 14, the remaining soldiers, who had escaped from the siege of Sanahin, joined Tsulukidze's forces. At 18:30 pm, when the enemy's attack became more vigorous and the connection with Sadakhlo was no longer available, General Tsulukidze realized that he was being sieged, so he decided to break free from the siege and evacuate his forces to Sadakhlo (Chachkhiani 2007, 298, 301-302, 327, 331). The retrace was to be carried out in two columns. The main detachment, including the battalion of the fifth regiment, was to arrive in Sadakhlo by railway, while General Tsulukidze, with his headquarters and minor forces was to cross the mountains and reach Sadakhlo secretly, via Shamlugh village to the

North of Alaverdi and to the West of the railway (Fund 1878b.).

The army started retracing at 11 pm on December 14. The forces traveling by railway retraced to Haghpat with minor struggle. On the road from Haghpat to Akhtala, Georgian forces were hit by a Georgian Armoured train in the darkness. This Armoured train was traveling to assist the Georgian military forces. Both the Armoured train and the railway carriages were thrown off the rails. The soldiers had to leave the train and walk to Akhtala station. After several hours of marching, at dawn, on December 15, the battalion of the fifth regiment arrived at Akhtala station and immediately started fighting with the enemy (Chachkhiani 2007, 329-330; Fund 1878g). Meanwhile, at 15 km distance to their North, one more squad of the same regiment, commanded by Colonel Vachnadze, was approaching Ayrum station.

### **THE AMBUSH AND THE STRUGGLE AT AYRUM**

At 7 am on December 15, Vachnadze's forces arrived at Ayrum. At a distance of about 1 verst (1.06 km) from the station, the railway carriage was attacked from both sides of the railway. The machinist, to whom the supervising conductor Chikhladze had not said anything about Colonel Vachnadze's command, increased the speed instead of stopping the train. After mass shouting and whistling, the machinist understood that he had to stop the train. By this time, the carriage had passed the station building by approximately three hundred steps. Thus, the train stopped at an extremely inconvenient place. From all sides, the enemy had opened fire. They had occupied important heights and shot with rifles and 2 machine-guns (Fund 2018p). According to the information provided by captivated Georgian officers, at Ayrum, the Armenian army was led by Colonel Korolkov. The army consisted of: one battalion of the sixth regiment of the regular Armenian army, one cavalry squadron, two company of militia, in all, about 700 soldiers. These forces were supported by an armed group of local Armenian population (Fund 2018t). According to Armenian historiographers, however, Korolkov was not a colonel, but lieutenant-colonel, and his forces consisted of: one infantry platoon of the 6<sup>th</sup> regiment, 3 cavalry squadron and 4 platoon of militia. They were equipped with 2 machine-guns (Virabyan 2016, 331).

The ambushed and sieged inexperienced young soldiers lay on the floor of the carriage in fear. Officers and experienced soldiers found it hard to get them off the train. Some soldiers were so scared that, after getting off the carriage, sat down in the open air and trembled with fear. They seemed

to await death patiently. Experienced soldiers and officers dragged these soldiers to big rocks to find shelter. The echo of mass shooting increased the panic of the inexperienced soldiers. They shot in panic, without looking at the target; some of them shot in the air, while others dropped their rifles and lay on the ground motionless. On the other hand, officers and experienced soldiers struggled selflessly. They managed to gather the scattered soldiers. Some soldiers managed to penetrate into the station building, which was actively aimed at (Fund 2018p). From the railway station, Colonel Vachnadze sent a telegram to the Commander of the division Giorgi Mazniashvili. Vachnadze also communicated with Colonel Imnadze at Sadakhlo station and asked him to support his squad with armoured train and ammunition. Initially, the answer from Sadakhlo was that they had no ammunition, but later they promised to send the armoured train, ammunition and two additional companys. Doctor Zedgenidze arranged a field hospital at Ayrum station and assisted the wounded. The struggle continued. The soldiers learnt that the armoured train was coming to assist them. This improved their moral condition. Yet, young soldiers, who comprised the majority of the squad, were still in panic (Fund 2018u).

The training team, consisting of experienced soldiers and led by Captain Purtseladze, was ordered by Colonel Vachnadze to occupy the height on the right side, to the North-West of the station. From this place, the enemy's fire was especially intense. The soldiers had to run 300-400 steps in conditions of permanent shooting. Despite several attempts, due to the intense shooting of the enemy, the soldiers failed to occupy the height. During this attack, out of the 60 Georgian officers and soldiers, 40 experienced soldiers of the training team and some officers were either killed or wounded, including a young officer, lieutenant Vladimer Barnabishvili (Fund 2018p).

The telephone connection between Ayrum and Sadakhlo was cut off. By that time, armoured train N4 had not yet arrived to Sadakhlo from Tbilisi (Fund 2018j). Two armoured trains struggled in Akhtala adjacency, while one more armoured train remained at Sanahin (Goguadze 1919a, 3; Goguadze 1919b; 3-4; Kartsvadze 1918, 2). Realizing the urgency of the situation, Grigol Kvinikadze, the adjutant of the Commander of the armoured train squad, attached a carriage loaded with ammunition sent from Tbilisi to an armoured locomotive. Kvinikadze took additional 17 000 cartridges from Colonel Imnadze, Commander of Shulaveri borderline detachment, and started towards Ayrum. At a small distance from Ayrum station, from the surveillance post of the locomotive, he noticed that the railway and a small bridge in front of them had been destroyed. At that moment, the enemy started shooting from all sides. Therefore, the loco-



motive, with attached carriage loaded with ammunition, had to retrace to Sadakhlo (Fund 2018j).

After the struggle near Ayrum station, which lasted for four hours and a half, the enemy's attack became more violent. Vachnadze's squad was run out of cartridges, and support from Sadakhlo failed to arrive. About 40 per cent of the squad were killed or wounded. In such grave situation, the soldiers of the fourth regiments company ran out of ammunition. They surrendered and waved a white flag. The ethnic Armenians in Vachandze's squad started shouting that they were Armenians and that they had been taken to this battle by force. Other inexperienced soldiers, who had run out of bullets, asked to save their lives. The Armenian soldiers started moving down from the height. Initially, the officers commanded to attach bayonets to the rifles and start hand-to-hand fighting, but soon they realized that this would just increase the number of victims without bringing any positive results, because experienced soldiers were either killed or wounded, whereas the younger ones surrendered to the enemy. The enemy had significant quantitative advantage; the soldiers were run out of ammunition; the supporting armoured train had failed to arrive from Sadakhlo. Thus, the officers and soldiers spent the remaining cartridges and, finally, surrendered to the enemy (Fund 2018k).

The result of the battle was as follows: Vachnadze's squad had lost 1 officer and 55 soldiers, 3 officers and 75 soldiers were wounded. On the enemy's side, 4 were killed and 20 - wounded (Fund 2018gh). According to Armenian historiographer, 2 Armenian soldiers had died and 7 had been wounded (Virabyan 2016; 338). As we can see from the list of captives, the Armenians captivated 240 officers and soldiers (Fund 2018b). They were led to Kulpi village (Fund 2018q)<sup>1</sup> located at 7 km distance to the East of Ayrum.

When Vachnadze's squad was taken prisoner, armoured train N4 led by Alfes Gogvadze arrived from Tbilisi to Sadakhlo station together with two companies commanded by Colonel Khimshiashvili. After a brief discussion, the armoured train, armoured locomotive loaded with ammunition and Khimshiashvili's train moved towards Ayrum. The armoured train went first, followed by an armoured locomotive with attached carriage loaded with ammunition, and, at one km distance, Khimshiashvili's squad. When the armoured train reached the destroyed railway and bridge near Ayrum, the enemy started fire, but the canons and machine-guns of the armoured train stopped the enemy. Some of the armoured train crew took advantage of the fire curtain and restored the rails and the bridge. The armoured train reached Ayrum station. By this time, Vachandze's squad

---

1 Current Kokhbi

had been captivated for about an hour. Georgian prisoners were moving towards Kulpi. From distant heights, they saw the events happening at Ayrum station. The locomotive and the carriage loaded with ammunition stopped near the station. At this moment, the Armenians started shooting at the train. The machinist lay on the floor. Captain Dadiani tried to stop the train. He succeeded, but slightly hit the carriage loaded with ammunition. The carriage went off the rails. Dadiani retraced the train to Sadakhlo. The Armenian forces kept shooting. Therefore, Kvinikadze untied the carriage from the locomotive. He went to Ayrum station and addressed the armoured train crew for help. The armoured train went back and started shooting at the Armenian forces. Meanwhile, part of the crew loaded the ammunition into the armoured train, threw the carriage off the rails and moved towards Sadakhlo (Fund 2018sh).

### **THE FATE OF TSULUKIDZE'S SQUAD**

It is interesting to know what happened to General Tsulukidze's squad which was divided into two parts. It was retracing to Sadakhlo, and since the evening of December 14, there had been no information regarding their fate. One part of the squad, consisting of the General's military staff and several dozens of soldiers, moved to the West of the railway via Shamugh village, along mountain paths. At 8 pm on December 15, they reached Sadakhlo (Fund 1878d).

The other part of the squad reached Akhtala station with minor struggle. In the morning of December 15, the enemy, located on the heights on both banks of the Debeda river, started shooting (Fund 1878e). The squad found itself in a situation similar to Vachnadze's carriage at Ayrum. Yet, there were several principal differences between these two squads. The squad retracing from Alaverdi consisted of experienced soldiers. Besides, it possessed canons and artillery. At the same time, they were supported by two armoured train. The armoured train that had hit the carriage between Haghpatt and Akhtala was put back on the rails in the afternoon on December 15 (Kartsivadze 1918, 2). In the morning of December 15, Captain Kavkasidze's company occupied the height on the right bank. Although Kavkasidze himself fell from a cliff and damaged his legs and ribs, he led the company and prevented the enemy from occupying the height. In the morning, on December 16, Captain Amashukeli's company occupied a height on the left bank and prevented the enemy from occupying the station (Chachkhiani 2007, 330; Fund 1878e). In the evening of December 16, the squad decided to break through the siege and continue their struggle

to reach Sadakhlo. It was impossible to take the armoured train, because the railway from Akhtala to Ayrum was, in many places, damaged by the Armenian army (Goguadze 1919b; 3-4). The squad had to walk along the railway, overcoming 25 km distance to Sadakhlo. At 11 pm, on December 16, the squad left Akhtala. On the way to Ayrum, the Armenians made several attempts to besiege the squad, but the squad managed to free their way by struggling (Kartsivadze 1918,2; Fund 1878e). At Ayrum station, the squad met armoured train N4, which had been patrolling Sadakhlo-Ayrum stretch since December 15, permanently dealing with the Armenian army (Goguadze 1919b, 4). At 8 am, on September 17, the squad reached Sadakhlo (Fund 1878e). In the battle for Akhtala, about 10 soldiers and guardsmen were killed and about 25-30 were wounded (Kartsivadze 1918, 2).

In all, during the first stage of the war, in the period between 9-17 December, the Georgian side lost over 500 soldiers: some were killed, others were wounded, yet others were captivated by the enemy. The enemy also got hold of three armoured trains, canons, machine-guns and ammunition. It was clear that the sides were involved in full-scale war. Georgia declared war state and mobilization, and, in several days, Georgians took the initiative of military actions. However, this is a different story...

### **THE CONCLUSION OF THE MILITARY COMMITTEE AND PROSECUTION REGARDING THE ACTION OF VACHNADZE'S SQUAD**

The investigation committee chaired by Giorgi Arjevanidze, which included General Giorgi Purtseladze, Colonel Tskhakaia and military investigator Lieutenant Cheishvili, studied the case, identified the circumstances leading to captivation, and, on July 31, 1919, stated that the captivation was not caused by the evil intentions of the battalion and its leadership, and that this fact could be explained solely by desperate situation. Thus, according to the Committee, the battalion did not bear any legal responsibility (Fund 2018ch). On December 27 of the same year, the Military Prosecutor's Office agreed with the statement of the Committee and concluded that the action of the squad was not criminal, hence, the case was closed. The Prosecutor mentioned arguments due to which the squad was not considered guilty: the war had not started officially, the squad was led by General Tsulukidze and did not have military aims; the squad had been told that the road to Akhtala was free, therefore, they moved around peacefully; Colonel Vachnadze took the necessary measures and warned the machinist to stop the train and retrace in case of fire, but the machinist increased the speed and, when he stopped the train, the enemy

had already started shooting; despite the unexpected attack and violent shooting on the part of the enemy, the leadership managed to organize the frightened soldiers; the location was not suitable for making an ambush – it was an open space, with mountains around, and these mountains were occupied by the Armenians; the majority of soldiers were inexperienced and did not know how to use weapons; the squad embraced ethnic Armenian soldiers, who dropped their rifles and started supporting the enemy; the enemy was far more numerous than Vachnadze's squad; the enemy had machine-guns and occupied an advantageous position. Despite the hard state, the leadership did its best to preserve the position of the Georgian squad and encourage the soldiers. The squad surrendered only when they ran out of cartridges and lost the best of soldiers. The squad fought for 4.5 hours in an unequal struggle with numerous military forces of the enemy (Fund 2018a).

In addition, we should mention that the tragedy in Ayrum was caused by a chain of mistakes: idealistic attitude of politicians who wanted to settle the problem peacefully and who stuck to this hope until the last moment. Besides, there were purely military mistakes of the leadership. Even though the clashes were not officially termed as war, it was a great mistake to send inexperienced and poorly armed young soldiers to the conflict zone, where military actions were taking place. All this was added by weak military intelligence and lack of coordination. In general, all these factors were interlinked and interconnected.

## REFERENCES:

- Gogvadze, Vladimer. 1919 a. The Role of Ironclads in the Georgian-Armenian War. "Ertoba" newspaper. N27.
- Gogvadze, Vladimer. 1919 b. The Role of Ironclads in the Georgian-Armenian War. "Ertoba" newspaper. N28.
- Mazniashvili, Giorgi. 1927. Memories. Tbilisi. "Sakhelgami".
- Kartsivadze, Davit. 1918. Borchalo Front. "Ertoba" Newspaper N278.
- Chachkhiani, Archil. 2007. The Nationalist-Expansionist Ideology of Dashnaks and Armenian-Georgian War in 1918-1919. Tbilisi. "Aradani".
- Hovannisian, Richard G. 1971. The Republic of Armenia. Vol 1. The first year 1918-1919. Berkeley, Los Angeles, London. University of California press.





Virabyan, Vanik. 2016 . The Armenian-Georgian Military-Political Relations (1918-1921). Yerevan. Yerevan State University Press. (in Armenian).

The History of Armenian-Georgian Relations (borderline conflicts, negotiations, war, treaty), 1918. Tbilisi. 1919. State Typography (in Russian).

General Kvinitadze, G. I. 1985. Memories. 1917-1921. Paris. YMCA Press. (in Russian)

Public Case 1918. "Sakhalkho Saqme" newspaper. N409, N410

Fund 1864. Central Historical Archive, Fund 1864, Description 1, Case №50; 35-41

Fund 1878a. Central Historical Archive, Fund 1878, Description 1, Case №1; 68

Fund 1878b. Central Historical Archive, Fund 1878, Description 1, Case №1; 58,60

Fund 1878g. Central Historical Archive, Fund 1878, Description 1, Case №1; 58, 63

Fund 1878d. Central Historical Archive, Fund 1878, Description 1, Case №1; 60

Fund 1878e. Central Historical Archive, Fund 1878, Description 1, Case №1; 58

Fund 2018a. Central Historical Archive, Fund 2018, Description 1, Case №84: unnumbered page.

Fund 2018b. Central Historical Archive, Fund 2018, Description 1, Case №84: 6-10a.

Fund 2018g. Central Historical Archive, Fund 2018, Description 1, Case №84; 7-8b, 22b.

Fund 2018d. Central Historical Archive, Fund 2018, Description 1, Case №84; 1-3a, 11a.

Fund 2018e. Central Historical Archive, Fund 2018, Description 1, Case №84; 3b, unnumbered page.

Fund 2018v. Central Historical Archive, Fund 2018, Description 1, Case №84; 38b

Fund 2018z. Central Historical Archive, Fund 2018, Description 1, Case №84; 3b.

Fund 2018t. Central Historical Archive, Fund 2018, Description 1, Case №84; 15b.

Fund 2018i. Central Historical Archive, Fund 2018, Description 1, Case №84; 14b.

Fund 2018k. Central Historical Archive, Fund 2018, Description 1, Case №84; 3b, 25b, unnumbered page.

Fund 2018l. Central Historical Archive, Fund 2018, Description 1, Case №84; 38b. unnumbered page.

Fund 2018m. Central Historical Archive, Fund 2018, Description 1, Case №84; 3b,14b. Unnumbered page.

Fund 2018n. Central Historical Archive, Fund 2018, Description 1, Case №84; 3b, 38b, unnumbered page.

Fund 2018o. Central Historical Archive, Fund 2018, Description 1, Case №84; 4b, 38b, unnumbered page.

Fund 2018p. Central Historical Archive, Fund 2018, Description 1, Case №84; 4b, 14b, 38b, unnumbered page.

Fund 2018j. Central Historical Archive, Fund 2018, Description 1, Case №84; 50b.

Fund 2018r. Central Historical Archive, Fund 2018, Description 1, Case №84; 4b,6b, 38-39b.

Fund 2018s. Central Historical Archive, Fund 2018, Description 1, Case №84; 5-6b.

Fund 2018t. Central Historical Archive, Fund 2018, Description 1, Case №84; 4b, 39b, unnumbered page.

Fund 2018u. Central Historical Archive, Fund 2018, Description 1, Case №84; 4-5b, 14b, 38-39b, unnumbered page.

Fund 2018f. Central Historical Archive, Fund 2018, Description 1, Case №84; 4b, 26b, 38b, unnumbered page.

Fund 2018k. Central Historical Archive, Fund 2018, Description 1, Case №84; 5b, 15b, 26b, 39b, unnumbered page.

Fund 2018gh. Central Historical Archive, Fund 2018, Description 1, Case №84; 5b, 7b, unnumbered page.

Fund 2018q. Central Historical Archive, Fund 2018, Description 1, Case №84; 15b, 39b.

Fund 2018sh. Central Historical Archive, Fund 2018, Description 1, Case №84; 5b, 50-51b.

Fund 2018ch. Central Historical Archive, Fund 2018, Description 1, Case №84; 24-26b.



**ლადო მირიანაშვილი**

დამოუკიდებელი მკვლევარი,  
საქართველო  
lado\_miriani@yahoo.com



## **მიტროპოლიტ რომანოზ ერისთავის ცხოვრების ძირითადი მოვლენების დაზუსტებული ქრონოლოგია და დაკრძალვის რეალური ადგილი <sup>1</sup>**

წერილობითი წყაროებისა და ახლადმიკვლეული დოკუმენტური მასალის შესწავლის საფუძველზე, დაზუსტებულია მიტროპოლიტ რომანოზის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ სამეცნიერო მიმოქცევაში დამკვიდრებული ცალკეული თარიღი და დადგენილია დღემდე უცნობი დეტალები, მათ შორის რომანოზის საბოლოო განსასვენებლის მდებარეობა.

**საკვანძო სიტყვები:** მიტროპოლიტი რომანოზი, რუსეთი, საფლავი, ეპიტაფია.

**XVIII** საუკუნის ქართველი სასულიერო მოღვაწე მიტროპოლიტი რომანოზი, არაგვის ერისთავთა საგვარეულოს წარმომადგენელი, რუსეთში არსებული ქართული კოლონიის ერთ-ერთი გამორჩეული წევრი იყო. როგორც მისი მოღვაწეობის ანალიზიდან ირკვევა, სასულიერო და ლიტერატურულ მოღვაწეობასთან ერთად, რომანოზი მონაწილეობდა იმპოლიტიკურ პროცესში, რომლის ამოცანა, რუსეთის სამხედრო დახმარების მეშვეობით, ქართლის სამეფოს მტრული გარემოცვისგან დახსნა იყო. პოლიტიკურ პროცესებში რომანოზის ჩართულობას ხელს უწყობდა ის ფაქტი, რომ იგი მეფე ვახტანგ VI-თან დაახლოებული

<sup>1</sup> წინამდებარე სტატია ეფუძნება მიტროპოლიტ რომანოზის ცხოვრებისადმი მიძღვნილ ჩემ მოხსენებას, რომელიც წავიკითხე 2017 წლის 27 იანვარს II საერთაშორისო კონფერენციაზე „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორია და სიძველეები“, 2017 წლის 27-28 იანვარი, გუდაური-თბილისი.

სასულიერო პირი იყო. ამ სიახლოვეს საფუძვლად ედო მისი ნათესაური კავშირი სამეფო ოჯახთან: რომანოზი იყო ბატონიშვილ ბაქარის ცოლისძმა. მიტროპოლიტი რომანოზი იზიარებდა მეფე ვახტანგ VI-ის პოლიტიკურ შეხედულებებს და ემხრობოდა საქართველოს რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობისა და სამხედრო კავშირის დამყარების გეგმას, რაც რუსეთის ჯარის ამიერკავკასიისა და ირანის ტერიტორიებზე შეყვანასა და დისლოცირებას ისახავდა მიზნად. სწორედ რომანოზის რუსულმა ორიენტაციამ განაპირობა ის, რომ მაღალ სასულიერო ხარისხში ყოფნის წლების დიდი ნაწილი მან რუსეთში გაატარა. ამიტომაცაა, რომ მიტროპოლიტ რომანოზის შესახებ რუსულ წერილობით წყაროებში უფრო მეტი ცნობები იძებნება, ვიდრე ქართულში. მრავლისმეტყველია თუნდაც ის ფაქტი, რომ მიტროპოლიტ რომანოზისადმი მიძღვნილ სტატიას ავტორიტეტულ „რუსულ ბიოგრაფიულ ლექსიკონში“ სამ გვერდზე მეტი უკავია. თუმცა, ეს საენციკლოპედიო სტატიაც არაა ყოვლისმომცველი, რაც განაპირობებს ხარვეზებს მიტროპოლიტ რომანოზის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არსებულ ცოდნაში. წერილობითი წყაროებისა და ჩვენ მიერ ახლადმიკვლეული დოკუმენტური მასალის შესწავლამ, შესაძლებლობა მოგვცა დაგვეზუსტებინა სამეცნიერო მიმოქცევაში დამკვიდრებული ცალკეული თარიღი და გაგვეჩვენა მიტროპოლიტ რომანოზის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დღემდე უცნობი დეტალები, მათ შორის დაგვედგინა თუ კონკრეტულად სად ჰპოვა მან საბოლოო განსასვენებელი.

რომანოზი (სურ. 1) სახელოვანი ქართული საგვარეულოს წარმომადგენელი იყო: მამა გიორგი არაგვის ერისთავი გახლდათ (ხეც A150 ხელნაწერის ანდერძი), ხოლო დედა – თავად თამაზ ყაფლანიშვილ-ორბელიანის ქალიშვილი – დარეჯან ყაფლანიშვილი (Думин С. В., Чиковани 1998, 262). გიორგი არაგვის ერისთავი ქალაქ თბილისის მოურავად იჯდა, რაც საპასუხისმგებლო და საკმაოდ შემოსავლიანი თანამდებობა იყო. იგი მეტად თავნება და ტრაგიკული პიროვნება გახლდათ: ჯერ ერეკლე I-ს ემხრობოდა, შემდეგ კი მას განუდგა და გიორგი XI-ს მიემხრო. მოგვიანებით, ვახტანგ VI-ს ერთგულებდა. შემდეგ განუდგა. კვლავ შეურიგდა. 1723 წელს კვლავ განუდგა, რის გამოც მისსავე სიძემ – ბაქარმა შეიპყრო და სიკვდილით დასაჯა (ჯამბურია 2012, 25).

რომანოზის დაბადების თარიღი ქართულ თუ რუსულ წერილობით წყაროებში, მათ შორის რუსეთში გამოცემულ ავტორიტეტულ ბიოგრაფიულ ლექსიკონში მითითებული არაა. ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ცნობილმა მკვლევარმა ენრიკო გაბიძაშვილმა ეს თარიღი ირიბი გზით განსაზღვრა. მან ამოსავალ



წერტილად რომანოზის გარეჯის უდაბნოში შემონახვების თარიღი – 1710 წელი აიღო და იმის გათვალისწინებით, რომ საეკლესიო კანონმდებლობის შესაბამისად მონახვნად აღკვეცა მხოლოდ 25 წლის ასაკის შესრულების შემდეგ შეიძლებოდა, რომანოზის დაბადების თარიღი 1685 წლის ახლო ხანით განსაზღვრა (გაბიძაშვილი 1973, 79). ამ თარიღის სანდოობა დაბალია, რადგან, ერთი მხრივ, პრაქტიკაში შემონახვების ასაკი სხვადასხვა იყო, მეორე მხრივ კი, რომანოზის შემონახვების კონკრეტული წლის მნიშვნელობაც ირიბი გზით არის დადგენილი. როგორც დოკუმენტურ წყაროზე დაყრდნობით გავარკვეე, სინამდვილეში, რომანოზი 1695 წლის ბოლოს – 1696 წლის დასაწყისში დაბადებულა (წყაროზე სტატიის ბოლოში მექნება საუბარი).

რომანოზი მონახვნად გარეჯის უდაბნოში შემდგარა და იქვე თორმეტი წელი გაუტარებია (ხეც Sd-2962). გამომდინარე მის მიერ გადაწერილი და მონასტრისთვის შეწერილი „დავითნის“ ანდერძიდან (ხეც A-914), რომანოზს კონკრეტულად გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერში უმოღვანია. სავარაუდოდ იქვე შეუთხზავს წმ. დოდო გარეჯელის სვინაქსარული ცხოვრება (გაბიძაშვილი 1973, 79-80).

რომანოზი რუსეთში პირველად 1722 წელს გაემგზავრა. ეს ირკვევა დარეჯან არჩილის ასულის, 1722 წლის 9 ივლისით დათარიღებული თხოვნიდან სინოდისადამი (ლცსსა ფ. 796, N 769)<sup>1</sup>, აგრეთვე შედარებით გვიანდელი, 1743 წლის დოკუმენტის პრეამბულიდან (Постановления 1899, дело 338, 322). რომანოზის რუსეთში ჩასვლა და შემდგომი მრავალჯერადი მიმოსვლა, საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკვანძო მომენტს ემთხვევა. ეს ის დროა, როცა ქართლის მეფე ვახტანგ VI-სა და რუსეთის იმპერატორ პეტრე დიდს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება ერთობლივი სამხედრო მოქმედებების დაწყების თაობაზე ირანის წინააღმდეგ. მეფე ვახტანგს ქართლის ირანელთა ბატონობისგან განთავისუფლება ენადა, პეტრე დიდი კი კასპიისპირა ტერიტორიების დაუფლებას ისახავდა მიზნად. ორ მონარქს განსხვავებული მიზნები კი ამოძრავებდათ, მაგრამ ამ მიზნების მისაღწევად ერთი საერთო მოწინააღმდეგის – ირანის დამარცხება სჭირდებოდათ. 1722 წლიდან მოყოლებული, ორი ქვეყნის მონარქებმა საგანგებო დესპანების ინტენსიური გაცვლა დაიწყეს.<sup>2</sup> პირველი ნაბიჯი თანამშრომლობის მიმართულებით მეფე ვახტანგ VI-მ გადადგა და 1722 წელს ბაადურ

1 ვიკონმებ (ქავთარია 1965, 139, სქოლიო 271) მიხედვით.

2 ამ დროს ვახტანგ VI ჯერ კიდევ ფლობდა ძალაუფლებას: სეხნია ჩხეიძის ცნობით, ირანის შაჰმა მეფე ვახტანგ VI-ს ქართლი 1723 წლის 10 იანვარს ჩამოართვა.

თურქესტანიშვილი პეტერბურგში სპეციალური დიპლომატიური მისიით გააგზავნა. საინტერესოა, რომ იმავე წელს რუსეთში მიტროპოლიტი რომანოზიც გაემგზავრა. თუ მხედველობაში მივიღებთ დარეჯან არჩილის ასულის ზემონახსენები თხოვნის წერილის რუსეთის სინოდში შესვლის რეგისტრაციის თარიღს – 1722 წლის 9 ივლისი, რომანოზი მოსკოვში 1722 წლის ივნისში უნდა ჩასულიყო. ეს თარიღი რომანოზის საენციკლოპედიო ბიოგრაფიაში დაკონკრეტებულია: იგი მოსკოვში 1722 წლის 9 ივნისს ჩასულა (Виноградов 1918, 62). სარეკომენდაციო წერილების ტექსტებს თუ დავუჭერებთ, რომანოზის რუსეთში ჩასვლის ოფიციალური მიზეზი საეკლესიო მსახურება და შეწირულობების შეგროვება იყო. მკვლევარ მიხეილ გორგიძეს გამოთქმული აქვს ვარაუდი, რომ მიტროპოლიტი რომანოზი რუსეთში პირადი ინიციატივით ჩავიდა (Горгидзе 1976, 44), თუმცა მას ეს მოსაზრება ფაქტებით შემაგრებული არ აქვს. ჩემი აზრით კი, რომანოზი რუსეთს გარკვეული დიპლომატიური დავალებით ესტუმრა. ამის საფუძველს მაძლევს პლატონ იოსელიანის წიგნში გამოქვეყნებული წერილის შინაარსი, რომლის თანახმად რომანოზი პეტრე დიდს საბრძოლო დანაყოფის ქართლში გამოგზავნასა და მისი საგვარეულო არშის ციხესიმაგრის დაკავებას სთავაზობდა: „მოსკოვის არქივის დიპლომატიურ აქტებში დაცულია 1723 წლით დათარიღებული, არქიმანდრიტ რომანოზის წერილი... ეს არქიმანდრიტი, თავისი ძმების – ოთარ და ბარძიმ ერისთავების სახელით, პეტრე დიდს, მისგან მფარველობის სანაცვლოდ, არშის ციხეს სთავაზობდა, რომელიც დარიალის მახლობლად მდებარეობს“ (Иоселиани 1860, 45). არსებობს რუსებთან გარიგების ამ მცდელობაზე მიმანიშნებელი კიდევ ერთი წერილი, რომელიც რუსეთში მყოფ რომანოზს მისმა ძმამ, ოთარ ერისთავმა 1723 წელს გაუგზავნა. ამ ბარათში ოთარი ძმას სწერდა, რომ, როგორც შეიტყო, რომანოზი ხუთასი რუსით ხევისკენ მოემართებოდა. ოთარი რომანოზს აქებებდა: „მოასხი. სიმაგრეები და ციხეები მაგათ დავაჭერინოთ“ (Бороче 1861, 154).

ცხადია, რომ ზემორე შეთავაზება მეფე ვახტანგ VI-თან იყო შეთანხმებული: არშის ციხეში რუსების ჯარის ჩაყენება იყო იმ გეგმის ნაწილი, რომელიც ვახტანგ VI-მ ჯერ კიდევ 1721 წლის ზაფხულში ასტრახანის გუბერნატორ ვოლინსკისადმი მიწერილ წერილში ჩამოაყალიბა, პეტრე დიდისთვის გადასაცემად. სასულიერო პირების დიპლომატიურ მოლაპარაკებებში ჩართვა ყველა ქვეყანაში და ყველა დროში ხდებოდა. ამ შესაძლებლობას ქართველი მეფეებიც იყენებდნენ. ყველაზე ფართოდაა ცნობილი სულხან-საბა ორბელიანისა და ტიმოთე გაბაშვილის დიპლომატიური მოღვაწეობა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დიპლომატიურ

დავალებებს ასრულებდა რუსეთში მცხოვრები კიდევ ერთი ქართველი სასულიერო პირი – არქიდიაკონი გაიოზი, რომელსაც განათლება მოსკოვის სასულიერო აკადემიაში ჰქონდა მიღებული და რუსეთში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მას მეფე ერეკლე და გრიგორი პოტიომკინი დიპლომატიურ დავალებებს აძლევდნენ (Пальмов 1913, 52-53). ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მიტროპოლიტი რომანოზი ფაქტიურად იყო მეფე ვახტანგ VI-ის ემისარი, რომელიც სასულიერო და ლიტერატურულ მოღვაწეობასთან ერთად, ქართლის სამეფოს რუსეთთან სამხედრო კავშირის დამყარების საკითხებს აგვარებდა.

ქართლის სამეფომ და რუსეთმა 1722 წლის ბოლოსთვის ირანის წინააღმდეგ ერთობლივი საბრძოლო მოქმედებების განხორციელების თაობაზე მოილაპარაკეს<sup>1</sup>. 1722 წლის ოქტომბერში, წინასწარ შეთანხმებული გეგმის საფუძველზე, ვახტანგ VI თავისი ლაშქრით განჯასთან დაბანაკდა, იქ სომეხთა ლაშქარი შეიერთა და რუსეთის ჯარს დაუწყო ლოდინი. რუსეთის ჯარი მხოლოდ დარუბანდამდე ჩავიდა, საიდანაც უკან, ასტრახანში გაბრუნდა. პეტრე დიდმა, ქართველებისთვის სამხედრო ძალის მიშველების ნაცვლად, ქართლში საგანგებო დესპანი – პოდპორუჩიკი ივანე ტოლსტოი გამოაგზავნა, რომელმაც ვახუშტი ბატონიშვილს ირანზე ერთობლივი გალაშქრების 1723 წლისთვის გადადების გადაწყვეტილება აცნობა. ამ უკანასკნელმა განჯაში მყოფ ვახტანგ VI-ს შიკრიკი გაუგზავნა და დედაქალაქში დაბრუნების აუცილებლობა შეატყობინა.<sup>2</sup> 22 ნოემბერს ვახტანგ VI თბილისში დაბრუნდა და ი. ტოლსტოის მეშვეობით რუსეთთან მოლაპარაკებები გააგრძელა. იმავდროულად, ქართლის მეფე ცდილობდა თურქეთთან დაძაბული მდგომარეობა მოეგვარებინა: 1722 წლის 29 ნოემბერს, ვახტანგ VI-მ რომის პაპს ინოკენტი XIII-სა და ავსტრიის იმპერატორს კარლოს VI-ს წერილები გაუგზავნა, რომლებითაც თურქეთის მთავრობასთან შუამდგომლობის განცხადებას სთხოვდა (ტაბაღა 1967, 243). ამასობაში, მდგომარეობა უაღრესად გართულდა, რასაც კახეთის მეფე კონსტანტინეს მხრიდან ვახტანგ VI-ის მტრობა კიდევ უფრო მეტად ამწვავებდა. 1723 წლის 4 მაისს მეფე კონსტანტინემ თბილისი აიღო და ვახტანგ VI იძულებული გახდა ჯერ გორში, შემდეგ კი ცხინვალში გადასულიყო. 1724 წლის ივლისში, მეფე ვახტანგ VI ოჯახის წევრებთან და მრავალრიცხოვან ამაღლასთან ერთად რუსეთში გაემგზავრა.

1 1722 წლის ივნისში რუსეთმა სეფიანთა ირანს ომი ოფიციალურად გამოუცხადა.

2 რუსეთმა ირანთან ურთიერთობები 1723 წლის მეორე ნახევარში დააღალა. 1723 წლის 12 (23) სექტემბერს რუსეთმა და სეფიანთა ირანმა ხელი მოაწერეს ე.წ. პეტერბურგის სამშვიდობო ხელშეკრულებას, რითაც დასრულდა ორ ქვეყანას შორის 1722-1723 წლებში წარმოებულ ომი.

რომანოზის რუსეთში დაყოვნების მიზეზი, სავარაუდოდ, მოვლენების სწორედ ამგვარი განვითარება გახდა. იგი 1722 წლის ბოლოდან სამშობლოში დასაბრუნებლად ემზადებოდა და პასპორტის გაფორმებას, მგზავრობისას შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფასა და ფულად დახმარებას ითხოვდა. რომანოზმა სამშობლოში გამგზავრებაზე თანხმობა 1723 წლის თებერვალში მიიღო, თუმცა გარკვეული ხნის განმავლობაში რუსეთში დაყოვნება მოუწია.

რომანოზის საქართველოში დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოს-პატრიარქის გრიგოლ II-ის სარეკომენდაციო წერილის პრეამბულაში წერია, რომ რომანოზი „ათას შვიდას ოცდა ორს მანდ მოსკოვს ხელმწიფეს ხლებოდა ხუთი წელიწადი“ (ხეც Sd-2962). ამ ცნობიდან გამომდინარეობს, რომ რომანოზი მოსკოვში 1727 წლამდე დარჩენილა. ამავე თარიღს იზიარებს მ. ქავთარიაც (ქავთარია 1965, 139). თ. გელაშვილს მიაჩნია, რომ რომანოზი თბილისში 1728 წელს ჩამოვიდა (გელაშვილი 2012, 494). ამგვარი დასკვნისთვის იგი, როგორც ჩანს, ზემოთ დამოწმებულ წერილში ნახსენებ ფრაზას „ათას შვიდას ოცდა რვას მოვიდა“ ითვალისწინებს. ამავე წერილზე დაყრდნობით, თ. გელაშვილი ანანურის ციხესიმაგრის აოხრებასა და არაგვის ერისთავების დედაბუდიანად ამოწყვეტას 1732 წელზე დებს (გელაშვილი 2012, 498), რაც აშკარა შეცდომაა (იხ. ქვემოთ).

იმის გათვალისწინებით, რომ კათოლიკოს-პატრიარქის სარეკომენდაციო წერილში რამდენიმე აშკარა შეუსაბამობაა, ცნობა რომანოზის მოსკოვში ხუთი წლის განმავლობაში ყოფნისა და, შესაბამისად, სამშობლოში 1727 თუ 1728 წელს დაბრუნების შესახებ საეჭვოდ მივიჩნე. სადავო თარიღის დასაზუსტებლად „მართლმადიდებლური აღმსარებლობის უწყების“ XVIII საუკუნის დადგენილებებსა და განკარგულებებს გავეცანი, რომლებიც მათი საკანცელარიოსკრუპულოზობიდან გამომდინარე, სარეკომენდაციო წერილთან შედარებით გაცილებით უფრო სანდო წყაროდ მივიჩნე. 1743 წლის 22 მარტით დათარიღებული N 338 განკარგულების შესავალ ნაწილში ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციაა შესული:

„ზემონახსენები რომანოზ მიტროპოლიტი, არქიმანდრიტის ხარისხში, გასულ 1722 წელს ქართლის მიწიდან რუსეთში გამოემგზავრა და 1725 წელს კვლავ საქართველოში იქნა გაშვებული. ხოლო 1729 წელს, საქართველოდან მოსკოვში ჩამოსვლის შემდეგ, ჯამაგირის დანიშვნა ითხოვა... 1730 წელს არქიმანდრიტი რომანოზი რუსეთიდან საქართველოში ხელმეორედ გაემგზავრა და 1732 წელს საქართველოდან



დაბრუნების შემდეგ, წმინდა მმართველ სინოდში, მოსკოვში, მოვიდა და განაცხადა, რომ იგი მიტროპოლიტია და რომ ამ ხარისხში 1730 წელს აიყვანეს... 1736 წელს ზემონახსენები რომანოზ მიტროპოლიტი რუსეთიდან საქართველოში მესამეჯერ გაემგზავრა, ხოლო 1740 წელს საქართველოდან ყიზლარში ჩასვლის შემდეგ, იქიდან მისივე სურვილით გამოუშვეს და 1741 წლის ივნისში მოსკოვში ჩამოვიდა. წმინდა მმართველი სინოდის განკარგულებით, რომანოზ მიტროპოლიტს საცხოვრებლად წმინდა სერგის სამების მონასტერი განესაზღვრა... მაგრამ მიტროპოლიტმა წმინდა სერგის სამების მონასტერში გაჩერება არ ისურვა და შემოვიდა თხოვნით, რომ მისთვის იგივე საარსებო ჯამაგირი მიეცათ, რასაც მანამდე იღებდა, და მოსკოვში მღვდელმსახურების უფლება ითხოვა“ (Постановления 1899, дело 338, 322).

ამ განკარგულებიდან ირკვევა, რომ 1722 წელს მოსკოვში ჩასული რომანოზი საქართველოში არა 1727 ან 1728 წელს, არამედ 1725 წელს დაბრუნებულა. ანუ, მას პირველი სტუმრობისას მოსკოვში სამი წელი და ოთხი თვე დაუყვია (და არა ხუთი წელი, როგორც ეს სარეკომენდაციო წერილშია აღნიშნული).

ბიოგრაფიული ლექსიკონიც რომანოზის რუსეთიდან საქართველოში გამომგზავრების თარიღად 1725 წლის ოქტომბერს უთითებს (Виноградов 1918, 62).

იმავე დოკუმენტიდან ირკვევა, რომ რომანოზი საქართველოდან რუსეთში, დაბრუნებიდან ოთხი წლის შემდეგ – 1729 წელს ჩასულა, ხოლო უკან ერთი წლის შემდეგ – 1730 წელს დაბრუნებულა.

რომანოზის ამგვარი ხშირი მიმოსვლა ქართლსა და რუსეთს შორის ადასტურებს, რომ ვახტანგ VI მას სპეციალური დავალებების შესასრულებლად იყენებდა.

კორექტივი შეგვაქვს რომანოზის მიტროპოლიტის ხარისხში აღყვანის თარიღის ვერსიებშიც, რომლებიც სამეცნიერო მიმოქცევაში გვხვდება. მაია შაორშაძის მოსაზრებით, რომანოზმა 1737-39 წლებში, კირილე II-ს კათოლიკოს-პატრიარქობის დროს, ამ უკანასკნელის მიერ დატოვებული სამთავროსა და გორის მიტროპოლიტის კათედრა დაიკავა (შაორშაძე 2017, 324). საარქივო მასალების მიხედვით კი, რომანოზი მიტროპოლიტის ხარისხში 1737 წლამდე გაცილებით ადრე იქნა აღყვანილი. 1734 წლის 4 მარტით დათარიღებულ დოკუმენტში, რომლითაც რომანოზი და სამეხელე არქიეპისკოპოსი იოსები წერილობით ადასტურებენ, რომ იღუმენი ქრისტეფორე მოსკოვში ვახტანგ მეფის ამაღლასთან ერთად ჩავიდა (საქმე N2785), რომანოზი სამთავროსა და გორის მიტროპოლიტად

არის მოხსენიებული. ზემოთ დამოწმებული N 338 განკარგულება რომანოვის მიტროპოლიტის ხარისხში ალყვანის თარიღად 1730 წელს უთითებს. პლატონ იოსელიანის ცნობით კი, რომანოვი სამთავროსა და გორის ეპარქიების მიტროპოლიტის ხარისხში 1731 წლის იანვარში, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ბესარიონის მიერ იქნა ალყვანილი (Иоселиани 1866, 124, სქოლიო 38). ბიოგრაფიული ლექსიკონის მიხედვითაც, რომანოვი მიტროპოლიტის ხარისხში 1731 წელს ალყვანეს (Виноградов 1918, 62). საარქივო მასალების გათვალისწინებით, შეცდომას უშვებს თ. გელაშვილიც, როცა ვარაუდობს, რომ რომანოვი „1722 წლისთვის უკვე გორისა და სამთავისის (sic. უნდა ეწეროს „სამთავროს“) მიტროპოლიტია“ (გელაშვილი 2012, 494). მისი ეს ვარაუდი ბათილდება ზემოთ დამოწმებულ განკარგულებაში დაცული ცნობითაც, რომლის თანახმად 1722 წელს რუსეთში ჩასულ რომანოვს არა მიტროპოლიტის, არამედ არქიმანდრიტის ხარისხი ჰქონდა.

1732 წელს მიტროპოლიტი რომანოვი მოსკოვს კიდევ ერთხელ ესტუმრა (საქმე N256, 1732).<sup>1</sup> ენციკლოპედიურ სტატიაში დაზუსტებულია, რომ იგი მოსკოვში 1732 წლის თებერვალში ჩავიდა (Виноградов 1918, 63). იმავე წლის 25 აგვისტოს რომანოვს მოსკოვში დიაკვნებისა და მღვდლების კურთხევისა და მღვდელმსახურების ნებართვა მიეცა. პ. იოსელიანის ცნობით კი, რომანოვმა, მეფე ვახტანგ VI-ის შუამდგომლობით, მღვდელმსახურების უფლება 1732 წლის დეკემბრიდან მიიღო და ჭამაგირიც დაენიშნა (იოსელიანი 1866, 123, სქოლიო 38).

შემდგომ წლებში ქვემოთ მოვლენები განვითარდა: 1734 წლის 25 აგვისტოს გამოიცა სინოდის განკარგულება, რომლის ძალითაც მიტროპოლიტი რომანოვს სამყოფელად საბა სტოროჟეველის მონასტრის, მოსკოვში მდებარე მეტოქი განესაზღვრა (NN 2821, 2848). 1734 წლის 9 ოქტომბერს მიტროპოლიტი რომანოვი და სამებელი არქიეპისკოპოსი იოსები მოსკოვიდან პეტერბურგში გაემგზავრნენ, რისთვისაც მივლინების ხარჯები მიეცათ (N 2801). 1735 წლის 13 დეკემბერს რომანოვი ჩანს ილუმენ იოსების სათხოვრის მოწმედ, რომლითაც ეს უკანასკნელი მისთვის თანხის გამოყოფას ითხოვდა, რათა ძმისშვილი ჩერქეზების ტყვეობიდან გამოესყიდა (N 2939). 1736 წლის მარტში რომანოვმა თავის საცხოვრებელთან კარვის ტიპის სამლოცველოს გამართვის ნებართვა ითხოვა, რეალურად კი ხის ეკლესია ააგო (Виноградов 1918, 63). 1736 წლის 7 ივლისს რომანოვს

<sup>1</sup> სამთავროსა და გორის სინოდის არქივის აქტები. ვიმოწმებ პ. იოსელიანის მიხედვით (იოსელიანი 1866, 123, სქოლიო 38).

მის საცხოვრებელთან, მოსკოვის პრესნიაზე უნებართვოდ აგებული ხის ეკლესიის კურთხევის ნება დართეს (N 2993).

1738 წელს მიტროპოლიტი რომანოზი საქართველოში დაბრუნდა (Виноградов 1918, 63). მას, სავარაუდოდ, სამშობლოში დარჩენა ჰქონდა გადაწყვეტილი, რაზეც 1739 წლის 21 თებერვალს იესე სოლაღაშვილისაგან მამულის ყიდვის ფაქტი მიგვანიშნებს (ნასყიდობის სიგელი სეა 1449-2176)<sup>1</sup>. რომანოზის, როგორც მოწმის, ხელმოწერა ჩანს 1739 წლის 23 მარტს დავით თარხნიშვილის მიერ გიორგი მაღალაძისადმი მიცემულ, ყმისა და მამულის დანებების წიგნში (ბერძენიშვილი 1953, 34-35; ხეც Hd-2792).

შემდგომი მოვლენები იესე განვითარდა, რომ მიტროპოლიტ რომანოზის გეგმები აირია. კერძოდ, 1739 წლის ივლისში მიტროპოლიტ რომანოზს თავზე დიდი უბედურება დაატყდა: შანშე ქსნის ერისთავმა, დაქირავებულ ლეკთა ჯარით, ანანურის ციხე დაარბია და ერისთავების ოჯახის იქ მყოფი წევრები ერთიანად ამოწყვიტა (ხეც NN 2960, 2962). სწორედ ამ თარიღს ასახელებენ ვახუშტი ბატონიშვილი (ვახუშტი ბატონიშვილი 1973, 912) და პაპუნა ორბელიანი (ორბელიანი 1981, 43). ეს უკანასკნელი ტრაგედიას დეტალურად აღწერს:

„ქორონიკონს უკზ (=1739 წ.), თვესა ივლისსა, მოიშველა ერისთავმა შანშემ ჯარი ლეკისა... შემოადგნენ ანანურის ციხესა. ერისთავი ბარძიმ შიგ იყო თავისის ძმით და სახლის კაცით. ჩამოვიდა ერისთავი შანშე და ძმა მისი იესე ყულარაღასი თავისის ჯარით. დაუნყეს ბრძოლა. არ-ავად იყვნენ შიგნით მყოფნი ციხისანი. ამდენი ლეკი ამოსწყვიტეს, რომ მკვდრის სანგარს ივლებდნენ ლეკნი და ეგრე იბრძოდეს, ვითარ შანშე ერისთავის კაცნი ბელადნი იყვნეს. უპოვეს ადგილი წყლისა და მოუჭრეს წყალი. ზაფხულის ჟამი იყო და დიად შეწუხდნენ უწყლოდ. მისცეს ფიცი ბარძიმ ერისთავს და გამოიყვანეს უთრუთ ერისთავის შვილი თავისის ცოლ-შვილით. [უთრუთი] არ მიენდო და შეუპოვარის კოშკში ავიდა. უღალატეს ერისთავს ბარძიმს და მოკლეს. ეგრევე ამასთან აბელ და გივი დახოცეს. დაიჭირეს ვინც თან გაყოლოდათ. შეესივნენ ციხესა. აიკლეს, ააოჭრეს მონასტერი, დაამტვრიეს ხატნი პატიოსანნი, გამოასხეს ტყვე უთვალავი. უთრუთ, რომელი იყო კოშკში, გამოწვეს ცეცხლით, უყვეს ყათლანი ქალით კაცამდის. ეს ლეკის ჯარი, იტყოდენ, თორმეტი ათასი კაცი არისო“ (ორბელიანი 1981, 43).

<sup>1</sup> ვიმონუმებ (შაორშაძე 2017, 324) მიხედვით.

ვახუშტი ბატონიშვილისა და პაპუნა ორბელიანისაგან განსხვავებით, თედო ჟორდანი ნახსენებ ტრაგედიას 1738 წელზე დებს, როცა თავის „ქრონიკებში“ არაგვის ერისთავების საგვარეულოს გენეალოგიური შტოს სქემას იძლევა და ბარძიმ ერისთავთან დაკავშირებით შემდეგ განმარტებას აკეთებს: „†1738. ქსნის ერისთავმან შანშემ ამისი ოჯახობა გასწყვიტა სრულიად 1738 წ. (ქ.ცხ. 92-4)“ (ჟორდანი, 1897, 534).

თ. გელაშვილი ანანურის აოხრებას 1732 წლით ათარიღებს (გელაშვილი 2012, 497-498), რაც არასწორია. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, საარქივო დოკუმენტებით დასტურდება, რომ 1732 წელს მიტროპოლიტი რომანოზი ნამდვილად მოსკოვში იმყოფებოდა. რეალურად, ანანურის ციხესიმაგრე 1738-1739 წელს ააოხრეს.

ანანურის ტრაგედიიდან ცოტა ხანში, გარეჯის მონასტერიც აუოხრებიათ, რის გამოც რომანოზს რუსეთში დაბრუნება გადაუწყვიტია. მან საამისოდ სამზადისიც დაიწყო: 1739 წლის 14 აგვისტოს რომანოზმა იმავე წლის თებერვალში შექმნილი მამული ბატონიშვილ აბდულა-ბეგს მიჰყიდა (სეა 1449-2147); ხოლო 1739 წლის ბოლოს იმერეთში გადავიდა. როგორც მიტროპოლიტი რომანოზი სინოდისთვის მიწერილ წერილში აღნიშნავს, „ურჯულომ ძმები, ნათესავი, დედა და სხვა ათასი სული თავის ქონებით ერთს დღეს სრულიად დახოცეს, დაწვეს და ტყვედ წაასხეს. მეც მეძებდნენ სასიკვდილოდ. წაველ გავეცალე. რვა თვე მელიტინის იმერეთის ცართან ვიყავ და აგვისტოს დიდის ჭირითა და ცდილობით ყიზლარში მოვანიე მთითგან“ (ხეც N Sd-2974). ამ წერილიდან ირკვევა, რომ 1740 წლის აგვისტოში რომანოზი ყიზლარში ჩასულა და თავისი დის, ანას შუამდგომლობით, რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებას ითხოვდა. 1741 წლის ივნისში რომანოზი უკვე მოსკოვშია (Постановления 1899, дело 338, 322). თავდაპირველად, წმინდა სერგის სამების მონასტერში განუმწესებიათ, თუმცა 1743 წელს, მისი ორი თხოვნის საფუძველზე, მთავარანგელოზ მიქაელის სასწაულის სახელობის მონასტერში (მოსკოვის კრემლის ტერიტორიაზე) იმავე ჯამაგირის შენარჩუნებით გადაუყვანიათ (Виноградов 1918, 63).

ამ პერიოდში შეუდგენია რომანოზს კრებული „წინწილი ღალადებისა“ (ხეც A-150), რომლისადმი დართულ ანდერძში იგი წერს, რომ ხელნაწერი სრულ-ყო 1745 წლის სექტემბერში.

1748 წელს მიტროპოლიტ რომანოზს მძიმედ უავადმყოფია, ხოლო გამოჯანმრთელების შემდეგ – 1748 წლის 26 აგვისტოს, საქართველოში გამგზავრების ნებართვა უთხოვა იმ სურვილით, რომ დავითგარეჯის მონასტერში აღსრულებულიყო და იქვე დაკრძალულიყო. 1749 წლის

1 ვიმონმებ (შაორშაძე 2017, 325) მიხედვით



16 იანვარს, სინოდს რომანოზის თხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი უთქვამს, საფუძვლად კის დაუსახელებია, რომ მას რუსეთის მუდმივი ქვეშევრდომობის პირობა ჰქონდა დადებული (Виноградов 1918, 64). 1749 წლის 10 მაისს რომანოზს სამშობლოში გამგზავრების თხოვნით სინოდისთვის კიდევ ერთხელ მიუმართავს. ამჯერად თანხმობა მიუღია და საქართველოში დაუყოვნებლივ გამომგზავრებულა (Иоселиани 1866, 124, сноска 38; СИН. N 128). არ გამოვრიცხავ იმის შესაძლებლობას, რომ სწორედ ამ ვიზიტის დროს მოხდა რომანოზის მიერ დავითგარეჯის უდაბნოს წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში საკუთარი თავისთვის საფლავის წინასწარ გამზადებაც (ამაზე ოდნავ ქვემოთ). უცნობია, თუ რატომ არ დარჩა იგი სიცოცხლის ბოლომდე გარეჯის უდაბნოს მონასტერში, როგორც ეს ეწადა. ფაქტია, რომ 1752 წელს რომანოზი კვლავ რუსეთში დაბრუნებულა და თან ქართველი ერის უდიდესი სინძინდე, წმ. ნინოს ჯვარი ჩაუტანია.

წმ. ნინოს ჯვრის საქართველოდან რუსეთში გატანის ფაქტზე ანტონ ნატროშვილი სვეტიცხოვლისადმი მიძღვნილ თავის წიგნში საუბრობს: „ეს ჯვარი მთაში – წმიდა სამების ეკლესიაში ყაზბეგის მთის ძირში და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ანანურის ეკლესიაში არაერთხელ გაუხიზნავთ. 1749 წელს რუსეთში გამგზავრებისას, თბილელმა მიტროპოლიტმა რომანოზმა ეს ჯვარი თან საიდუმლოდ წაიღო და მოსკოვში მყოფ ბატონიშვილ ბაქარ ვახტანგის ძეს გადასცა“ (Натроев 1901, 130, სქოლიო 2). ამ ცნობას სიტყვასიტყვით მღვდელი მარკოზ ტყემალაძეც იმეორებს (Ткемаладзе 1904, 24). ბატონიშვილ დავითის ცნობით, მიტროპოლიტმა რომანოზმა წმ. ნინოს ჯვარი არშის ციხიდან მოიპარა და რუსეთში წაიღო (დავით ბატონიშვილი 1941, 27).

ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი წმ. ნინოს ჯვრის რუსეთში გატანის თაობაზე თავის ორ წიგნში საუბრობს და მათში ერთმანეთისაგან განსხვავებული ცნობები მოჰყავს: „ჩვენი მათიანეების ცნობით, ეს ჯვარი, როგორც ადრეული ქრისტიანობის ძეგლი, თავგამოდებულ მწყემსთა ხელითა და მეფე თეიმურაზ II-ის ბრძანებით, ეკლესიისთვის შფოთის დროს, მთაში, ერისთავ-არაგველების სამფლობელოში გახიზნეს და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ანანურის ეკლესიაში დააბრძანეს. ამის შემდგომ, ქართველმა მიტროპოლიტმა ტიმოთემ ის რუსეთში წაიღო (1749 წ.) და მოსკოვში ბატონიშვილ ბაქარ ვახტანგის ძეს გადასცა“ (Иоселиани 1843, 10, სქოლიო 14). როგორც ვხედავთ, ავტორი წმ. ნინოს ჯვრის რუსეთში გამტანად მიტროპოლიტ რომანოზის ნაცვლად, მიტროპოლიტ ტიმოთეს ასახელებს (უნდა იგულისხმებოდეს ტიმოთე გაბაშვილი – ლ.მ.). ამ წიგნის გამოცემიდან 23 წლის შემდეგ პ. იოსელიანი აქვეყნებს ახალ წიგნს, რომელშიც წერს, რომ წმ.

ნინოს ჯვარი რუსეთში 1749 წელს მიტროპოლიტმა რომანოზმა (და არა მიტროპოლიტმა ტიმოთემ) გაიტანა (Иоселиани 1866, 123). წმ. ნინოს ჯვრის რუსეთში გატანას მიტროპოლიტ ტიმოთეს სახელს უკავშირებს ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილიც: „როდესაც შიშიანობა იყო საქართველოში, ჯვარი ვაზისა დამალეს წმ. სამების ეკლესიაში – ყაზბეგში, მემრე ანანურში და შემდეგ არშის ციხეში. 1749 წელს საქართველოს მიტროპოლიტმა ტიმოთემ საიდუმლოდ წაიღო იგი რუსეთში და მთავრობა მეფის ძეს ბაქარს“ (ჯანაშვილი 1886, 143, სქოლიო 1).

დოკუმენტურად დასტურდება, რომ მიტროპოლიტი ტიმოთე 1749 წელს რუსეთში არ იმყოფებოდა. იგი მოსკოვში 1738 წლის მარტის პირველ რიცხვებში, შანშე ქსნის ერისთავთან ერთად ჩავიდა. ამ ფაქტს სინოდის კანცელარიის 1738 წლის 23 მარტის დოკუმენტი ადასტურებს: „მოსკოვის სინოდალური სამმართველოს კანცელარიის მოწმობით სტუმრად იყოფებოდა საქართველოს ორი მიტროპოლიტი: არსენი და ტიმოთე. პირველი მათგანი პირად საქმეზე იყო ჩამოსული, ხოლო მეორეს კი საიდუმლო წერილები ჰქონდა გადმოსაცემად მოტანილი“. მიტროპოლიტი ტიმოთე სამშობლოში 1742 წელს, რუსეთში მეორე ელჩობის შემდეგ დაბრუნდა. გასათვალისწინებელია ისაც, რომ თავის დროზე, იმერეთის მეფე ალექსანდრეს V-ის მიერ რუსეთში დიპლომატიური მისიით გაგზავნილ ტიმოთე გაბაშვილს ერთი საჩოთირო ამბის მოგვარებაც ჰქონდა დავალებული, რაც მეფე ალექსანდრეს მიერ პეტრე პირველისთვის გაგზავნილი საჩუქრების, იმ დროისთვის უკვე გარდაცვლილი ვახტანგ VI-ის ოჯახის წევრების მიერ მითვისებას უკავშირდებოდა. ამის გამო, ტიმოთესა და მეფე ვახტანგის ოჯახისა და ზოგადად მოსკოვში ქართველთა კოლონიის წევრებს შორის ურთიერთობა დაძაბულა. შეუძლებელია, რომ მიტროპოლიტ ტიმოთეს, სამეფო ოჯახის წევრებისადმი წაყენებული მძიმე ბრალდების ფონზე, ქართველი ერის დიდი სინამდვილე საქართველოდან რუსეთში ბატონიშვილ ბაქარისთვის გადასაცემად წაეღო.

უნდა ვივარაუდოთ, რომ პლატონ იოსელიანმა 1843 წელს გამოცემულ თავის წიგნში უნებლიე შეცდომა დაუშვა და წმ. ნინოს ჯვრის რუსეთში გატანა მიტროპოლიტ რომანოზის ნაცვლად მიტროპოლიტ ტიმოთეს მიაწერა. ეს შეცდომა მოსე ჯანაშვილმა თავის წიგნში გაიმეორა.

მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ წმ. ნინოს ჯვრის საქართველოში ბოლო სამყოფელად პ. იოსელიანი ანანურის ეკლესიას, ხოლო მ. ჯანაშვილი არშის ციხეს ასახელებს. ეს ორივე ძეგლი კი არაგვის ერისთავთა საკუთრებაში იყო. ამის

გათვალისწინებით, არაგვის ერისთავთა ფეოდალური სახლის წევრს, მიტროპოლიტ რომანოვს, რეალურად ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ ჯვარი რუსეთში სხვებისაგან უჩუმრად წაეღო.

თ. გელაშვილი წყაროს მიუთითებლად წერს, რომ ერთ-ერთი ცნობის თანახმად, წმ. ნინოს ჯვარი საქართველოდან მეფე არჩილს გაუტანია (გელაშვილი 2012, 497). ეს ცნობა ფართოდ ცირკულირებს ინტერნეტ-სივრცეში, იქაც წყაროს მიუთითებლად. ვფიქრობ, რომ ნახსენები ვერსია მცდარია. ეს შეცდომა მეფე არჩილთან დაკავშირებული რეალური ისტორიის არასწორ ინტერპრეტაციას უნდა უკავშირდებოდეს. კერძოდ, როგორც ცნობილია, მეფე არჩილმა 1686 წელს მოსკოვში საქართველოდან ქრისტეს სამსჭვალი და ძელი ჭეშმარიტის ფრაგმენტი ჩაიტანა. სავარაუდოა, რომ ზემორე ცნობა შედეგია აღრევისა წმ. ნინოს ჯვარსა და იმ ჯვარს შორის, რომელზეც ქრისტე ეცვა.

ჩემთვის უფრო სარწმუნოა წმ. ნინოს ჯვრის რუსეთში მიტროპოლიტ რომანოვის მიერ გატანა სწორედ იმიტომ, რომ ეს ჯვარი მის საგვარეულო ციხესიმაგრეში ინახებოდა.

მიტროპოლიტი რომანოვი 1753 წლის 30 იანვარს გარდაიცვალა (Виноградов 1918, 64). ყველაზე ადრეული ცნობამისი გარდაცვალებისა და დაკრძალვის ადგილის შესახებ პ. იოსელიანის წიგნში იძებნება. მკვლევარი სინოდის არქივში დაცულ დოკუმენტს (N 313, 1753 წ.) იმონებებს: „მიტროპოლიტი რომანოვი გარდაიცვალა 1753 წლის 30 იანვარს ქალაქ ჩელსიარში (sic. - პ. იოსელიანისეული შენიშვნა) და 13 მარტს, საკუთარი ანდერძის მიხედვით, დაიკრძალა ასტრახანის მიძინების საკრებულო ტაძარში, ასტრახანის ეპისკოპოს ილარიონის მიერ (Иоселиани 1866, 124, сноска 28). იგივე ცნობას გვანვდის რუსული ჟურნალის “Астраханские епархиальные ведомости” 1880 წლის N24-ში გამოქვეყნებული წერილიც, რომლის თანახმად ასტრახანის მიძინების ტაძრის „ქვედა სალოცავის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში დაკრძალული არიან ქართველი მწყემსმთავრები: სამებელი არქიეპისკოპოსი იოსები და სამთავროსა და გორის მიტროპოლიტი რომანოვი. მათ სამარხებს წარწერები არ ახლავს... ეს უკანასკნელი მოსკოვში მიემგზავრებოდა, როცა ქალაქ ჩიორნი-იარში<sup>1</sup> ავად გახდა და 1753 წლის 30 იანვარს გარდაიცვალა.<sup>2</sup> მათი კუთვნილი სხვადასხვა ნივთი ტაძრის მფლობელობაში გადავიდა. ზოგიერთი ამ ნივთთაგანი დღემდე სალაროში ინახება.” (Ведомости 1880, 374).

მიხეილ ქავთარია ვარაუდობდა, რომ სიცოცხლის მიწურულს

1 იმ დროს ჩიორნი-იარი ასტრახანის გუბერნიის ქალაქი იყო.

2 დამოწმებულია წმინდა სინოდის 1758 წლის 5 აპრილის N 679 ბრძანებულება (Бинл. Астрах. консист.).

მიტროპოლიტი რომანოზი საქართველოში დაბრუნდა, გარეჯში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს (ქავთარია 1965, 142). ეს მოსაზრება მკვლევარმა მიტროპოლიტ რომანოზის ხელით გადაწერილი ხელნაწერის „წინილი დაღაღებისა“ (ხეც A-150) გვიანდელი მინაწერის საფუძველზე გამოთქვა, რომელიც შემდეგ ცნობას გვანვდის: „რომანოზ ქართველთ მიტროპოლიტი ასაფლავია დავით გარეჯის უდაბნოსა შინა, წმიდა ნიკოლოზის ეკლესიასა შინა, სადაც ცხადათ იხილვების მისი საფლავის ქვა“. რუსმა მოგზაურმა ანდრეი მურავიოვმა დავითგარეჯის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში არა მიტროპოლიტ რომანოზის, არამედ კახეთის მეფე ალექსანდრეს საფლავის არსებობაზე მიუთითა და მისი ეპიტაფიაც გამოაქვეყნა (Муравьев 1848, 104). დღეს ამ ეკლესიაში ერთადერთი საფლავის ქვაა, რომლის ეპიტაფია აღარ იკითხება. იმის გათვალისწინებით, რომ ანდრეი მურავიოვს ზემონახსენებ წიგნში ზოგადად საკმაოდ ბევრი უზუსტობა აქვს დაშვებული, არ გამოვრიცხავ, რომ ცნობა წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში მეფე ალექსანდრეს საფლავის არსებობის შესახებ შეცდომა იყოს და სინამდვილეში იქ, მართლაც, მიტროპოლიტ რომანოზის მიერ წინასწარ შემზადებული საფლავი მდებარეობდეს. გვიან შუა საუკუნეებამდე მონასტრებში საფლავის წინასწარ შემზადების ჩვეულება ჯერ კიდევ არსებობდა.

როგორც გავარკვიე, მიტროპოლიტი რომანოზი, სინამდვილეში, არა ასტრახანში, არამედ მოსკოვში დაუკრძალავთ. მისი საფლავის ადგილმდებარეობა ნახსენებია მოსკოვის ტაძრის გზამკვლევაში. ესაა წმ. იოანე ნათლისმცემლის ტაძარი პრესნიაზე. გზამკვლევის თანახმად, მიტროპოლიტი რომანოზი დაკრძალულია სწორედ ამ ტაძრის საკურთხეველში: „მთავარი საკურთხევის სამკვეთლო მაგიდის ზემოთ ჩადგმულია თეთრი ქვისგან დამზადებული საფლავის დაფა, რომელზეც წარწერაა ამოკვეთილი“ (Михайлов 1997). მიტროპოლიტ რომანოზის დაკრძალვის ადგილთან დაკავშირებული, ამდენი ხნის განმავლობაში არსებული გაურკვეველობა იმანაც განაპირობა, რომ ქართველი იერარქის საფლავი საკურთხეველში მდებარეობს და ამიტომ გარეშე თვალისთვის უხილავია.

ქვემოთ მომყავს მიტროპოლიტ რომანოზის ეპიტაფიის სრული ტექსტი (სურ. 2) და მისი ქართული თარგმანი:

1 ეპიტაფიიდან გამოთვლილი და საარქივო საქმეში მითითებული, რომანოზის მთავარეპისკოპოსად ალყვანის თარიღები ერთმანეთს არ ემთხვევა: კერძოდ, ეპიტაფიის ტექსტის მიხედვით, ეს 1738/1739 წელს მომხდარა, საარქივო დოკუმენტის მიხედვით კი – 1730/1731 წელს. ნებისმიერ შემთხვევაში, რუსეთის წმინდა სინოდმა რომანოზის მთავარეპისკოპოსობა და მიტროპოლიტობა 1732 წლიდან ოფიციალურად სცნო, ამიტომ ეპიტაფიის ტექსტის ამ ნაწილში შეცდომაა დაშვებული.



“Помяни Господи Романа митрополита и остави ему всякаго согрешения его словом и делом елика согреших в мире сем. От юности своя поживе мира сего 27 лет, архимандритом 16 лет, во архиепископстве 14 лет. Всего поживе 57 лет”.

